კვირის პალიტრა

გზა

N35 (220) 26/VIII.-1/IX.2004.
ფასი 60 თ.

შეუცნობელი — მარიამობის დღესასწაულზე ჯაფოშვილების ოჯახში გველების შემოსევას მეცნიერები ვერ ხსნიან

1168
2004

ბედის ირონია — „ურეკიდან ისე გამეპარა, ვერც გავიგე“

ლევან ბერძენიშვილი: „ყველაზე სუფთა დიასახლისსაც შეიძლება ასეთი რამ მოუვიდეს...“

ჯანმრთელობა — რომელ სპორტზე ვაჭარით ბავშვი?

კონცერტი მაგიდის ქვეშ — შემოქმედებით გზაჯვარედინზე

„იმ დღეს ჩვენს ოჯახში კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა“

პროსპერიდეიზის

ფასდაკლებული ფოლიანტები

5 პროსელი

TV 5 პროსელი

ხასიათი 5 პროსელი

ყველაზე მასართობი ჟურნალები

კვირის პალიტრა
ეკა
№35 (220)
26 აგვისტო - 1 სექტემბერი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„კიდევაც დაიგრდებიან“ ანუ ქართველ კომენტატორთა გოლპრები ათენიდან 3
ერთი კითხვა 4
საქართველო
სამაჩაბლოდან გამორიდებული ბავშვები, მათი ყვარელელი მასპინძლები და „ოჯახურ კონფლიქტურ გონაში“ მცხოვრები გოგონა 6
რეპორტაჟი
„ვიცით, რომ „ტიფლისი“ კალიან ლამაგი ქალაქია...“ 8
საპატარძლოები
ქერა, ახტაჯანა და ჯიუტი თუ შავგვრემანი, ჰუმანური და დამთმობი?.. 10
სასიძო
„ეჭვი არ მეპარება, რომ შენი ბედი ვარ“ 13
კრიმინალი
• გაუპატიურების მსხვერპლი არასრულწლოვანი გოგონაა 14
• უდანაშაულო პატიმარი, საღისტი მკვლელი და ოთახში ჩაკეტილი გვამები 15
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
დეკლარანტები
რის შესაძენად ინახავს ფულს მინისტრი ანუ ეთერ ასტემიროვას ყველაზე დიდი სურვილი 18
თემა
ქალი, ფული, მამაკაცი... შესაძლებელია თუ არა სიყვარულის ყიდვა? 20
დეტექტორი
ლევან ბერძენიშვილი: „ყველაზე სუფთა დიასახლისსაც შეიძლება ასეთი რამ მოუვიდეს...“ 24
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 26
გზავნილები
„...ერთი ციდა გოგომ ასე მწარედ გამაცურა“ 27
ჯანმრთელობა
• სპორტის სახეობა ხასიათის მიხედვით 30
• ფუტკრის ნობათი 31
სილამაზე
უბერებელი სოფი და მისი სილამაზის რეცეპტები 32

„იმ საღამოს ჩვენს ოჯახში კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა...“

„მთელი დღე, თავს ჩავძახოდი – ცხოვრებაში ერთხელ მაინც უყურე შენს ქმარს-მეთქი... დავჯექი კიდეც, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვისვენე და ოთახიდან ოთახში სიარული დავიწყე. ხელში ორი ჯვარი მეჭირა და ვლოცულობდი...“

49

ქერა, ახტაჯანა და ჯიუტი თუ შავგვრემანი, ჰუმანური და დამთმობი?..



ამჯერად ჩვენს რუბრიკაში უჩვეულო სიახლეს გთავაზობთ – ერთდროულად ორ „საპატარძლოს“ წარმოგიდგენთ. ნუ გაგიკვირდებათ – ისინი დები არიან და სწორედ ამიტომ, არც ერთს გული რომ არ დავწყვიტოთ, ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ.

10

კონცერტი მაგიდის ქვეშ და გოგიჩა შემოქმედებით გზაჯვარედინზე

„აი, ზუსტად ამ დროს ვისვენებ, დანარჩენ დროს კი, სულ ვმუშაობ. მიყვარს კარგი ქეიფი და დროს ტარება. სასმელებიდან, ნამდვილი კახური ღვინო მირჩევნია. ამას გარდა, შემიძლია ღვინის ცნობაც, ღვინის შერჩევისას ვერავინ მომატყუებს.“

55

მარიამობის დღესასწაულზე ჯაფოშვილების ოჯახში გვლების შემოსვლას მეცნიერები მერ ხსნიან...

„ერთხელ, 2 მღვდელი გვეწვია, რომლებსაც ჩვენი გასაჭირი შეუტყვიათ და თვითონ მოვიდნენ. მათ თვალწინ 2 გველი მოვკალით. გვითხრეს – ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ აქედან წახვიდეთო. ეს სახლი უნდა დაიწვას, რომ გველები განადგურდნენ, მაგრამ ჩვენ სად ვიცხოვროთ?..“

57

ტაძარი
რა შემთხვევაში ვცოდავთ, პირველი მცნების დარღვევით 34
დღესასწაული
ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე გველები თაყვანს სცემენ ყოვლადწმინდა მარიამის ხატებს 35
პარსკევლავი
მეთიუ პერი: „ქალის გულის დაპყრობა თუ გინდა, გაჩუმდი და მოუსმინე მას...“ 36
ბომონდი 39
ავტო 41
რომანი
რუსუდან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (გაგრძელება) 42
მოგონება
გოგი ცაბაძის ჰიტები და 5Ც გამოუქვეყნებელი სიმღერა 46
ტესტი
ერთგული მკითხველი 48
ჩემპიონი
„იმ საღამოს ჩვენს ოჯახში კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა...“ 49
მსოფლიო თამაშები 51
ამპლუა
პოდიუმს მონატრებული ლალი ტოტიკაშვილი წარმატებით ეწევა დიასახლისის ჭაპანს 53
როგორ ვისვენებთ
კონცერტი მაგიდის ქვეშ და გოგიჩა შემოქმედებით გზაჯვარედინზე 55
შეუცნობელი
მარიამობის დღესასწაულზე ჯაფოშვილების ოჯახში გველების შემოსევას მეცნიერები ვერ ხსნიან... 57
ჰოროსკოპი
კვირის (30 აგვისტო – 5 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
როგორი აზრის ბრძანდებით საკუთარ თავზე? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

პოდიუმს მონატრებული ლალი ტოტიკაშვილი წარმატებით ეწევა დიასახლისის ჭაპანს



„მე და გია ერთად პირველ ზაფხულს ვხვდებით, მაგრამ სამწუხაროდ, დასასვენებლად ვერ მოვიცალეთ... მართალია, შეყვარებულობის პერიოდს თავისებური ხიბლი აქვს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქორწინების შემდგომი პერიოდი გაცილებით უკეთესია...“

53

„ქვეყანაზე სუფთა დიასახლისსაც შეიძლება ასეთი რამ მოუვიდეს...“

„თუ სამშობლოს დახმარება არ დასჭირდება, ამ თანხით პირველ რიგში, სახლს გავარემონტებ და რაც მთავარია, სახურავს გამოვცვლი, რათა წვიმა აღარ ჩამომივიდეს. თუ მილიონი დოლარის პატრონი ვიქნები, უეჭველად ვიყიდი პატარა ქოხს პარიზში.“

24

ჰაიდი კლუმს გათხოვება აკრძალული ჰქონია

კომპანიის მესვეურებს დიდი უკმაყოფილება გამოუხატავთ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჰაიდის ორსულობის ამბავი შეუტყვიათ, შემდეგ კი – იმის გამო, რომ მან შვილი გააჩინა... კლუმი იძულებული გამხდარა, 34 დღეში გაეკეთებინა არჩევანი ან...

40

მტაცებლის ინსტინქტი

– ძალიანაც რომ მინდოდეს, ამის დამალვას ალბათ, მაინც ვეღარ შევძლებ... – დანანებით ჩაიღაპარაკა მეგიმ.

– შეძლებ!.. – ჩამქრალ თვალებში მოულოდნელად ისევ ცრემლი აუკიაფდა მარიკას. – ბავშვის მამა რომ კახაა, ეს მხოლოდ მე და შენ ვიცით! მხოლოდ მე და შენ!..

42

„ყოველვაც დაიბრეკებიან" ანუ ქართველ კომენტატორთა ზღაპრები ათენიდან

ბოლო დღეებში (უფრო ზუსტად – 13 აგვისტოდან), ნამეტნავად სპორტულ-ფილოსოფიურმა ფიქრებმა შემაწუხა, თანაც – ორ ხმაში (თუ რა მიზეზით, ამას მოგვიანებით აგიხსნით) და მინდა, ისინი თქვენც გაგიზიაროთ.

აი, ისევ დამეწყო...

ფეხის ხმას აყოლილი ხალხი ვართ, თორემ, კაცმა რომ თქვას, რა არის სპორტი და საერთოდ, რა საჭიროა ეს გაუთავებელი ჩემპიონატები და ოლიმპიადები?! მე შენ გეტყვი და რამეში გამოადგება კაცობრიობას, ამდენი ოფლის ღვრა?.. ელინებივით მოიქცევიან სეპარატისტები, იარაღს დაყრიან თუ რა?.. ამდენი უაზრო შეჯიბრი რა საჭიროა? თუნდაც, ცურვა ავიღოთ: გაისვრის ვიღაც შფოთისთავი პისტოლეტს, ჩახტებიან წყალში „ფერადთავიანი" ყაძახები და მიცურავენ... შე მამაცხონებულო, თუ ღმერთმა არ გაგწირა და ცოცხალი გაგიყვანა მეორე ნაპირამდე, კიდევ ფეხს კრავ აუზის კედელს და უკან ბრუნდები?.. ხომ ხარ ღირსი, რომ დაიხრჩო?!. ე, ბატონო, გახდა ჩემპიონი ვიღაც აფრიკელი „ქერა ზანგი"; გახდებოდა, აბა, რა იქნებოდა: ნილოსში ყოფილა ნავარჯიშევი და ნიანგი ჰყოლია „ტრენერად" – გამოეკიდებოდა „ტრენერი" და კაი დედის შვილი იყო, ხელი არ მოესვა!.. (ყველაფერ ამას „ორ ხმაში" ვფიქრობ...)

ან კიდევ, „შტანგის" აწევა სპორტია?.. (ა, კიდო – იწყებს „პირველი ხმა"!..) სპორტი კი არა, სუფთა ინტრიგანობაა: ვინ გთხოვს, რომ ეცემი იმ 220-კილოიან შტანგას და სწევ?! რას გიშლის? – ეგდოს თავისთვის, შენს ეზოში გდია თუ რა?! მაგრამ არა! – რა უნდა ამას აქაო?!. – მივარდებიან, ჭაჭებს ჩაიმთხვლევენ აწევაში და მერე კითხულობენ – სად წავიღოო?.. პასუხს რომ ვერავისგან მიიღებენ (შემოვიდა „მეორე ხმა"!), თავის ადგილზე დადებენ და მიდიან კმაყოფილები. ჰო-ჰო-ჰო, ჯანი მისცეთ ღმერთმა!..

ვინმემ რამე თუ ითხოვა, ყველაფერი ოლიმპიურ სპორტად გამოაცხადეს. ქართველები კი, აგვითვალწუნა ოლიმპიურმა კომიტეტმა: რაშიც ძლიერები ვართ, არც ერთი სახეობა არ ჩასვა თამაშებში (ბუზღუნებს „პირველი"), თორემ, ნარდში, დომინოსა და „ჯოკერშიც" რომ ყოფილიყო შეჯიბრი, უმუშევარ და მოცლილ ქართველებს ვინ წაგვართმევდა ოქროს („ბანს" აძლევს „მეორე")?!

ანდა, ის ოქრო ოქროა?.. ვერ გავიგე, რისთვის იკლავს ამდენი ხალხი თავს! აი, ნაღდი ოქრო ის იყო, 600 კილო რომ წაიღო ყოჩაღმა ექსგუბერნატორმა!.. ან კიდევ, ვისი დაფნა გვიკვირს?.. ბერძნული დაფნა (თუნდაც, ზეთისხილის ტოტები) სჯობია ახლა ჩვენსას?!. („პირველი" და „მეორე" ერთად.)

მოკლედ, ეს ოლიმპიადა დიდი უინტერესო რამეა და კაცი არ დაჯდებოდა ტელევიზორთან მის საყურებლად, რომ არა ჩვენი იუმორისტი კომენტატორები, რომლებსაც ისე ხალისიანად და ღადავში მიჰყავთ რეპორტაჟები, რომ ზურგით თუ დაჯდები ტელევიზორთან, ვერც კი მიხვდები, რომელ სახეობაშია შეჯიბრი. კიდევ კარგი, რომ ამაში მაინც გამოგვყვა ნიჭი და ქართველ კომენტატორთა იუმორისტულ ტრადიციებს ღირსეული გამგრძელებლები გამოუჩნდნენ: ჯერ იყო და, სანამ ტელევიზორი შემოვიდოდა და რადიოს, თეფშის ფორმა ჰქონდა, დიდ ეროსის მიჰყავდა რეპორტაჟები, თუ თამაში ფრედ დამთავრდებოდა, ბატონი ეროსი ბოლოს, მოულოდნელად გაგვახარებდა – ერთი გოლი გადანახული მქონდა, არ გაგიმხილეთ და ახლა გეუბნებით – თამაში მოვიგეთო... ან კიდევ, ხომ გახსოვთ მისი დაუვიწყარი სიტყვები: ჩვენმა მკვდრებმა აღმართეს ცოცხალი კედელიო?.. მერე ჯუგზარ ნუღელი გამოჩნდა და ისეთ სასაცილო ამბებს ჰყვებოდა, რომ ხალხი კოღოებივით ესეოდა ეკრანებს: იმ დღეს ხომ სპორტის სასახლეში ნამდვილი საკალათბურთო ამინდი იყო... ან კიდევ – უნიკალური დიალოგი: – რა გქვიათ, გოგონი? – მაკა. – თქვენ? – მაკა. – თქვენ დები ხართ?.. ასე გახდა სპორტი ჩვენში პოპულარული...

ამასობაში, გამარჯვებული ხალხის ტელევიზიამ იმარჯვა და ისეთი კომენტატორი გვაჩუქა, რომ ფეხბურთის მაგივრად, კალათბურთს ამბობს და ბექჰემს ზიდანს ეძახის. სამაგიეროდ, ფეხბურთს უყურებ თუ იუმორინას, ველარ ხვდები და მაინც კმაყოფილი ხარ...

ახლა კიდევ, იმედისმომცემმა ტელევიზიამ აფრინა ენაწყლიანი კომენტატორები ათენში. მართალია, ისინი სპორტში ისევე ერკვევიან, როგორც ნათელაშვილი – პოლიტიკაში, მაგრამ სწორედ მაგათი რეპორტაჟების წყალობითაა, რომ ქართველი ოლიმპიელების მარცხს იოლად ვიტანთ, გამარჯვებას კი – გაათმაგებული სიხარულით ვხვდებით. ჰოდა, თუ სადმე სამართალია, თითო მედალი და დაფნა მაგათაც ეკუთვნის, თუნდაც ამ იშვიათი რეპლიკისთვის: ვაა... რა ლამაზი გოგოა და რამხელაზე ხტება!.. (ეს „პირველმა" და „მეორემ" ერთად, ორ ხმაში წამოიძახა). ორივე სამწუხაროა, რომ მაგათ ქართულს მხოლოდ ჩვენ ვისმენთ და არა მთელი საბერძნეთი, თორემ, ოქროს მედალს კი არა, ოქროს საწმისსაც დაგვიბრუნებდნენ...

P.S. ფრაგმენტი ქართველი სპორტული კომენტატორების გამოსვლიდან:

– დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები ათენის ოლიმპიადაზე გაემგზავრა.

– სახეობა გზაში დადგინდება...

პროვოკატორი

„წყლის რენტაბელურ ხარჯვას გამრიცხველიანება სჭირდება“

— იმის დასადგენად, თუ რამდენად რენტაბელურად იხარჯება სასმელი წყალი, „თბილწყალკანალი“ ახალი ექსპერიმენტის განხორციელებას აპირებს. ასეთი ექსპერიმენტის შემდეგ, წყლის გადასახადზე საფასურის გაზრდა ხომ არ იგეგმება?

გოჩა ჭელიძე, *„თბილწყალკანალის“ საინფორმაციო ცენტრის უფროსი:*

— „თბილწყალკანალისა“ და მერიის ინიციატივით, ეს ექსპერიმენტი დიდ დიღომში ჩატარდება, იმის გამო, რომ ეს დასახლება ავტონომიურია, იქ წყალსადენის ცალკე სადენები შედის, ქსელიც შედარებით ახალია და ამიტომ, მასში წყლის დანაკარგი ნაკლები იქნება. მრიცხველები ერთ-ერთ 9-სართულიან კორპუსში დამონტაჟდება. ამ ექსპერიმენტის მიზანი კი ის არის, რომ ერთი კორპუსის მაგალითზე დადგინდეს, რამდენად მაღალია თბილისში სასმელი წყლის უყაირათოდ ხარჯვის მაჩვენებელი. ევროპაში ერთ სულ მოსახლეზე დღეში საშუალოდ 150-200 ლიტრი წყალი იხარჯება, რაც 4-5-ჯერ ნაკლებია იმაზე, რასაც თბილისის მოსახლეობა ხარჯავს, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 15%-ს წყალი გრაფიკით მიეწოდება. სანამ ხარისხიანი წყალი ონკანებში მოდის, უნდა მოვუფრთხილდეთ. ამის ერთ-ერთი მექანიზმი ალბათ გამრიცხველიანება იქნება. დღეს თითო სულ მოსახლეზე თვეში 120 თეთრია გადასახდელი, მაშინ, როცა 1 ტონა წყალი 5 თეთრი ღირს. ხომ შეიძლება, ამა თუ იმ მოსახლემ 120 თეთრზე ნაკლები ღირებულების წყალი მოიხმაროს?.. ასეთ შემთხვევაში, გამრიცხველიანება მათ ინტერესებსაც დაიცავს. თუ დღეს, წყლის რენტაბელურად მოხმარების საკითხი არ გადაწყდა, ხვალ ამ სფეროში შეიძლება, სერიოზულ პრობლემებს წავაწყდეთ. რაც შეეხება წყალზე ტარიფის მომატებას, ეს ექსპერიმენტის დასრულებამდე არ განხორციელდება.

■

„დე ფაქტო ხელისუფლება ბოევიკების გაკონტროლებას ვერარ ახერხებს“

— გავრცელებული ინფორმაციით, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებასა და მის მიერ დაქირავებულ ბოევიკებს შორის სერიოზული დაპირისპირება წარმოიქმნა. ამასთან დაკავშირებული რაიმე სარწმუნო ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?

მიხეილ ქარელი, *შიდა ქართლის გუბერნატორი:*

— ეს დაპირისპირება ნამდვილად არსებობს. მისი საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური პრობლემაა. ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობა პირად საუბრებში აღნიშნავს, რომ დაქირავებული ბოევიკების მხრიდან ძალზე ხშირია მშვიდობიანი მოსახლეობის დაწიოკების, გაქურდვისა და დაყაჩაღების ფაქტი. დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა როკის გვირაბის გავლით არაერთი დაქირავებული მებრძოლი შემოიყვანეს. მათ კარგ ანაზღაურებას დაჰპირდნენ, მაგრამ კოკოითის მთავრობამ ბოევიკების ფინანსური უზრუნველყოფა ვერ მოახერხა. დაქირავებული მებრძოლები ერთხანს, სანგრებში ისხდნენ და ელოდნენ კოკოითის მითითებებს. შემდეგ, დამოუკიდებელ მოქმედებებზე გადავიდნენ. ბოლოს ისე გაიმაგრეს პოზიციები, რომ დე ფაქტო ხელისუფლება მათ გაკონტროლებას ვერარ ახერხებს. კოკოითს მათთვის გადასახდელი ფული არ აქვს, ამიტომ დაჰკარგა მათი მართვის სადავეებიც. ძალიან მალე, ამდენი იმედგაცრუებული დაქირავებული ბოევიკი ყველაზე სერიოზულ საფრთხეს სწორედ კოკოითსა და მის გარემოცვას შეუქმნის.

■

„ახალი საგადასახადო კოდექსი უვარგისია“

— ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით საერთაშორისო სავალუტო ფონდს გარკვეული პრეტენზიები აქვს. რა საკითხზე ვერ თანხმდებიან სავალუტო ფონდი და ჩვენი მთავრობა?

ლადო პაპავა, *პარლამენტის წევრი:*

— საქართველოს მთავრობამ მოახერხა სავალუტო ფონდთან წლების განმავლობაში გაფუჭებული ურთიერთობის გამოსწორება, რასაც არა მხოლოდ პროგრამის აღდგენა მოჰყვა. ამის შედეგად, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, მოეხდინა ვალების რესტრუქტურიზაცია „პარიზის კლუბში“. წესით, ეკონომიკის მინისტრი ამ კეთილგანწყობის შენარჩუნებას უნდა ცდილობდეს. ნაცვლად ამისა, იგი თავისი უტაქტო გამონათქვამებით სიტუაციის გამწვავებას უწყობს ხელს, როდესაც სავალუტო ფონდს უწოდებს იდიოტურ ორგანიზაციას, ხოლო ამ ორგანიზაციაში დასაქმებულ ადამიანებს სულელებად მოიხსენიებს... თუ მინისტრზე განაწყენებული ფონდი შეწყვეტს თავის პროგრამას, მაშინ, მარტო წლევანდელ ბიუჯეტში 260-მილიონიანი გარღვევა გვექნება. თუმცა, ბენდუქიძე ამაზე ნაკლებად ფიქრობს და „გვამშვიდებს“ — 3 წელიწადში ეკონომიკის სამინისტრო აღარ იქნებაო. როგორც ჩანს, ბენდუქიძეს ჰგონია, რომ ის „პრივატიზაციის მინისტრია“ და როგორც კი გაყიდვებს მორჩება, სამინისტროც უნდა დახუროს... რაც შეეხება თავად საგადასახადო კოდექსს — ის რომ უვარგისია, ნათელია. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მაინც ცდილობს, პრინციპულ საკითხებში არ შეეწინააღმდეგოს მთავრობას და მხოლოდ იმას მოითხოვს — რევოლუციურ ცვლილებებს ერთბაშად ნუ მიიღებთ, 3 წლის განმავლობაში ეტაპობრივად განახორციელეთო, რაც ჩემი აზრით, აბსოლუტურად ლოგიკურია. მთავრობა კი ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებას არ ჩქარობს...

■

„თუ ცხინვალის რეგიონი ალექსი მეორის იურისდიქციაში მოექცევა...“

— მიუხედავად რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორის განცხადებებისა, ცოტა ნაჩქარევი ხომ არ იქნება, რუსულ ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება?

მეუფე აბრაამი, *დასავლეთ ევროპის ეპარქიის წინამძღვარი:*

— ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დაწყებისთანავე, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია გარკვეულ ნაბიჯებს დგამდა საიმისოდ, რომ ის უნდობლობა, რომელიც ქართველებსა და ოსებს შორის ყალიბდებოდა, უფრო გაღრმავებულიყო. ამისათვის რუსეთის სასულიერო პირებს იყენებდნენ. თუმცა საკუთარი სურვილის შენიღბვის მიზნით, ცხინვალის რეგიონს საკუთარ საეკლესიო იურისდიქციაში მიღებაზე უარი უთხრეს, სამაგიეროდ, ოს სეპარატისტებს საზღვარგარეთ მოქმედ რუსულ ეკლესიასთან დაამყარებინეს კავშირი. ეს უკანასკნელი კი, სეპარატისტებს საკუთარ იურისდიქციაში დაუფიქრებლად იღებს. დღეს, როცა რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიისა და რუსეთის ეკლესიის გაერთიანება გარდაუვალია, შესაძლებელია, ცხინვალის რეგიონი ალექსი მეორის იურისდიქციაში, ერთ-ერთ სამრევლოდ მოექცეს. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ეკლესია ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, გამორიცხული არ არის, საპატრიარქომ რუსეთის სამღვდელოებასთან ევქარისტიული კავშირი გაწყვიტოს. მე მიმაჩნია, რომ ეს იქნება ადეკვატური რეაქცია, იმ ურთიერთობებიდან გამომდინარე, რომლებიც ორ ქვეყანას შორის ვითარდება. კონფლიქტის მოგვარებაში, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიაც უნდა ჩაერიოს. იმედი გვაქვს, რუსული მხარე ამჯერად მაინც გაიხსენებს, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მასთან სხვაგვარი ურთიერთობაა საჭირო. ■

„ახალქალაქელი სომხები ავტონომიას არ ითხოვენ“

— სომხეთის მარშალ ბაგრამიანის სახელობის ცენტრში ერთობლივი, სომხურ-რუსული სამხედრო წვრთნები დაიწყო. რას უნდა ნიშნავდეს ეს საქართველოსთან მიმართებაში?

ვან ბაიბურთი, *პარლამენტის წევრი:*

— ის, რომ თითქოს სომხეთის ფაქტორი საქართველოს წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენონ, მხოლოდ და მხოლოდ პროვოკაციაა და მეტი არაფერი. სომხეთს საქართველოსთან კარგი ურთიერთდამოკიდებულება აქვს და რუსეთის გამოც კი არ გაირთულებს კეთილმეზობლურ ურთიერთობას. მართალია, პუტინმა საქართველოს შესახებ ქოჩარიანთან შეხვედრის დროს ისაუბრა, მაგრამ ეს არის მხოლოდ მცდელობა იმისა, რომ სომხურ-ქართულ ურთიერთობებში ჩრდილოელი მეზობლისთვის სასარგებლო ფონი შეიქმნას. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ორ ქვეყანას შორის შუღლის გაღვივების მცდელობა ემსახურებოდეს თურქეთის ინტერესსაც — ერთმანეთს დაუპირისპიროს ორი პატარა ქრისტიანული „კუნძული“. მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან სომხეთში ანტიქართული ფონი არ არსებობს. პრობლემა, რომელიც თითქოსდა ახალქალაქელი სომხების ავტონომიის მოთხოვნას წარმოადგენს, ასევე მტრების მიერაა მოგონილი. ვინც ავტონომიის შექმნაზე ლაპარაკობს, ისინი არა სომხები, არამედ ფულით მოსყიდული ადამიანები არიან. ■

რა განსხვავებაა რევოლუციის დროინდელ და პოსტრევოლუციურ რეიტინგებს შორის?

— როგორ იმოქმედა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა ხელისუფლების პირველ პირთა რეიტინგზე და რა განსხვავებაა რევოლუციის დროინდელ და პოსტრევოლუციურ სარეიტინგო მაჩვენებლებს შორის?

გოჩა ცქიტიშვილი, *სოციოლოგიური კვლევითი სამსახურის ხელმძღვანელი:*

— როგორც წესი, რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსული ლიდერების სარეიტინგო მაჩვენებლები კლებას იწყებს და ძველ ნიშნულს უახლოვდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იმ შემთხვევაში გახდება, თუ საზოგადოებამ უმოკლეს დროში, ხელისუფლების წარმატებული მუშაობის შედეგები არ დაინახა. ზოგადად რევოლუციის შედეგად მოპოვებული რეიტინგი უფრო მალე ეცემა; ლოკალური, მცირე გამარჯვებებით შექმნილი იმიჯი კი, საკმაოდ „გრძელვადიანია“. ხელისუფლებაში მოსულ ტრიუმვირატს, გამარჯვებებთან ერთად, მარცხიც ბევრი ჰქონია, ამიტომ კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დაძაბვის პარალელურად, პირველ პირთა რეიტინგი სერიოზული ვარდნის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. „მესამე ძალის“ წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაცია რომ არა, სააკაშვილის, ბურჯანაძის, ჟვანიას, ოქრუაშვილისა და ბარამიძის იმიჯი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა. ბრწყინვალედ დაგეგმილმა ოპერაციამ და ქართველი სამხედროების კვალიფიციურმა მოქმედებამ ქვეყნის პირველ პირებს კვლავ მაღალი რეიტინგი შეუნარჩუნა... საზოგადოება ხელისუფლებისგან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ელოდება. თუ ეს განხორციელდა, ქვეყნის პირველი პირები უბრალოდ პოლიტიკოსები კი არა — გმირები იქნებიან, გმირების რეიტინგსა და იმიჯზე კი, არავინ საუბრობს... ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

სამაჩაბლოში არსებული დაძაბული სიტუაციის გამო, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ იქაური სოფლების მკვიდრი ბავშვები უსაფრთხო რეგიონებში გადაეყვანა. მათი ნაწილი ყვარელში იმყოფება. ზოგიერთ ბავშვს თან მშობელიც ახლავს. დროებით დევნილთა შორის, სხვადასხვა ასაკის მოზარდები და ახალგაზრდები არიან... ჩვენ დავინტერესდით, როგორ ცხოვრობენ ისინი კახეთში და მათ მოსანახულებლად ყვარელს ვესტუმრეთ.

სამაჩაბლოდან გამორიდებული ბავშვები, მათი ყვარლელი მასპინძლები და „ოჯახურ კონფლიქტურ ზონაში" მცხოვრები გოგონა

მარი ჯაფარიძე

ეთერ კაპანაძე, *19 წლის:*

— მე სოფელ ავნევიდან ვარ. მართალია, ჩვენთან ისეთი დაძაბული მდგომარეობა არ იყო, როგორიც უშუალოდ კონფლიქტის ზონაში, მაგრამ მაინც გამოგვიყვანეს შედარებით უსაფრთხო ადგილას. ჩვენს სოფელში სროლა არ ყოფილა, მხოლოდ ორი ჭურვი აფეთქდა. მაგრამ სროლის ხმა გამუდმებით ისმოდა. ოჯახის წევრები ვერ მელეოდნენ, არ უნდოდათ ჩემი გამოშვება, მაგრამ მე მინდოდა და წამოვედი...

— გეშინოდა და იმიტომ გადაწყვიტე წამოსვლა?

— არა, არ მეშინოდა. მე დედა ოსი მყავს. ამის გამო, ვფიქრობ, რომ ორივე მხარე ჩემ მიმართ კეთილგანწყობილი იქნებოდა და პრობლემები არ შემექმნებოდა. საერთოდ, ამ ბოლო დრომდე, ძალზე კარგი დამოკიდებულება იყო ოსი და ქართველი ეროვნების ადამიანებს შორის, არანაირი დაძაბულობა არ იგრძნობოდა. უბრალო მოსახლეობა ახლაც მშვიდად ცხოვრობს ერთიმეორის გვერდით.

— დედაშენი რას ფიქრობს დღევანდელ მოვლენებზე?

— ისევე, როგორც ყველა ოსი, დედაჩემი ვერ იტანს, როცა ამბობენ — ოსი სეპარატისტებიო. ამაზე ყოველთვის ბრაზდება. მამაც არ თმობს თავის პოზიციებს და იწყება დავა-კამათი... მოკლედ, მე ოჯახშიც „კონფლიქტურ ზონაში" ვცხოვრობდი. დედა თავისი ერის პატრიოტია, ოსი მოსახლეობის პოზიცია კი ასეთია — მათ მოსწონთ პუტინი, რადგან რუსეთი გახლავთ მათი შემოსავლის წყარო და საარსებო მინიმუმს იქიდან ღებულობენ. ჯერ არ შემხვედრია ოსი ეროვნების ადამიანი, რომელსაც სხვაგვარი პოზიცია აქვს. მე მამას ვუჭერ მხარს და მიმაჩნია, რომ ქართული ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ კარგად ვიცხოვროთ ქართველებმაც და ოსებმაც. დედა ცხინვალში მუშაობს, ყოველდღე დადის სამსახურში და არანაირი პრობლემა არ შეჰქმნია. დედისა და მამის განსხვავებული პოზიციის გამო, ოჯახი დანგრევის საშიშროების წინაშე არასოდეს დამდგარა... იქაური მოსახლეობა პანიკაშია. თუმცა, ალბათ ამის საფუძველი არ არსებობს. პროდუქტი გვაქვს, შემოდის სხვადასხვა სახის ჰუმანიტარული დახმარება...

გიორგი ქოქაშვილი, *12 წლის:*

— სროლის ხმა მესმოდა და ძალზე მეშინოდა. ამიტომ წამოვედი ავნევიდან და აქ მშვიდად ვარ. წამოსვლისას დედამ დამარიგა, რომ კარგად მოვქცეულიყავი. ტელეფონით მიკავშირდება და ჩემს ამბებს გებულობს. აქ ყოფნა მომწონს, რადგან ბევრი ბავშვია ჩემთან ერთად, მაგრამ თუ სროლა აღარ იქნება, შინ წავალ.

თამუნა ფეხშველაშვილი, *25 წლის:*

— ალყაში ვიყავით მოქცეული, გამუდმებით ისმოდა სროლის ხმა და ამიტომ გადავწყიტე, წამოვსულიყავი. შინ დარჩნენ მშობლები, ბებია და ჩემი და. ძალიან მინდა შინ დაბრუნება, მაგრამ აქაც კარგად ვგრძნობ თავს. მყავს 21 წლის ძმა, რომელიც შინაგან ჯარში მსახურობს და უკვე დიდი ხანია, ქემერტში იმყოფება, სადაც ყველაზე ცხელი წერტილია. სოფლიდან 7 ბიჭია წასული და ღვთის მადლით, ყველა კარგადაა. სოფელში დგას პოლიცია და მოსახლეობას მისი იმედი აქვს.

თამუნა ფეხშველაშვილი,
თამრიკო კაპანაძე, ეთერ კაპანაძე,
გიორგი ქოქაშვილი

თამრიკო კაპანაძე:

— სამი შვილი მყავს, სამივე აქ, ჩემთან ერთადაა. უფროსი ბიჭი 8 წლისაა, ტყუპი გოგონა კი — 7-ის. შინ დედამთილი, მამამთილი და მაზლი დავტოვე. სოფელში იყო აფეთქება, სროლა და ამიტომ გამოვარიდე ბავშვები იქაურობას. თითქმის ყველა ბავშვი პანიკაში იყო. აქ კი თავს მშვიდად ვგრძნობთ. ჩემთან ერთად კიდევ რამდენიმე მშობელია. ბავშვებს ვუვლით, კერძებს ვუმზადებთ, ვურეცხავთ... ხელისუფლება შეგვპირდა, რომ 15 სექტემბერს უკან დაგვაბრუნებენ და შევძლებთ, ბავშვები სკოლაში სამაჩაბლოში მივიყვანოთ. მართლაც, თუ მშვიდობა იქნება, სიამოვნებით დავბრუნდებით უკან.

ცხინვალის რაიონიდან ჩამოსული სტუმრების შემდეგ, ყვარლის გამგებლის მოადგილეს, ბატონ **ზურაბ ფეიქრიშვილს** *შევხვდით.*

— სადაც სამაჩაბლოდან ჩამოსული ადამიანები ცხოვრობენ, ეს კერძო საკუთრება გახლავთ. მისმა მეპატრონემ სიამოვნებით დაუთმო მათ სახლი. თავდაპირველად, სურვილი გვქონდა, ბავშვები ოჯახებში გაგვნაწილებინა, მოსახლეობაც სიამოვნებით დაგვთანხმდა სტუმრების მიღებაზე. მაგრამ თვითონ ისურვეს ერთად ყოფნა. რა თქმა უნდა, წინასწარ არ ვიყავით მომზადებული, ამიტომ სასწრაფოდ შევიტანეთ შენობაში საწოლები. ტრიკოტაჟის ფაბრიკამ სრულიად უანგაროდ შეუკერა ლეიბები, საბნები, თეთრეული... სამაჩაბლოში გათხოვილია ჩვენებური გოგო, რომელსაც სამი შვილი ჰყავს. ის კონფლიქტის ზონიდან დედასთან ჩამოვიდა. მატერიალურად შეჭირვებული ოჯახია, ამიტომ გვთხოვა, რომ სამაჩაბლოდან ჩამოსულებთან ერთად დაგვებინავებინა. რა თქმა უნდა, უარი არ გვითქვამს... მოსახლეობა გულისხმიერად ეკიდება დროებით დევნილებს. საკუთარი სურვილით მოაქვთ ხილი, სოფლის ნობათი. დაგვეხმარნენ სოფლების გამგებლები, ასევე — მეუფე სერგი... დახმარება ვთხოვეთ ბანკებსა და ღვინის ქარხნებს. თხოვნის გამეორება არ დაგვჭირვებია, ისე ამოგვიდგნენ მხარში. უხერხულიც კია, მადლობის გადახდა მათთვის, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ თავიანთ მოვალეობას ასრულებენ... ზოგიერთ ბავშვს დედაც ახლავს. თვითონვე უვლიან ყველა ბავშვს და ერთი ოჯახივით ცხოვრობენ. არავინ იცის, რამდენი ხანი მოუწევთ აქ ყოფნა, მაგრამ რამდენი ხანიც მოუწევთ, დავტოვებთ. ყვარლის რაიონში 40 ათასი ადამიანი ცხოვრობს და 42 დაემატა. ეს პრობლემას ნამდვილად არ შეგვიქმნის... ■

არავინ იცის, რამდენი ხანი მოუწევთ აქ ყოფნა, მაგრამ რამდენი ხანიც მოუწევთ, დავტოვებთ



სოკო

პრობლემად რომ არ გექცეს . . .

ზაფხულის მზე ძალას იკრებს და ჩვენც აუზებსა და გართობისკენ გვიწევს გული. მაგრამ ზაფხულის დადგომასთან ერთად თავს იჩენს, ერთი შეხედვით, პატარა, მაგრამ საკმაოდ სერიოზული პრობლემა — სოკოვანი დაავადება. ამ დაავადების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია ტემპერატურისა და ტენიანობის მომატება, ჭარბი ოფლიანობა, არადამაკმაყოფილებელი ჰიგიენური პირობები და სხვა. ამასთან, ზამთრის შემდგომ პერიოდში ორგანიზმის იმუნური (დამცავი) სისტემა ისედაც დასუსტებულია და შესაძლებელია „მიძინებულმა“ სოკომ გაიღვიძოს და გააქტიურდეს. ამის შედეგად კი ზიანდება არა ერთი ორგანო, მათ შორის ფრჩხილები, ფეხის ტერფები, ზოგადად კანი და რაც მეტად მნიშვნელოვანია, სოკო ადვილად აღწევს სასქესო ორგანოების ლორწოვანში და იწვევს ვაგინალურ კანდიდოზს.

ლოკალიზაციის მიხედვით სოკოვანი დაავადებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: ვულვოვაგინიტის შემთხვევაში — გამონადენი, ქავილი, წვა; ტერფის სოკოვანი დაავადების დროს — ფეხის თითებშუა კანის დაზიანება, ქავილი, სუნი; ფრჩხილების მიკოზების დროს — ფრჩხილის ზედაპირის დაზიანება, აქერცვლა, ფერის შეცვლა, მტვრევადობა და სხვა.

ყოველივე ამან კი შეიძლება გააფუჭოს თქვენი ამაღლებული განწყობილება, ვერც პრიალა და ლამაზი ფრჩხილებით იამაყოთ, ვერც საცურაო აუზს ესტუმროთ და გაირუჯოთ, ვეღარც საყვარელ ადამიანთან ერთად გაატაროთ სასიამოვნოდ დრო.

ნუ შეშინდებით! სოკოვანი დაავადების პრობლემის მოგვარებაში პრეპარატი „მიკოფლუ“ (ფლუკონაზოლი) დაგეხმარებათ. ახალი თაობის სისტემური მოქმედების პრეპარატი „მიკოფლუ“ სწრაფად და ეფექტურად მოქმედებს სხვადასხვა ლოკალიზაციის სოკოვანი დაავადების კლინიკურ გამოვლინებებზე. „მიკოფლუს“ მხოლოდ ერთი კაფსულა (150მგ) კვირაში ერთხელ (ოთხი კვირის მანძილზე) უზრუნველყოფს სოკოვანი დაავადებისაგან განკურნებას.

ახლა სწორედ ის დრო, როცა სოკოსთან ბრძოლა ყველაზე ადვილი და შედეგიანია!

GMP
ჯი-ემ-პი

მიკოფლუ®
პრეპარატის მასებისას გაკეთებული ანოტაციაში

ნათია ქივიძე

„viciT, rom „tiflisi" Zalian lamazi qalaqia..."

ქართველები ისედაც ერთი მუჭა ერი ვართ და დროთა განმავლობაში, უფრო ვმცირდებით, რადგან ბევრ ჩვენგანს ჰგონია, რომ სხვა ქვეყანაში უკეთესი ცხოვრებაა და ბედის საძიებლად იქ მიდის. თუმცა, ამა თუ იმ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგადაც უამრავი ქართველია მშობლიური კუთხიდან აყრილი და საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობს...

ტაო-კლარჯეთში ისტორიკოსთა ექსპედიციასთან ერთად წასვლის ბედნიერება მხვდა წილად. ქალაქ ართვინში რომ ჩავედით და ქუჩაში ერთმანეთთან ქართულად ვსაუბრობდით, სახეგაბრწყინებული იქაური ქართველები გვეკითხებოდნენ — გურჯები ხართო?.. მერე კი ათასნაირ საჩუქარს გვიძღვნიდნენ და თან, საკუთარ ამბებს გვიყვებოდნენ.

— ჩემი ქართული გვარი ზაქარიშვილია, სახელი კი, ისმაილი მქვია. ართვინში დავიბადე და მას შემდეგ, სულ აქ ვცხოვრობ. მაქვს საკუთარი რესტორანი და ოჯახს ამით ვარჩენ. ერთ-ერთი სასტუმროს მეპატრონე ჩემი ნათესავია და მასაც რაღაც-რაღაცებში ვეხმარები ხოლმე.

— თქვენი გვარის წარმოშობის შესახებ თუ იცით რაიმე?

— არ ვიცი. მშობლები მეუბნებიან ხოლმე — ჩვენი გვარი ქართლიდან არისო. ეს ქართლი რას ნიშნავს, ვერ გეტყვი.

— ქართლი საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა.

— ძალიან კარგი. ნამყოფი ხარ ქართლში? თუ იცი, ლამაზია?

— დიახ, ძალიან ლამაზია.

— მაშინ აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში და ქართლსაც მოვინახულებ.

— თქვენი ოჯახი ართვინში როდის და როგორ დასახლდა?

— ზუსტად არ ვიცი, როდის მოვხვდით აქ. მაგრამ ჩემი მშობლებისგან ის ვიცი, რომ ადრე თურმე, ეს ტერიტორია საქართველოს ეკუთვნოდა. მერე რაღაც ომი მომხდარა და ართვინი თურქებმა მიისაკუთრეს. ჩემი ოჯახი ომამდეც აქ ცხოვრობდა და მერეც აქ დარჩა.

— ცოლ-შვილი თუ გყავთ?

— რა თქმა უნდა. თურქული წესებისგან განსხვავებით, ერთი ცოლი მყავს და ისიც ქართველია. მისი ქართული გვარი არ ვიცი. მგონი, თვითონაც არ იცის, რადგან რამდენჯერმე ვკითხე და ვერ მიპასუხა. ის კი ვიცი, რომ ისიც ქართლიდან არის. შვილებიც მყავს. ქალვაჟი, ქართული ლაპარაკი ჩვეულებრივად ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. სამწუხაროდ, მათ თურქული სახელები ჰქვიათ.

— როგორც ვიცი, ართვინში ძალიან ბევრი ქართველია...

— დიახ. აქაურმა გურჯებმა ქართული ერთმანეთთან ურთიერთობით ვისწავლეთ. ჩვენ საქართველოზე ხშირად ვსაუბრობთ. ბევრი მათგანი „ტიფლისში" ნამყოფია და გვიყვებიან, თქვენთან როგორი ხალხი ცხოვრობს. ისე, ვიცით, რომ „ტიფლისი" ძალიან ლამაზი ქალაქია. სხვათა შორის, თურქეთში ძალიან ბევრი ქართული ეკლესია და ციხეა.

ისმაილ ზაქარიშვილი

ყოველი მათგანი ფეხით მოვიარე და დავათვალიერე. აქ სტუმრად ჩამოსულ ქართველებს რომ ვხვდები, ძალიან მიხარია. ახალი წლისთვის მეც ვეცდები, საქართველოში ჩამოვიდე. ქართველები კარგი ხალხი ვართ.

მოგვიანებით, ჩვენი ექსპედიცია სოფელ ოლთისში ჩავიდა. ოლთისის ქართულ ციხეს ვათვალიერებდით, როცა ჩვენთან ლაზი მამაკაცი მოვიდა და გამართული ქართულით გვკითხა — ქართველები ხართ? თქვენ გენაცვალეთო!.. რა თქმა უნდა, მისი პიროვნებითაც დავინტერესდით.

— აიათი მქვია, რაც თურქულად სიცოცხლეს ნიშნავს. ჩემი ქართული გვარი იმამიშვილია, ხოლო თურქული — ბურჯიღლი. ხოფაში დავიბადე და გავიზარდე. სკოლის დამთავრების შემდეგ, იზმირის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. იქვე ვისწავლე ოქრომჭედლობა. ახლა კი, ვბიზნესმენობ. ჩემი გვარი ოჩამჩირიდან არის. იქ ბევრი იმამიშვილი ცხოვრობს. ეს ამბავი რომ გავიგე, ოჩამჩირეში ჩავედი და ჩემი ნათესავები გავიცანი, მერე კი ისინი თურქეთშიც დავპატიჟე. სხვათა შორის, რამდენიმე მათგანი ჩამომყვა და აქ დასახლდა. ჩემი ბაბუის მამას საკუთარი გემი ჰყავდა და სტამბოლში ბიზნესმენობდა. სწორედ მაშინ დარჩა თურქეთში საცხოვრებლად.

— ქართული ენა ვინ გასწავლათ?

— როცა საქართველოსა და თურქეთს შორის სარფის გზა გაიხსნა, საქართველოში ჩამოვედი და ოქრომჭედლად ვმუშაობდი. მერე ბათუმში დიზელის ბიზნესი მქონდა, ბაქო-ჯეიჰანის მილსადენზეც ვიმუშავე. სწორედ მაშინ ვისწავლე ქართულად ლაპარაკი. წერა-კითხვა ჯერ არ ვიცი, რადგან ამის დრო არ მაქვს, მაგრამ გპირდებით, რომ აუცილებლად ვისწავლი.

— თქვენ ისეთი პატრიოტი ჩანხართ, მეუღლეც აუცილებლად ქართველი გეყოლებათ...

— რა თქმა უნდა *(იცინის)*! პირველი ცოლი ლაზი მყავდა, მაგრამ გავშორდით ერთმანეთს. მისგან 26 წლის ბიჭი მყავს, უსუფი ჰქვია. გადაწყვეტილი აქვს, რომ აუცილებლად ქართველი ცოლი მოიყვანოს, რადგან თურქი გოგონები არ მოსწონს. მეორე ცოლი მეგრელი მყავს. ბათუმში გავიცანი და იქიდან წამოვიყვანე. მასთან 9 წლის გოგონა — ქუბრა მყავს, რომელმაც არაჩვეულებრივად იცის ქართული წერა-კითხვა.

— ახლა საქართველოში ხში-



აიათ
იმამიშვილი

რად ჩამოდიხართ?

— თქვენთან ჩამოსვლა ყოველთვის მიხარია. თუმცა, მაშინაც ძალიან ბედნიერი ვარ, როდესაც თურქეთში ჩემი თანამემამულეები ჩამოდიან და მათ ვხვდები. ახლაც, თქვენი აქ ყოფნის ამბავი რომ გავიგე, საქმე მივატოვე და აქ წამოვედი: რომ არ მენახეთ, არ შემეძლო. საქართველო ძალიან ლამაზია. ის თურქეთს სჯობია და მიყვარს.

— **ხომ არ აპირებთ, ოდესმე საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლას?**

— მაგაზე ვფიქრობ, მაგრამ ცოტა მეშინია. მინდა, რომ სამეგრელოში ზღვის პირას მიწა ვიყიდო და იქ დავსახლდე. მაგრამ ამისი ცოტა მეშინია, რადგან საქართველოში ჯერჯერობით კანონი არ არსებობს. თქვენი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე როცა იყო, ის და მისი ხალხი კარგად ცხოვრობდა. ფული სულ მათ ჯიბეში მიდიოდა, ლამაზი და გულიანი ქართველები კი, გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. საკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლა ძალიან გამიხარდა, რადგან მე მისი მჯერა. ვფიქრობ, რომ ის ძალიან ჭკვიანია და კანონებს შეცვლის. მერე კი, აუცილებლად დავსახლდები საქართველოში. თურქეთი მაინცდამაინც არ მიყვარს. ამათ სხვანაირი კულტურა აქვთ, ამიტომ არ მესმის მათი. მე ჩემი სისხლი — ქართველები მიყვარს...

— **მუსლიმანი ხართ?**

— დიახ, რა თქმა უნდა. თუმცა, მართლმადიდებლურ რელიგიასაც ძალიან კარგად ვიცნობ. „ბიბლიაც“ და ოთხივე „სახარებაც“ წაკითხული მაქვს. ქრისტიანების იცი, რა არ მომწონს?.. ღმერთი ხომ ერთია და რატომ გაქვთ ოთხი „სახარება“? „სახარებაც“ ერთი უნდა იყოს, რადგან „ყურანი“ ერთია... მე იესო ქრისტეს პატივს ვცემ და ვაღიარებ, მაგრამ მართლმადიდებლები მუჰამედს არ აღიარებენ. მაჩვენეთ, მეორე „ყურანი“ თუ არსებობს და მაშინვე ქრისტიანი გავხდები...

ჩვენი საუბრის მერე, აიათს ჩვენი გამომცემლობის რელიგიური ჟურნალი — „კარიბჭე“ და „შვიდგზის ლოცვები“ ვუსახსოვრე, რათა მართლმადიდებლობაში უკეთესად გარკვეულიყო. შემპირდა — ჩემი ცოლი ამას წამიკითხავს და მართლმადიდებლობას თუ რაიმეს გავუგებ, აუცილებლად ქრისტიანი გავხდები, საქართველოში როცა ჩამოვალ, თქვენს მღვდელსაც შემახვედრეო.

ღმერთი იყოს ყველა ემიგრანტის მფარველი!..

■



მარი ჯაფარიძე

ამჯერად ჩვენს რუბრიკაში უჩვეულო სიახლეს გთავაზობთ — ერთდროულად ორ „საპატარძლოს“ წარმოგიდგენთ. ნუ გაგიკვირდებათ — ისინი დები არიან და სწორედ ამიტომ, არც ერთის გული რომ არ დავწყვიტოთ, ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ. ჯგუფ „ემის“ წევრები ია და ეკა მანიშაშვილები აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანები არიან — თმის ფერით, გარეგნობით, ხასიათითა და კიდევ ბევრი სხვა თვისებით... სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ ისინი მრავალშვილიანი ოჯახიდან ყოფილან.

ჭეშა, ახლაჯანა და ჯოლი

შავგვრემანი, ჰუმანური და დამთმობი?..

ეკა:

— ჩვენი ოჯახი 6 წევრისგან შედგება. დედა ისტორიკოსია, მამა — იურისტი, შემდეგ მე მოვდივარ, მომდევნო — იაა, გვყავს კიდევ და — 20 წლის თეა და ძმა — 13 წლის გიორგი. მშობლები, პროფესიულ საქმიანობასთან ერთად, ოჯახურ ბიზნესსაც მისდევენ.

— ახლა დაახასიათეთ ჯერ საკუთარი თავი, შემდეგ — ერთმანეთი.

— დავიწყებ იმით, რომ ვარ არაპუნქტუალური ადამიანი. ამ რამდენიმე თვის წინ დავიწყე მუშაობა „თბილბიზნესბანკში“, კომპიუტერის ოპერატორად. ძალზე გამიჭირდა დილით ადრე ადგომა. მანამდე, ჩემი ცხოვრების რიტმი სხვანაირი იყო — კონცერტები, ღამის კლუბები... გამიჭირდა ახალ რეჟიმთან შეგუება. ცოტა ზარმაცი ვარ... ძალზე მშვიდი ხასიათი მაქვს. იოლად არ ვფეთქდები. ადამიანებთან ურთიერთობისას ვარ დიპლომატი. შემიძლია, საერთო ენა გამოვნახო ნებისმიერ ადამიანთან. ვარ ყურადღებიანი და სხვისი პრობლემები ყოველთვის გულთან ახლოს მიმაქვს.

ია:

— ყველა ახლობელი აღნიშნავს, რომ მაქვს საშინელი თვისება — ვაკრიტიკებ ყველას და ყველაფერს, თუნდაც, არავინ მეკითხებოდეს. ჩემი კრიტიკა უფრო ხშირად, საფუძვლიანია. მიყვარს ყველაფრის თქმა, რასაც ვფიქრობ, რადგან არ მიყვარს რაიმის გულში ჩახვევა. ყველა უარყოფით ემოციას ვამჟღავნებ. მთავარია, 5 წუთი გამიძლონ, მერე მე თვითონ ვწყნარდები... ამ თვისებას ძალზე ძნელად ეგუებიან ახლობლები, რადგან ყოველთვის პირდაპირ ვეუბნები ადამიანს, რა აქვს კარგი და რა — ცუდი. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ადამიანების მიმართ ცუდად ვარ განწყობილი. ამ თვისების გამო მყავს ძალზე ცოტა მეგობარი. ისინი, ვინც ჩემი კრიტიკის ქარცეცხლის შემდეგ, ჩემ გვერდით რჩებიან, ჭეშმარიტი მეგობრები არიან.

— რადგან კრიტიკა ასე კარგად გეხერხება, მოდი, ეკაზე გვითხარი რამე...

— არ მომწონს ეკას დამოკიდებულება მამაკაცებისადმი. 5-6 წლის ასაკიდან დაიწყო გაპრანჭვა, უყვარს ბიჭების წვალება და სულ ვეუბნები — ნუ აწვალებ, თორემ, ეს ამბავი ცუდად დაგიბრუნდება-მეთქი... ეს უკვე ჩვევაში გადაუვიდა. ბიჭებთან თამაში კარგს არაფერი მოუტანს... ისე, ეკა გაცილებით ჰუმანურია, ვიდრე მე. არადა, მე უფრო მორწმუნე ვარ და ეს თვისება მე უფრო უნდა მქონდეს. მას იოლად შეუძლია ადამიანის პატიება და ყველასთან საერთო ენის გამონახვა.

— ეკა, იას კრიტიკას როგორ ეგუები?

— მე იაზე ერთი წლით უფროსი ვარ. ამიტომ მშობლებმა ერთი წლით გვიან შემიყვანეს სკოლაში და ერთ კლასში ვიყავით. საბავშვო ბაღშიც ერთად დავდიოდით, უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზეც ერთ ჯგუფში ვსწავლობდით და 25 წელია, ერთად ვართ. ამიტომ, უკვე მივეჩვიე. ხშირად ვკამათობთ, მაგრამ არასოდეს ვჩხუბობთ. მისი კრიტიკა არ მწყინს. ია ძალზე ემოციური და ფეთქებადი ხასიათის ადამიანია. ჩვენ პირველ რიგში, მეგობრები ვართ და შემდეგ — დები.

— რომელს უფრო გეხერხებათ ბუზღუნი?

— ბუზღუნა არ ვარ, მაგრამ ძალზე ცვალებადი ხასიათი მაქვს. შესაძლოა, დღეში რამდენჯერმე შემეცვალოს განწყობა.

ია:

— ბუზღუნი მეც არ მიყვარს. სამაგიეროდ, ხმამაღლა ლაპარაკი მჩვევია. არ მიყვარს საქმის გადადება. ეკა უფრო სხვანაირია. რაიმე იდეა რომ მომივა და ეკას შევთავაზებ, დაიწყებს წუწუნს — ხვალ გავაკეთოთ, ზეგ გავაკეთოთო... მე კი საქმის გადადება არ მიყვარს. ამის გამო ყოველთვის მიწევს მისი დარწმუნება იმაში, რომ ახლავე თუ არ გავაკეთეთ საქმე, მერე გვიან იქნება. ეკას აზრზე მოყვანა და რიტმში ჩასმა ცოტა ძნელია. ამიტომ მის გვერდით ყოველთვის უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც „უჯიკებს“ და ბიძგს მისცემს.

— უფრო დამჯერი რომელი ხართ?

— მე არ მიყვარს კომპრომისზე წასვლა და დათმობა. ჩემს პრინციპებს არასოდეს ვღალატობ. ეკას შეუძლია, ბევრ დათმობაზე წავიდეს და სულ ვეუბნები — არასოდეს დათმო, თორემ მერე იძულებული იქნები, ყოველთვის სხვას დაუჯერო, შენსას ვერასოდეს გაიტან-მეთქი.

ეკა:

— მე დამთმობი ხასიათის გამო, უფრო მეტ პრობლემას ვაწყდები, ვიდრე ია, თავისი პრინციპულობის წყალობით...

— იას, მავნე ჩვევებიც ბლომად ექნება...

— მავნე ჩვევა ჰქონდა ბავშვობაში: მამწარებდა იმით, რომ ჩემს რვეულებსა და წიგნებს უდიერად ეპყრობოდა. სწავლაზე უზომოდ ვიყავი შეყვარებული, ამიტომ სახელმძღვანელოებს თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი...

ია:

— ჩვენთვის სათამაშოები მეათეხარისხოვანი იყო. პირველ პლანზე სწავლა იდგა. განსაკუთრებით ეკასთვის. ხშირად, ეკა საშინაო დავალებას რომ დაწერდა, მე იმ ფურცელს ამოვუხევდი, ის კი მშვიდად მეტყოდა: არა უშავს, ხელახლა დავწერო!.. — დავჯდებოდა და წერდა. იმდენად ენთუზიასტი იყო, დავალებას რომ შეასრულებდა, დამატებით სავარჯიშოებსაც აკეთებდა და მგონი, მადლობელიც იყო, საქმეს რომ გამოვუჩენდი ხოლმე...

— რომელი უფრო კარგი მოსწავლე იყავით?

— ეკა ერთი წლით გვიან შეიყვანეს სკოლაში და მის წარმატებებს ამას ვაბრალებდი, ვეუბნებოდი: შენ რომ ჩემს კლასში არ ყოფილიყავი, უფრო კარგად ვისწავლიდი-მეთქი. ყოველთვის მჯობნიდა; ხუთიანს რომ მიიღებდა, ვეუბნებოდი: დიდი რომ ხარ, იმიტომ, აბა, მე დამსვი პატარებთან და ნახავ, თუ ხუთოსანი არ ვიქნები-მეთქი. ასე მჩაგრავდა ყოველთვის...

— ტირილი რომელს უფრო გეხერხებათ?

— ორივეს გვეხერხება. თუ დავინახავ, რომ ეკა ტირის, მაშინვე მეც ავბღავლდები, თუნდაც, მისი ტირილის მიზეზი ჩემთვის უცნობი იყოს. ბავშვობიდან ასე ვარ...

— ახლა მითხარით, როგორი მამაკაცები მოგწონთ?

— გარეგნობას არსებით მნიშვნელობას ვანიჭებ — ე.ი. მთავარია, გული და მთავარია სული-მეთქი, — ამას ვერ ვიტყვი. მამაკაცმა უნდა მიგიზიდოს, უნდა იყოს წყნარი და მშვიდი, რადგან მე იმდენად ბევრს ვლაპარაკობ და ისეთი ემოციური ვარ, მეორე ჩემნაირი, თანაც მამაკაცი, იქნება „კოშმარი". მოკლედ, სიტყვაძუნწი მამაკაცები უფრო მომწონს. არ მომწონს თოჯინასავით ლამაზი კაცები. პრინციპში, ასეთები საქართველოში არც არიან. ჩვენთან, მაუგლის ტიპის, შავი კაცები სჭარბობენ. მაუგლის ტიპის მამაკაცი რომ არ ამცდება, ნამდვილად ვიცი. არც მელოტ კაცზე მაქვს გართულება. თუმცა, თმაქოჩორა ქმარი რომ შემხვდეს, ჩემს ხელში მაინც დაეწყება თმის ცვენა ან საკუთარი ხელით დაიგლეჯს, რადგან ძალზე ბევრ მოულოდნელ სიურპრიზს მოვუწყობ... მე ვარ ქალი-„შოკი". ყოველდღიურად ათასი სისულელე მომდის თავში. ჯერ ვერც ერთის რეალიზება ვერ მოვახერხე და ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი ასეთი აზრი დამიგროვდებოდა?..

ეკა:

— ჩემი ინტერესი შესაძლოა, გამოიწვიოს შავგვრემანმა მამაკაცმა. ის უნდა იყოს კარგ ოჯახში აღზრდილი და ინტელექტუალური, აუცილებლად — აქტიური, რადგან პასიურ მამაკაცებთან ურთიერთობა არ მიყვარს. ასევე არ მიყვარს ხუმარა და ლაზღანდარა მამაკაცები, რომლებიც საზოგადოებაში ყურადღების მიქცევას ანეკდოტების მოყოლით ცდილობენ... მოკლედ, ზედმეტად სერიოზული მამაკაცები მომწონს.

— თუ მოხდარა ისე, რომ ორივეს ერთი მამაკაცი მოგწონებიათ?

ია:

— კი, როგორ არა?!. სადმე ისეთ ადგილზე რომ ვყოფილვართ, სადაც ბევრი უცხო მამაკაცია და საზოგადოებას თვალს გადავავლებთ, მაშინვე ვხვდებით, რომელი შეიძლება მოეწონოს მეორეს. რამდენჯერმე მოხდა ისე, რომ ერთმანეთისთვის შეგვიხედავს და მივმხვდარვართ, რომ ორივეს ერთი კაცი მოგვეწონა...

ეკა:

— ასეთ შემთხვევაში, იქვე ვიწყებთ მის გაკრიტიკებას, რომ გული აგვიცრუვდეს...

ია:

— აუ, რას ჰგავს, რა მოგვეწონა ამისი?.. ცხვირი არ უვარგა, კბილები არ უვარგა და ასე... მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, თუ ის რომელზე შეაჩერებს არჩევანს.

— ია, როგორ მამაკაცს ისურვებდი სიძედ?

— იცით, მე ისეთი ადამიანი ვარ, ნებისმიერ მამაკაცს მოვიყვან ჩემს ჭკუაზე და ჩემი გავლენის ქვეშ მოვაქცევ, ნებისმიერი სიტუაციიდან მოვძებნი გამოსავალს, თავს გავიხალისებ და გავირთობ. ეკა სხვანაირია — სევდიანი, დამთმობი, ბრძოლის უნარი ნაკლებად აქვს. აქედან გამომდინარე, მინდა, ისეთი ქმარი შეხვდეს, რომელსაც ძალიან ეყვარება და მისი გულისთვის ყველაფერს გააკეთებს.

არ მიყვარს ხუმარა და ლაზღანდარა მამაკაცები

თმაქოჩორა ქმარი რომ შემხვდეს, ჩემს ხელში მაინც დაეწყება თმის ცვენა

ეგ ჩემი ოინი იყო. მის თაყვანისმცემლებს ფოტოებს ტკბილეულში ვუცვლიდი

ეკა:

— იას ქმარი კი, ძალზე დამთმობი უნდა იყოს და ცოლი ძალიან უნდა უყვარდეს, რადგან თუ არ ეყვარება, ძალზე გაუჭირდება მასთან ურთიერთობა. ის აუცილებლად უნდა იყოს მშვიდი და გაწონასწორებული.

— ახლა ის დროა, მზითვი ჩამოთვალოთ...

ია:

— მატერიალური მდგომარეობა, ნივთები და ფული, მზითვი არ არის. თუ გვერდით ნორმალური ადამიანი გყავს, ჩათვალე, რომ ყველაფერს შეიძენ.

ეკა:

— ყველა მშობელს აქვს სურვილი, შვილს გაუკეთოს მაქსიმუმი. მაგრამ მთავარია, კარგი რეპუტაცია და წესიერება. ამას მშობელი შვილს ვერ უყიდის და მზითვად ვერ გაატანს. ყველაზე დიდი მზითვი, ქალის პატიოსნება და სახელია.

ია:

— შესაძლოა, ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ჩვენ ხელმოკლედ ვცხოვრობთ, ძალიან გვიჭირს და მზითვად მხოლოდ საკუთარი სული და გული გვაქვს, მაგრამ ასე არ არის. უბრალოდ, მიგვაჩნია, რომ ეს მეორეხარისხოვანია... ჰო, მართლა, მზითვად წავიღებ მხოლოდ საწოლს, რადგან სხვის საწოლში დაწოლა უხერხულია, თანაც ჩემი გემოვნებით შევარჩევ. ლეიბი, ბალიში, საბანი და მუთაქები — ეს არის საწოლის სრული კომპლექტი. მთავარი კი ის გახლავთ, თვითონ რას დამახვედრებს. კი, ბატონო, საწოლი ჩემზე იყოს, რადგან „სეტკიანი კრაოტი" და „ლეჟანკა" არ მინდა, მოკიდებთ ოთხივე დედმამიშვილი ხელს, გავიდებთ მხარზე და მივიტანთ. მაგრამ იქ რა დამხვდება?..

ეკა:

— სხვათა შორის, ბევრმა ჩემმა ნაც-

ნობმა ბიჭმა ცოლი იმიტომ მოიყვანა, რომ კარგი მზითვი ჰქონდა. ჩვენ არ გვინდა, რომ ასეთი საპატარძლოების სიაში მოვხვდეთ...

— საოჯახო საქმე თუ გეხერხებათ?

ია:

— ბავშვობიდან, ოჯახში საქმე განაწილებული გვქონდა. ჩვენი უმცროსი და-ძმა ჩვენ გავზარდეთ, რადგან დედა მუშაობდა და სულ დაკავებული იყო. გიორგი ისე გაიზარდა, დედას მისი არაფერი გაურეცხავს. ამიტომ ჩემი მოვალეობა იყო სახლის დალაგება, რეცხვა, ხეხვა, ეკას კი სამზარეულო ჰქონდა ჩაბარებული. ასე რომ, საოჯახო საქმე კარგად გამოგვდის და დიდი სიამოვნებითაც ვაკეთებთ. ეკას ვეუბნები ხოლმე: რომ გავთხოვდებით, მე მოვალ, სახლს დაგილაგებ, შენ კი მოდი და კერძები მომიმზადე-მეთქი.

— თქვენი ქორწილი თუ გაქვთ წარმოდგენილი?

ეკა:

— ყოველთვის მინდოდა, რომ ქორწილში შავი კაბით ვყოფილიყავი. ამას წინათ, საუცხოო შავი კაბა ვნახე და ვთქვი: ასეთ კაბას შევიკერავ, პატარძალი რომ ვიქნები-მეთქი.

ია:

— ბავშვობიდან შავ საპატარძლო კაბაზე ოცნებობს, ამოჩემებული აქვს... მე კი, ვარდისფერი კაბა მინდა, მეუღლეც ვარდისფერ კოსტიუმში უნდა იყოს გამოწყობილი, ვარდისფერი ყვავილები... ბუშტები, ვარდისფერი რესტორანი და ვარდისფერი კაბრიოლეტი. ბავშვობიდან ვგიჟდები ვარდისფერზე და ყველაფერი კარგი ჩემთვის ამ ფერთან ასოცირდება.

— პატარაობისას ერთმანეთს ოინებს თუ უწყობდით ხოლმე?

ეკა:

— ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ ალბომში აღარ იყო არც ერთი ჩემი ფოტო, რომელზეც მარტო ვარ გადაღებული...

ია:

— ეგ ჩემი ოინი იყო. მის თაყვანისმცემლებს ფოტოებს ტკბილეულში ვუცვლიდი ხოლმე. ეს ამბავი მაშინ გამჟღავნდა, როცა ეკამ ჩვენი მეზობელი, თავისი თაყვანისმცემელი ბიჭი გაამწარა. ის მე მომვარდა და მეჩხუბა: ჩქარა დამიბრუნე ჩემი „ჟუვაჩკები“, კანფეტები და „მამალოებიო“!.. საოცარი ის იყო, რომ ის ბიჭი მაშინ მეთერთმეტეკლასელი იყო და ერთი კვირა ტიროდა, ჩემი „ნაყინები“ დამიბრუნეო... კიდევ იცით, რას მთხოვდა? — ერთი ცელოფანის პარკი, თმის სამაგრები, „ნევედიმკები“ და ზიზილ-პიპილები მომცა და ამასაც უკან ითხოვდა. მოკლედ, ეკას სურათებით მაგარი ბიზნესი მქონდა აწყობილი...

— ეკა, შენს თაყვანისმცემლებს კრიტიკის ქარცეცხლში არ ატარებს ხოლმე შენი უმცროსი დაიკო?

— კი, ყოველთვის აღმოუჩენს ისეთ თვისებას, რომ უნდა აკრიტიკოს. როდესაც პაემანზე ჩემთან ერთად მოდის, სულ ვაფრთხილებ: თუ შეიძლება, თავი შეიკავე კომენტარისგან, პირში არ მიახალო, რასაც ფიქრობ, შინ რომ დავბრუნდებით, მერე მე მითხარი-მეთქი...

ია:

— ჰოდა, ახლა ახალი მეთოდი შეიმუშავა: ამას წინათ, მისი თაყვანისმცემლის გასაცნობად წამიყვანა და წინასწარ ისე ცუდად დაახასიათა, რომ ვიფიქრე, ურჩხულთან მომიწევს შეხვედრა-მეთქი. იქიდან რომ წამოვედით, თავგადაკლული ვუმტკიცებდი — კარგი ბიჭია, დასაწუნი არაფერი აქვს, რას ერჩი-მეთქი?.. აი, ასეთი ახალი ხერხი შეიმუშავა, რომ აღარ გავაკრიტიკო მისი თაყვანისმცემლები...

ეკა:

— მიმხვდარა ჩემს ეშმაკობას, მაგრამ ახლა პირველად გაამხილა. ისე, კიდევ ერთ რამეს დავამატებ: ვინაიდან სულ ერთად ვართ და ყველა ახლობელმა იცის, რომ უერთმანეთოდ ნაბიჯს არ ვდგამთ, თუ იას მარტო უწევდა შინ ყოფნა, მე უკვე „გაყიდული“ ვიყავი: მშობლები იმ წუთშივე კითხულობდნენ: ეკა პაემანზეა? ვის ხვდებაო?..

ია:

— სწორედ იგივე აზრი უჩნდებოდათ ხოლმე მეგობრებსაც...

აი, ასეთი „საპატარძლოები“ გვყავს ამჯერად. კარგად აწონ-დაწონეთ, — ქერა, ახტაჯანა, ჯიუტი და საოჯახო საქმის მცოდნე ცოლი გინდათ თუ შავგვრემანი, ჰუმანური, დამთმობი და კარგი კულინარი... გააკეთეთ არჩევანი და შემდეგ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61.

ჩვენმა წინა „სასიძომ“ ძალზე დიდი მოწონება დაიმსახურა... ამის დასტური კი ის უამრავი მესიჯია, რომელიც მის სახელზე მოვიდა... ჩვენ ისლა დაგვრჩენია, გამოხმაურებებს გავეცნოთ, გიორგი კალანდიამ კი ამდენ პუტკუნა გოგონებს შორის არჩევანი გააკეთოს და ქორწილში დაგვპატიჟოს.

„ეჯერ არ მეპარება, რომ შენი ბედი ვარ“

მარი ჯაფარიძე

„გიორგი, უნდა დამირეკო! შეგიძლია დაპირებების ბლოკნოტში შემიტანო“.

„ძალიან მომწონხარ. მე შენს გემოვნებაში ზუსტად ვჯდები. ხომ ამბობ, პუტკუნები მომწონსო? მაგარი „სასიძო-ჩელოვეკი“ ხარ. ნანა, 20 წლის.“

„არც მაღალი, არც დაბალი, არც მსუქანი, არც გამხდარი, ლამაზი და მშვენიერი, საქმიანი და ერთგული. შენ რომ მოგწონს, სწორედ ისეთი გოგო ვარ. დამირეკე, გელი“.

„გიო, სიამოვნებით გაგიცნობდი. შენმა ერთმა ფრაზამ გამაკვირვა: რას ნიშნავს, ორი კაბა? შენი თაყვანისმცემელი, მაიკო“.

„ალბათ გულმა გიკარნახა, რომ ქუთაისში ცხოვრობს ერთი პატარა შავგვრემანი, პუტკუნა და ორკაბიანი გოგონა. აბა, შენ იცი, ველი შენს ზარს და ელვის სისწრაფით შენთან გავჩნდები“.

„მე ვფიქრობ შენზე, შენ კი სხვაზე, ვიღაც – ჩემზე, სხვა კი სხვაზე, გადავცვალოთ გული გულზე, სხვამ იფიქროს ვიღაც სხვაზე, მე კი შენზე, შენ კი ჩემზე... რა იქნება, მოხდეს ასე? ნუკი, 21 წლის“.

„გიო, ძალზე მომეწონე. ვარ ქერა, ცისფერთვალება, ცოტა პუტკუნა. მესიჯით გამომეხმაურე. თუ არ დამიმესიჯებ, გისურვებ ბედნიერებას. ნანა, ბათუმი“.

„სიამოვნებით ვიმეგობრებდი გიოსთან. რაღაც, საყვარელი ღიმილი აქვს. თანაც, გულახდილ ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან მიყვარს“.

„გიო, ძალიან მომწონხარ. მინდა, ახლოს გაგიცნო. ვიცი, მოგეწონები. ვარ დედით რუსი, მამით ქართველი, გაუთხოვარი, 26 წლის, ზუსტად ისეთი, შენ რომ ოცნებობ. ეჭვიც არ მეპარება, რომ შენი ბედი ვარ. შეხვედრამდე. ქუთაისი. ქრისტინა“.

„გიო, მომეწონე. ისე, მეც ჯუჯღუნას მეძახიან. მეც მომავალი ჟურნალისტი ვარ. რეკომენდაციას ხომ ვერ გამიწევდი?“

„გიო ძალიან მომწონს და თითქმის შეყვარებული ვარ მასზე. ვარ შავგვრემანი, საშუალო აღნაგობის. თუ მოისურვებ, გავსუქდები. შორენა, 23 წლის“.

„გიუნა, სიხარულო, ძალიან უშუალო, დადებითი პიროვნება ჩანხარ. ნამდვილად იმსახურებ ჩემს სიმპათიას. მართალია, მანქანა არ მყავს და არც ის ვიცი, მოგეწონები თუ არა, მაგრამ თუ შემეხმიანები, საცოლე თუ არა, ერთი თაყვანისმცემელი კიდევ გეყოლება. თიკო“.

„ძალიან მომწონს თქვენი „სასიძო“, მაგრამ მისთვის ძალიან პატარა ვარ, რაზეც გული მწყდება. ლიკა, 14 წლის“.

„იცით, რა? პუტკუნა ვარ და ზუსტად ორი კაბა მაქვს (უკომენტაროდ). ნინო“.

„ვაიმე, გიორგი, მაგარი ხარ! არც ერთი სასიძოს ინტერვიუზე არ მიცინია ამდენი. სამწუხაროდ, არც პუტკუნა ვარ და არც მანქანების სფეროში მაქვს განათლება. ეკა“.

„პირველად ვნახე ეს ადამიანი, მაგრამ დანახვისთანავე გულზე მომხვდა. ვფიქრობ, წინა ცხოვრებაში ვიცნობდი. პატივისცემთ, კესარია“.

„გიო, გთავაზობ გარიგებას: შენ საინტერესო გადაცემების მომზადება მასწავლე, კაუჩუკის „პაკრიშკები“ ჩემზე იყოს. შავგვრემანი, პუტკუნა გოგო“.

„ვარ 25 წლის ქალიშვილი. აქაური გოგონები შენზე ვაბოდებთ. შენი ფოტო ვნახე, ლამაზი და კარგი ხარ, კაცური აღნაგობა გაქვს. ბათუმი.“

„მაშინ ცუდად მოგექეცი, ბოდიში, გიო! მინდა იცოდე, რომ რაც იმ ერთ კვირაში მოხდა, დაუვიწყარი იყო, მაგრამ ჩვენი ერთად ყოფნა არ გამოდიოდა!“

„გიო, ზუსტად ისეთი ვარ, როგორსაც ეძებ. შავგვრემანი, პუტკუნა... მართალია, მანქანა არ მყავს, მაგრამ უზარმაზარ სიყვარულსა და სუფთა გულს ნამდვილად არ დავიშურებ. ჯუჯღუნს მოევლება, მაგრამ ცრუდაპირებები ხეირს ნამდვილად არ დაგაყრის. ამიტომ მაგ ნაკლის დაძლევაში მე დაგეხმარები. დამიჯერეთ, მისტერ... პუტკუნა ნინიკო მ.“

„შავგვრემანი ვარ და პუტკუნა. მეც მყავს კიკი, ოღონდ ფისო. ტანისამოსის რაოდენობის შემცირებაც შეიძლება – მაკრატელი და მისი ჯანი. სხვათა შორის, ფეხებიც ლამაზი მაქვს. თიკო“.

„გიო, პუტკუნაც ვარ, შავგვრემანიც და შენი კოლეგაც. ეგ კი არა, ასაკითაც თითქმის ტოლები ვართ. შესაფერისი წყვილი ვიქნებით. ნამდვილად! თანაც, რუსულიც ძალიან მიყვარს და... ნათია“.

„ვარსკვლავი ბევრია, მთვარე კი ერთი, სიცრუე ბევრია, სიმართლე – ერთი, ამ ქვეყანაზე ხარ ერთადერთი. ჩემო სიცოცხლეე, გფარავდეს ღმერთი!“

„სასიძო“ ძალიან მომეწონა, ცოტა პუტკუნაც ვარ და ცხენებზეც ვგიჟდები, თუმცა მესიჯს იმიტომ ვგზავნი, რომ გიორგის ვუთხრა, როგორი კარგი ადამიანი ყოფილა“.

„ქუთაისელი ვარ. ძალიან მომეწონა გიორგი კალანდიას წიგნი ოდიშზე, რომელიც ქალაქში მხოლოდ ერთ ადამიანს აქვს. იქნებ მაჩუქოს? წინასწარ დიდი მადლობა. პუტკუნა“.

„იცი? სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ, მოპარული სიყვარულით. შენ ჩემი არასოდეს იქნები, მე კი შენი. ვიცი, ვიცი, მაგრამ... მაინც მიყვარხარ“.

„გიო, ძალზე საყვარელი ხარ. დაცემა! მაგარი ღიმილი გაქვს. შესაძლოა, არც წაიკითხო ჩემი მესიჯი, მაგრამ იცოდე, მომწონხარ... ლელა, 31 წლის“.

„გიო, პირველი „სასიძო“ ხარ, რომელსაც მესიჯს ვუგზავნი. ცისფერთვალება და პუტკუნა ვარ. არაბული ენაც ვიცი. კოცნა რომ წვიმა იყოს, თავსხმა წვიმას გაჩუქებდი. მაიკო“.

„აუ, იუმორიც მაგარი გქონია. მანქანის რომ არაფერი გამეგება, რა ვქნათ? არა უშავს, ერთად მოვახერხებთ რამეს. სიცოცხლე ხარ. მართლა კარგი ხარ. გეფერები. ლელა“.

„ზესტაფონის რაიონში. სოფელ სვირში ვცხოვრობ. მაქვს მხოლოდ ერთი კაბა... ჩემი შანსი იზრდება? მაყვალა“.

■

გაუპატიურების მსხვერპლი არასრულწლოვანი გოგონაა

დასჯიან თუ არა დამნაშავეს?

საბრალდებო დასკვნა, რომელიც 20 წლის ლევან გ-ს (ყველა სახელი შეცვლილია) სისხლის სამართლის საქმეზე დაიწერა, უმძიმესი დანაშაულის შესახებ იუწყებოდა. ბრალდება სამი სხვადასხვა მუხლისგან შედგებოდა: არასრულწლოვნების გატაცება და მათთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირზე ძალადობა, მუქარა, მასთან სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით და არასრულწლოვნის გაუპატიურება.

დაზარალებული გოგონას მშობლები დამნაშავის უმკაცრესად დასჯას მოითხოვდნენ. პროკურატურა ირწმუნებოდა, რომ ბრალდებულისთვის დანაშაულის დასადასტურებლად მრავალი მტკიცებულება არსებობდა. ბოლოს, თბილისის საოლქო სასამართლოში დაძაბული პროცესი გაიმართა და ის ბევრისთვის მოულოდნელი განაჩენით დასრულდა...

როგორც სასამართლო კოლეგია იუწყება, ლევან გ-მ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაული არა ანგარებით ან რომელიმე ბანდიტური დაჯგუფების ზეგავლენით, არამედ ცოლის შერთვის მიზნით ჩაიდინა. თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად ისეთი სისასტიკე გამოიჩინა, რომ დღეს მას პოტენციურ კრიმინალთა რიგს უყოყმანოდ მიაკუთვნებენ.

განაჩენის მიხედვით, ლევან გ-მ აპრილის შუა რიცხვებში თბილისში, დიდუბის ავტოსადგურში საგანგებოდ გაიცნო ერთ-ერთი მიკროავტობუსის მძღოლი. ჩანაფიქრის შესახებ მას, რა თქმა უნდა, არაფერი უთხრა. მხოლოდ იმაზე შეუთანხმდა, რომ გარკვეული საზღაურის ფასად ერთ-ორ კვირაში ახლობლებთან ერთად ჭიათურაში უნდა წაეყვანა. „ფორდის“ მძღოლი ზუსტად დათქმულ დროსა და ადგილზე გამოცხადდა. ლევანმა იგი ჯერ თბილისის ერთ-ერთ უბანში წაიყვანა და ვიწრო ქუჩაზე შეახვევინა. იქ მას მეგობარი ბიჭები ელოდნენ. რამდენიმე წუთით შეყოვნდნენ და მალე ქუჩაში ძმებთან ერთად ის გოგონაც გამოჩნდა, რომლისთვისაც ლევანს დიდი ხანი იყო, თვალი დაედგა. ბიჭებმა ჩქარი ნაბიჯით პირდაპირ მათკენ გასწიეს. გაცილებით მეტნი იყვნენ და ამიტომაც არასრულწლოვან და-ძმებთან მუქარამ და ძალადობამ იოლად გაჭრა. სამივენი მიკროავტობუსში ჩასვეს და მძღოლს გორისკენ ააღებინეს გეზი.

მოგვიანებით ლევანმა იფიქრა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ნინოს ძმებს თავიდან მოიშორებდა. ამიტომაც ისინი სხვა მიკროავტობუსში გადასვა და ისევ თბილისისკენ გააბრუნა. რაც შეეხება გოგონას, მას მეგობრებისა და მძღოლის წინაშე, უკვე როგორც ცოლს, ისე წარადგენდა.

მიუხედავად ნინოს აქტიური წინააღმდეგობისა, ის ლევანის გორელი მეგობრის ბინაში ძალით შეიყვანეს. გოგონა ყვიროდა, ტიროდა, მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა, პირიქით — ბიჭებმა ქეიფიც გააჩაღეს და მხოლოდ გვიან ღამით დაიშალნენ. როცა ლევანი ნინოსთან მარტო დარჩა, გადაწყვიტა, მომენტი ხელიდან არ გაეშვა და მასთან სქესობრივი კავშირი დაემყარებინა. ატირებული ნინო ემუდარებოდა, თავი დაენებებინა მისთვის, მაგრამ ლევანი განზრახვაზე ხელის აღებას არ აპირებდა. უმწეო გოგონა საწოლამდე თრევა-თრევით მიიყვანა და ტანსაცმლის გახდა დაუწყო. როცა ნინო მიხვდა, რომ გამხეცებულ ლევანს თხოვნითა და მუდარით ვეღარ შეაჩერებდა, იქვე დადებულ ფაიფურის ჭიქას დაავლო ხელი და მთელი ძალით შუბლში ჩაარტყა. ლევანს შუბლიდან სისხლი წასკდა, თავი საშინლად ასტკივდა და მიღებული დაზიანების გამო განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო.

გატაცებული გოგონას გათავისუფლებას ან მშობლებთან მის დაბრუნებას ის არ აპირებდა. მეორე დღეს, მეგობრების დახმარებით ლევანმა ნინო სხვა ბინაში გადაიყვანა, მაგრამ როცა შეიტყო, რომ თავზარდაცემული მშობლები გოგონას გამალებით დაეძებდნენ, ნინო მატარებელში ჩასვა და ზღვისპირეთისკენ წაიყვანა. მას შემდეგ, მთელი კვირის განმავლობაში, ნინო მას ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში დაჰყავდა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ამ ხნის მანძილზე ლევანს მასთან მარტო დარჩენის შანსი თითქმის არ მისცემია. მაგრამ როგორც კი ასეთი შემთხვევა ჩაუვარდა ხელში, არ დაუყოვნებია, კვლავ განიზრახა არასრულწლოვან გოგონასთან სქესობრივი კავშირის დამყარება. ამჯერად, დღეების მანძილზე ნაშიმშილარმა და დაქანცულმა ნინომ მას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია...

დაზარალებული გოგონა მშობლებმა, როგორც იქნა, დაიბრუნეს, ლევანს კი პოლიციაში უჩივლეს. მასთან ერთად სამართალდამცავებმა მისი მეგობარი — დათო კ. დააკავეს, როგორც გატაცების აქტიური თანამონაწილე. დათოს, ლევანისგან განსხვავებით, აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობა, უფრო მსუბუქი ფორმით — ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილითა და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნით შეუცვალეს. თუმცა, დათო პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე მიიმალა. სამართალდამცავებმა მასზე ძებნა გამოაცხადეს. ლევანი კი სამსჯავროს წინაშე წარდგა.

აღსანიშნავია, რომ მან წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო. მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის თქმით, ლევანი უდანაშაულოა, მას ძალადობა არ ჩაუდენია და პროკურატურის მასალებში წარმოდგენილი ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. ადვოკატმა ლევანის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოითხოვა.

საოლქო სასამართლომ კი, არც ერთი მხარის პოზიცია არ გაიზიარა. თუმცა, გამოტანილი განაჩენით მოსამართლეებმა, განსასჯელის ინტერესები უფრო გაითვალისწინეს, ვიდრე პროკურატურისა და დაზარალებულის. ლევანი დამნაშავედ ცნეს, მაგრამ კანონით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმზე მსუბუქი სასჯელი განუსაზღვრეს — ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

მოგვიანებით, აღნიშნული განაჩენი საკასაციო პალატამ გააუქმა, საოლქო სასამართლოს მუშაობა კი ასე შეაფასა:

„სასამართლომ საქმე არასრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით განიხილა, გარემოებებს არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა. მსჯავრდებულის მიმართ განსაზღვრული სასჯელი, თავისი სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა... გამოძიების დროს დაკითხული 23 მოწმიდან სასამართლომ მხოლოდ 7 დაჰკითხა და შვიდივე მათგანი განსასჯელის ახლობელი ან გულშემატკივარი გახლავთ. სასამართლოს არ დაუკითხავს მიკროავტობუსის მძღოლი და მრავალი სხვა მოწმე, რომელთა ჩვენებებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა“.

პალატის განჩინების თანახმად, აღნიშნული საქმე სულ მალე ისევ სასამართლო განხილვის საგანი გახდება. ■

უდანაშაულო პატიმარი, სადისტი მკვლელი და ოთახში ჩაკეტილი გვამები

საძმე რუსეთის სასამართლო არქივიდან

შუახნის მოსკოველი მამაკაცის, ბენიამინ შიტოვის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე წლების მანძილზე არა მარტო საზოგადოებისთვის, არამედ თვით სამართალდამცავებისთვის რჩებოდა ბუნდოვანი და იდუმალებით მოცული. პროკურატურა მას ახალგაზრდა მამაკაცის – თანაქალაქელის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში სდებდა ბრალს. შიტოვი თავს დამნაშავედ არ ცნობდა. პროცესზე მას გამოძიებისთვის მიცემული მისივე აღიარებითი ჩვენებები წაუკითხეს. განსასჯელის თქმით, გამომძიებელმა კარგად იცოდა, რომ ის უსათვალოდ ვერაფერს ხედავდა და მაინც, დაკითხვის ოქმებზე სწორედ ასეთ მდგომარეობაში აწერინებდა ხელს.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ შიტოვის პროცესზე ნათქვამი სიტყვები არ გაიზიარა. ის დამნაშავედ ცნეს და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. აშკარა იყო, რომ საქმის დეტალების გარკვევით თავს არავინ იწუხებდა. საქმისადმი სასამართლოს ზერელე დამოკიდებულებაც ცხადად ჩანდა. უამრავი კითხვა დარჩა უპასუხოდ და არავინ დაინტერესებულა შემთხვევის ადგილზე მკვლელის მიერ დატოვებული სისხლიანი პიჯაკის ზომით. ის შიტოვს შესამჩნევად გრძელი და მხრებშიც სრული ექნებოდა.

გასამართლების შემდეგ, მსჯავრდებულმა ორმოცამდე საჩივარი გაგზავნა სხვადასხვა ინსტანციაში. თითოეულ მათგანზე ერთსა და იმავე პასუხს იღებდა: *„თქვენი საჩივარი განხილულია. საქმის გადასინჯვის საფუძველი არ არსებობს...“* ამასობაში ექვსი წელიწადიც მიიწურა. უკვე ფარხმალდაყრილ და ბედს შეგუებულ შიტოვს საკანში, მისთვის სრულიად მოულოდნელად, ბეჭედდასმული წერილი გადასცეს. მას სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ აუწყებდნენ. წერილში ისიც ეწერა, რომ მოსკოველი ნიკოლოზ ბურლაკოვის მკვლელობა წარსულში ნასამართლევმა და სხვა მძიმე დანაშაულებში ბრალდებულმა, ვინმე ვლადიმირ განინმა აღიარა. ჩადენილი მკვლელობა მას თურმე გამოძიებითაც დაუდასტურდა, შიტოვთან კი სამართალდამცავებს ბოდიშის მოხდის გარდა, სხვა არანაირი საქმე აღარ დარჩენოდათ.

უდანაშაულო შიტოვი ციხიდან გასვლას მაინც ვერ ეღირსა.

წლების მანძილზე გამამართლებელი განაჩენის ამაო მოლოდინითა და ნერვიულობით დასნეულებულის გულმა ამ უეცარი სიხარულით მოგვრილ ემოციას ვერ გაუძლო და ის ინფარქტით იქვე, საკანში გარდაიცვალა...

1959 წელს დაბადებული ვლადიმირ განინი მოსკოვის ერთ-ერთ მიყრუებულ უბანში ცოლთან ერთად ცხოვრობდა. წარსულში საკუთარი დის გაუპატიურებისთვის ნასამართლევ განინს შვიდი წელი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში უკვე მოხდილი ჰქონდა, თუმცა ამის შესახებ მისმა მეუღლემ არაფერი იცოდა. ქორწინებიდან რამდენიმე თვეში, განინმა ძველი „საქმიანობა“ – ლოთობა გაიხსენა, დარავჯის სამსახურიც მიატოვა და ოჯახიც დანგრია. ცოლმა, რომელმაც ქმრის ყოველდღიური სმა ვერ აიტანა და მართალია, ჭორის დონეზე, მაგრამ მაინც შეიტყო რაღაც, მისი საშინელი წარსულის შესახებ, ის ბინა სამუდამოდ მიატოვა და მას შემდეგ, აღარ გამოჩენილა.

განინი სასმლისთვის ფულს მეზობლებს სთხოვდა ხოლმე. ბოლოს, მისი ურცხვი საქციელით თავმობეზრებულმა ბინადრებმა მის მომარაგებაზე ერთხმად განაცხადეს უარი. ამით გაღიზიანებული, ყველასგან გარიყული და უკაპიკოდ დარჩენილი განინი ერთი ჭიქა არყისთვის უკვე ყველაფერზე წამსვლელი იყო – სადისტურ მკვლელობაზეც კი.

მისი პირველი მსხვერპლი სწორედ

ბანდიტებმა სასოჩისათო მაღაზია კაძარცვეს

20 აგვისტოს, სამძებრო სამმართველოს ოპერატიულმა ჯგუფმა, იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს საჩხერისა და ჭიათურის შს განყოფილებების თანამშრომლებმა, დასავლეთ საქართველოში მოქმედი ბანდიტური დაჯგუფების წევრები დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, ჯგუფის ლიდერი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი მამუკა თოდაძე მეტსახელად ბათმანა გახლავთ. ის 1972 წელს არის დაბადებული და წარმოშობით საჩხერის რაიონის ისლარის დასახლებიდანაა. რაც შეეხება მასთან ერთად დაკავებულ, ბანდის დანარჩენ წევრებს, ისინი არიან ძმები – 27 წლის ვახტანგ და 26 წლის დავით ლაშხები. სამართალდამცავთა ცნობით, ზემოთ ხსენებული პირები 17 აგვისტოს, დღის 3 საათზე ყაჩაღურად თავს დაესხნენ საჩხერის აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ საბითუმო მაღაზიას. მაღაზიიდან, რომელიც სოფელ არგვეთის მკვიდრს – ტარიელ ტოგონიძეს ეკუთვნის, მათ ფული და სხვადასხვა ნივთი გაიტაცეს. როგორც ამბობენ, ყაჩაღურ თავდასხმაში თოდაძისა და ლაშხების გარდა, კიდევ რამდენიმე პირი მონაწილეობდა, თუმცა მათ ვინაობას პოლიცია ჯერჯერობით არ ამხელს.

სამართალდამცავებმა თოდაძის საცხოვრებელი ბინიდან „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა და ავტომატის 31 ვაზნა ამოიღეს. რაც შეეხება ლაშხებს, მათ სახლში პოლიციამ მხოლოდ ხელყუმბარა აღმოაჩინა. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის საჩხერის განყოფილება აწარმოებს. ■

მკვლელობაში ეჭვმიტანილი ცხელ კვალზე აიყვანეს

კრიმინალური სამყაროს კიდევ ერთი ავტორიტეტი, 1965 წელს დაბადებული თენგიზ გოგიაშვილი პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა. სამართალდამცავები მას განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებენ. შს სამინისტროს ცნობით, გოგიაშვილმა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან მრავალი გასროლით, ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთში მცხოვრები, 23 წლის ვახტანგ სარალიძე და იმავე სოფლის მკვიდრი – 25 წლის ზვიად სარალიძე დაჭრა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ვახტანგმა თავის არეში მიიღო სასიკვდილო დაზიანებები და ადგილზე გარდაიცვალა. რაც შეეხება ზვიადს, ის მუცლის არეში დაიჭრა, რის გამოც საავადმყოფოში მოათავსეს. შს სამინისტროს ცნობით. ზვიად სარალიძე კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი გახლავთ და წარსულში მრავალჯერ არის ნასამართლევი. გამოძიების ვერსიით, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. ■

ნიკოლოზ ბურლაკოვი აღმოჩნდა. განინი ძველ ნაცნობს სახლის სადარბაზოსთან დახვდა, იმ იმედით, რომ მას ან სასმელს დასტყუებდა, ან ფულს. ამ მოულოდნელი შეხვედრით განცვიფრებულ ბურლაკოვს სახეზე სიხარული არ დასტყობია, მაგრამ ზრდილობა მაინც გამოიჩინა და განინი შინ შეიპატიჟა. ეს მასპინძლობა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა...

საბრალდებო დასკვნიდან:

„...შუა ღამე იყვნენ, როცა განინი და ბურლაკოვი უმნიშვნელო მიზეზით შელაპარაკდნენ. კამთი მალე ჩხუბში გადაიზარდა. ფიზიკურად გაცილებით ძლიერ განინს მასპინძლის მორევა არ გასჭირვებია. ჯერ მუშტები დაუშინა სახეში, შემდეგ იქვე დადებულ რკინის ქანჩს სწვდა და ექვსჯერ ჩაარტყა კეფაში. არაადამიანური ტკივილისგან ბურლაკოვმა ღრიალი მორთო. ეს დიდხანს რომ არ გაგრძელებულიყო და მეზობლებსაც რაიმე არ შეეტყოთ, განინმა სამზარეულო მაგიდიდან პურის საჭრელი დანა აიღო და ბურლაკოვს სახისა და კისრის არეში ზედიზედ ოთხჯერ ჩაარტყა. დაჭრილი იატაკზე გულაღმა დავარდა და ხრიალი დაიწყო. განინმა გადაწყვიტა, ბოლო მოელო მისთვის და მომკვდავ ბურლაკოვს იმავე დანით ყელი გამოსჭრა...

როცა ნახა, რომ მარტო ხელები კი არა, პიჯაკიც სისხლით მოსვროდა, მოკლულის სუფთა ტანსაცმელს დაუწყო ძებნა. ბურლაკოვის პიჯაკს მალე მიაგნო და ჩაიცვა, თავისი კი იქვე დააგდო“...

მომდევნო ხუთი დღის განმავლობაში, განინი მილიციას უფრთხოდა. შეშინებული ყოველწუთას ელოდა დაპატიმრებას. მეექვსე დღეს კი, სრულიად შემთხვევით, სასიხარულო ამბავი შეიტყო: მილიციას მის ნაცვლად, ვინმე შიტოვი აეყვანა. როცა დარწმუნდა, რომ შიტოვს ბურლაკოვის მკვლელობაში ბრალიც წაუყენეს, საბოლოოდ დამშვიდდა და კვლავ ლაღი ცხოვრება განაგრძო.

ერთ დღეს, მას შინ ცოლის შორეულმა ნათესავმა მიაკითხა. როგორც გაირკვა, განინს მისი ვალი ემართა. ევგენი ბელოვი თვეების მანძილზე უთვლიდა ურჩ ნათესავს, რომ ფული სჭირდებოდა, მაგრამ ამაოდ – განინი ვალის გადახდას არც ფიქრობდა და ვერც გადაიხდიდა, რადგან ფული არ ჰქონდა. ბელოვმა გადაწყვიტა, მასთან ბინაში მისულიყო და როგორმე იძულებით გადაეხდევინებინა ვალი. ამ უსიამოვნო ვიზიტით გაღიზიანებულ განინს ნერვებმა უმტყუნა. ბელოვის დანახვაზე მასში ცოლის მიმართ ძველმა ბოღმამაც გაიღვიძა და დიდი სურვილი გაუჩნდა, ჯავრი ეყარა.

დაუპატიჟებელი სტუმარი სამზარეულოში შეიყვანა. თავად ერთი წუთით შემოსასვლელში გავიდა და ნაჯახით შეიარაღებული დაბრუნდა. რამდენიმე წამში, ბელოვის თავგარეხილი სხეული სისხლისგან იცლებოდა... განინმა ხელები შეიწმინდა და სტუმრის ჯიბეების „გასუფთავებას“ მიჰყო ხელი. თანხა, რომელიც ბელოვს თან აღმოაჩნდა, ორი დღის სასმლისთვის ნამდვილად ეყოფოდა და ამით წახალისებულმა განინმა ოთახის მოწესრიგება დაიწყო. გაძარცული და დასახიჩრებული გვამი საძინებელში გადაათრია და ოთახის კარი ჩაკეტა, ხოლო თავად ჩქარი ნაბიჯით არყის საყიდლად გაეშურა...

მისი მორიგი მსხვერპლი მეზობელი ქალი აღმოჩნდა. ეს ამბავი ბელოვის მკვლელობიდან მეორე დღეს მოხდა. საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებული მარინა ზიუზინა სადარბაზოს კიბეზე წააწყდა უგონოდ მთვრალ განინს. ქალმა გულისხმიერება გამოიჩინა და გადაწყვიტა, თავგზააბნეული კაცი მის ბინამდე მიეყვანა. განინი უმისამართოდ იქნევდა ხელ-ფეხს. ზიუზინა მკვლავში ჩაეჭიდა მას. მაშინვე იგრძნო, რომ მიუხედავად ძლიერი სიმთვრალისა, განინს ენერგია მოზღვავებოდა. შეშინებულმა ქალმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია კიდეც, მაგრამ როგორც ჩანს, მეზობლისგან ცუდს არაფერს მოელოდა და გადაწყვიტა, ბოლომდე მიეცილებინა იგი.

განინმა საკუთარი ბინის კარი იოლად გააღო. ბინაში ფეხი შედგა თუ არა, ქალს ხელი წაავლო და შიგნით შეათრია. უკვე დაპატიმრებულმა განინმა თავისი ეს საქციელი ასე ახსნა: *„კიბეზე რომ ავდიოდით, ზიუზინა განუწყვეტლივ იმას მეუბნებოდა – გუშინ ახალგაზრდა მამაკაცმა მოგაკითხა, მთელი დღე კართან გელოდებოდა, შენს უნახავად წასვლას არ აპირებდაო, – თან აინტერესებდა, ვნახე თუ არა იგი. მივხვდი, რომ ბელოვზე მეკითხებოდა. შემეშინდა, რაიმე არ იეჭვოს-მეთქი და მისი თავიდან მოშორება გადავწყვიტე“.*

ზიუზინას კივილი რომ არ დაეწყო, განინმა პირზე ხელი ააფარა და სამზარეულოში ძალით შეიყვანა. მეორე ხელით, გაზის ქურიდან ტაფა აიღო და თავში მაგრად ჩაარტყა. გათიშულ ქალს, ამის შემდეგ, ნაჯახით მიაყენა სხეულის სხვადასხვა ადგილას დაზიანებები. მოკლულის გვამი იმავე ოთახში შეიტანა, სადაც წინა დღეს – ბელოვის ნეშტი. თავად, შედარებით სუფთა ოთახში განაგრძო ცხოვრება და მოკლულთა ნივთების გაყიდვას მიჰყო ხელი...

მესამე დღეს, ბინაში უსიამოვნო, მოტკბო სუნი გაჩნდა. ერთი კვირის შემდეგ კი, მთელი სადარბაზო აუტანელი, მძაფრი სუნით გაიჟღინთა. მეზობლები ვერაფრით მიმხვდარიყვნენ, თუ საიდან მოდიოდა სიმყრალე. მარინა ზიუზინა ყოველთვის მარტო, კარჩაკეტილად ცხოვრობდა და მისი გაუჩინარება არავის შეუმჩნევია. რაც შეეხება განინს, იგი საღამოობით შინ გალეშილი ბრუნდებოდა და ამიტომაც ვერაფერს ეკითხებოდნენ. ბოლოს, როცა შეწუხებულები მიხვდნენ, რომ სუნი ყველაზე მძაფრად განინის საცხოვრებელ სართულზე იგრძნობოდა, გადაწყვიტეს, მილიციისთვის მიემართათ.

იმავე საღამოს, მილიციის თანამშრომლების თვალწინ განინის ბინაში შემზარავი სურათი გადაიშალა... გამომძიებლის თქმით, დაკავებული დაკითხვებზე სხვადასხვანაირად იქცეოდა: ხან კატეგორიულად უარყოფდა დანაშაულს, ხანაც – აღიარებდა. სასამართლო პროცესზე მან თავი დამნაშავედ ცნო და დეტალურად აღწერა ჩადენილი დანაშაულები.

„ვინ იცის, კიდევ რამდენ ადამიანს მოუსწრაფებდა სიცოცხლეს?.. ნამდვილი სადისტი იყო. პირველ აღიარებით ჩვენებაში ჩაწერა, რომ ძლიერი სიმთვრალისგან, რას აკეთებდა, ვერ აცნობიერებდა. შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, ნიკოლაი ბურლაკოვის მკვლელობაშიც გამოტყდა. ეს ამბავი არა მარტო პროკურატურისთვის, არამედ სასამართლოსთვისაც მეხის გავარდნის ტოლფასი იყო. ყველამ იცოდა, რომ ამ დანაშაულისთვის სულ სხვა ადამიანი გასამართლეს და მკაცრი განაჩენიც გამოუტანეს. ის პატიმარი დაკავების დღიდან ირწმუნებოდა, რომ უდანაშაულო იყო, მაგრამ მისი სიტყვების არავის სჯეროდა...

თავიდან ვიფიქრეთ, რომ განინმა ერთგვარ ფანდს მიმართა და საკუთარ თავზე აიღო სულ სხვა დანაშაული, რათა ამით სასამართლო განაჩენის გამოტანა გადაევადებინა. თუმცა დაკითხვებისას, საკუთარ სიტყვაზე მტკიცედ იდგა და ისეთი ფაქტებიც მოიშველია, რომლებიც მხოლოდ ნამდვილ მკვლელს შეიძლებოდა სცოდნოდა“, – აღნიშნა გამომძიებელმა.

შიტოვის გასამართლების შემდეგ უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს განინმა მართლაც, ამომწურავი პასუხი გასცა. ციხეში ის უმკაცრესი განაჩენით შევიდა. მაშინ ყველამ მიიჩნია, რომ განინს უვადო თავისუფლების აღკვეთა დამსახურებულად მიუსაჯეს. ■

31 აგვისტოდან

უძრავი ქონების სეზონი იწყება

ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ჟურნალია — ორი სუპერრუბრიკა



ყველაზე რეალური ინფორმაცია

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. პუკა-პუკა ბოლივიის სოფელია.
2. „ვაკუუმი“ ლათინურად ცარიელს ნიშნავს.
3. სირიუსი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია.
4. ხატმწერებს ძველ რუსეთში ბოგომაზებს ეძახდნენ.
5. ანტარქტიდის კონტინენტზე არ არის არც ერთი მდინარე.
6. ანგლიკანური ეკლესია აღსარების საიდუმლოს არ აღიარებს.
7. წითური თმების მოდა ნაპოლეონ მესამის ცოლმა ევგენიამ შემოიტანა.
8. ძველი ბერძნები წელთაღრიცხვას პირველი ოლიმპიადიდან აწარმოებდნენ.
9. ადამიანებმა ლითონებიდან პირველად, სპილენძის მოპოვება და დამუშავება დაიწყეს.
10. ძველად ინდოეთში თუ მეფეს ვარდებს მიართმევდი, შეგეძლო, ყველაფერი გეთხოვა.
11. ორანგუტანგები ყოველღამე ახალ ხეს არჩევენ დასაძინებლად, სადაც ტოტებისგან ახალ „საწოლს“ ამზადებენ.
12. ეროტიკული ლიტერატურის ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა, რომელიც 25400 ტომისაგან შედგება, ვატიკანში ინახება.
13. ძველ ეგვიპტეში ყველაზე საძულველ ადამიანებად ღორების მწყემსები და თარჯიმნები ითვლებოდნენ.
14. მხატვრები მიიჩნევენ, რომ ეშმაკის დახატვა ადვილია, რადგან სინამდვილეში არავინ იცის, როგორ გამოიყურება იგი.
15. ბრალდებულის ელექტროსკამზე დასჯის პროცესს 40 მოწმე ესწრება. ჯალათი ოთახში პირველი შედის, იქიდან კი ბოლო გამოდის.
16. ვენეციის ქუჩებში მოძრავი მოტორიანი ნავების სიჩქარე მათ მიერ წარმოქმნილი ტალღების სიდიდის მიხედვით იზღუდება, რადგან ამ ტალღებმა შესაძლოა, შენობათა საძირკველი დააზიანოს.
17. ცნობილი სიმღერა – Happy Birthday to You – კენტუკის საკვირაო სკოლის მასწავლებელმა მილდრედ ჰილმა თავის დასთან, პატი სმიტ ჰილთან ერთად დაწერა.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი, ქალბატონი ეთერ ასტემიროვა სასტუმრო „აჭარაში“, ერთ ოთახში დისშვილთან ერთად ცხოვრობს. დეკლარანტის სახელზე არანაირი ქონება — არც უძრავი და არც მოძრავი არ ირიცხება. თუ არ ჩავთვლით იმ 3.000 დოლარს, რომელიც მას შემდეგ დააგროვა, რაც მინისტრის პოსტი დაიკავა.

რის შესაძენად ფულს ინახავს ბანკში მინისტრი ანუ ეთერ ასტემიროვას ყველაზე დიდი სურვილი

სოფო ჭონიშვილი

მინიდოსიე:

ეთერ ასტემიროვა დაიბადა აფხაზეთში 1943 წელს. ომის პერიოდში მისი მშობლები, გულრიფშის რაიონში, სოფელ განახლებაში ყოფილან გახიზნული. მამა – პროფესიით ინჟინერ-ჰიდროლოგი, დედა – მეტეოროლოგი გახლდათ. ამჟამად ორივე გარდაცვლილია. მათ სოხუმში გაუცნიათ ერთმანეთი და მალე დაქორწინებულან კიდეც. ომის შემდეგ ოჯახი ზუგდიდში გადასულა საცხოვრებლად, მაგრამ მალე მამა სამუშაოდ თბილისში, ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის უფროსად გადმოუყვანიათ. ქალბატონმა ეთერმა ინსტიტუტი ლენინგრადში დაამთავრა, ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. კონფლიქტის დაწყებამდე, აფხაზეთის ჰიდრომეტცენტრში, ჰიდროლოგიური განყოფილების უფროსად მუშაობდა და ლექციებს კითხულობდა აფხაზეთის უნივერსიტეტში. 1991 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. რამდენიმე თვეა, რაც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად დაინიშნა, ჰყავს და-ძმა.

— ქალბატონო ეთერ, კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი დღევანდელი შრომის ანაზღაურებით?

– ჩემი ხელფასით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. 165-ლარიან ხელფასს, რომელსაც სახელმწიფო მიხდის, სპეციალური ფონდიდან გამოყოფილი 1.200 დოლარი ემატება. როცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებში ვმუშაობდი, ხელფასი 610 ლარი მქონდა. მქონია ასევე ძალიან მიზერული ანაზღაურებაც. ამიტომაც კარგად ვიცი, რომ ადამიანს რამდენიც აქვს შემოსავალი, იმდენით კმაყოფილდება.

— რაში ხარჯავთ ფულს დაუნანებლად?

– ვაღიარებ, რომ ფულის ხარჯვა მიყვარს, ხელმომჭირნე არა ვარ. განსაკუთრებით არ დავინანებ ფულს, როცა საჩუქარს ვყიდულობ ახლობელი ადამიანისთვის.

— ყველაზე ძვირად ღირებული სამკაული ან ნივთი რა გაქვთ?

– მაქვს ერთი ბეჭედი, რომლის ღირებულება დაახლოებით 200 დოლარია.

— თუ შეგიძლიათ, დამისახელეთ ყველაზე ძვირად ღირებული ტანისამოსი თქვენი გარდერობიდან?

– სამოსში არასოდეს ვიხდი დიდ თანხას, ამიტომ ვერც ძვირად ღირებულს გამოვარჩევ. გამოვიტყდებით, რომ ცნობილი ფირმების სამოსიც არასოდეს მიყიდია.

— ქალბატონო ეთერ, რაკი თქვენი ხელფასით კმაყოფილი ხართ, ეი. ფულის სესხება არ გიხდებათ, არა?

– ამ ბოლო პერიოდში – არა, მაგრამ ადრე, ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ფულის სესხება დამჭირვებია.

— თქვენ თუ გაქვთ გასესხებული ფული?

– როცა ადამიანს უჭირს, უნდა დაეხმარო – რა თქმა უნდა, თუკი საშუალება გაქვს. ეს არის ადამიანებს შორის ნორმალური დამოკიდებულების და პატივისცემის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა. არასოდეს ვთაკილობ იმის თქმას, რომ ფული არა მაქვს და უნდა ვისესხო. ყოველთვის ვცდილობ, უარი არ ვთქვა ფულის გასესხებაზე და დავეხმარო ადამიანს, როცა მას უჭირს. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ვალი დღესაც აქვთ...

— ტელეფონზე საუბარი თუ გიყვართ და რამდენი მონობარათი გჭირდებათ თვეში?

– საერთოდ, ვცდილობ, რაც შემიძლია შევზღუდო სატელეფონო საუბრები. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ თვის

განმავლობაში ტელეფონზე საუბრებისთვის დაახლოებით 100-150 ლარი მჭირდება. როცა აფხაზეთის სტრუქტურებში ვმუშაობდი, იქ იყო კვოტა სატელეფონო საუბრებისათვის – 70-75 ლარი თვეში და ყოველთვის ვცდილობდი, მეტი არ დამეხარჯა. ვფიქრობ, საქმე ტელეფონზე საუბრით არ უნდა გადაწყვიტო; როცა შესაძლებელია, ადამიანს პირადად უნდა შეხვდე და ესაუბრო.

— როგორც ვიცი, ავტომანქანაც არ გაქვთ. არ გიფიქრიათ, რომ შეგეძინათ?

– მაინცდამაინც დიდი სურვილი არა მაქვს მანქანის შეძენის, რადგან გაეროს მიერ გადმოცემული მანქანა მემსახურება. ესაა „ნისან პატრულის“ ჯიპი, რომლითაც ჩემი წინამორბედი მინისტრიც სარგებლობდა.

— რამდენი საწვავი გჭირდებათ თვეში?

– თვეში დაახლოებით 240 ლარის საწვავი იხარჯება. ეს ხარჯი გაეროს პროგრამითაა გათვალისწინებული.

— სად ატარებს თავისუფალ დროს მინისტრი?

– ბოლო პერიოდში, თავისუფალი დრო ნაკლებად მაქვს, მაგრამ როგორც კი დროს გამოვნახავ, ვცდილობ, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად გავატარო. ძალიან მიყვარს კლასიკური მუსიკის მოსმენა, მაგრამ ხშირად ამასაც ვერ ვახერხებ, თავისუფალი დროის სიმცირის გამო.

— სად იკრიბებით ხოლმე მეგობრები?

– ძირითადად, ერთმანეთთან ოჯახებში მივდივართ. ხანდახან კაფეშიც შევდივართ ხოლმე.

— რას გჩუქნიან დაბადების დღეზე მეგობრები, ახლობლები?

– ჩემი ყველაზე დიდი საჩუქარი ყურადღებაა. როცა თბილისში ჩამოვედი (დევნილობის პირველ პერიოდს ვგულისხმობ), თეფშიც კი არ მქონდა... მაშინ ჩემმა მეგობრებმა თეფშები მომართვეს საჩუქრად... უფრო ხშირად, ყვავილებს მიძღვნიან, ხანდახან – სუნამოს.

— რისი შეძენა სურს მინისტრს და რაზე ოცნებობს?

– არაფრის შეძენაზე არ ვოცნებობ, ამჟამად ჩემი ერთადერთი სურვილია აფხაზეთში დაბრუნება. მოუთმენლად ველი იმ დღის დადგომას, როცა ჩემს დევნილ ხალხთან ერთად აფხაზეთში ჩავალ. რაც შეეხება ნივთების ან ტანსაცმლის შეძენას, დიდი სურვილიც რომ მქონდეს, იმ პატარა ოთახში ვერც დავტევ.

— ბინის შეძენასაც არ აპირებთ?

– ბინის შეძენას ვაპირებ. ეს უფრო ჩემი მეგობრების მოთხოვნაა. ამიტომ ხელფასს ვაგროვებ. 1.200 დოლარიდან, რომელსაც ყოველთვიურად ვღებულობ, 200 დოლარს ყოველთვე ვიღებ, ხოლო 1.000-ს ჩემს ანგარიშზე ვტოვებ. ჯერ 3.000 დოლარი მაქვს საბანკო ანგარიშზე. ეს არც დიდი თანხაა და არც ძალიან მცირე, მით უმეტეს ჩემთვის – დევნილობაში მყოფი ადამიანისთვის.

— ალბათ, ხშირად ყოფილხართ გაჭირვებულ მდგომარეობაში...

– თავდაპირველად, დევნილობის პერიოდში, ჩემს მეგობართან ვცხოვრობდი საბურთალოზე. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ტრანსპორტში ასასვლელი ფულიც არ მქონდა და ფეხით დავდიოდი. როცა მქონდა, მაშინაც თავს ვიკავებდი ამისგან, რადგან იმდენი არ მქონდა, რომ თუ ახლობელი შემხვდებოდა, მისი მგზავრობის საფასურიც გადამეხადა... მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, ყველაფერი ნორმალურად გადავიტანე. ბუნებით ამბიციური ადამიანი არ ვარ. შინაგანად ყველანაირ სიტუაციას ვეგუები. არც ფული, არც უფულობა და არც თანამდებობა მე არ მცვლის.

— დაახლოებით რა თანხა გჭირდებათ ყოველდღიურად?

– ზუსტად ვერ გეტყვით. ასეთ რეჟიმში როცა ვმუშაობ, არაფერი მეხარჯება: მთელი დღის განმავლობაში გარეთ ვერ გავდივარ, აქ კიდევ, რაში უნდა დავხარჯო? თუკი გარეთ მიწევს გასვლა, რა თქმა უნდა, ვხარჯავ.

პოსტსკრიპტუმის მაგიერ: ტრადიციულ კითხვაზე – რა თანხა გაქვთ ახლა საფულეში? – ქალბატონმა ეთერმა ჯერ ღიმილიანი სახით შემომხედა – კი, ბატონოო, – მითხრა, ჩანთიდან საფულე ამოიღო, ჩემ თვალწინ დათვალა ფული და აღმოჩნდა, რომ 170 ლარი ედო. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

18. სასულიერო ხელისუფლებას იმამატი ჰქვია, დიდებულთა ხელისუფლებას – საამირო, ხოლო სასულიერო და დიდებულთა ხელისუფლებას ერთად – სახალიფო.

19. 1896 წლის 4 ივნისს, ფორდის მიერ აგებული ავტომობილის გამოცდა ერთი საათით შეყოვნდა, რადგან აღმოჩნდა, რომ საამქროს კარი უფრო პატარა იყო, ვიდრე ავტომობილი.

20. ერთხელ პიკასო პარიზის მერთან მივიდა და მერიის შენობის ერთ-ერთი კედლის მოხატვა შესთავაზა. მერმა უარით გამოისტუმრა და ეს ასე ახსნა: უკაცრავად, ახლახან გავაკეთეთ რემონტიო.

21. ლეგენდის მიხედვით, ვაზის დარგვისას ნოემ მას ლომის, მაიმუნის, ცხვრისა და ღორის სისხლი აპკურა. ამის გამო, სიმთვრალის ოთხ სტადიას ამ ცხოველების სახელებით მოიხსენიებენ.

22. ისაკ ნიუტონის ბიოგრაფი წერდა: „ისტორიას არ ახსოვს მაგალითი იმისა, რასაც მეცნიერებამ ამ ორ ოქროს წელიწადში მიაღწია“. ეს 1665-1666 წლები გახლდათ, როდესაც კემბრიჯში შავი ჭირი მძვინვარებდა და უდიდესი ინგლისელი მეცნიერი იძულებული იყო, ეპიდემიას საკუთარ სოფელში დამალვოდა. სწორედ იქ დაეცა ნიუტონს თავში ვაშლი, რის შემდეგაც, მსოფლიო მიზიდულობის კანონი აღმოაჩინა.

23. 18 ბრიუმერს, ტალეირანმა მიიღო დავალება – რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაეყოლიებინა ბარასი გადადგომაზე. ამ წინადადებაზე ბარასი მოულოდნელად ძალზე იოლად დათანხმდა, რისთვისაც მას ტალეირანმა ხელები დაუკოცნა. ამ უკანასკნელის სიხარულის მიზეზი ძალზე მარტივი და გასაგები იყო: ტალეირანს შესაძლებლობა მიეცა, ბარასის მოსასყიდად გამოყოფილი თანხა მიეთვისებინა.

24. დაასრულეთ ესპანური ეპიგრამის რუსული თარგმანი: „კაკ ატნაშუს ია კ კარალიუ? და ტაკ ჟე, კაკ ი ვსე ნა სვეტე: ია ოტ დუში ეგო ლიუბლიუ, იზაბრაჟონნიმ ნა ...“. ეპიგრამის სრულ ტექსტს ჟურნალის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ქალი, ფული, ბაბუასი... ეს საჭიროა თუ არა სიყვარულის ჯიღვა?

რა როლს ასრულებს ფული ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში? ვის უფრო იოლად ხელეწიფება სასურველი ქალის გულის მოგება — მას, ვისაც დიდი მატერიალური შესაძლებლობა აქვს თუ მას, ვისაც ქალისთვის, წრფელი გრძნობების გარდა, არაფრის შეთავაზება არ შეუძლია?..

ლელა ჭანკოტაძე

ვზანსულ ჩარკვიანი, *პოეტი:*

— ხშირად გამიგონია — შეძლებულ კაცს გაჰყვა ცოლად, სიძის ოჯახი მდიდარიაო... არა, ბატონო, მთავარი, ფული კი არა — სიყვარულია! სიყვარული არ იყიდება, რამეთუ ღმერთის ტოლფასია... ფულით განათებული გზა ჯერ არ მინახავს. ფსალმუნში ბრწყინვალედ წერია: „ღმერთო, გამოგზავნე შუქი შენი და ჭეშმარიტება შენი. ისინი წარმიძღვებიან და მიმიყვანენ შენს წმინდა მთასთან და შენს სამკვიდროსთან“. დიახ, ასეა. შეუძლებელია, ცხოვრების გზა უფრო კარგად გაგინათოს ვინმემ ან რაიმემ, ვიდრე სიყვარულმა...

— თქვენს ყმაწვილკაცობაში, როცა გინდოდათ, გოგონასთვის თავი მოგეწონებინათ, თუ ფიქრობდით იმაზე, ჯიბეში რამდენი მანეთი გედოთ?

— მაშინ უხერხული იყო, გოგონა რესტორანში წაგეყვანა. კინოში და თეატრში დავდიოდით, ოპერაში ვეპატიჟებოდით გოგონებს. თუ მე მქონდა საშუალება, ჩემს მეგობარსა და მის შეყვარებულს აუცილებლად დავპატიჟებდი სადმე, თუ მას ჰქონდა — ის დაგვპატიჟებდა. ძირითადად, ვსეირნობდით. რუსთაველის პროსპექტზე გავლა იყო მიღებული. ზოგჯერ ორ-სამ წრეს ვარტყამდით... არ მახსენდება არავინ ისეთი, ვინც ანგარების მიზნით გათხოვილა. მდიდარი ოჯახია და მათი ქალიშვილი ცოლად უნდა შევირთოო, — ასეთი ფრაზაც არც ერთი ყმაწვილისგან არ გამიგონია. გოგოსა და ბიჭს ერთმანეთი თუ შეუყვარდებოდათ, მთელი თბილისი გებულობდა, მათი სიყვარული მთელი უბნის ზეიმად იქცეოდა. ამიტომაც გრძელდებოდა ეს სიყვარული საუკუნოდ... თუ ფული ოჯახის შექმნის საფუძვლად იქცევა, ეს კარგს არაფერს მოუტანს არც ქალს და არც მამაკაცს...

სოციალურ ცვლილებებს ყოველთვის თან სდევს ფსიქოლოგიური ცვლილებები. რა შეცვალა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ყოფითმა პრობლემებმა და მატერიალურმა სიდუხჭირემ? ნუთუ, სიყვარულსაც სჭირდება მატერიალური საფუძველი?.. მარიკა და კოკა თანაკლასელები იყვნენ. კოკამ მერხის მეგობარი მაშინ შეიყვარა, როცა მასწავლებელმა ხელი მოჰკიდა და მის გვერდით დასვა. ბავშვური სიყვარული მოგვიანებით, ნამდვილ, ძლიერ სიყვარულში გადაიზარდა. მაგრამ კოკამ ვერაფრით შეძლო, საპასუხო გრძნობა გოგონას გულშიც გამოეწვია.

მარიკა, *32 წლის:*

— ერთ-ერთ პატარა ქალაქში ვცხოვრობდი. სკოლა რომ დავამთავრეთ, კოკამ საშინელი შეცდომა დაუშვა — თავის მეგობრებთან ერთად მე და დედაჩემს ერთ ბნელ მოსახვევში დაგვხვდა; ხელი რომ მტაცა, მივხვდი — ჩემი მოტაცება უნდოდა. დედას ჩავჭიდე ხელები. ორივენი ვკიოდით. ერთმანეთს ძლივს დაგვაცილეს, დედაჩემს ხელიდან გამომგლიჯეს და მანქანაში ჩამტენეს... ისეთი შეშინებული და შეურაცხყოფილი ვიყავი, რომ თავის მოკვლა მინდოდა. ოთახში ჩამკეტეს და ოთხი დღე-ღამის მანძილზე მეხვეწებოდნენ, კოკას ცოლობაზე დავთანხმებოდი. არაფერი რომ არ გამოუვიდათ, კოკამ ჩემზე ძალა იხმარა — გამაუპატიურა. მერე დედაჩემს ჩვენი ადგილსამყოფელი შეატყობინა... ვერ წარმოიდგენთ, როგორი სევდიანი თვალებით შემომცქეროდა, როცა იქაურობას ვტოვებდი. დედამაც მითხრა: იქნებ, მასთან დარჩე, უყვარხარ, გაღმერთებს, მეტი რაღა გინდაო?.. ამის გაგონებაც კი არ მინდოდა. კოკა მძულდა. ამბობდნენ — ოქროს გული აქვსო, — მაგრამ მის ღირსებებს ვერ ვამჩნევდი.

— სხვა ბიჭი ხომ არ გიყვარდა?

— არა. უბრალოდ, ისეთ ყმაწვილზე ვოცნებობდი, რომელიც ფეხქვეშ ხალიჩებს დამიფენდა და ყველა კაპრიზს შემისრულებდა... კოკა ჩემი იდეალისგან ძალზე შორს იდგა. დედამისი დიასახლისი იყო, მამა — მძღოლი. ყოველთვის ძველი ფეხსაცმლით, ჯიბეგაფხეკილი დადიოდა... იმ ამბიდან გარკვეული ხნის შემდეგ, შინ ჩვენი პირველი მასწავლებელი მესტუმრა და მთხოვა: კოკას შენთან საუბარი სურს, ამ ერთხელ, ჩემი ხათრით მოუსმინეო. ანა მასწავლებელს უარი ვერ ვუთხარი და გავყევი. „სურვილების ჩანთა“ გახსნა. ასე ვეძახდით წითელ ჩანთას, რომელშიც თითოეულმა საკუთარი სურვილი „შევინახეთ“. მაშინ პირველ კლასს ვამთავრებდით და წესიერად წერაც კი არ ვიცოდით. მასწავლებელმა კოკას რვეული დამიდო წინ. რვეულში ეწერა: „რომ გავიზრდები, მამა გამოვალ. მარიკას მოვიტაცებ. მე და მარიკას 12 შვილი გვეყოლება“... ალბათ, ეგონათ, ეს ბავშვური ოცნება ჩემზე რაიმე გავლენას მოახდენდა, მაგრამ შეცდნენ. კოკას შეყვარება არ მინდოდა... მახსოვს, ბოლოს მითხრა: იცოდე, ჩემსავით ვერასდროს ვერავინ შეგიყვარებსო... მერე გავიგე, ცოლი შეირთოო.

— გული არ დაგწყდა?

— პირიქით, გამიხარდა, რომ მისგან საბოლოოდ გავთავისუფლდი... გავიდა 10 წელი. ერთ დღეს, დედაჩემმა მითხრა: სასწაული მოხდა — კოკამ უცხოეთიდან მემკვიდრეობა მიიღო!.. თურმე, ბაბუამისი მეორე მსოფლიო ომის დროს, ტყვედ ჩავარდნილა. ყველას ეგონა, მოკვდაო, რადგან წლების მანძილზე, მისგან არანაირი შეტყობინება არ მიუღიათ. არადა, ცოცხალი გადარჩენილა და იტალიაში დასახლებულა. მერე საკმაოდ შეძლებული ქალიშვილი შეურთავს ცოლად, მაგრამ შვილი არ ეყოლათ თურმე. ჰოდა, ანდერძით ყველაფერი ქართველი ძმისშვილებისთვის დაუტოვებია. რადგან მისი ძმისშვილები ცოცხლები აღარ იყვნენ, მემკვიდრეობა ერთ-ერთი ძმის შვილიშვილს — კოკას ერგო. როგორც კი ეს ამბავი შევიტყვე, მაშინვე ვთქვი: ცოლად რომ გავყოლოდი, ახლა მდიდარი ქალი ვიქნებოდი-მეთქი. რომ არა იტალიიდან მიღებული, სოლიდური მემკვი-

დრეობა, არასდროს ვინანებდი, რომ კოკას ცოლი არ ვიყავი... იმ დროს, უკვე თბილისში ვცხოვრობდი და ერთ-ერთ საავადმყოფოში კარდიოლოგად ვმუშაობდი... სულ მალე, კოკას ნახვის შანსი მომეცა: თანაკლასელები სკოლის დამთავრებიდან 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად შევიკრიბეთ. ბანკეტზე რომ მივედი, ყველა გაოცდა (ეგონათ, რომ კოკას გამო არ მივიდოდი). ის არც განძრეულა, ჩემკენ ერთი ნაბიჯიც არ გადმოუდგამს. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მივუახლოვდი და ვუთხარი: წარსული დავივიწყოთ, ბავშვები აღარ ვართ, ერთმანეთს გამარჯობის თქმას ნუ დავამადლით-მეთქი. მომეჩვენა, რომ ჩემ წინ სულ სხვა მამაკაცი იდგა: მაღალ, ახოვან, მიმზიდველ ვაჟკაცს არაფერი ჰქონდა საერთო იმ ბიჭთან, რომელსაც ადრე ვიცნობდი... მეორე დღეს, მატარებელში ჩავჯექი და თბილისში წამოვედი. მთელი გზა ვფიქრობდი – მისი სიყვარული რატომ არ დავაფასე-მეთქი?..

— კოკას შენთან გასაუბრება არ უცდია?

– შეზარხოშებულმა დამიმარტოხელა და მკითხა: მითხარი, კიდევ რა უნდა გამეკეთებინა, შენთვის თავი რომ შემეყვარებინაო?.. ძალა მოვიკრიბე და ვუთხარი: ნუთუ, ვერ ხედავ, როგორ მიყვარხარ?! უბრალოდ, ამას მაშინ ვერ ვხედებოდი, სულელი ვიყავი-მეთქი... ჩემმა სიტყვებმა კინაღამ გადარია. თბილისში გამომყვა. მომაკითხა და მეც მივიღე. სამინბლის კარიც გავუღე და გულისაც...

ფსიქოლოგები მამაკაცებს ურჩევენ, ქალის გულის დასაპყრობად, ერუდიციასა და ინტელექტს მოუხმონ, რადგან ღირსეული ქალი ამას უეჭველად შეამჩნევს და დაფასებს. მათი აზრით, წავიდა ის დრო, როცა მამაკაცს, ქალის გულის მოსაგებად, მხოლოდ სქელი ჯიბე უნდა ჰქონოდა. თუმცა, რესტორანსა თუ სხვა გასართობ ადგილას ხარჯი მაინც მამაკაცმა უნდა გასწიოს... ზოგი კი, იმ ქალების გამართლებასაც ახერხებს, ვისთვისაც მაინც სიმდიდრეა მამაკაცის ღირსების განმსაზღვრელი...

ეკა დოლიძე, *ფსიქოლოგი:*

– ჩვენ ბავშვობიდან გვასწავლიდნენ, რომ სანიმუშოდ უნდა მოვქცეულიყავით, რათა გარშემო მყოფებზე კარგი შთაბეჭდილება მოგვეხდინა. სწორედ იმ პერიოდიდან გვაქვს გამოყოლილი საკმაოდ მცდარი შეხედულება ფულზე და დღესაც სამარცხვინოდ მიგვაჩნია იმის გამჟღავნება, რომ გვაინტერესებს – რამდენად შეძლებულია კაცი, რომელსაც შეიძლება, საკუთარი ბედი დავუკავშიროთ. არადა, ხშირად, სწორედ ჯიბეს ეფუძნება მომავალი ურთიერთსიყვარული, პატივისცემა და ოჯახის სიმყარე. თუ ადამიანს კუჭი ცარიელი აქვს, ნაკლებად ფიქრობს მაღალ მატერიებზე – სიყვარული და ერთგულება კი, მაღალ მატერიებს წარმოადგენს.

— მაშ, რა როლს ასრულებს ფული ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში?

– უძველეს დროში, ქალი იმას ეკუთვნოდა, ვისაც ცეცხლი ჰქონდა – ე.ი. პირველყოფილ ადამიანებში ქალი ძლიერს რჩებოდა. მოგვიანებით, სიძლიერის სიმბოლოდ ხმალი იქცა და ქალის გული იმას ეკუთვნოდა, ვისაც მაგარი მკლავი ჰქონდა. მერე დადგა დრო, როდესაც სიძლიერის განმსაზღვრელი ფული გახდა. ჩვენს ეპოქაში სწორედ იმას აქვს ძალა, ვინც მატერიალურ სიმდიდრეს ფლობს. ამიტომ სანიმუშოდ, არა ხმალშემართული რაინდი, არამედ წარმატებული ბიზნესმენი იქცა. ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურმა ფონმა საგრძნობლად იმოქმედა თითოეული ადამიანის აზროვნებაზე. თუ XX საუკუნის დასაწყისში, მაღაზიის მეპატრონეს ამრეზით უწოდებდნენ ვაჭარსა და დახლიდარს, ახლა ის ბიზნესმენად მონათლეს. ბუნებრივია, ამან პირად ცხოვრებაზეც იქონია გავლენა. დღეს, ქალის გულის მოგებისას, მდიდარი და ამდენად, გავლენიანი მამაკაცი ფლობს უპირატესობას.

— ეი. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა მერკანტილურ ურთიერთობამდე დავიდა?

– დღეს ნებისმიერმა მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ ოჯახი არ უნდა შექმნას, თუ არა აქვს მოწესრიგებული, მატერიალური მხარე, რადგან მწვავე ყოფითი პრობლემები ჯანსაღ ურთიერთობებს ვნებს. ერთმანეთის მოსიყვარულე ცოლ-ქმარიც ვერ ასცდება კონფლიქტს, თუკი ქმარი სამსახურს ვერ შოულობს – ე.ი. ვერ ახერხებს აუცილებელი შემოსავლით ოჯახის უზრუნველყოფას. სამწუხაროდ, სულ უფრო ხშირად გაიგონებთ ფრაზას: ,,ფული ჩვენი არსობისა". ეს მხოლოდ რომელიმე ენაკვიმატის მიერ მოგონილი ფრაზა კი არა, არამედ მწარე რეალობის ანარეკლია... ასე რომ, ის ქალები, ვინც წინასწარ ,,ითვლიან" თავიანთი რჩეულების შემოსავალს, წინასწარ აცნობიერებენ იმ პრობლემებს, რომლებსაც უქონელ მამაკაცთან ქორწინება მოუტანთ... ყველა ქალს სურს, საყვარელმა მამაკაცმა თუნდაც ერთხელ დაუნიშნოს პემანი რესტორანში და ამაში გასაკვირი არაფერია. ასე რომ, დროა ვაღიაროთ, რომ დღეს მამაკაცი პირველ რიგში, მატერიალურად უნდა იყოს დამოუკიდებელი.

ახალდაქორწინებული წყვილის ცხოვრებაში უსიამოვნებები მაშინ დაიწყო, როცა ის მწვავე მატერიალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ნინო იძულებული გახდა, მუშაობა დაეწყო. მადლობა ღმერთს, სამსახური იშოვა. ლამაზი, ქმრის უმწეობით შეშფოთებული ახალგაზრდა ქალი მაშინვე შენიშნა ფირმის მფლობელმა – მდიდარმა ბიზნესმენმა. ნინომ იგრძნო, რომ ასაკით მასზე ბევრად უფროსი მამაკაცი მის მოხიბვლას ცდილობდა და გადაწყვიტა, მისგან თავი შორს დაეჭირა...

ნინო, *30 წლის:*

– კარლო ძალიან უხეში და ჯიმუხი კაცი იყო. მაგრამ შეუხედავი, თან ნაყვავილარი სახის მქონე მამაკაცი ქალების გულის მოგებას მაინც ახერხებდა. არ ვიცოდი, ვერ ვხვდებოდი, რით ხიბლავდა მასზე უმცროს ქალებს. ამას ვერც გავიგებდი, რომ არ ეცადა, ჩემთვისაც დაეხვია თავბრუ... ახალი წლის წინადღეს მკითხა: რა გინდა, რომ გაჩუქო? ყველაზე მეტად რა გაგახარებსო? მინდოდა, თავიდან მომეშორებინა, ამიტომ გადავწყვიტე, ისეთი რამ მეთქვა, რის შესრულებასაც ვერ შეძლებდა. ოქროს გასაღები მინდა და თოვლივით თეთრი სასახლე, რომელშიც ყველა ოცნება ამისრულდება-მეთქი, – თითქმის ყურში ჩავჩურჩულე... სინამდვილეში, ოქროს გასაღებს კი არა – უბრალო წყლის გამაცხელებელს ვნატრობდი... ქმარი მპირდებოდა: ფულს შევაგროვებ და აუცილებლად გიყიდიო. ერთი სიტყვით, დარწმუნებული ვიყავი, რომ საახალწლოდ მისგან საჩუქარს მივიღებდი. მაგრამ იმედი გამიცრუვდა: ქმარმა გულში ჩამიკრა და მითხრა – გული არ დაგწყდეს, მართალია, ფული ვერ შევაგროვე, მაგრამ მთავარია, რომ ერთმანეთი გვიყვარსო.

— გული მაინც დაგწყდა, ხომ?

– ალბათ, ამ ამბავს ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ არა კარლო, რომელმაც თავისი მძღოლი გამომიგზავნა და შემომითვალა: გაჰყევი და საჩუქარი ჩაიბარეო. თბილისთან ახლოს, ერთ ლამაზ, თოვლივ-



ით თეთრ და ოცნებასავით მშვენიერ, პატარა სახლთან მძღოლმა მანქანა გააჩერა. კარში კარლო გამოჩნდა. სახლში შემიყვანა და მკითხა: ხომ გაჩუქე თეთრი ,,სასახლე''?! კიდევ რა გინდაო? – ოქროს გასაღები-მეთქი, – ვუპასუხე ჯიუტად და მონუსხულივით შევავლე თვალი ლამაზად მოწყობილ სასტუმრო ოთახს... – ოქროს გასაღები შენს ხელში მე ვიქნები – ჩემი დახმარებით ნებისმიერ კარს გააღებ, რომელსაც კი მოისურვებო, – ჩამჩურჩულა და თავზე მაკოცა. იმწუთას, ჩემს გონებაში ეშმაკი ჩასახლდა...

— **რას გულისხმობ?**

– სამწუხაროდ, შიმშილი ცუდი მრჩეველია. ვიფიქრე – კარლოს ჩემი მატერიალური პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენებ-მეთქი... მერე ჩვენს თეთრ ,,სასახლეში'' ერთმანეთს მალულად ვხვდებოდით. ქმარს ვუთხარი – ხელფასი მომიმატეს-მეთქი. წყლის გამათბობელიც ვიყიდეთ და ჩვენი პატარა ბინაც გავარემონტეთ... ფულმა ჩემი და ჩემი ქმრის ცხოვრება შეცვალა. თითქოს ერთმანეთი უფრო შეგვიყვარდა, გავხალისდით, შვილის გაჩენაზე ავლაპარაკდით. ახლა აღარ ვჩხუბობთ. კინოშიც შეგვიძლია წავიდეთ და რესტორანშიც. ყველა ჩვენ შემოგვნატრის. ვინ იცის, რად მოვდება ამ ბედნიერების შენარჩუნება?!. სანამ ცოცხალი ვარ, ქმარს ღალატში არ გამოვუტყდები. იმ ქვეყნად პატიების იმედი მაქვს: მე ხომ მოღალატედ არ დავბადებულვარ!.. კარლოს უხამსი წინადადება მხოლოდ იმიტომ მივიღე, რომ ჩემი პატარა ოჯახი შიმშილისგან მეხსნა. მახსოვს, როგორ მზარავდა კარლოს დანახვა. პირველად, თვალები დავხუჭე და ისე ვაკოცე ნაყვავილარ სახეზე... ეს ყველაფერი უკეთესი ცხოვრების დაუოკებელმა სურვილმა შემაძლებინა.

— **ხომ შეიძლება, კარლომ შენი შემცვლელი იპოვოს? რა იქნება მაშინ? მორიგი ძლიერი დასაყრდენის ძებნას დაიწყებ?**

– ამაზე მეც მიფიქრია. გარანტია მჭირდებოდა, რომ არ მიმატოვებდა და ჩემს უზრუნველ ცხოვრებას ბოლო არ მოღებოდა. ამიტომ მისგან ბავშვის გაჩენა გადაწყვიტე. ჩემი ქმარი ვერასდროს გაიგებდა, შვილი სხვა კაცისგან რომ მეყოლებოდა... კარლო დამთანხმდა. მითხრა: ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, თუ ჩემი ცოლ-შვილი ამ ამბავს ვერასდროს შეიტყობსო... ფეხმძიმობის პერიოდში იცით, როგორი ბედნიერი ვიყავი?.. კარლო მართლაც, ცივ ნიავს არ მაკარებდა. სამშობიაროშიც არ მომცილებია. ჩემმა ქმარმა ბავშვის ნახვა მესამე დღეს შეძლო, კარლო კი, ბლოკშიც თავზე მადგა. მას ექიმები მოწიწებით ეპყრობოდნენ. არც ერთ მნახველს ახლოსაც არ აკარებდნენ პატარებს. შეზღუდვები მხოლოდ კარლოზე არ ვრცელდებოდა...

გივი ალხაზიშვილი, *მწერალი:*

– არიან წყვილები, რომლებიც აღიარებენ ცნობილ სენტენციას – ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. წყვილების საკმაოდ მცირე ნაწილი მიიჩნევს ასე. როცა ფულის ფაქტორი წინა პლანზე იწევს, სხვა ყველაფერი კი მეორეხარისხოვანი ხდება, ასეთი ურთიერთობა ჩემთვის ძალზე საეჭვოა. თუმცა, საარსებო მინიმუმი აუცილებელია, რადგან აბსოლუტურ უფულობას და ხელმოკლეობას ოჯახი ძალაუნებურად, კონფლიქტამდე მიჰყავს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი წყვილი, ბედნიერი ვერ იქნება. ადამიანთა უმეტესობა ორიენტირებულია ბევრი ფულის შოვნაზე. მაგრამ ისინი ვერ ხვდებიან, რომ ფული არ წყვეტს სულიერ პრობლემებს, რადგან სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება ფულზე არ იყიდება. შეიძლება იყიდო ავეჯი, აგარაკი, ფუფუნების საგნები, მაგრამ სიყვარული – არა.

— **იქნებ, სწორედ მამაკაცების ბრალია, ქალებს მდიდრებისკენ რომ გაურბით თვალი?**

– ჩვენში მძიმე სოციალური ფონია შექმნილი. ამიტომაც ფულთან დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. შეიცვალა ფასეულობებიც. ქალმა ,,დევალვაცია'' განიცადა. ,,დევალვირებული'' ქალი არ მაინტერესებს: რა საინტერესოა ქალი, რომელიც იცი, რამდენი ღირს და რომლისთვისაც სულერთია, ქართველი იქნები, ზანგი თუ თათარი?.. მე მაქვს ასეთი ფუნაგორია: ,,შენ ხარ ოქტავა დოს და დოს შუა და სულერთია, ვინ შეგასრულებს''... ქალს თუ ღირსების გრძნობა არ გაჩნია, მის ოჯახში ყოველთვის განმსაზღვრელი იქნება ფულის ფაქტორი. რით განსხვავდება გაუპატიურებული ქალი იმ ქალისგან, რომელიც კაცს საკუთარი სურვილით დანებდა?.. პირველი შეურაცხყოფილი და დამცირებულია, მეორე კი – ბედნიერი; პირველს შელახული აქვს ღირსება, მეორე – ღირსეულია... როცა ქალს ძალიან უყვარს, ფულის ფაქტორი უკანა პლანზე გადადის. სამწუხაროდ, დღევანდელ ოჯახებში ლიდერი ქალია: ის დაათრევს მძიმე ჩანთებს, შრომობს დაუღალავად, მისი ქმარი კი, მხარ-თეძოზეა წამოწოლილი. ისეთ მამაკაცებსაც ვიცნობ, რომლებიც ცოლებს სამუშაოდ თურქეთში აგზავნიან. მერე ზოგი იღებს წერილს ცოლისგან: აქ გავთხოვდი და აღარ ჩამოვალო... კაცი, რომელიც პოლ გოგენივით ფულის საშოვნელად წავა პანამის არხის გასათხრელად, წერაქვით იმუშავებს და მაინც იშოვის, ქალის სიყვარულის ღირსია. უილიამ ფოლკნერს მისისიპიზე აკრძალული სპირტიანი სასმელები გადაჰქონდა ნავით და თავს ამით ირჩენდა!.. არც ერთი მამაკაცი არ უნდა ოჯდეს შინ უსაქმოდ. ყველას შეუძლია, წავიდეს, ურიკა ატაროს და ოჯახში საარსებო მინიმუმი შეიტანოს, რათა ველური კაპიტალიზმის დროს, თავისი ოჯახი გადაარჩინოს. შესაბამისად, შეინარჩუნოს ქალის სიყვარული. არანაირი მძიმე შრომა ღირსებას არ ლახავს. არ მესმის იმ მამაკაცების, რომლებიც შინ სხედან და მძიმე სამუშაოს არ ჰკიდებენ ხელს ასეთი საბაბით – ღირსების შელახვას ვერ დავუშვებო. მეც მეკავა ხელში წერაქვი და ნიჩაბი. სტუდენტობის წლებში მშიერს გულიც წამსვლია...

გოგი თორაძე, *კინორეჟისორი:*

– ფულზე საუბარს ქალისთვის ყოველთვის სასირცხვილოდ მიიჩნევდნენ. თუ რომელიმე გოგონა ანგარებით გათხოვდებოდა, ამის შესახებ ამბავი ელვისუსწრაფესად გავრცელდებოდა ხოლმე. ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდებოდა და სამარცხვინო ფაქტად ითვლებოდა. ახლა ფულთან დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. ჩემი აზრით, გადამწყვეტი ყოველთვის სიყვარული უნდა იყოს. თუმცა, იმ ადამიანებისაც მესმის, რომლებიც წინა პლანზე ფულს სწევენ, იმისათვის, რომ მომავალში შვილები მატერიალურად უზრუნველყოფილი იყვნენ.

— **როცა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ფულის როლზე ვსაუბრობთ, რომელიმე კონკრეტული შემთხვევა ხომ არ გახსენდებათ?**

– ჩემი მეგობარი და ერთი ლამაზი გოგონა დაოჯახებას აპირებდნენ. მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ეს იყო საოცარი სიყვარულის ამბავი, რომელიც გვეგონა, არასოდეს დასრულდებოდა. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. მამაკაცს მარცხი მოუვიდა და უმძიმესი მატერიალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ქალმა იმწუთასვე აქცია ზურგი და მიატოვა. ისე დაშორდნენ ერთმანეთს, თითქოს ერთმანეთი არც ჰყვარებიათ ოდესმე...

— **თქვენი აზრით, სიყვარულის ყიდვა თუა შესაძლებელი?**

– ალბათ, ნანახი გაქვთ მშვენიერი ფილმი – ,,უხამსი წინადადება'', სადაც მილიონერი მამაკაცი მოსიყვარულე ცოლქმარს შუა დგება – ერთი ღამით ყიდულობს ქალს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ წინადადებით იმ ერთადერთ განძსაც ართმევს ახალგაზრდა წყვილს, რომელიც მას აქვს – სიყვარულს... დღეს თითქმის ყველაფერი იყიდება. ჩვენს მძიმე სოციალურ ვითარებაში მსგავსი რამ შეიძლება, ნებისმიერ წყვილს დაემართოს. თუმცა, გადაჭრით არ ღირს იმის მტკიცება, რომ სიყვარულისა და ერთგულების, მეგობრობისა და პატიოსნების ყიდვაც შესაძლებელია... ■

პროსტატ-ჰელსი:
საუბარი მამაკაცის ძალასა და ჯანმრთელობაზე

საინტერესოა, რაზე შეიძლება გესაუბროთ ექიმი, გარდა ჯანმრთელობისა? ჩვენ არ გთავაზობთ ტრაფარეტულ მოწოდებას ცხოვრების ჯანმრთელი წესისაკენ; ჩვენ უბრალოდ გადმოგცემთ მედიკოსების ზოგიერთ მოსაზრებებს, რომლებიც ცდილობენ წინ აღუდგნენ დროის დამანგრეველ ზემოქმედებას. დღევანდელი საუბარი შეეხება მამაკაცებს, რადგანაც განიხილება პროსტატიტთან დაკავშირებული პრობლემები.

პროსტატიტზე უამრავი რამაა დაწერილი. პრაქტიკულად ყველა მამაკაცმა იცის რაღაც მაინც მის შესახებ. მით უმეტეს, რომ პროსტატიტი ამა თუ იმ ფორმით, უამრავ მამაკაცს აწუხებს თუმცა ხშირად ამის შესახებ, შესაძლოა არც კი დაფიქრებულან. გარდა იმისა, რომ ამ დაავადებას მამაკაცისთვის ფიზიკური დისკომფორტი მოაქვს, იგი სამწუხაროდ, ამცირებს სექსუალური აქტივობის ხანას, ართმევს შესაძლებლობას მიიღოს სიამოვნება დედამიწაზე არსებული ყველაზე დიდი ფიზიკური ტკბობისაგან. პროსტატიტი კლავს მამაკაცში – მამაკაცს! (სწორედაც პროსტატის ანთებაა შემთხვევათა 70%-ში – სექსუალური დარღვევების მთავარი მიზეზი.)



პროსტატა – მამაკაცის მეორე გულია; ჯირკვლოვანი ორგანო, გამოიმუშავებს ათობით ჰორმონს, რომლებიც პასუხს აგებენ სექსუალურ ლტოლვაზე (ლიბიდო), პოტენციაზე, ორგაზმის სიღრმეზე, სქესობრივი აქტის ხანგრძლივობაზე, სპერმატოზოიდების აქტივობასა და ა.შ., და ბოლო დროს აღმოჩენილიც კია ჰორმონები, რომლებიც თავის ტვინის ქერქში მამაკაცის ხასიათის ცენტრებს მართავს. ალბათ ამიტომ, ასეთი ავადმყოფები ყოველთვის მიდრეკილნი არიან დეპრესიისკენ, ხოლო გამოცდილ უროლოგს ქრონიკული პროსტატიტის დიაგნოზის დასმა ავადმყოფის სახის გამომეტყველებითაც კი შეუძლია.

ვის ემუქრება პროსტატიტი?

დიაგნოზი – პროსტატიტი მედიცინაში ცნობილია 1857 წლიდან. უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე ამ პრობლემას მსოფლიოს უროლოგების ყოველწლიური მრავალრიცხოვანი კონფერენცია, ყრილობა, სიმპოზიუმი ეძღვნება. უკანასკნელ წლებში, ისევე როგორც, სხვა ქრონიკული დაავადებები, პროსტატიტი მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა. ეს დაავადება დიაგნოსტირდება უკვე 15-17 წლის ასაკის მამაკაცებში, მაშასადამე სქესობრივი ცხოვრების დაწყებისთანავე.

რამ შეიძლება გამოიწვიოს პროსტატიტი?

პროსტატიტის გამომწვევი მიზეზი ბევრია, ახალგაზრდებში ეს, ჩვეულებრივ, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციაა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ქრონიკული პროსტატიტის გამომწვევ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ნაკლებად მოძრავი ცხოვრების სტილი. თანამედროვე უროლოგიაში ქრონიკული პროსტატიტი ასოცირდება „მენეჯერის სინდრომთან“. პროსტატის ჯანმრთელობისათვის საჭიროა მისთვის სისხლის ადეკვატური მიწოდება. ანატომიურად, ჯირკვალი მდებარეობს შორისის მიდამოში და ყოველთვის, როცა ვზივართ, განიცდის ზეწოლას. ამასთან, სისხლის მიმოქცევა მასში მნიშვნელოვნად ფერხდება. ალბათ, ბევრი მამაკაცისთვის ცნობილია დისკომფორტის უსიამოვნო შეგრძნება, ქაჩვითი ხასიათის ტკივილები, რომლებიც მითითებულ ადგილებში წარმოიქმნება. როდესაც ზიხართ, მიმდინარეობს „გადამუშავებული“ ვენური სისხლით (უანგბადითა და საკვები ნივთიერებებით ღარიბი სისხლი) ჯირკვლის გადავსება. სისხლის შეგუბება ხელს უწყობს ჯირკვლის ინფიცირებას, მისი უჯრედების გადაგვარებას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მათ გაავთვისებიანებასაც კი. უკეთეს შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს პროსტატის ადენომა, ხოლო უარესში – პროსტატის კიბოც.

როგორ ავარიდოთ თავი პროსტატიტს?

ძირითადად, ცხოვრებას მჯდომარე მდგომარეობაში ვატარებთ. ვზივართ ტრანსპორტში, საკუთარ ავტომობილში, სამსახურში, სახლში. ცხოვრების ძირითადი ჯდომითი წესიდან გამომდინარე, მოძრაობითი აქტივობა აშკარად არ არის საკმარისი. სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას მცირე მენჯის ღრუში, მაშასადამე პროსტატაშიც, ისე არაფერი უწყობს ხელს, როგორც სირბილი ან „ჯოგინგი“. ფეხის, დუნდულებისა და შორისის კუნთები, შეკუმშვისას და მოდუნებისას ტუმბოსავით მუშაობენ, უჭერენ ვენებს და ხელს უწყობენ მათგან სისხლის გადინებას. ასე რომ, სირბილით, ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარნი თავიდან იცილებენ არა მარტო ინფარქტს, არამედ პროსტატიტსაც, ხოლო მოწესრიგებული სქესობრივი ცხოვრება, პროსტატის ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ფონს ქმნის.

ერთობ ლოგიკური იქნებოდა, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღება გავამახვილოთ უმსხვილესი ამერიკული კომპანია **„შიფ“**-ის ახალ ბიოფორმულაზე – პრეპარატზე **„პროსტატ-ჰელსი“**. პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ფიტოსტეროლები, ლიკოპენი, მიკროელემენტები – ცინკი, სელენი, აგრეთვე კალციუმის – გლუკორატი – აწესრიგებენ პროსტატის სტრუქტურასა და ფუნქციონალურ მდგომარეობას, ასტიმულირებენ ტესტოსტერონის სინთეზს (სექსუალურობის ჰორმონი) და სპერმატოგენეზს, და ამით აღადგენენ მამაკაცის სექსუალურ ცხოვრებას და რეპროდუქციულ პოტენციალს. ეს პრეპარატი დაგეხმარებათ თავი დააღწიოთ დაავადების შემაწუხებელ სიმპტომებსა და მასთან დაკავშირებულ უხერხულობებს, რომლებიც ცხოვრების ჩვეულ რიტმს არღვევენ.

„პროსტატ-ჰელსი“ – მთლიანად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური შანსია, აგრეთვე სექსუალური აქტივობის შენარჩუნების, კომფორტისა და ყოფის სიხარულის შეგრძნების დაბრუნების საშუალება.

აქვე შეგიძლიათ მიიღოთ კვალიფიციური ექიმი-დიეტოლოგის უფასო კონსულტაცია შარდსასქესო სისტემის დაავადებებისას სწორი კვების შერჩევის თაობაზე.

„ჯეოვიტი“ – თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი!

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია
„ჯეოვიტი“
მის: ილია ჭავჭავაძის 41
(ვაკის პარკის პირდაპირ),
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
www.schiffvitamins.com
ჯეოვიტი
GEOVIT

ბავშვობაში თითით საჩვენებელი, ბეჯითი, მაგრამ ცელქი მოსწავლე, ახალგაზრდობაში — დისიდენტი და საბჭოთა კავშირის მოძულე, ამჟამად პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი საკმაოდ საინტერესო ადამიანია — მათემატიკოსიცაა და ჰუმანიტარიც, ცხარე პოლემისტიც და მოგზაურობის დიდი მოყვარულიც. დღეს პოლიტიკაშია, მაგრამ თავს პოლიტიკოსად არ მიიჩნევს... კიდევ ბევრი სხვა რამითაც შეიძლება გააოცოს კაცი...

„ყველაზე სუფთა დიასალისსაც შეიძლება ასეთი რამ მოუვიდეს...“

ეკა მინდაძე

— ბავშვობაში თითით საჩვენებელი მოსწავლე ვიყავი. ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი. ვიმარჯვებდი, როგორც ქართულის, ისე მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და ხაზვის ტურებშიც *(სასკოლო ოლიმპიადებზე. — ავტ.)*. ფრიადოსანი მოსწავლე გახლდით და მედალიც მივიღე სკოლის დამთავრებისას. ჩემი მრავალმხრივი ცოდნა გარკვეულწილად სკოლის დამსახურებაა.

— რომელი სკოლა დაამთავრეთ?

— ბათუმის მე-9 საშუალო სკოლა, სადაც ზღაპრული პედაგოგები იყვნენ. რადგანაც მე ასე ვთქვათ, „არაპროფილირებული მოსწავლის“ ტიპს მივეკუთვნებოდი, ჰუმანიტარულ საგნებშიც და მათემატიკაშიც ძლიერი ვიყავი და არჩევანიც ორივეზე გავაკეთე: ჯერ ერთის „სასარგებლოდ“ — მაშინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში *(ახლა ტექნიკური უნივერსიტეტი. — ავტ.)*, მერე — მეორის „სასარგებლოდ“ — უნივერსიტეტში. პოლიტექნიკურში სწავლას მაშინ დავანებე თავი, როცა დავადგინე, რომ ჩემთვის საინტერესო სფერო — კომპიუტერის მართვა — საბჭოთა კავშირში 30-50 წლით იყო ჩამორჩენილი, ამიტომ გამოდიოდა, რომ იმ საგნების სწავლა მომიწევდა, რომლებსაც არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აი, მაშინ მივატოვე ინსტიტუტი და ხელახლა ჩავაბარე უნივერსიტეტში, კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე.

— მასწავლებელი თუ გამოგიყვანიათ წონასწორობიდან?

— დიახ, ბევრჯერ. მიუხედავად იმისა, რომ ბეჯითი ბავშვი ვიყავი, კარგი ყოფაქცევით არ გამოვირჩეოდი. უზრდელი ნამდვილად არ ვყოფილვარ, მაგრამ იმის გამო, რომ გარკვეულ საგნებში ჩემი ცოდნა მიღებულ ნორმას აღემატებოდა, ხანდახან ვაწვალებდი მასწავლებლებს, რომელთაც შესაძლოა, რაღაც ხარვეზები ჰქონდათ. მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როცა მასწავლებელი გვიზიარებდა არაბული ფილმიდან მიღებულ შთაბეჭდილებას და მე ის გამიკრიტიკებია, რადგანაც არ მომწონდა არაბული ფილმები. ისიც მომხდარა, რომ მათემატიკურ ამოცანაში მასწავლებელს მიუღია არასწორი პასუხი და ამისთვისაც მიმიცია შეფასება... მახსოვს, ერთხელ, მე და ჩემმა მეგობრებმა მასწავლებელზე რადიატორიდან წყალი მივუშვით, იმიტომ, რომ ის საკმაოდ უზრდელი პედაგოგი იყო, უყვარდა ფეხების მერხზე შეწყობა და ცუდი სიტყვების ხმარება... ჰოდა, სულ იმაზე იყო მსჯელობა, უნდა დაეწერათ თუ არა ჩემთვის კარგი ნიშანი ყოფაქცევაში.

— მშობლების დამჯერი შვილი თუ იყავით?

— არა. დამჯერი ბავშვები არ აბარებენ წელიწადში ორჯერ ორ უმაღლეს სასწავლებელში...

— ჩვევა, რომელიც ბავშვობიდან გამოგყვათ?

— ბავშვობიდან გამოყოლილი მთავარი ჩვევა ორი წლის წინ მოვიშორე: 6 წლის ასაკიდან ვეწეოდი თამბაქოს და პირველად და უკანასკნელად, ორი წლის წინ დავანებე თავი. სხვა ჩვევებიც მქონდა, რომლებიც დიდხანს მომყვებოდა ბავშვობიდან — მაგალითად, საჭმლის ჯიბით ტარება... ახლა ჩანთით ვატარებ რაიმე დიეტურს — ხან ვაშლს და ხან კიტრს.

— ბავშვობაში ყველაზე კარგად რით ერთობოდით?

— ძალიან მიყვარდა ფეხბურთის თამაში, მაგრამ 7-8 წლის ასაკიდან რომ დავიწყე გასუქება, კარში მაყენებდნენ, ხოლო შემდეგ, წონის მომატებასთან ერთად, იმდენად არასპორტული გავხდი, რომ კარსაც აღარ მანდობდნენ. ბავშვობიდან მოყოლებული, დღემდე ძალიან მიყვარს მაგიდის ჩოგბურთი. სიმსუქნის მიუხედავად, შემეძლო, მთელი დღე, შეუსვენებლივ მეთამაშა. ბავშვობაში ვთამაშობდი აგრეთვე ჭადრაკს, მაგრამ მერე მივატოვე.

— მკაცრი ლექტორი იყავით?

— მკაცრი ლექტორი ნამდვილად არ ვყოფილვარ. ძალიან ჰუმანური ვიყავი.

— ხუთიანს იოლად იმეტებდით ხოლმე?

— დიახ. არა მგონია, რომ ნიშნის დაწერისას მკაცრი უნდა იყო, იმიტომ, რომ ნიშანთან უშუალოდ არის დაკავშირებული სტიპენდია, სტიპენდია კი ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს.

— სამს ხშირად წერდით?

— სამს იშვიათად ვწერდი — მხოლოდ მისაღებ გამოცდებზე, სადაც საჭირო იყო ობიექტურობა. მაგრამ მე, როგორც ანტიკური ლიტერატურის ისტორიის გამომცდელს, არ მახსოვს, ცუდი ნიშანი დამეწეროს. შეიძლება, ერთიორი შემთხვევა მქონდა, როცა მეტისმეტად სუსტი გამოსაცდელი შემხვდებოდა. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემგან ყველა სტუდენტს მინიმალური ცოდნისთვის ოთხიანი გარანტირებული ჰქონდა.

— გაიხსენეთ თქვენი პირველი სიყვარული.

— ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ეს სიყვარული. მაგრამ როცა გამოვაცხადე — შეყვარებული ვარ-მეთქი — ბაღში დავდიოდი, 6 წლის ვიყავი. მერე, სკოლაში ერთი გოგო მიყვარდა იმიტომ, რომ სუფთა წერაში ხუთიანი ჰქონდა, მე კი — სამიანი (სწორად ვწერდი, მაგრამ ვჯღაბნიდი). მერე მეოთხე კლასში შემიყვარდა გოგონა, რომელიც სხვა სკოლიდან გადმოვიდა.

— როდის და სად გაიცანით თქვენი მეუღლე?

— პირველი სერიოზული და უკანასკნელი სიყვარული მე-7 კლასში მეწვია. მომავალი მეუღლე — ინგა შირავა ექსკურსიაზე გავიცანი, რომელიც დედაჩემმა მოაწყო. დედა ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი იყო, ოღონდ — სხვა სკოლაში მუშაობდა. მას სულ დაჰყავდა მოსწავლეები ამა თუ იმ ადგილის დასათვალიერებლად. ერთ-ერთ ექსკურსიაზე, სადაც დაგეგმილი იყო ჩრდილოეთ ოსეთის ერთ-ერთი სოფლის მონახულება, მეც თან წამიყვანა. მე და ინგა ერთმანეთს პირველად, ავტობუსში შევხვდით. იქ ბათუმიდან წავედით, გზად ჩოხატაური გავიარეთ და შევჩერდით, რათა მამიდაჩემი გვენახა. მე კი მამიდის მოსანახულებლად არ გადმოვედი ავტობუსიდან, რადგანაც საინტერესო პიროვნებასთან მქონდა საუბარი. სწორედ იქ შედგა ჩვენი პირველი, ასე ვთქვათ, დიალოგი.

— როგორი შეყვარებული იყავით?

— მძაფრი...

— რა თვისებებით მოხიბლეთ ერთმანეთი?

— ჩემი მეუღლისთვის ძნელი არ იყო ვინმეს მოხიბვლა, იმიტომ, რომ ის ძალიან ლამაზი და ჭკვიანია. მე კი, ალბათ, უფრო ლაპარაკით მოვხიბლე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თითქმის ყველა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა შემეძლო.

— ყველაზე მეტად, რა თვისებებს აფასებთ ქალში?

— მე ძალიან კრიტიკული ვარ ადამიანების მიმართ. ჩემი აზრით, ქალს, სილამაზესთან ერთად, ჭკუაც უნდა ჰქონდეს. არ მიყვარს გოიმი, ხეპრე, უკულტურო, ქაჯი, პირში მთქმელი და გაუნათლებელი ქალები. ჩემთვის ყველაზე მძიმე სასჯელი, გაუნათლებელ ქალთან ერთად ყოფნა იქნებოდა. მაგრამ არც ისეთი ქალები მომწონს, გამარჯობის თქმაზე რომ წითლდებიან.

— ამბობენ, რომ პოლიტიკოსები ქრონიკულად იტყუებიან. თქვენ თუ იტყუებით ხშირად?

— მე მატყუარა არ ვარ, ყოველ შემთხვევაში, არ შემიძლია მავნე ტყუილის თქმა. მე მხოლოდ „გაფორმება“ და გაზვიადება მეხერხება.

— ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი იყავით. რატომ გადაწყვიტეთ პოლიტიკაში მოსვლა? მშვიდად ცხოვრება არ გერჩივნათ?

— განა, ამ ქვეყანაში მშვიდად ცხოვრება შეიძლება?!. ვფიქრობ, დღეს ასეა საჭირო და უნდა ვიყო იქ, სადაც ვარ. უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუ ცოტათი მაინც დავეხმარები ჩემს ქვეყანას და ხალხს.

— „ნაციონალები-დემოკრატების“ ფრაქციიდან თქვენი გამოსვლა რამ განაპირობა?

— ფრაქცია ჩვენ დავტოვეთ აჭარაში ჩატარებული არჩევნების, ამ რეგიონის შესახებ მიღებული კანონის და საკონსტიტუციო ცვლილებების გამო. ამასთანავე, დავტოვე განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა, ვიქნები მხოლოდ დეპუტატი. ამჟამად, კონსტრუქციულ ოპოზიციას წარმოვადგენთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა საკითხში ვიქნებით ოპოზიციაში.

— თქვენზე ამბობდნენ — დიდი ფული შეჭამაო...

— აგერ მეტყობა, რაც შევჭამე... რა მაცვია ან რა მახურავს?!. სამსახურში ფეხით დავდივარ, მანქანაც ვერ გამიკეთებია... ამას ადრე ამბობდნენ, რატომ ახლა აღარ ამბობენ? იმიტომ, რომ მაშინ ერთ-ერთი კაცი, ვინც ღიად ამბობდა — ხელისუფლებაში სააკაშვილი უნდა მოიდესო, — მე ვიყავი. ამიტომ საჭირო იყო ჩემი ავტორიტეტის წაშლა.

— დღესდღეობით ვინ მიგაჩნიათ ნამდვილ პოლიტიკოსად?

— ნამდვილი პოლიტიკოსია ყველა ის, ვინც პოლიტიკით ცხოვრობს. ნამდვილი პოლიტიკოსები არიან ირაკლი წერეთელი და ნოდარ ნათაძე. მართალია, მათი პოლიტიკა დღეს პოპულარული არ არის, მაგრამ ხვალ, ზეგ შეიძლება, მათი დრო დადგეს. წარმატებული პოლიტიკოსია მიხეილ სააკაშვილი. მაგალითად, ვახტანგ რჩეულიშვილი ჩემთვის ნამდვილი პოლიტიკოსი არ იყო, იმიტომ, რომ მას პოლიტიკის გარეშე ცხოვრება შეეძლო და ძალიან კარგიცაა, რომ შეეძლო. მე ვფიქრობ, პოლიტიკოსობა მთავარი არ არის, ცხოვრებაში ბევრი რამ არის უფრო მნიშვნელოვანი.

— საკუთარ თავს თუ მიიჩნევთ პოლიტიკოსად?

— რა თქმა უნდა, არა. მე უბრალოდ, ვცდილობ, ამ საქმეში ჩემი წვლილი შევიტანო.

— დაასახელეთ თანამდებობა, რომელიც შეგეფერებათ.

— ვფიქრობ, არსებობს თანამდებობები, რომლებიც მე არ შემეფერება, იმიტომ, რომ მისი შესაფერისი ცოდნა არ მაქვს. მაგრამ თუკი ფილოლოგს შეუძლია, რაიმე თანამდებობა დაიკავოს, მე ამისთვის მზად ვარ. ვინაიდან მე თავისუფლების მოყვარული ადამიანი ვარ, არ მსურს თანამდებობაზე ყოფნა.

— შენობა იწვის და შიგ მთელი პოლიტიკური სპექტრია თავმოყრილი, თქვენ კი მხოლოდ ერთი პოლიტიკოსის გადარჩენა შეგიძლიათ...

— ჩემს შემთხვევაში, პასუხი ძალზე მარტივია: რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჩემს ძმას გადავარჩენდი. ამის შემდეგ, მე და დათო პირველად ივლიანე ხაინდრავას დავტაცებდით ხელს.

— თქვენ და თქვენი ძმა მუდამ ერთ აზრზე ხართ?

— დიახ, ჩვენ მთელი ცხოვრება სულ ერთად ვართ და ყველაფერზე საერთო აზრი გვაქვს. ერთმანეთისგან განვსხვავდებოდით მხოლოდ წონით: ადრე მე ვიყავი მასზე დიდი, ახლა დათოა ჩემზე მსუქანი...

— ყველაზე ენამოსწრებული პოლიტიკოსი ვინაა?

— ასეთი პოლიტიკოსი იყო ედუარდ შევარდნაძე, თუმცა ბოლოს, მისი ენამოსწრებულობა ძალიან გვაღიზიანებდა. ენამოსწრებულობით გამოირჩევა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მწარე ენა აქვს ზურაბ ჟვანიას და ჩემს ძმას. სხვათა შორის, საკმაოდ ენამოსწრებულია შალვა ნათელაშვილიც.

— ყველაზე გემოვნებიანი ჩაცმულობით რომელი პარლამენტარი გამოირჩევა?

— პარლამენტში თითქმის ყველა ქალბატონი გემოვნებით იცვამს. მამაკაცებიდან ყველაზე მაგარი ჩამცმელია ლევან გაჩეჩილაძე. ეტყობა, რომ ამ საქმეში ჭიპი აქვს მოჭრილი. გემოვნებიანი ჩამცმელია ბესო ჯუღელიც.

«დ ე ლ ტ ა»
მეტალოპლასტმასის
ძარ-ფანჯრებისა და
ლამინირებული ავეჯის
დამზადება
ბრტყელი გადახურვები
ქუთ: გლაღიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

ტესტი ერუდიციაზე

1. რას სწირავდნენ ძველი რომაელები ბრძოლის შემდეგ იუპიტერს?

ა) მტრისთვის წართმეულ იარაღს;
ბ) მტრისთვის წართმეულ ცხენებს;
გ) წითელ ხარს.

2. რამდენი ხანი გრძელდება ღორის მაკეობა?

ა) წელიწადი და სამი თვე;
ბ) თერთმეტი თვე;
გ) სამი თვე და სამი კვირა.

3. ალექსანდრე მაკედონელი ღამით არასოდეს მართავდა ბრძოლას, რადგან:

ა) ცრუმორწმუნე იყო;
ბ) ამას გამარჯვების „მოპარვად“ მიიჩნევდა;
გ) ღამის ეშინოდა.

4. ინდიელთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დაინახეს თუ როგორ კითხულობდა ერთ-ერთი ესპანელი წერილს. რა გაუკვირდათ ველურ ინდიელებს?

ა) ქაღალდის დანახვა;
ბ) ის, რომ ესპანელმაც იცოდა კითხვა;
გ) ის, რომ წერილი მტრედს არ მოუტანია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მე ცხენში ნაჯდომი კაცი ვარ, მართალია, სისუფთავეს დიდ ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ ერთი ღერი თმისთვის ჭამას თავს არ დავანებებ...

— გაბრაზების შემთხვევაში ხშირად ხმარობთ უწმაწურ სიტყვებს?

— ყოველთვის ვერიდები უწმაწური სიტყვების ხმარებას. ამ ხერხს შეიძლება მივმართო მხოლოდ პირადი შეურაცხყოფის შემთხვევაში — აი, მაშინ შეიძლება დავკარგო თავზე კონტროლი.

— ვთქვათ, ოჯახში სტუმრად ყოფნისას, კერძში თმის ბეწვი შენიშნეთ. როგორ მოიქცევით?

— პირველ რიგში, არ შევიმჩნევ, ბეწვის გამო მთელ კერძზე უარს არ ვიტყვი. მე ცხენში ნაჯდომი კაცი ვარ, მართალია, სისუფთავეს დიდ ყურადღებას ვაქცევ, მაგრამ ერთი ღერი თმისთვის ჭამას თავს არ დავანებებ. მით უმეტეს, თუ კერძი ახლობელმა მოამზადა. ვიცი, ყველაზე სუფთა დიასახლისსაც შეიძლება, ასეთი რამ მოუვიდეს.

— დავუშვათ, ქუჩაში მოულოდნელად ბიჭების ჩხუბს შეესწარით. როგორ მოიქცევით — ჩაერევით თუ გვერდზე გადგებით?

— აუცილებლად ჩავერევი. ჩხუბში არაერთხელ ჩავრეულვარ, როგორც გამშველებელი, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, გამშველებელს რომ მეტი ხვდება?..

— ოდესმე ჩიტი თუ მოგიკლავთ?

— ჩიტებზე მონადირე არასოდეს ვყოფილვარ. ნადირობაც იმიტომ არ მიზიდავს, რომ ცხოველები მიყვარს და მოსაკლავად არ მემეტება. მიუხედავად ამისა, ჯალათის ინსტინქტი ალბათ ჩემშიც არის ისევე, როგორც ყველა ადამიანში. საკმაოდ მოხერხებულად ვკლავდი ქათამს, ერთხელ გოჭიც კი დამიკლავს. ამრიგად, ყველაფერი მეხერხებოდა, რაც კულინარიასთან იყო დაკავშირებული.

— კერძების მომზადება თუ გეხერხებათ?

— დიახ, თითქმის ყველაფრის მომზადება შემიძლია, მათ შორის, საცივისა და ხაჭაპურისაც. მაგრამ ბოლო დროს, რაც დიეტაზე ვარ, ამგვარ კერძებს თავი დავანებე. სხვათა შორის, დიეტურ კერძს თავად ვამზადებ. შემიძლია, უმარილო და უცხიმო ბორშჩის და, ყოველგვარი ცხიმის გარეშე, ნიგვზიანი ბადრიჯნის მომზადება.

— კვლავაც დიეტაზე ხართ?

— დიახ, იმიტომ, რომ სიმსუქნისკენ მიდრეკილება ჩემს ასაკში არ აღმოიფხვრება. ადამიანმა 3 წელი უნდა შეინარჩუნოს ერთი და იგივე წონა, რომ ორგანიზმი „მიხვდეს“ — ეს მისი ნამდვილი წონაა. 2 წელი გავიდა და 1 დამრჩა. არ მინდა, ჩემს დიეტოლოგს ელენე გიორგაძეს გული დავწყვიტო იმით, რომ მისი ნამუშევარი უნებისყოფობის გამო წყალში ჩავყარე.

— მილიონი დოლარი რომ იპოვოთ, როგორ მოიქცევით?

— იმ შემთხვევაში, თუ სამშობლოს დახმარება არ დასჭირდება, ამ თანხით პირველ რიგში, სახლს გავარემონტებ და რაც მთავარია, სახურავს გამოვცვლი, რათა წვიმა აღარ ჩამომივიდეს. თუ მილიონი დოლარის პატრონი ვიქნები, უეჭველად ვიყიდი პატარა ქოხს პარიზში. მაგრამ მგონი, თანხაში ვერ ჩავეტევი, ამიტომ თქვენც აიღეთ და უფრო მეტი გაიმეტეთ!.. სიამოვნებით დავხარჯავდი ფულს მოგზაურობაშიც. მილიონით, თქვენ რომ „მაჩუქეთ“, წავიდოდი რიო-დე-ჟანეიროში.

— ყველაზე კარგად თავს სად და რომელ ამპლუაში გრძნობთ?

— ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს მაშინ, როცა ვლაპარაკობ. ამ მხრივ, ტელევიზიაში მუშაობა ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო იყო.

— როგორ გგონიათ — ვინ იქნებით 10 წლის შემდეგ?

— ბედნიერი ვარ იმით, რომ წინასწარ არ ვიცი, 10 წლის შემდეგ ვინ ვიქნები. შეიძლება, ისევ ლექციების კითხვა დავიწყო, ან ტელეგადაცემის წამყვანი გავხდე, ანდა სულაც, ისევ პოლიტიკოსი ვიყო.

— დაბოლოს, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ვინ არის ლევან ბერძენიშვილი?

— თავისუფალი ტიპი, რომელიც ყოველთვის სიმართლეს ამბობს. თუ თავისუფლად ლაპარაკს ვერ შევძლებ, მზად ვარ, ჩამომართვან სახელი და გვარი.

■

ბედის ირონია

ალბათ ყველას გვიოცნებია რაღაცაზე, მაგრამ ხშირად ხდება ისე, რომ ვოცნებობთ ერთზე, ბედი კი სულ სხვა რამეს გვიმზადებს. ბედის ირონიაც ეს გახლავთ... ჩვენმა მკითხველებმა წინა ნომერში გამოცხადებული თემა აიტაცეს და როგორც მომეჩვენა, საკმაოდ გულახდილადაც გვიამბეს, თუ როგორი ოინი მოუწყვია მათთვის ბედს...

მაშ ასე, ისრულებთ ოცნებას და შოულობთ ბევრ ფულს, სარფიანად აბანდებთ მას და დივიდენდით მშვენივრად ცხოვრობთ?.. გგონიათ, რომ ბოლოს და ბოლოს, შეგიძლიათ უზრუნველად იცხოვროთ, ფეხი ფეხზე გადაიდოთ ან დილიდან საღამომდე საყვარელი საქმიანობით დაკავდეთ — თუნდაც, ლუდის ბოთლების თავსახურები შეაგროვოთ ან ფეხბურთი ითამაშოთ და ბავშვობა გაიხსენოთ?.. გეთანხმებით, საუცხოო ჩანაფიქრია, მაგრამ...

„...ერთი ციდა გოგომ ასე მწარედ გამაცურა“

მარი ჯაფარიძე

„ტკბილ ოჯახზე და ბევრ შვილებზე ვოცნებობდი...“

„ბავშვობა ისე გავატარე, რომ კარგი არაფერი მახსოვს. მამა ადრე გარდაიცვალა, დედამ 3 შვილი ძლივს გაგვზარდა. ყველაზე უფროსი ვიყავი და ამიტომ მთელი სიმძიმე მე დამწვა ზურგზე. გეფიცებით, ვერ გავიხსენებ თუნდაც ერთ დღეს, როცა ახალი შარვალი ან ფეხსაცმელი მეცვა. სხვის გამონაცვალ ტანისამოსში გავიზარდე. 8 წლის ბავშვი, ვჭრიდი და შინ ვეზიდებოდი შეშას, დავდიოდი სათიბში, ვმწყემსავდი საქონელს, ვთოხნიდი ყანას და ვაკეთებდი ოჯახში ყველა იმ საქმეს, რომელიც კაცს ევალება. ჩემი მეგობრები სკოლაში დადიოდნენ, მე — საქონელს ვმწყემსავდი, ისინი ფეხბურთს თამაშობდნენ, მე მხარზე ნავჯახგადადებული, ტყეში შეშის მოსაჭრელად მივდიოდი. მახსოვს, ერთხელ, ურმით თივა მომქონდა და სწორედ სოფლის სტადიონთან ჩავიარე, სადაც ჩემი თანატოლები ბურთს დასდევდნენ. ურემი გავაჩერე და მთელი საათის განმავლობაში შორიდან ვუყურებდი, როგორ ერთობოდნენ ისინი... სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ კარგად მესწავლა, ბევრი ფული მეშოვა, მერე კი, მთელი დღე ფეხბურთი მეთამაშა. სექტემბერში, სკოლაში რომ მივედი, არც ერთ გაკვეთილს აღარ ვაცდენდი. დედა მსაყვედურობდა — ტყუილად ირჯები, შენგან მაინც არაფერი გამოვაო, — მაგრამ ჯიუტად განვაგრძობდი სკოლაში სიარულს და შუაღამისას ვჯდებოდი სამეცადინოდ. როგორც იქნა, სკოლა დავამთავრე. იმ წელსვე სტუდენტი გავხდი. დედას უჭირდა ჩემი შინიდან გაშვება, მაგრამ წინ ვერავინ დამიდგებოდა, ჩემი მიზნის მისაღწევად ყველაფერზე წავიდოდი. თან ვმუშაობდი, თან ვსწავლობდი. ოჯახსაც ვეხმარებოდი და ჩემს თავსაც ვპატრონობდი. ხშირად, ჩემი ვახშამი, მხოლოდ ხახვი და პური ყოფილა, მაგრამ გავუძელი... ჩემი ოცნება ცოტა მოგვიანებით ავიხდინე. როდესაც კომუნისტური სისტემა დაიშალა, რუსეთში წავედი და საკმაოდ ბევრი ფული ვიშოვე. გამიმართლა, რომ ეს ფული კარგ საქმეში დავაბანდე და იქიდან შემოსული დივიდენდი ყოველთვიურად, საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენს. ამჟამად ხელის განძრევაც არ მჭირდება, შემიძლია, მშვიდად ვიძინო, ვისეირნო და რაც მინდა, ის ვაკეთო, ფული კი თავისით მოდის. მაგრამ ბედის ირონია სწორედ ისაა, რომ ფეხბურთის თამაშის სურვილი სულაც არ მაქვს და არც გართობის... 10 წლის წინ დავოჯახდი. ცოლად თბილისელი გოგო მოვიყვანე, რომელიც საკმაოდ გაჭირვებული ოჯახიდან გახლდათ. ვიფიქრე, უფრო დამფასებს, რადგან რაც ენატრება, ყველაფერს შევუსრულებ, ცხოვრების ხიბლს დავანახვებ-მეთქი, მაგრამ... სისხლი მაქვს გამშრალი, ყველაფერი საუკეთესო უნდა — მანქანა, ტანსაცმელი, კურორტი; ერთ შვილზე მეტს არ აჩენს... სულ ვკამათობთ და ვჩხუბობთ. არადა, წყნარ და ტკბილ ოჯახზე ვოცნებობდი, ბევრ შვილზე... პრობლემას არ წარმოადგენს, მისი კაპრიზები რომ ავასრულო, მაგრამ მისი ქცევა ყოველგვარ სურვილს მიკარგავს... დათო, 46 წლის“.

სოციოლოგები ირწმუნებიან, რომ მამაკაცებს გაცილებით უჭირთ ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ქალებს, რადგან ისინი უფრო ძნელად ეგუებიან ოჯახის ბორკილებს... „გზაჯვარედინები“ თავისი არსებობის ერთ წელზე ცოტა მეტს ითვლის და თუ ერთ კვირაში ამ რუბრიკისთვის 500-მდე მესიჯს ვღებულობ, წარმოიდგინეთ, რამდენი მოვიდოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში!.. სწორედ ამიტომ, საშუალება მომეცა, მეც საკუთარი „სოციოლოგიური გამოკვლევა“ ჩამეტარებინა: ცალკე ამოვწერე ის აზრები, რომლებიც მამაკაცებს ქორწინებასთან დაკავშირებით მოსდით თავში. მაშ ასე... ჩვენს მკითხველებში სიტყვა „ქორწინება“ ასეთ ასოციაციას იწვევს: 1. ლამაზი პატარძალი. 2. ბედნიერება. 3. მუდმივი ცეცხლი. 4. კიდევ ერთი უბედური გაება მახეში, მადლობა ღმერთს, მე — არა! 5. ნუთუ, გარდაუვალია?!. 6. ახალი ცხოვრების დასაწყისი, ღმერთო ჩემო! 7. სიყვარული. 8. ვინეგრეტის სალათი და მასში თავჩადებული, მთვრალი სტუმარი. 9. ქალი თეთრი კაბით. 10. პასუხისმგებლობა. 11. ერთი თავისუფალი ქალით ნაკლებია ქვეყნად. 12. მთელი ცხოვრება წინაა — კიდევ მოვასწრებ! 13. უკაცრავად, სად არის აქ სათადარიგო გასასვლელი?.. მაგრამ თუ ერთნი სათადარიგო

გასასვლელს ეძებენ, რომ ქორწინებას აარიდონ თავი, ჩვენი მომდევნო რესპონდენტისთვის ბედის ირონიად სწორედ ქორწინება... უკაცრავად, „ქორწინებები“ ქცეულა. მაშ ასე, მოვუსმინოთ 35 წლის მამაკას.

„ესეც ექვსი!..“

„ცოლი პირველად, 17 წლის ასაკში მოვიყვანე. ჩემი კარის მეზობელი, ჩემი თანატოლი გოგონა იყო. უზომოდ მიყვარდა და მეგონა, მის გარეშე ვერ გავძლებდი... გურული ბიჭი ვარ, ჩოხატაურში დავიბადე და ახლაც აქ ვცხოვრობ. სულ თბილისში ცხოვრებაზე ვოცნებობდი, მაგრამ ესეც ბედის ირონაა, რომ თოხი და ბარი ვერ გამიგდია ხელიდან... ერთი წელი ვიცხოვრეთ ერთად მე და ნაირამ. შემდეგ გამექცა. თუმცა, არც მე დამიხვევია კაბის კალთები – არ წახვიდე და დარჩი-მეთქი... 18 წლისამ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ცოლს აღარასოდეს მოვიყვანდი, მაგრამ ისევ ბედის ირონია: ზაფხულში, ჩემს მეზობლად, სტუმრად ჩამოვიდა ქუთაისელი გოგონა. დავიწყე მისი შებმა. ჩემს ყოფილ ცოლს შეუმჩნეველი არ დარჩენია ეს ფაქტი და ერთხელ, ღვარძლიანად მითხრა: ყველა ჩემნაირი სულელი ხომ არ გგონია?.. ტყუილად ცდილობ მაგ გოგოს მოხიბვლასო. გავბრაზდი და უფრო მოვიწადინე. ნაირასთან განშორების მე-7 თვის თავზე, ისევ მოვიყვანე ცოლი. მეორემ წელიწადი და 4 თვე გამიძლო. თუმცა, არ ვიცი, გასაძლები რა მჭირს. თავს ვევლებოდი ყველა ცოლს, ცივ ნიავს არ ვაკარებდი, საქმესაც კი არ ვაკეთებინებდი, მაგრამ მაინც არ მაფასებდნენ. მეორეც რომ გამექცა, დედაჩემმა თავში ხელი შემოიკრა – დიდუ! დევიღუპე და დევიქეცი! – მაგრამ დავამშვიდე: ვიდრე 30 წლის არ გავხდები, რძალს აღარ მოგიყვან-მეთქი. ჩემი პირობა მალე დამავიწყდა და 23 წლის ასაკში მესამე ცოლი შევირთე, რომელიც სულ 6 თვე მყავდა და ძალით გავაგდე. რაც მართალია – მართალია, თვითონ წასვლა არ უნდოდა, მაგრამ გადამიყვარდა და რა მექნა?.. ჩემი მეგობრების უმეტესი ნაწილი ჯერაც არ დაქორწინებულა, მე კი იცით, რამდენი ცოლი მყავდა?.. – 7. მეოთხე ცოლი იმ პირობით გამომყვა, რომ ქალაქში წავიდოდით საცხოვრებლად. შევპირდი, მაგრამ რომ შეატყო, ვერ ვუსრულებდი დანაპირებს, ქალაქელ ბიჭს გაეკიდა და ცოლი გამითხოვდა... დაბოღმილი ვიყავი, თბილისში წამოვედი ცოტა ხნით, ბინიანი გოგო გავიცანი და ცოლად მოვიყვანე, მაგრამ მის საყვედურებს ველარ გავუძელი; მომბეზრდა ეს ყველაფერი და ჩემი ბარგი-ბარხანიანად ჩოხატაურში დავბრუნდი, ოღონდ – თან ერთი ქერა ლამაზმანი წამოვიყვანე და ჯვარი „ვიფსკვენით“. ესეც ექვსი!.. ისიც მალე გამექცა. 3 წლის წინ კი, მეშვიდედ დავქორწინდი და 2 თვის წინ, ისიც გაიქცა. ახლა მართლა მტკიცედ გადავწყვიტე, რომ 50 წლამდე ცალად ვივლი... თუმცა, „სიყვარულს რას გოუგებ, ჩემო ოღღა?..“

გული მიგრძნობს, რომ მამუკა პირობას ვერ შეასრულებს, რადგან როგორც ბრძენკაცს უთქვამს – ჩვეულება რვეულზე უმტკიცესიაო... ჩვენ კი მომდევნო რესპონდენტს მივცეთ სიტყვა.

გარშემო მყოფნი ხშირად გვეუბნებიან, თხოვნის ან ბრძანების კილოთი, სიტყვას – „დამიჯერე“. მაგრამ თუ ჩვენს მკითხველს, 30 წლის პოლიციელ შალვას დავუჯერებთ, ყოველთვის არ უნდა ვირწმუნოთ, როცა ცდილობენ, ფიცით დაგვაჯერონ რაღაცა...

„...თურმე, ძველ საყვარელს ხვდებოდა“

„იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, პოლიციაში დავიწყე მუშაობა. სად ვმუშაობ და რა „ზვანია“ მაქვს, ამას არ გეტყვით, მაგრამ საკმაოდ გამოცდილ და კვალიფიციურ თანამშრომლად ვითვლები. კარგი, თემას აღარ გადავუხვევ და მოგიყვებით, რაში მდგომარეობს ჩემი ბედის ირონია. 3 წლის წინ, თბილისში საზარელი მკვლელობა მოხდა. დამნაშავე გაქცეულია. დავიწყეთ მისი ძებნა. სულ იოლად დავდგინეთ, რომ დათოს (ეჭვმიტანილი) ჰყავდა საყვარელი და იმ გოგონას კოორდინატების დადგენაც არ გაგვჭირვებია. მე მასთან დაახლოება და მისი საშუალებით დამნაშავის ადგილსამყოფლის დადგენა დამევალა. როდესაც პირველად დავინახე, ხათუნას მიმართ ცუდი განწყობა დამეუფლა. არც გარეგნობით გამოირჩეოდა. მაგრამ ის უფრო მაღიზიანებდა, რომ მკვლელთან ჰქონდა კავშირი. სამსახურებრივმა მოვალეობამ არ იცის, მოგეწონა – არ მოგეწონა და გინდა – არ გინდა... ვითომ შემთხვევით, გავიცანი ეს გოგო და დავიწყე მისი შებმა. თავს ვფასებინებდი, ვარწმუნებდი, რომ ძალიან მიყვარდა და თავგზა მქონდა აბნეული... 3 თვის მერე, როგორც იქნა, ლოგინში ჩავიწვინე. ძალზე ფრთხილად ვმოქმედებდი, ამიტომ ზედმეტი კითხვებისგან თავს ვიკავებდი. გარკვეული დროის შემდეგ ვკითხე – ჩემამდე ვინ გყავდა-მეთქი? – არ დაუმალავს, ყველაფერი გულახდილად მიამბო. იმ დღეს აღარაფერი მიკითხავს. შემდეგ დავიწყე ეჭვიანობის სცენების გათამაშება: შენ ისევ ხვდები იმ ბიჭს, იცი მისი ადგილსამყოფელი და მეუბნები, რომ გაქცეულია-მეთქი, – თან ვუბრაზდებოდი, თან ვეფერებოდი... მეუბნებოდა: დამიჯერე, მართლა არ ვიცი, სად არის, დედას გეფიცები, იმის მერე არ მინახავსო, – და თვალები ცრემლებით ევსებოდა... დროგამოშვებით კვლავ ვიწყებდი „ეჭვიანობას“ და ა.შ... გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხდი, რომ ხათუნა ძალზე შემიყვარდა. უკვე ჩემი სურვილით მივდიოდი მასთან შესახვედრად, თან მართლა ვეჭვიანობდი, მაგრამ ის ისევ იფიცებოდა... ტიროდა... ამასობაში, კარგა ხანი გავიდა. საქმე გაუხსნელად დაიხურა, მე კი ხათუნას ველარ ვეშვებოდი, ამის სურვილი არც მქონდა. გადავწყვიტე, ცოლად მომყვანა. რომ ვუთხარი, არ მიჯერებდა, – მატყუებო, – მეუბნებოდა. ახლა მე ვეფიცებოდი... დავნიშნეთ ქორწილის დღე. ყველა თანამშრომელმა და მეგობარმა გაიგო, რომ ცოლს ვირთავდი, ძალზე ბედნიერიც ვიყავი და საცოლის წარსულზე არც ვფიქრობდი. წელს, 6 მარტს მოვიპატიჟეთ სტუმრები. 4-ში ხათუნამ დამირეკა და მითხრა, რომ ჩვენი ქორწინება არ შედგებოდა, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში, ის ძველ საყვარელს ხვდებოდა, ახლა კი, აეროპორტიდან მირეკავდა და წუთი წუთზე დათოსთან ერთად უკვე ჰაერში იქნებოდა, რომ საკუთარი ბედნიერებისთვის მიეკვლია... დამიჯერეთ (ისევ ის საშინელი სიტყვა!) – არანაირ ღონისძიებას არ მივმართე, რომ მათთვის ხელი შემეშალა. აეროპორტში რომ დამერეკა, ალბათ, დააბრუნებდნენ, მაგრამ ასე არ მოვიქეცი... აი, ბედის ირონია ეს არის სწორედ, რომ ამ ერთი ციდა გოგომ ასე მწარედ გამაცურა“.

თუ ტელეეკრანზე გამოსახულება აირია, ზოგჯერ საკმარისია, „ყუთს“ „თავში“ ჩასცხოთ და უცებ გასწორდება. მაგრამ თუ ტელევიზორი გამართულად მუშაობს და თქვენ თვალებში გამოსახულება გიორდებათ, საკუთარ თავში ჩაკაკუნება შედეგს ვერ მოგიტანთ და ისეთივე კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდებით, როგორშიც მომდევნო რესპონდენტი.

ოკულისტი თუ ტელევიზორის ხელოსანი?

„40 წლის გაუთხოვარი ქალი ვარ. ვცხოვრობ სრულიად მარტო. ერთ საღამოს შევნიშნე, რომ ტელევიზორის ეკრანი აირია და გაორებულ გამოსახულებას უჩვენებდა, თანაც – ცოტა ბუნდოვნად. მივედი და ტელევიზორს ჩავუკაკუნე; შევხედე – ცოტა გასწორდა. დავჯექი საყურებლად – ისევ აირია. ისევ ჩავცხე, იგივე გამეორდა. მეორე დღეს, ტაქსი დავიქირავე, მესამე სართულიდან ტელევიზორი ხვნეშა-ხვნეშით ჩამოვიტანე და ხელოსანს მივუტანე. 10 ლარი გადავიხადე შეკეთებაში და ისევ ხვნეშა-ხვნეშით მოვათრიე შინ. იმავე საღამოს აურია. ისევ მივუტანე. ხელოსანი მიმტკიცებდა – სუფთად უჩვენებსო, დანარჩენი, იქ მყოფი ხელოსნებიც იმავეს მიმტკიცებდნენ. სულ ერთ-

მანეთის „კუდები“ ვუძახე, ვეჩხუბე, გავლანძღე და სხვა ხელოსანთან წავიღე. იქაც 10 ლარი გადავიხადე, მაგრამ შინ მოსულმა აღმოვაჩინე, რომ ისევ ცუდად აჩვენებდა... მოკლედ, მოვიარე ყველა ხელოსანი, ყველგან პირველ მისვლაზე 10 ლარს ვიხდიდი, მეორედ მისვლაზე კი მიმტკიცებდნენ, კარგად უჩვენებსო. ბოლოს, აქეთ-იქით ტარებით რომ დავიღალე, ხელოსანი შინ გამოვიძახე. პატიოსანი კაცი აღმოჩნდა, მაშინვე მითხრა — ტელევიზორს არაფერი ჭირს, სარკესავით გამოსახულება აქვსო. მოვუყევი ხელოსნებთან ვიზიტების შესახებ. თავი გადააქნია: იმ ფულით, რაც ტაქსიში და ხელოსნებში გადაიხადეთ, ახალ ტელევიზორს იყიდდითო, — მითხრა და დაამატა: — ქალბატონო, თვალის ექიმთან წადით, იქნებ, თვალთ დაგაკლდათო. მისი რჩევა ყურად ვიღე და აღმოჩნდა, რომ სათვალე მჭირდებოდა. ახლა მეც მშვიდად ვარ და აღარც ტელევიზორს ვუბრახუნებ წარამარა. ბედის ირონია არ არის? აბა, რა ჯანდაბაა?!“

დაწერეთ განცხადება შვებულებაში წასვლაზე?.. უფროსმა ხელი მოგიწერათ?.. გილოცავთ! მშვენიერია, ნამდვილად სასარგებლო და სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ შვებულების ისე გატარება, როგორც ეს წარმოგიდგენიათ, ვფიქრობ, რჩეულთა ხვედრია... საოფისე მაგიდასთან დაბრუნებული, ხვდებით, რომ შორიდან სულ სხვანაირი ჩანდა პალმების ტყე, ვიდრე ახლოდან აღმოჩნდა და ფიქრობთ — იქნებ, ოთახის ფიკუსის ჩრდილში უკეთ იგრძნობდით თავს?.. რატომ? მოუსმინეთ მომდევნო რესპონდენტს და თავად მიხვდებით.

„ჯობდა, აბაზანაში მეჭყუმპალავა...“

„კარგა ხანია, შვებულება არ მქონია და ოცნებად მქონდა ქცეული, რომ ზღვაზე დამესვენა. 3 წლის წინ, მეუღლეს გავეყარე. ჯერ იყო და განწყობა არ მქონდა საშვებულებო, მერე იყო და... ფული არ მქონდა. ამიტომ გადავწყვიტე, ყოველი ხელფასიდან ცოტა თანხა გადამენახა და ზაფხულში ზღვაზე დამესვენა. როგორც იქნა, 300 ლარს მოვუყარე თავი, განცხადება დავწერე, უფროსმა ხელი მომიწერა და მორჩა — ჩიტივით თავისუფალი ვიყავი, მთელი 3 კვირა წინ მქონდა და წინასწარ ვტკბებოდი იმაზე ფიქრით, თუ როგორ გავატარებდი შვებულებას. ხან პლაჟზე წარმოვიდგინე თავი, ხან ზღვაში, ხან ბარში, ხან კი — უცხო მამაკაცთან ხელკავით მოსეირნე... ეს უცხო მამაკაცი, რა თქმა უნდა, იქ გაცნობილი იქნებოდა, ერთმანეთს კარგად გავუგებდით და... ამის შემდეგ რაც იქნებოდა, იმაზე უკვე აღარ ვოცნებობდი... როგორც იქნა, მოვიდა ნანატრი საღამო და მატარებლის ფანჯრიდან ხელი დავუქნიე დედას და დას. მარტო ვმგზავრობდი, იქ კი მეგობრები დამხვდებოდნენ. გზაში ძალიან გავწვალდი, რადგან უზომოდ ცხელოდა და დაძინებას ვერ ვახერხებდი. მეზობელ კუპეში ვიღაცები სვამდნენ და ყაყანებდნენ... ურეკში რომ ჩავედი, შვებით ამოვისუნთქე. პირველივე დღეს, პლაჟზე ისე დავიწვი, რომ გაჩენის დღეს ვიწყევლიდი; მთელი ღამე პირქვე ვიწექი და ვკვნესოდი. მომდევნო ერთი კვირა, დამწვარი ადგილების მოშუშებას მოვანდომე, პლაჟზე ვერ გავდიოდი. სამაგიეროდ, იქვე, მეზობლებთან ჯოკერს ვთამაშობდი და არცთუ ისე ცუდად ვერთობოდი. როდესაც პლაჟზე ისევ გავედი, პირველივე დღეს, ერთ ახალგაზრდა მამაკაცს დავადგი თვალი. ისიც ჩემსავით დამწვარი იყო. გამოველაპარაკე, შევთავაზე — თუ ზურგი ძალზე გეწვით, შინ სპეციალური მალამო მაქვს, წაგისვამთ და უცებ მოგიშუშდებათ-მეთქი. სიამოვნებით გამომყვა. სკამზე დავსვი, ზურგს უკან დავუჯექი და ჩვეულებრივი, ხელის კრემი წავუსვი, ნელ-ნელა და თან ისე, თითქოს ვეფერებოდი... მივხვდი, ჩემს „პაციენტს“ მოსწონდა ფარული ალერსი და ხმას არ იღებდა. მადლობა გადამიხადა და წავიდა. მეორე დღეს, თვითონ მთხოვა: — შენი მალამო მომიხდა და კიდევ მიწილადეო. ისევ წავუსვი კრემი და რომ მოვრჩი, დამეტაკა და კოცნა დამიწყო... მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ხელკავით ვისეირნეთ, ღამეებიც ერთად ვიყავით და შემიყვარდა კიდეც. მაგრამ ჩვენს ურთიერთობას, როგორც ჩანს, „ჰეფი ენდი“ არ ეწერა, რადგან ურეკიდან ისე გაიპარა ჩემი კავალერი, რომ ვერც კი გავიგე... იცით, როგორ მიყვარს?.. მენატრება და თვალწინ მისი სახე მიდგას... ვნანობ, უზომოდ ვნანობ, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა. საზაფხულო რომანი ალბათ, მართლაც, ხანმოკლეა... სამსახურში რომ დავბრუნდი, ყველამ შემამჩნია, რომ ძალზე სევდიანი ვიყავი. ვგრძნობ, რომ ჩურჩულებენ კიდეც, იდუმალი სახით. იქნებ, მეჩვენება, მაგრამ... ეჰ, ჯობდა, სულ არ წავსულიყავი შვებულებაში და შინ აბაზანაში მეჭყუმპალავა... იქნებ, წაიკითხოს და მიხვდეს, რომ ველოდები. პატივისცემით, მარი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

„მიყვარს, მაგრამ გათხოვილია“...

„ბედის ირონიაა — მე მიყვარს, ის კი არც მირეკავს! დამირეკე, გ. ნიკ-ო, გთხოვ! ნუთუ დაგავიწყდა ჩემი ვნებიანი კოცნა?!.“

„ბედის ირონია, არა?.. გოგო, რომელიც მომეწონა, მაგრამ გამოლაპარაკება ვერ გავუბედე და მხოლოდ შორიდან ვუყურებდი, ჩემი დეიდაშვილის შეყვარებული აღმოჩნდა. მ.მ.“

„იცით, რა არის ბედის ირონია?.. როცა გაქვს მობილური, რეკავს მაღვიძარა, ელი „მის“ მესიჯს და მოდის შეტყობინება „მაგთიკომიდან“... ჩემს სიცოცხლეს ქალაქში ყველა ჩემი ახლობელი ხედავს, ჩემ გარდა...“

„ბედის ირონიაა, აბა, რა არის, როცა რასაც ფიქრობ, იმას არ ამბობ და ამით უსაყვარლეს ადამიანს კარგავ...“

„ერთხელ „ვემესიჯე“ ბიჭს, რომელიც არ მიცნობს, მერე კი ჩემმა მეგობარმა ბიჭმა გამაცნო — აი, ბედის ირონია!..“

„ერთი მეზობელი მყავს, მოჰყავს და მოჰყავს ცოლები... თითოეულს კი, სიგიჟემდე უყვარს. არადა, ჯერ 30 წლისაც არ არის... ნანა“.

„ჩემი ბედის ირონია არის ჩემი „დრუნჩა“, რომელიც უზომოდ მენატრება. თქვენი დახმარებით მინდა ვუთხრა, რომ ყოველთვის მეყვარება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გათხოვილია. შენი დუდნა“.

„ბედის ირონიაა, დ. მ-ძე ფოთში დასეირნობდეს, მე კი მისი სიყვარულით აქ ვიწვოდე. ჩემი ცოდვა არ გაახარებს... ბ.ბ.“

„იმერელი გოგო ვარ, თანაც — დედისერთა. მშობლებს ჩემი სახლიდან გაშვება ყოველთვის უჭირთ. უნდათ, რომ სულ მათ გვერდით ვიყო. იცით, ბედის ირონია რა არის?.. კახელი ბიჭი შემიყვარდა და ერთ წელიწადში დაქორწინებას ვაპირებთ. ამ მესიჯს დედაჩემი აუცილებლად წაიკითხავს, მაგრამ მერე რა? — მაინც ვერაფერს მიხვდება“.

„ბიჭს, რომელიც ჩემს უახლოეს მეგობრად მიმაჩნდა, შევუყვარდი და მეც შემიყვარდა. არადა, საერთოდ არ მინდოდა მისი შეყვარება. აი, ბედის ირონია“.

„რა ვქნა? ჩემს მეგობარს ტელეფონით შეუყვარდა პატიმარი. ნანახი კი არ ჰყავს. იმ ბიჭს ციხეში მეტი საქმე არ აქვს და ატყუებს... გამოფხიზლდი, მეგობარო!“

„ამას წინათ, ტელეფონზე ავკრიბე უცნობი ნომერი და ერთი გოგო გავიცანი; ძალიან ნაცნობი ხმა ჰქონდა, მაგრამ ვერ ვიცანი. დავუნიშნე პაემანი და აღმოჩნდა, რომ ჩემი ახლო ნათესავი ყოფილა. ნოდარი“.

„ვიცი, თაზო „გზის“ ყველა ნომერს კითხულობს. ის გორში ცხოვრობს, ფეხბურთელია. უზომოდ მენატრება. მან ხომ 3 ბედნიერი ღამე მაჩუქა?!. მიყვარს, მაგრამ ბედი არ გინდა? — დამივიწყა!.. გვანცა“.

დღევანდელ „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად კი გთავაზობთ: როცა ეშმაკი შემჩნდა... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 8(77) 45.68.61. მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.

სპორტის სახეობა ხასიათის მიხედვით

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მოზარდი ჩვეულებრივ, სპორტის იმ სახეობას ირჩევს ხოლმე, რომელსაც მისი ახლობლები მისდევენ. მშობლები ცდილობენ, თავიანთი პირმშო იმ სპორტულ სექციაში ჩაწერონ, რომელიც მათ სახლთან ახლოსაა და არ იციან, რომ ადამიანი კომფორტულად თავს მხოლოდ იმ სპორტის სახეობაში ვარჯიშისას გრძნობს, რომელიც მისი პიროვნების ტიპს შეესაბამება.

სპრინტერი და სტაიერი

თუ თქვენი შვილი **ექსტრავერტია** (უყვარს ურთიერთობები, იმპულსურია, მოსწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა, არასოდეს ირცხვენს) — მას დაინტერესებს სპორტის ჩქაროსნულ-ძალოსნური სახეობები, სადაც ენერგიის ხანმოკლე აფეთქებაა საჭირო: ცურვა მოკლე დისტანციაზე, 100 მ-ზე სირბილი... ასეთი ბავშვები კარგ შედეგებს აღწევენ ჭიდაობაში, სამთო-სათხილამურო სპორტში, ჩოგბურთში. მათგან შეიძლება, კარგი ტანმოვარჯიშეები და აკრობატებიც გამოვიდნენ. ისინი იოლად და სწრაფად ითვისებენ ახალ სამოძრაო ჩვევებს, ნაკლებად განიცდიან სტრესს და რისკიანები არიან.

თუ თქვენი შვილი **ინტრავერტია** (გულჩათხრობილი, პასიური და მორცხვია, უყვარს თვითანალიზი, მისთვის უფრო საინტერესოა მარტო ან ახლო მეგობართან ერთად ყოფნა, ვიდრე ხმაურიანი კომპანია), მისთვის ყველაზე შესაფერისია სპორტის ციკლური სახეობები (მრავალჭიდები)... ინტრავერტები კარგად იტანენ მონოტონურ ვარჯიშებს, ისინი დისციპლინირებული და ამტანები არიან, ყურადღება იშვიათად ეფანტებათ, ამიტომ შეუძლიათ, კარგად გამოვიდნენ დიდ დისტანციებზე.

გუნდურად თუ ცალ-ცალკე?

ინდივიდუალისტები სიამოვნებით ვარჯიშობენ სპორტის იმ სახეობებში, სადაც თითოეული მონაწილე ცალ-ცალკე გამოდის. ასეთები არიან ე.წ. შიზოიდური და ჰიპერთიმული ბავშვები.

შიზოიდური ტიპისანი, ჩაკეტილები, ჯიუტები არიან, საკუთარ ფიქრებზე კონცენტრირება ახასიათებთ, ძნელად ურთიერთობენ, არ ახასიათებთ სხვების თანაგრძნობა; ***ჰიპერთიმულები*** — პირიქით, მოძრავები, საკმაოდ დამოუკიდებლები და თავდაჯერებულები არიან, გამოირჩევიან სასიცოცხლო ტონუსით. ორივე ეს ტიპი მხოლოდ ინდივიდუალურ სახეობებში იგრძნობს თავს კომფორტულად.

გუნდურ სახეობებში კი, კარგად გრძნობენ თავს კონფორმული და სენზიტიური ბავშვები.

კონფორმულები ყოველთვის ისე იქცევიან, „როგორც ყველა“. ისინი მეგობრულები, თავაზიანები, მორჩილები არიან, მაგრამ არ გამოირჩევიან დამოუკიდებლობით. გუნდში ისინი ძლიერებისა და აქტიურებისკენ მიისწრაფვიან და არასოდეს არღვევენ თამაშის წესებს.

სენზიტიური მოზარდები კი შედარებით მორცხვები, მეტისმეტად ემოციურები, ბუტიები და პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილები არიან. ისინი შეჯიბრებებზე უფრო ცუდ შედეგებს უჩვენებენ, ვიდრე ვარჯიშზე. ასეთი ბავშვებისთვის შესაფერისია ფეხბურთი, ფრენბურთი ან უბრალოდ, გასართობი სექციები და არა საპასუხისმგებლო ასპარეზობაში მონაწილეობა.

დამღუპველი აზარტი

წაგება არავის უყვარს, მაგრამ ***ისტეროიდული*** ტიპის ბავშვებს აზარტი უბრალოდ, აბრმავებს. წაგება მათთვის ტრაგედიაა. ასეთ მოზარდებს გამუდმებით ყურადღების ცენტრში ყოფნა სურთ, განდიდების მანიით არიან შეპყრობილი და ამის გამო შანტაჟზეც კი შეუძლიათ წასვლა. ასეთი ბავშვებისთვის არასასურველია სპორტის ისეთი სახეობები, სადაც შეჯიბრებებზე ქულები მონაცვლეობით, ხან ერთ მოწინააღმდეგეს ეწერება, ხან — მეორეს. შესთავაზეთ მათ სპორტის ისეთი სახეობა, სადაც ქულები და დროის მაჩვენებლები შეჯიბრის ბოლოს ფიქსირდება — მაგალითად, ტანვარჯიში, ფიგურული სრიალი.

მხოლოდ ექიმის კონტროლით

ლაბილური და ეპილეპტოიდური ტიპის ბავშვებისთვის სპორტით დატვირთვისას სიფრთხილეა საჭირო.

ლაბილური ტიპის გამოცნობა ძნელი არ არის: მათ ადვილად ეცვლებათ განწყობილება — ხან კეთილები არიან, ხან უხეშები, ხშირად ავადმყოფობენ, იოლად ცივდებიან და დაავადება უხანგრძლივდებათ ხოლმე. ნერვული სისტემის გაუწონასწორებლობას ხშირად თან ერთვის გულ-სისხლძარღვთა სისტემის ცვლილებები, ამიტომ მათ სისტემატურად უნდა გაუკეთდეს ელექტროკარდიოგრაფია. არავითარი შეჯიბრებები — ასეთ მოზარდებს მხოლოდ სპორტის მშვიდი სახეობები (იოგა, უშუ, მხატვრული ტანვარჯიში) შეურჩიეთ.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური ცვლილებები ხშირად აქვთ ***ეპილეპტოიდური*** ტიპის ბავშვებსაც. ისინი წვრილმანი ადამიანები არიან გამოირჩევიან ლიდერობის წყურვილით, კონსერვატიზმით. ასეთი ხასიათის მოზარდებს უნდა ვასწავლოთ მოდუნება. სპორტის საუკეთესო სახეობა მათთვის, ცურვაა.

თუ ყველაფერი წინასწარ იცით...

● შეგიძლიათ ურჩიოთ ბავშვს: „ეს სპორტული სექცია აუცილებლად მოგეწონება“ – და ამგვარად, დაიცავთ თქვენს შვილს იმ დატვირთვებისა და იმედგაცრუებებისგან, რომლებიც „მისთვის შეუსაბამო“ სახეობაში ელის.

● თქვენთვის ნათელია, რომ ნერვული სისტემის თავისებურებების გამო, თქვენი შვილი ვერ გაიმარჯვებს საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში, ამიტომ წაგების შემთხვევაში კი არ დასცინებთ მას, არამედ ეცდებით, დაამშვიდოთ და გაამხნევოთ.

● მოუყევით მწვრთნელს თქვენი შვილის ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ: მათი ურთიერთობა უფრო გაიოლდება.

● თუ მოზარდი მეგობართა რჩევით ან რეკლამის მიხედვით მისთვის შეუსაბამო სპორტის სახეობას აირჩევს, ნუ იჩქარებთ ძვირად ღირებული ფორმის შეძენას და ნურც იმაზე გაუწყრებით, თუ ვარჯიშს თავს დაანებებს – თქვენ ხომ წინასწარ იცოდით, რომ ეს ასე იქნებოდა... ■

ფუტკრის ნობათი

ევოლუციონისტთა მონაცემებით, ფუტკარი რამდენიმე მილიონი წლისაა. ხოლო თაფლის გამოყენება ადამიანმა 9 ათასი წლის წინ დაიწყო. მანამდე კი, ან ადამიანს აკლდა გონიერება, ანდა ფუტკარი იყო სხვანაირი. ასეა თუ ისე, როგორც კი თაფლის სამკურნალო თვისებებს გემო გავუგეთ, მას შემდეგ მისი გამოყენება სრული პროგრამით დავიწყეთ — საქმეში ჩაერთო ფუტკრის შხამიცა და რძეც, პროპოლისიცა და ცვილიც. ყოველივე ამის შედეგად კი შეიქმნა მედიცინის ახალი დარგი — აპითერაპია.

● თაფლის სამკურნალო თვისებების ახსნა შესაძლებელია. იგი ძირითადად, გლუკოზისა და ფრუქტოზისგან შედგება, რომლებიც წყალთან ერთად სქელ ვაჟინს ქმნის. შაქრის ასეთი მაღალი კონცენტრაციის გამო თაფლს შეუძლია, ჭრილობიდან სითხის გადმოქაჩვა; ამასთანავე, ანადგურებს ჩირქმბად მიკროორგანიზმებს. ახალი თაფლი შეიცავს ფერმენტებს, რომლებიც წარმოქმნის წყალბადის ზეჟანგს, რომელსაც ანტისეპტიკური თვისებები აქვს. ეს ფერმენტები იშლება გაცხელებისას და სინათლეზე. აღნიშნული ფაქტორები კი, ჭარბად მოქმედებს თაფლზე სამრეწველო წარმოების პირობებში.

● ქსოვილთა რეგენერაციისა და ჭრილობების შეხორცებისთვის ხელშეწყობის უნარი, თაფლში ყვავილების მტვრის, პროპოლისისა და ეთერზეთების წარმატებული თანხვედრით აიხსნება.

● თაფლი ისე მოქმედებს კუჭის წყლულის გამომწვევ ჰელიკობაქტერიაზე, როგორც პენიცილინი ჩირქმბად მიკრობებზე.

● თაფლი ეფექტურად გამოიყენება მაშინაც, როცა მომატებულია სისხლის სიბლანტე, დარღვეულია მასში ცხიმების თანაფარდობა, მატულობს არტერიული წნევა.

● უკვე 1000 წელია, რაც იაპონიაში თაფლს აქტიურად იყენებენ ანემიის სამკურნალოდ. პაციენტებზე დადებითად მოქმედებს თაფლში დიდი რაოდენობით შემავალი ფოლიუმის მჟავა, მაგნიუმი და რკინა – მატულობს ჰემოგლობინი.

● ხშირად თაფლი ელეუტეროკოკთან, ჟენ-შენთან და სხვა ადაპტოგენებთან შერეული იყიდება. ეს შემთხვევითი არ არის. სწორედ თაფლი გახლავთ აქტიურ ნივთიერებათა იდეალური გამხსნელი.

● ფუტკრის შხამს დიდი დოზებით შეუძლია, ანაფილაქსიური შოკი გამოიწვიოს. თერაპევტის მიერ შერჩეული დოზით კი, იგი შესანიშნავი წამალია. იგი გამოიყენება ანთებების დროს, ტკივილის შესამსუბუქებლად სახსრებსა და კუნთებში, ნევრალგიების, ოსტეოქონდროზის, ჰიპერტონიული დაავადების, შაკიკის, ძნელად შეხორცებადი წყლულებისა და ჭრილობების, თრომბოფლებიტის, მაობლიტირებელი ენდარტერიიტის და ზოგიერთი სხვა დაავადების დროს.

● ფუტკრის შხამი კარგ შედეგს იძლევა ბრონქული ასთმის დროსაც. აპითერაპია გამოიყენება ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების, კლიმაქსური ნევროზების დროს. მკურნალობის შემდეგ, ქრება ალების შეგრძნება, უმჯობესდება ძილი, მადა, განწყობილება, მცირდება ვეგეტაციური გამოვლინებები, ნორმალიზდება წნევა. ექიმები აპითერაპიას უნიშნავენ საშვილოსნოს დანამატების ქრონიკული ანთებით დაავადებულ პაციენტებს.

● ანაბოლური სტეროიდების ეპოქამდე, თაფლი საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა სპორტსმენებისთვის. იგი ასეთადვე რჩება ყველა ჭკვიანი ადამიანისთვის. კულტურისტებიც კი პოდიუმზე გამოსვლის წინ, ერთ ჭიქამდე თაფლს მიირთმევდნენ – ამით კუნთები და ვენები საუცხოო რელიეფურობას იძენს. მძიმე ფიზიკური შრომით დაკავებულმა ადამიანებმა კი იციან, რომ თაფლი მშვენივრად ხსნის დაღლილობას. ვერანაირი შოკოლადი თაფლს კონკურენციას ვერ გაუწევს. საქმე ისაა, რომ თაფლის შემადგენლობაში შედის ნივთიერება გლიტიკული, რომელიც უზრუნველყოფს კუნთოვან უჯრედებში საკვები ნივთიერებების სწრაფად გადასვლას. ■



სოფი ლორენმა უკვე 70 წელს მიუკაკუნა, მაგრამ მისი სილამაზე დღესაც შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ბევრის აზრით კი, ის პლანეტის უბერებელ ქალთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია. რაშია მისი სილამაზის საიდუმლო? — ეს ბევრს აინტერესებს და ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მისი წიგნი — „ქალები და სილამაზე“ საკმაოდ დიდი ტირაჟით გამოიცა და სწრაფადაც გაიყიდა. თვითონ სოფი ლორენს უკვირს, რომ დღესაც ლამაზ ქალად თვლიან, მიუხედავად იმისა, რომ დიდი პირი, გრძელი ცხვირი, სქელი ტუჩები და საკმაოდ მასიური ნიკაპი აქვს. მაშ, რას ფიქრობს ზოგადად ქალის სილამაზის შესახებ ვარსკვლავი და რა რჩევებს აძლევს ის თავისი წიგნის საშუალებით ქალბატონებს? — ყოველივე ამის შესახებ წარმოდგენა იმ მცირე მასალიდან შეგექმნებათ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

უჯერველი სოფი
და მისი სილამაზის რეცეპტები

იდეალური სილამაზე მირაჟია. ვარცხნილობის შეცვლა სახის ოვალის გათვალისწინებით, ეფექტური ნელსაცხებლის ხმარება, ოსტატურად გაკეთებული გრიმი და ახალი, მოდური ტანსაცმელი, ცხადია, ალამაზებს ქალს, მაგრამ თუ მას არ აქვს საკუთარი თავის რწმენა, არ შეუძლია ბუნებრივად იაროს, იცინოს, გაიღიმოს, მაშინ მის სილამაზეს აკლია მთავარი რამ — სულიერება და ასეთ ქალბატონს გაუჭირდება, საკუთარი გარეგნობით ჭეშმარიტად აღაფრთოვანოს გარშემომყოფნი.

დისციპლინა

დისციპლინა გარდა იმისა, რომ ცხოვრებისეული წარმატებისკენ გვიხსნის გზას, გარეგნობაზეც აისახება. ვისაც ჰგონია, რომ კინოვარსკვლავები მზეთუნახავებად იბადებიან და არავითარი ძალისხმევა არ სჭირდებათ იმისათვის, რომ სილამაზის ეტალონებად იქცნენ — ცდებიან. ნებისმიერი ლამაზი გოგონა, სინორჩესთან ერთად დაჰკარგავს მომხიბვლელობას, თუ არ გამოიმუშავა თვითდისციპლინა — მუდმივად არ იზრუნა გარეგნობაზე, არ დაიცვა კვების მკაცრი რეჟიმი, არ მოუარა თმას, არ დაეუფლა მაკიაჟის ხელოვნებას და არ აუწყო ფეხი მოდას.

ვარცხნილობა

ვარცხნილობის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ სოფი ლორენის აზრით, ზოგიერთი, აქამდე ჭეშმარიტებად მიჩნეული წესი, დღეს მოძველებულია. წესით, თხელი თმის პატრონმა თმა არ უნდა გაიშალოს. მაგრამ ბევრ თხელთმიან ქალს მაინც შვენის ასეთი ვარცხნილობა. ასევე ზოგი მიიჩნევს, რომ 30 წელს გადაცილებულმა ქალმა უმჯობესია, თმა მოკლედ შეიჭრას, მაგრამ თუ ქალს ლამაზი და ხშირი თმა აქვს, მას გრძელი თმა ნებისმიერ ასაკში შვენის. საერთოდ კი, ჯობს ისეთი მარტივი ვარცხნილობა გვქონდეს, როგორიც არ შეგვაწუხებს და არც მამაკაცებს აფიქრებინებს, რომ თმის მოწესრიგებას 3 საათს ვანდომებთ.

სახის ჯანი

სახის კანი სარკესავით აირეკლავს ქალის ჯანმრთელობას. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ვნებს მას ალკოჰოლი და ნიკოტინი. კანისთვის კარგი სტიმულატორია ნესტი. სიცხე და მშრალი ჰაერი კანის უპირველესი მტერია. იგი კანს აშრობს და ანაოჭებს, ამიტომ აუცილებელია დამატენიანებელი კრემების ხმარება. გარდა ამისა, სოფი ლორენი გვირჩევს, გამათბობელ ხელსაწყოებთან დავდგათ წყლით სავსე ჭურჭელი. შენობაში ჰაერის დატენიანებას, თურმე ასევე უწყობს ხელს ოთახის მცენარეები.

სახის ჩაყოფა ცივ წყალში, რომელშიც ყინულის ნაჭრები დაცურავს, კარგი საშუალებაა გაფართოებული ფორების შესავიწროებლად და სახის კანის გამოსაცოცხლებლად.

წონა და ჯვება

სოფი ლორენს არასოდეს გასჭირვებია იდეალური წონის შენარჩუნება. კვების რეჟიმს იგი მხოლოდ მოხდენილი სხეულისთვის როდი იცავს — რეჟიმი ჯანმრთელობისა და კარგი გუნება-განწყობილებისთვისაც სჭირდება. საკუთარი გამოცდილებიდან მან ასეთი დასკვნა გამოიტანა: ცოტ-ცოტა ჭამოს სამ-



ჯერ დღეში. ცდება ის, ვინც საუზმეზე მხოლოდ ფინჯან ყავას სვამს — ხილი ან პურის ნაჭერი სამუშაო დღის დასაწყისში აუცილებელია. სადილი შედარებით მსუყე უნდა მივირთვათ — ცოტაოდენი ხორცი ან თევზი, სალათა, სპაგეტი და ფინჯანი ყავა. ვახშამიც იმავე კერძებისგან შეიძლება შედგებოდეს, ოღონდ — ულუფა უნდა შემცირდეს. ვახშამს სოფი ლორენი ერთ ჭიქა ღვინოს აყოლებს, დღის განმავლობაში კი უეჭველად სვამს 7 ჭიქა წყალს.

დიეტოლოგებისაგან სოფი ლორენმა შეიტყო, რომ მაკარონი დიეტური პროდუქტი ყოფილა. მაკარონი თურმე არ ასუქებს ადამიანს და თან მასში შედის ისეთი ნახშირწყლები, რომლებიც ორგანიზმს „საწვავად“ სჭირდება.

ტანსაცმელი

ელეგანტური ტანსაცმელი სილამაზისა და გრაციოზულობის განუყრელი ატრიბუტია. ტანსაცმლის სტილი უაღრესად ინდივიდუალურია და ხაზს უსვამს ქალის გემოვნებას. სტილი შეიძლება შექმნას ტუალეტის ერთმა პატარა დეტალმაც კი — შარფმა, შლაპამ, სამკაულმა. სოფი ლორენი გვირჩევს, კარგად დავფიქრდეთ, სანამ ახალ ნივთს შევიძენთ. მცდარია აზრი, თითქოს ძვირად ღირებული ნივთი მოდური და მაღალხარისხოვანია.

თანამედროვე ქალი ძალიან დინამიკური ცხოვრებით ცხოვრობს — მუშაობს, ზრდის შვილებს, ალაგებს ბინას, რეცხავს, სადილს აკეთებს... მას აუცილებლად სჭირდება მოსახერხებელი ტანსაცმელი. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ რაც ხელში მოგვხვდება, შინ ის ჩავიცვათ. უნდა გვახსოვდეს: რაოდენ მოუცლელიც არ უნდა ვიყოთ, შინაურთა წრეში თუ ტელევიზორის წინ მჯდომიც კი, მიმზიდველად უნდა გამოვიყურებოდეთ.

მომხიბვლელობა

მომხიბვლელობა სილამაზის „უჩინარი“ ელემენტია. რაოდენ ძვირფასი და მოდური კოსტიუმიც არ უნდა ეცვას ქალს, თმა კოხტად ჰქონდეს დაყენებული, მაკიაჟიც ოსტატურად შესრულებული, თუ მომხიბვლელობა აკლია, იგი მანეკენს უფრო ემსგავსება, ვიდრე სიცოცხლით სავსე ქალს. მომხიბვლელობა უაღრესად ინდივიდუალური თვისებაა. ქალს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, თუ რა აქვს ყველაზე კარგი და შეეძლოს, თავისი ამ ღირსების წარმოჩენა. მომხიბვლელობა თავისთავად, კარგი მანერების გარეშე წარმოუდგენელია. ვისაც საუბრის წარმართვის ნიჭი აქვს, ის მთელი კომპანიის სული და გული ხდება, ოღონდ სასიამოვნო მოსაუბრეის როდია, ვინც დაუსრულებლად ჰყვება მხიარულ ამბებს. ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი, საინტერესო საუბართან ერთად, მოსმენის უნარსაც ითვალისწინებს. მომხიბლაობა დიდადაა დამოკიდებული იუმორის გრძნობაზე. საერთოდ, იუმორის გარეშე ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრება მეტისმეტად მოსაწყენი იქნებოდა.

მომხიბლაობა დიდადაა დამოკიდებული იუმორის გრძნობაზე...

სილამაზის შენარჩუნების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად სოფი ლორენი ხანგრძლივ ძილს მიიჩნევს, უპირველეს ყოვლისა კი — ერთსა და იმავე დროს დაწოლის ჩვევას.

რაც შეეხება ასაკს, სოფი ლორენი მტკიცედაა დარწმუნებული: არც ასაკის მომატება და არც მისი გარეგნული ნიშნების გამოვლინება ტრაგიკულად არ უნდა აღვიქვათ. პირიქით, როცა ვცდილობთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურებოდეთ, მეტწილად საწინააღმდეგო შედეგს ვიღებთ ხოლმე. ■

სტომატოლოგიური კლინიკა

ჩიჭო-დენტი



1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თავისუფლების მოედანი №4ა
(ახალაშენებული სასტუმრო „მერიოტის“ ეზოში)
☎ 98-64-83



| შენობა | | |

ღმერთის მიერ ბოძებულ მცნებათაგან პირველი იკითხება ასე: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე“. პირველი მცნება ერთ-ერთია იმ მცნებათაგან, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის ვალდებულებას ღმერთის წინაშე.

რა შემთხვევაში ვცოდავთ, პირველი მცნების დარღვევით

მორენა მერკვილაძე

რას ავალდებულებს პირველი მცნება ადამიანს?

პირველი მცნება ადამიანს ავალდებულებს ღმერთის შეცნობას, ისე, როგორც ამას მართლმადიდებლური სარწმუნოება მოითხოვს. ამასთანავე, გვავალდებულებს, პატივი ვცეთ ღმერთს, გვწამდეს იგი, გვიყვარდეს და ვემორჩილებოდეთ მის ნებას. ღმერთი უხილავი და მიუწვდომელია, მაგრამ მან ხომ თავი გამოგვიცხადა სამყაროს შექმნით. იმის დასამტკიცებლად, რომ ღმერთი შევიცანით, უნდა ვიცხოვროთ ღვთისთვის სათნო ცხოვრებით, რაც წმინდა ეკლესიის მიერ მიღებული და დაწესებული წესების დაცვით უნდა გამოვხატოთ. ე.ი. უნდა ვისმინოთ სწავლა-მოძღვრება ეკლესიაში და ვასრულებდეთ ღვთის მცნებებს. ხშირად ვიკითხოთ „საღვთო წერილი“ და წმინდა მამათა ნაწერები, ასევე სხვა სასულიერო ლიტერატურა, რომელიც მიღებული და შეწყნარებულია მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ.

როგორ შეიძლება ღვთის თაყვანისცემის გამოხატვა?

ღვთის თაყვანისცემა ორგვარია: შინაგანი თაყვანისცემა და გარეგანი თაყვანისცემა. **შინაგანი თაყვანისცემა** ღვთისა, უპირველესად, უნდა გამოვხატოთ ღვთის რწმენით. ღვთის გულისათვის კი ადამიანმა უნდა დაუტევოს ყოველივე, რაც იმას ნიშნავს, რომ ღმერთი ყველაზე მეტად უნდა გვიყვარდეს და ყველაზე მეტად ვეთაყვანებოდეთ. შინაგანი თაყვანისცემაა ასევე შიში ღვთისა — ე.ი. კრძალვა ღვთის წინაშე, როდესაც ადამიანი ერიდება იმ საქციელის ჩადენას, რომელიც ღმერთს განარისხებს. შინაგან თაყვანისცემად ითვლება ღმერთზე სასოება — ანუ სრულიად მინდობა ღმერთზე, მხოლოდ ღვთის იმედზე ყოფნა, რომელიც ყველანაირ ვითარებაში შეგვეწევა. შინაგანი თაყვანისცემაა, აგრეთვე, თაყვანისცემა ღმერთისა, როგორც უზენაესი არსებისა, ასევე დიდება ღვთისა, როგორც ყოვლად სრულისა, მადლიერება ღვთისადმი, როგორც შემოქმედისა (რომელმაც ყოველივე შექმნა) და მაცხოვრისადმი (რომელიც ადამიანებს ცხონებას ანიჭებს).

ღვთის **გარეგან თაყვანისცემად** შემდეგი მოქმედებები ითვლება: აღსარება ღვთისა და მონაწილეობა საზოგადო ღვთისმსახურებაში. ღვთის აღსარება გულისხმობს, ღმერთის ცხადად და აშკარად აღიარებას ყველას წინაშე. რაც შეეხება საზოგადო ღვთისმსახურებაში მონაწილეობას — წირვა-ლოცვაზე დასწრება იქნება ეს, თუ სხვა საეკლესიო მსახურება, — ამ ქმედებით ადამიანი გამოხატავს ღვთის მორჩილებას და ამტკიცებს, რომ მას აქვს რწმენა ღვთისა. გარდა ამისა, საეკლესიო მსახურებებში მონაწილეობა ადამიანს სულიწმიდის მადლს მოუხვეჭს; ამასთანავე, მორწმუნეთა შორის სიყვარულსაც განამტკიცებს, რადგან ამ დროს, ერთითა გულითა ვადიდებთ და ვმადლობთ უფალს.

რა შემთხვევაში სცოდავს ადამიანი, პირველი მცნების დარღვევით?

პირველი მცნების დარღვევით სცოდავს ადამიანი იმ შემთხვევაში, როდესაც არ აღიარებს ღმერთის არსებობას, ე.ი. არ იცის ან არ სურს იცოდეს, რომ არსებობს ღმერთი, არ ემორჩილება ღმერთის ნებას და არ ეძიებს მას (არ ესწრება წირვა-ლოცვას, არ მარხულობს, არ ეზიარება, უქმეებს არღვევს და სხვა). პირველი მცნების საწინააღმდეგო ცოდვაა მრავალღმერთიანობაც — როდესაც ადამიანი აღიარებს მრავალ ცრუ ღმერთს და ჭეშმარიტი ღმერთის ნაცვლად, მათ სცემს თაყვანს. ამ მცნებას ეწინააღმდეგება ერესი — მწვალებლობა ანუ ეკლესიის დოგმების წინააღმდეგ მიმართული ქმედება (შერყვნა ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლა-მოძღვრების რომელიმე დოგმატისა). პირველი მცნება ირღვევა, როდესაც ადამიანი ჭეშმარიტ სჯულსა და სარწმუნოებას უარყოფს — ე.ი. სჯულისგან განდგომილებას სჩადის; პირველ მცნებას უარყოფენ ის ადამიანებიც, რომლებიც აყოლილი არიან ათასგვარ ცრურწმენას (თვალის თამაში, კვირის დღეების კარგ და ცუდ დღეებად დაყოფა და სხვა), ვინც უჯერებს მკითხავებს, შემლოცველებს და ათასი ჯურის მისნებს, სწამს ჰოროსკოპის, ენდობა ექსტრასენსებს და თანაუგრძნობს სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობას. პირველი მცნება, ადამიანს უკრძალავს ასევე მცონარებას (ლოცვის დაზარება) და რომელიმე ქმნილების, შემოქმედზე მეტად სიყვარულს. პირველი მცნების საწინააღმდეგო ცოდვაა კაცზე სასოებაც — ე.ი. როდესაც ადამიანს დაკარგული აქვს სასოება და იმედი ღვთის მოწყალებისა და ადამიანის იმედი უფრო მეტად აქვს, ვიდრე ღვთისა.

■

ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე გველები თაყვანს სცემენ ყოვლადწმინდა მარიამის ხატებს

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს, რომელიც ერთ-ერთია თორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორის, მართლმადიდებლური ეკლესია ყოველწლიურად 28 აგვისტოს აღნიშნავს. სადღესასწაულო მსახურების დროს, წმიდა ეკლესია იხსენიებს წმინდა მარიამის გარდაცვალებას და სადღესასწაულოდ განადიდებს ამ მნიშვნელოვან მოვლენას.

მორენა მერკვილაძე

როგორ მოხდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება?

უფლის ზეცად ამაღლების შემდეგ, წმინდა მარიამი კიდევ რამდენიმე წელი ცხოვრობდა დედამიწაზე. როდესაც მისი ამა სოფლიდან გასვლის ჟამმა მოაღწია, მარადქალწულს, მთავარანგელოზ გაბრიელისგან ეუწყა, რომ მისი მიძინების — ე.ი. გარდაცვალების დრო მოახლოვდა. ეს მოხდა წმინდა მარიამის მიძინებამდე სამი დღით ადრე. ღვთისმშობელმა გარდაცვალების წინ, მოციქულების მონახულება მოისურვა, რომლებიც იმ დროს იერუსალიმში არ იმყოფებოდნენ (სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდნენ ქრისტეს მოძღვრებას). ღვთისმშობელმა უფალს მოციქულთა იერუსალიმში მოვლინება შესთხოვა. მართლაც, სასწაულებრივად შეკრიბა უფალმა იერუსალიმში ყველა მოციქული, თომას გარდა. როდესაც მოციქულებმა შეკრების მიზეზი შეიტყვეს, ისინი მწუხარებამ მოიცვა, მაგრამ წმინდა ქალწულმა ანუგეშა და დაჰპირდა, რომ ქრისტეს სამწყსოზე ამა სოფლიდან გასვლის შემდეგაც იზრუნებდა. შუაღამისას, როდესაც მოციქულები მხურვალედ ლოცულობდნენ, ბრძანება ესმათ, რომ ჯეროვანი პატივი მიეგოთ ღვთისმშობლის მიცვალებისთვის: უფალმა გაამხნევა თვით წმინდა მარიამიც...

ღვთისმშობლის მიძინების დროს, ოთახი, სადაც წმინდა ქალწული იწვა, არაჩვეულებრივმა ნათელმა გაანათა. მოციქულებმა დაინახეს, თუ როგორ გამოცხადდა იესო ქრისტე ანგელოზთა თანხლებით და მიიღო წმინდა სული თავისი ყოვლადწმინდა მშობლისა. სხეული კი მოციქულებმა გეთსიმანიაში გადაასვენეს და აკლდამაში დაკრძალეს. ეს მოხდა პარასკევ დილას. შაბათს მოციქულებმა ჟამის წირვა აღასრულეს, მწუხრიდან შუაღამემდე გულმოდგინედ ლოცულობდნენ. შუაღამისას ღრმად ჩაეძინათ. ამ დროს, ქვეყანა შეიძრა და ყოვლადწმინდა ქალწულის სხეული უხილავად ზეცას იქნა აყვანილი — ე.ი. ყოვლადწმინდა, გარდაცვალების (მიძინების) შემდეგ, სულითა და თავისი უწმინდესი სხეულით ზეცას იქნა აყვანილი და იქ თავისი განდიდებული ხორცით იმყოფება.

როგორც აღვნიშნეთ, ღვთისმშობლის მიძინებას არ დასწრებია თომა მოციქული. იგი იერუსალიმში წმინდა მარიამის მიძინების შემდეგ ჩავიდა და მოისურვა, თაყვანი ეცა ღვთისმშობლის წმინდა გვამისთვის, მაგრამ როდესაც აკლდამა გახსნეს, იქ წმინდა მარიამის სხეული ვერ იპოვეს, რამაც მოციქულები განაცვიფრა. სწორედ ამ დროს გამოეცხადათ მოციქულებს ღვთისმშობელი, ზეციური ბრწყინვალებითა და ანგელოზთა კრებულით და აუწყა მათ: „გიხაროდენ, მე მარადის ვიქნები მეოხი თქვენი წინაშე ღვთისა“.

რა მნიშვნელობა აქვს ღვთისმშობლის მიძინებას?

თავისი ნეტარი მიძინების შემდეგ, ყოვლადწმინდა დაემკვიდრა ზეციურ სავანეში, მახლობლად ძისა თვისისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა, მლოცველი და შუამდგომელი ყოველთა ქრისტიანთათვის. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ღვთისმშობლის გარდაცვალებას სადღესასწაულოდ განვადიდებთ და მწუხარების ნაცვლად, სულიერი სიხარულით ვეგებებით, რადგან როგორც წმინდა ეკლესია გვიქადაგებს, წმინდა მარიამი არის უდიდესი მეოხი და შემწე ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანისა, ვინც ღვთის კეთილმსახურია: „იგი როგორც ზეციური მეუფის დედა, გამოცხადებულია წმინდა ანგელოზებისა და წმინდა ადამიანების ზეციურ დედოფლად. მას ბოძებული აქვს განსაკუთრებული ძალაუფლება და განსაკუთრებული კადნიერება, იყოს კაცობრიობის მეოხი ღმრთის წინაშე. წმინდა ეკლესია თხოვნით მიმართავს ყველა დიდ სათნომყოფელს, ყველა ანგელოზსა და მთავარანგელოზს და ლოცვის დროს შესთხოვს: ევედრეთ ღმერთსა ჩვენთვის! მარტოოდენ ღვთისმშობლისადმი იყენებს ეკლესია სიტყვებს: „გვაცხოვნენ ჩვენ“, — განმარტავს წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი. ამრიგად, მხოლოდ ღვთისმშობელს შევთხოვთ ცხონებას, რადგან ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას და როგორც წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი ბრძანებს — ბოძებული აქვს განსაკუთრებული ძალაუფლება და კადნიერება, იყოს ადამიანთა შემწე და მფარველი ღვთის წინაშე.

უჩვეულო მოვლენა, რომელიც ყოველწლიურად აღესრულება ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის დღეს

ეს უჩვეულო მოვლენა ყოველ წელს აღინიშნება. საბერძნეთში, ერთ-ერთ კუნძულზე მდებარე მართლმადიდებლურ მონასტერში ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის დღეს, კუნძულის ყველა კუთხიდან მიემართებიან ქვეწარმავლები — შავი გველები, რომლებიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს ეხვევიან. ამ დროს ისინი სრულიად უწყინარნი ხდებიან. ღვთისმშობლის ხატს გარშემოხვეული ქვეწარმავლები მთელი სადღესასწაულო მსახურების დროს, უძრავად არიან, საღმრთო ძალით თვინიერ ყოფილნი, შემდეგ კი უკან ბრუნდებიან და კვლავ საშიში ხდებიან.

ეს უჩვეულო მოვლენა ქრისტიანული ლიტერატურის ერთ-ერთ ნიმუშში — „მადლმოსილ საღმრთო ცეცხლში“ შემდეგნაირად არის განმარტებული: „ეს სასწაული უფლისგანაა მომადლებული, ადამიანთა შესაგონებლად. ცოდვით დაცემულ ადამიანებს მიეცათ ღმერთის აღთქმა, რომ იგი დედაკაცისგან (ანუ ღვთისმშობლისაგან) აღმოაცენებდა გველ-ეშმაკის მძლეველს და ადამიანთა მხსნელს ცოდვისა და სიკვდილისგან. და აი, ეს ქრისტეს ამქვეყნად მოსვლით აღესრულა, რომელიც იშვა ქალწულ მარიამისგან, განკაცდა, ღმერთკაცად შეიქმნა და სძლია გველ-ეშმაკს... ამას ღვთის განგებით, ადამიანებთან და ანგელოზებთან — გონიერ არსებებთან ერთად, არაგონიერი არსებებიც — გველებიც აღიარებენ, რომლებიც საერთოდ ეშმაკის სიმბოლოდ გვევლინებიან, — აღიარებენ და თაყვანს სცემენ წმინდა ღვთისმშობელს, მარადის ქალწულ მარიამს, რომლის ხატებსაც კრძალვით მიემთხვევიან სწორედ მართლმადიდებლურ ტაძარში“.

■

ჰოლივუდის ცნობილმა გულთამპყრობელმა მეთიუ პერიმ, ვარსკვლავის სტატუსი და საკმაოდ სოლიდური ფინანსური მდგომარეობა ამერიკულ ახალგაზრდულ სერიალში — „მეგობრები“ — მონაწილეობით მოიპოვა. სუპერპოპულარული სერიალი მთელი ათი წლის მანძილზე გადიოდა აშშ-ის ტელეეკრანებზე და მისი ჩვენება მხოლოდ წლეულს დამთავრდა. მეთიუ პერის, ისევე, როგორც მის გმირს („მეგობრები“) ჩენდლერ ბინგს, უყვარს წუწუნი იმის თაობაზე, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები მას დიდად არ წყალობენ. მაგრამ მის ნათქვამს აღარავინ იჯერებს, მას შემდეგ, რაც 1995 წელს, ჯულია რობერტსს ის პირდაპირ გადასაღებ მოედანზე შეუყვარდა...

მეთიუ პერი: „ერთ კაცს ფასობა თუ კინდა, გაჩუმდი და მოუმინე მას...“

მსახიობი დღემდე იხსენებს, თუ როგორ უჭირდა იმის დაჯერება, რომ ჯულია რობერტსს ის მართლაც მოსწონდა: „საშინლად ვნერვიულობდი, როდესაც ჯულიას პირველად შევთავაზე შეხვედრა. მაგრამ კიდევ უფრო გავნერვიულდი, როდესაც ის ამ შეხვედრაზე დამთანხმდა...“ თუმცა, როგორც ჩანს, მეთიუს ფილოსოფიამ სუსტი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის შესახებ, განვლილი წლების მანძილზე სერიოზული სახეცვლილება განიცადა: „ადრე, ვინმესთან შეხვედრისას, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ნამდვილი უფლისწულივით მოვქცეულიყავი. ისეთი მონდომებული ვიყავი ხოლმე, რომ საკუთარი თავი ლამის ინფარქტამდე მიმყავდა. თუმცა, უნდა ვაღიარო — ჯერ კიდევ მაშინ გავაცნობიერე, რომ პაემნის დროს წარმატება, უპირველეს ყოვლისა, იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ ყურადღებით უსმენ გოგონას“.

მსგავსი ტაქტიკის გამოყენებით მეთიუმ უამრავი ლამაზმანის გულის დაპყრობა შეძლო და ჰოლივუდელი დონჟუანის რეპუტაციაც დაიმკვიდრა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი რეპუტაციის მოპოვებას არასოდეს ელტვოდა, ვინაიდან მას ამ ცხოვრებაში სულ სხვა პრიორიტეტები ჰქონდა. თავდაპირველად, მისთვის სპორტი იყო პირველ ადგილზე, შემდგომში კი ეს ადგილი აქტიორის პროფესიამ დაიკავა.

მეთიუ ბავშვობიდანვე სერიოზულად იყო გატაცებული ჩოგბურთით, თხუთმეტი წლის ასაკში, ის კანადელ იუნიორებს შორის მეორე ჩოგნად ითვლებოდა. ამ პერიოდში ბიჭუნამ გადაწყვიტა, რომ სპორტულ ასპარეზზე წარმატების მოსაპოვებლად, მისთვის აშშ-ში ცხოვრება უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. მოეთათბირა დედას და ოტავიდან (სადაც მან ბავშვობის წლები გაატარა) მამასთან, მსახიობ ჯონ ბენეტუ პერისთან ლოს-ანჯელესში გადავიდა საცხოვრებლად (მეთიუ აშშ-ში დაიბადა, მაგრამ როცა ერთი წლის იყო, მისი მშობლები გაიყარნენ; დედამ მცირეწლოვანი ვაჟიშვილი კანადაში წაიყვანა, სადაც თავად მშვენიერი კარიერა გაიკეთა — მოგვიანებით, ის პრემიერ-მინისტრ პიერ ელიოტ ტრიუდოს პრესმდივანი გახდა).

აშშ-ში გადაბარგებიდან ორიოდე წლის შემდეგ, მეთიუსთვის ნათელი გახდა, რომ ჩოგბურთში სერიოზულ კარიერას ვერ გაიკეთებდა: „კანადაში მართლაც, ვბრწყინავდი, მაგრამ ლოს-ანჯელესში ყოველი მეორე თამაშობდა ჩოგბურთს და თანაც, საკმაოდ კარგადაც; ამიტომ გადაწყვიტე, ხელი სხვა საქმისთვის მომეკიდა“. მართალია, პერიმ უარი თქვა სპორტულ კარიერაზე, მაგრამ ჩოგბურთის სიყვარული მას დღემდე გამოჰყვა: მეთიუს საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა აქვს ჩოგბურთის არაერთ ვარსკვლავთან — მაგალითად, პიტ სამპრასთან, ანდრე აგასისთან და სხვებთან. სხვათა შორის, ლოს-ანჯელესში იმასაც ამბობდნენ, რომ მას ჯენიფერ კაპრიატისთან რომანიც კი ჰქონდა.

ერთხელ, პერი-უფროსს ერთ-ერთი კომედიური ჟანრის ფილმის სინჯებში უნდა მიეღო მონაწილეობა; როცა ის სააგენტოში სცენარისთვის წავიდა, მეთიუც თან იახლა. „შენ მსახიობი ხარ?“ — ჰკითხა ერთ-ერთმა აგენტმა სიმპათიურ, მაღალ ყმაწვილს, რომელსაც საოცრად მომხიბლავი მომწვანო-მოლურჯო თვალები ჰქონდა. — არა?! მაშინ გირჩევ, რომ სწორედ ამ ასპარეზზე სცადო ბედი“.

მეთიუმ მართლაც სცადა ბედი და როლიც მიიღო. მართალია, პერი-უმცროსი სამსახიობო მონაცემებს სასკოლო თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობის დროსაც ამჟღავნებდა, მაგრამ იმ ხანებში მეთიუსთვის უმთავრესი, ჩოგბურთი გახლდათ.

როგორც კი მისი ფილმში გადაღება გადაწყდა, მეთიუ სამსახიობო ხელოვნებითაც სერიოზულად დაინტერესდა და მოკლე ხანში აღმოაჩინა, რომ

მეთიუს 170-ათასდოლარიანი „ბე-ემ-ვე Z 8“ ჰყავს, რომლის სიჩქარეც 250 კმ/სთ-ს შეადგენს

ეს მისი ცხოვრების საქმე გახლდათ. სერიალ „მეგობრებში“ მონაწილეობამდე, საკუთარ კინომოღვაწეობას მეთიუ იუმორით აფასებს: „იცით, მანამდე მეცამეტე ეპიზოდური მსახიობი გახლდით“... შესაძლოა, სწორედ ასეთი არასახარბიელო მდგომარეობის გამო იყო, რომ ახალბედა მსახიობს გულმა სცენარისტობისკენ გაუწია: მან და მისმა მეგობარმა ენდრიუ ჰილ-ნიუმენმა ახალგაზრდული კომედიური სერიალის სცენარის დაწერა გადაწყვიტეს, მაგრამ ვერ მოასწრეს: ტელეკომპანია NBC-ის, მსგავსი შოუს იდეა უკვე ჰქონდა, რომლის სახელწოდებაც „მეგობრები“ გახლდათ...

ამბობენ, გარეგნული მონაცემების გარდა, მეთიუ სერიალში თავისი საუცხოო იუმორის გრძნობის გამოც აიყვანესო. თურმე, სინჯებისას ფილმის შემქმნელები იმდენად მოიხიბლნენ მისი მოსწრებული ხუმრობებით, რომ სცენარისტებს, შემდგომში, დიალოგების წერისას მისი ოხუნჯობების გამოყენება ურჩიეს. თავად მეთიუს მიაჩნია, რომ იუმორის გრძნობა დედისგან გამოჰყვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მისი ირონიული შენიშვნები არასოდეს გადადის ცინიზმში. ამის გამო კი, მასთან ყველა დიდი სიამოვნებით ურთიერთობს. „ცხრა იარდის“ გადაღებებისას, სწორედ მეთიუს საუცხოო იუმორი გახდა მისი და ჰოლივუდის ცნობილი ხუმარა მსახიობის, ბრიუს უილისის დამეგობრების მიზეზი. ფილმზე მუშაობისას ისინი იმდენად დაახლოვდნენ, რომ შემდგომში, უილისმა სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა „მეგობრების“ რამდენიმე სერიაში. მოგვიანებით, ვერც მეთიუმ უთხრა უარი მეგობარს და მისი ხათრით „ცეროდენა ბიჭუნაში“, სადაც ბრიუსი მთავარ პერსონაჟს ასახიერებდა, ეპიზოდური როლი შეასრულა.

სერიალ „მეგობრებში“ მონაწილეობამ, მეთიუ პერის სუპერპოპულარობა მოუტანა და ამასთან, კომედიური ჟანრის მსახიობის სახელიც დაუმკვიდრა. ჯერჯერობით, მას კომედიური მსახიობის ამპლუა სულაც არ აღიზიანებს, მიუხედავად იმისა, რომ დიდ კინოშიც მხოლოდ კომედიებში – ლირიკულში, რომანტიკულში თუ კრიმინალურში – გადასაღებად იწვევენ. „მერე რა, რომ ყველა ეს ფილმი, კომედიური ჟანრისაა?! სამაგიეროდ, „თაღლითებში“ ელიზაბეტ ჰარლის ვკოცნიდი, „ცხრა იარდში“ – ნატაშა ჰენსტრიჯს, „ტანგოს სამ მოცეკვავეში“ – ნივ კემპბელს, ხოლო „გიჟი თავისუფალია“-ში – სელმა ჰაიეკს“, – ღიმილით აღნიშნავს მეთიუ.

თუკი ყვითელ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს დავუჯერებთ, ჟურნალისტები ხომ, ჯულია რობერტსთან რომანის შემდეგ, მის ყოველ ნაბიჯს დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს. მეთიუს არასაეკრანო სასიყვარულო კავშირები ჰქონდა ჰოლივუდის შემდეგ ვარსკვლავებთან: ჰიზერ გრემთან, სელმა ბლერთან, იასმინ ბლიტთან და ამანდა პიტთან. სხვათა შორის, პრესის წარმომადგენლები მას რენე ზელვეგერთან რომანსაც მიაწერდნენ.

მეთიუ საკმაოდ მშვიდად უყურებს იმას, რასაც მასზე ყვითელი პრესის ფურცლებზე წერენ და ამასთან დაკავშირებით, არასოდეს გამოთქვამს პროტესტს: „ახლა 34 წლის ვარ და ჩემს შესახებ ყველაფერი, კარგიც და ცუდიც, რის დაწერაც შეიძლებოდა, უკვე დაიწერა“. სამაგიეროდ, ყველაფერი, რაც მას უკავშირდება, ძალზე აღელვებს მის გელფრენდებს: მსახიობ რენე ემტონს, სცენარისტ გებრიელ ბობერს, გრიმიორ ენდი ო'რაილისა და ტელევიზიის თანამშრომელ ჯეიმი ტარესს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მშვიდი და უკონფლიქტო მეთიუ ყოფილი შეყვარებულების განაწყენებას ერიდება და საკმაო გულისხმიერებით ეპყრობა ყოველ მათგანს; ამით კი ბუნებრივია, ახალ სატრფოებს ეჭვიანობის საბაბს აძლევს. ზოგჯერ სიტუაცია იმდენად მწვავდება, რომ მეთიუ რჩევისთვის ჯენიფერ ენისტონს მიმართავს. მათ ხომ, სერიალ „მეგობრებში“ შეხვედრიდან მოყოლებული, წლების განმავლობაში ახლო მეგობრობა აკავშირებთ.



ჯულია რობერტსთან რომანი მეთიუს „მეგობრების“ გადაღების დროს ჰქონდა



„ცხრა იარდის“ პრემიერაზე მეთიუ საგრფოსთან – რეიჩელ დანთან ერთად მივიდა

სხვათა შორის, ჯენიფერს მეთიუ მხოლოდ მეგობრად და მრჩევლად კი არა, დასავით აღიქვამს. ცნობილია, რომ რთულ სიტუაციებში ჯენიფერი ყოველთვის მხარში უდგას მეგობარს. ის სისტემატურად დადიოდა მის მოსანახულებლად საავადმყოფოში, როცა ექიმებს ეჭვი შეეპარათ, რომ პერის პანკრეატიტი ჰქონდა; ინტენსიურად ავარჯიშებდა, როცა პერის სასწრაფოდ დასჭირდა წონის დაგდება... და რაღა თქმა უნდა, ჯენი „მეგობრების“ სხვა ვარსკვლავებთან ერთად აქტიურად ედგა მხარში მეთიუს, როცა მან ნარკოტიკებზე უარის თქმა გადაწყვიტა.

1997 წელს, თოვლზე მავლით სრიალისას, მეთიუ ავარიაში მოყვა. მიღებული ტრავმების ტკივილის გასაყუჩებლად, ის ვიკოდინს სვამდა და მოკლე ხანში ისე შეეჩვია, რომ წამალზე

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-ბარათებითაც

სუპერსერიალ „მეგობრებში“ მონაწილეობამ მეთიუს ვარსკვლავის სტატუსი მოუტანა

დამოკიდებული გახდა. მეთიუ ყველა თავისი პრობლემის გადაჭრას ვიკოდინის მეშვეობით ცდილობდა: ის წამალს ნაბახუსევსაც კი იყენებდა, რათა გადასაღებ მოედანზე სათანადო ფორმაში ყოფილიყო.

ალკოჰოლური სასმლის ჭარბად სმის მავნე ჩვევა პერის კიდევ უფრო ადრე გამოუვლინდა, ხოლო ვიკოდინის სისტემატურად გამოყენების შემდეგ, საერთოდ ჩაკეტილ წრეში აღმოჩნდა. სხვათა შორის, ექიმი დალას ტეილორი (მისი მკურნალი ექიმი სარეაბილიტაციო ცენტრში) მიიჩნევს, რომ მსახიობი ამ მდგომარეობაში ჰოლივუდელი „კეთილი ექიმების“ წყალობით აღმოჩნდა. „ის, ვინც მას ამ რეცეპტებს უწერდა, დასაჭერია“, — განაცხადა მან (ცნობისათვის: თავის დროზე, ვიკოდინთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდათ მელანი გრიფიტს, კორტნი ლავს, ბრეტ ბატლერს და სხვა ჰოლივუდელ ვარსკვლავებს).

2001 წლის თებერვალში, მეთიუსთვის ნათელი გახდა, რომ ზღვარს მიუახლოვდა და მისთვის აუცილებელი იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარება. მამამ ის სარეაბილიტაციო ცენტრში დააწვინა. ყოველივე ეს, „თაღლითების“ გადაღებებს დაემთხვა. ჰოლივუდში მსგავსი რამ იშვიათად ხდება, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ფილმის რეჟისორმა გადაღებები მსახიობის გამოჯანმრთელებამდე გადადო. მეთიუს, „მეგობრების“ გადამღებმა ჯგუფმაც გაუწია ანგარიში: მათ

მეგობრები — ბრიუს უილისი და მეთიუ პერი MTV-ის სტუდიაში სტუდენტებს ამხიარულებენ

სცენარი შეცვალეს და რამდენიმე სერია მის გარეშე გადაიღეს.

ამჟამად თითქოსდა, მსახიობის ყველა უსიამოვნება წარსულს ჩაჰბარდა; თავისი სამწუხარო გამოცდილება მეთიუმ ტელემაყურებელს ლარი კინგის შოუშიც კი გაუზიარა.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა მსახიობი ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევს — თამაშობს ჩოგბურთს, ჰოკეის და სოფტბურთს, არ სვამს არაფერს, გარდა შავი ყავისა, — ის არ მალავს, რომ გამუდმებით ერთი რამის ეშინია — ნებისყოფამ არ უღალატოს. „სახიფათოა იმის თქმა, რომ შენ ეს დამოკიდებულება დაძლიე. ამ პრობლემასთან გამკლავება ალბათ, კარგა ხნის მანძილზე ყოველდღიურად მომიწევს“, — ამბობს მსახიობი. ამისთვის კი მას ყველა პირობა აქვს შექმნილი: ჰყავს უამრავი მეგობარი, რომლებიც ყოველ წუთს მზად არიან, მხარში ამოუდგნენ. მის გვერდით არის მისი უერთგულესი სატრფო — რეიჩელ დანი, რომელთანაც უკვე ორი წელია, აქვს ურთიერთობა და რაც მთავარია, ჰყავს ხუთი მოსიყვარულე და-ძმა. მეთიუს ძალზე ახლო ურთიერთობა აქვს თავის უმცროს დაძმებთან, მას სიამოვნებით დაჰყავს ისინი ჰოლივუდურ საბავშვო პრემიერებზე. ბუნებრივია, მსხიობს ყველაფერი აქვს, რაც კი კომფორტულად ცხოვრებისთვისაა საჭირო, მათ შორის — შესანიშნავი სახლი მალიბუში. წლების მანძილზე სუპერსერიალში მონაწილეობას ამაოდ არ ჩაუვლია — ამის წყალობით, მსახიობმა მყარი ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა (გასული წელს, ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა შოუბიზნესის 30 უმდიდრესი წარმომადგენლის რეიტინგი, რომელშიც მეთიუ პერიც იყო შესული).

ამჟამად, რეჟისორი უილიამ დირი მეთიუსა და მამამისს იღებს ფილმში — „სიბრძნის დასაწყისი“, სადაც „მეგობრების“ ვარსკვლავი პროდიუსერის ამპლუაშიც მოგვევლინა.

ფრაზა

ცხოვრება მაშინაც სახალისოა, როცა ჩვენ ვკვდებით და მაშინაც სერიოზულია, როდესაც ვიცინით.

ბერნარდ შოუ

გენიალური

ტომ ფორდი მოდაზე ფილმს იღებს

სახელგანთქმული დიზაინერი ტომ ფორდი თავისი სადებიუტო ფილმის გადასაღებად ემზადება. Gucci Group-ის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორის არჩევანი ბუნებრივია, იმ სფეროზე შეჩერდა, რომელსაც ის ყველაზე კარგად იცნობს. იტალიური გაზეთის „რეპუბლიკის“ ცნობით, სურათის გადაღებები უახლოეს ხანს, რომის ცნობილ სტუდია „ჩინეჩიტაში“ დაიწყება. გადაუმოწმებელი ინფორმაციის თანახმად, ფილმის სიუჟეტი აგებული იქნება მოდის სფეროში მომუშავე 2 ჟურნალისტზე, რომლებიც ყველაფერზე მიდიან, ოღონდაც კონკურენტები დაჯაბნონ. კინოს სფეროსთან დაკავშირებულ საკუთარ ამბიციებზე პირველად, ტომ ფორდმა „გუჩის ჯგუფიდან“ წამოსვლის შემდეგ, წლეულს აპრილში განაცხადა. „მართლაც, მთელი სერიოზულობით ვუდგები ფილმის გადაღებას. ვისაც რა უნდა, ის თქვას, მაგრამ ამ სურათის რეჟისორი მე თვითონ ვიქნები“, – თქვა ჟურნალისტთან საუბრისას დიზაინერმა. ■

ფოტოგრატი აგილერასთან სასამართლო დავას აპირებს

ფოტოოსტატი დევიდ კილერი პოპვარსკვლავ კრისტინა აგილერას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. კილერი ირწმუნება, რომ 2001 წლის 21 მაისს, ჰოლივუდის ერთ-ერთი ღამის კლუბის შესასვლელთან ის სასტიკად სცემა მომღერლის პირადი დაცვის წევრმა. ფოტოგრაფის თქმით, აგილერა „ძლივს იდგა ფეხზე და აშკარა იყო, რომ მას მანქანამდე მისასვლელად დახმარება სჭირდებოდა...“ ის დასძენს: როცა კრისტინას გადაღება დავაპირე, მისმა მცველმა ვერნონ უორენმა მითხრა, რომ ადამიანებისადმი პატივისცემა უნდა მასწავლოს და მუშტი ჩამარტყა სახეშიო. შემდეგ, მომღერალი და მისი პირადი მცველი იქაურობას გაეცალნენ, ფოტოგრაფს კი, გახეთქილი ტუჩის ტკივილი სტანჯავდა...

თავის სარჩელში დევიდ კილერი ახსენებს ფირმებს – AD Entertainment-სა და Three Wishes Inc-ს, რომლებმაც დაიქირავეს უორენი, როგორც აგილერას პირადი მცველი. ■

ბრედ პიტი და ჯენიფერ ენისტონი მავშვს იშვილებენ

სახელგანთქმული ჰოლივუდური წყვილი აპირებს, აღსაზრდელად აიყვანოს ბავშვი, რადგან არაერთი მცდელობის მიუხედავად, საკუთარი არა და არ გაუჩნდა. ბრედ პიტი და ჯენიფერ ენისტონი უკვე 4 წელია, ცოლ-ქმარი არიან და საბოლოოდ დაჰკარგეს იმედი, რომ 35 წლის კინოვარსკვლავი დაორსულდება... მისი 40 წლის ქმარი კი (რომელიც ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგად, კვლავ მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დაასახელეს) უკვე შეუდგა ბევერლი-ჰილზში მდებარე მათ სახლში საბავშვო ოთახის მოწყობას... ამრიგად, ვარსკვლავთა წყვილი მალე შეემატება თავისი კოლეგების იმ რიგს, რომლებსაც ბავშვები უშვილებიათ. შეგახსენებთ, რომ მათ შორის არიან: ტომ კრუზი და ნიკოლ კიდმანი, ანჯელინა ჯოლი, მიშელ პფაიფერი და შერონ სტოუნი. ■

სტელა მაკარტნის საასალწლოდ, დედამის სიხარული ელვევა

როგორც ცნობილია, „ექსბითლის“ ქალიშვილი, ცნობილი დიზაინერი სტელა მაკარტნი შარშან, გამომცემელ ალესდერ უილისს გაჰყვა ცოლად. მათი ქორწილი შოტლანდიაში, კუნძულ ბიუტზე გაიმართა. სტელა არ გახლავთ საკუთარი პირადი ცხოვრების აფიშირების მოყვარული და ამის გამო, იმ დღეს, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული. ჯვრისწერის ცერემონიაზე, მომცრო კაპელაში მხოლოდ მისი უახლოესი მეგობრები – გვინეტ პელტროუ, მადონა, გაი რიჩი, ლივ ტაილერი და კეიტ მოსი იყვნენ მიწვეული. იმისათვის, რომ ამ მოვლენას საზოგადოების მხრიდან ნაკლები ყურადღება მიეპყრო, პატარძლის თხოვნით, გადაუხვიეს შოტლანდიაში დაწესებულ ჩვეულებას – 15 დღით ადრე გამოაქვეყნონ გაზეთში განცხადება მომავალი ქორწინების ცერემონიის შესახებ...

სტელა მაკარტნის ორსულობის შესახებ ცნობა ამ ცოტა ხნის წინ, გაზეთმა „დეილი მირორმა“ მის ერთ-ერთ ინკოგნიტო მეგობარზე დაყრდნობით გამოაქვეყნა. როგორც ჩანს, პრესას შემდგომშიც, ამგვარი წყაროს ინფორმაციით სარგებლობა მოუწევს. ბოლოს დავძენთ, რომ პოლ მაკარტნი უკვე „ორგზის“ ბაბუაა: შვილიშვილები მას სტელას დამ – მერიმ აჩუქა. ■

მექჰემების წყვილი თანამედროვეობის საჩუქარს უმზადებს

მალე დევიდ ბექჰემისა და მისი მეუღლის ფანატებს მიეცემათ შესაძლებლობა, მათი კერპების მიერ შემუშავებული საიუველირო ნაწარმი შეიძინონ. ბრიტანული გაზეთ „სანის“ ცნობით, ახლა ბექჰემები აწარმოებენ მოლაპარაკებას ერთ-ერთ კომპანიასთან, რომელმაც თავად მიმართა მათ წინადადებით, შეემუშავებინათ ალმასისგან დასამზადებელი სამშვენისების სამოდელო რიგი. როგორც საინფორმაციო წყარო იტყობინება, სახელგანთქმული წყვილი რასაკვირველია, დაინტერესებულია ამ პროექტის განხორციელებით, თუმცა, პროექტის რეალიზება საბოლოოდ გადაწყვეტილი არ გახლავთ. ცხადია, ყველა ნივთი, რომელიც მათი ხელიდან გამოვა, „ბექჰემის“ ბრენდის სახელით წარდგება საზოგადოებისა და მომხმარებლების წინაშე. როგორც ცნობილია, ცოლქმარი სამკაულებისა და საერთოდ, ძვირად ღირებული ნივთების დიდი მოყვარულია. მიუხედავად იმისა, რომ დევიდსა და ვიქტორიას უნიკალური საიუველირო კოლექცია აქვთ, ისინი გამუდმებით ცდილობენ, ახალი სამშვენისებით შეავსონ იგი და ყველაზე ელიტურ მაღაზიებს სტუმრობენ ხოლმე. წლეულს ვიქტორიას 30 წელი შეუსრულდა და ამასთან დაკავშირებით, დევიდს მისთვის საუცხოო, ვარდისფერი ბრილიანტები უსახსოვრებია. ■

ჰაიდი კლუმს გათხოვება აკრძალული ჰქონია

შესაძლოა, სუპერმოდელი სიხარულით დათანხმდებოდა, თავის ბოიფრენდთან, ბრიტანელ მომღერალ სილთან ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმებაზე, მაგრამ უახლოეს წლებში, ამის განხორციელება თურმე, შეუძლებელი ყოფილა. საქმე ის გახლავთ, რომ ჰაიდი კლუმს კომპანიასთან – Victoria's Secret – 2,5-მილიონიანი კონტრაქტი ჰქონია გაფორმებული, რომლის თანახმადაც მას იმიჯის შეცვლა ეკრძალება. ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიცაა გათხოვება, უეჭველად იმოქმედებს იმ სახეზე, რომელიც საცვლების მწარმოებელი ფირმის პოტენციურ კლიენტებს იზიდავს.

კომპანიის მესვეურებს დიდი უკმაყოფილება გამოუხატავთ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჰაიდის ორსულობის ამბავი შეუტყვიათ, შემდეგ კი – იმის გამო, რომ მან შვილი გააჩინა... კლუმი იძულებული გამხდარა, გაეკეთებინა არჩევანი: ან 34 დღეში (დანიშნულ ფოტოსესიამდე) გათავისუფლებულიყო ზედმეტი კილოგრამებისგან, ან დამშვიდობებოდა კონტრაქტით გათვალისწინებულ დიდ შემოსავალს. ■

კლინტ ისტვუდმა საკუთარ მიოგრატეს ცილისწამებაზე უარი ათქმევინა



საქმე ეხებოდა სარჩელს, რომელიც 10 მლნ დოლარის გადახდას ითვალისწინებდა. მწერალი პატრიკ მაკგილანი, მსახიობსა და რეჟისორზე დაწერილ ბიოგრაფიულ წიგნში ისტვუდს იმაში ამხელდა, რომ ის თავის ცოლს მეგის სცემდა. სწორედ ამის გამო შეიტანა კინოვარსკვლავმა სარჩელი სასამართლოში, სადაც მიყენებული მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, კომპენსაციის სახით 10 მლნ დოლარს ითხოვდა... მეგის გალახვის მოწმემ, რომელიც ამ ფაქტს ადრე ადასტურებდა, საკუთარი ჩვენებები უარყო. ამის შემდეგ, დავა სასამართლო სხდომის მიღმა გადაწყდა – კერძოდ, იმის შედეგად, რომ მაკგილანი წიგნიდან აღნიშნული ეპიზოდის ამოღებას დათანხმდა. პრესისთვის ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ მწერალი და გამომცემლობა St. Martin Press, რომელმაც წიგნი – „კლინტი: ცხოვრება და ლეგენდა“ – გამოსცა, მის ახალ ტირაჟში სხვა ცვლილებების შეტანაზეც დათანხმებულან. ■

ჰოლი მერი დიდხანს არ დამრდემა

38 წლის ჰოლივუდელი ვარსკვლავი სულაც არ ნაღვლობს იმის გამო, რომ წლები ემატება და მის გარეგნობას ამით რაიმე დააკლდება. ბერის თქმით, აფროამერიკელი ქალები დიდხანს არ ბერდებიან. ავსტრიის ჟურნალ „ქალებისთვის“ მიცემული ინტერვიუს ჩაწერისას მან აღნიშნა: „ძალზე კმაყოფილი ვარ იმით, როგორც გამოვიყურები. სულაც არ ვფიქრობ იმაზე, რომ ოდესმე დავბერდები. ჯერჯერობით არანაირი ოპერაცია არ გამიკეთებია... საერთოდ, ფერადკანიანი ქალები მუდამ დარწმუნებული არიან საკუთარ თავში, რადგანაც მათ ასაკი ნაკლებად ეტყობათ. აი, თუნდაც ბებიაჩემის მაგალითი ავიღოთ: მიუხედავად იმისა, უკვე 80-ს გადააბიჯა, კვლავაც უნაკლო სახის კანი აქვს. იმედი მაქვს, რომ არც მე მომიწევს პლასტიკური ოპერაციების გაკეთება ან რაღაც სხვა ექსტრემალური საშუალებების გამოყენება“. ■

Renault Kangoo-ს ჩეკოჩი

ფრანგულმა კომპანია „რენომ“ გამოაცხადა, რომ მოდელის – Kangoo დღემდე გაყიდული მანქანების საერთო რაოდენობამ 1,5 მლნ-ს მიაღწია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მანქანის წარმოება 7 წლის წინ დაიწყო, შეიძლება ითქვას, რომ ეს საუცხოო შედეგია. მომხმარებლებს იმთავითვე მოეწონათ „კანგო“ – ფუნქციონალობით, სალონის სიხალვათით, საიმედოობითა და საექსპლუატაციო სიმარტივით. ამ მანქანის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ მისი დიზაინის ყველა თავისებურება მძღოლისა და მგზავრების კომფორტულობას ემსახურება: მაღალი სახურავის წყალობით, საბარგო დანაყოფი (როცა უკანა სავარძლები დაკეცილ მდგომარეობაშია) თითქმის 3 კუბ/მ-ს აღწევს, გვერდზე გასაწევი კარები კი, მსხვილგაბარიტიანი საგნების მანქანაში ჩატვირთვას აიოლებს. ბუნებრივია, რომ „კანგო“ განსაკუთრებული პოპულარობით მცირე ბიზნესის ევროპელ წარმომადგენლებს შორის სარგებლობს, გერმანიაში კი ის ფოსტის ერთ-ერთ ოფიციალურ ავტომობილადაც იქცა. შარშან ევროპაში 115764 სატვირთო და 114713 სამგზავრო Kangoo გაიყიდა.

აქვე უნდა აღინიშნოს: კომერციული ავტომანქანების ამ „ჟანრის“ ფუძემდებელი სხვა ფრანგული მარკა – Citroen გახლდათ. მისი მოდელი – Berlingo ბაზარზე „კანგოზე“ ერთი წლით ადრე – 1996-ში გამოჩნდა. მაგრამ „რენოს“ კონკურენტმა მხოლოდ შარშან გადალახა წარმოებული მანქანების მილიონიანი ზღუდე.

სამგზავროს გარდა, კომპანია, „კანგოს“ სატვირთო ვარიანტს – Rapid-საც უშვებს. არსებობს აგრეთვე მისი დაგრძელებული (30 სმ-ით), სრულამძრავიანი და გადიდებული კლირენსის (ე.წ. საგზაო ნაპრალის) მქონე ვერსია – Rapid 4X4. სერიულ წარმოებაშია აგრეთვე სრულამძრავიანი „რაპიდის“ ვერსიაც. ■

თუმცა ახასხელყოფილი „მერსედესებიც“ არსებობს

კორპორაციამ – DaimlerChrysler თავისი ორი მოდელი – Vito და Viano – გამოითხოვა, რისი მიზეზიც, დიზელის ძრავათი მართვის ელექტრონული ბლოკის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზები გახდა. კონსტრუქტორებმა დაადგინეს, რომ ზოგ შემთხვევაში მართვის ბლოკი საწვავის მიწოდებას წყვეტს და ამის გამო, ძრავა ითიშება. კომპანიის მესვეურებმა განაცხადეს, რომ ამ ხარვეზის მიზეზით ავარიული სიტუაციების შექმნის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, ამიტომ აღნიშნული აქცია მხოლოდ კონსტრუქციის სრულყოფას ისახავს მიზნად.

ქარხანაში დასაბრუნებელი მანქანების რაოდენობა ევროპაში 10 ათასს აღწევს. ისინი 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის აპრილამდე ჩამოვიდა კონვეიერიდან. ცხადია, კონსტრუქციის სრულყოფა მანქანების მფლობელთათვის უფასო იქნება.

სპეციალისტების ვარაუდით, შესაძლოა, ხარვეზის მიზეზი ის იყოს, რომ დიზელის ძრავასთვის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისას, კონსტრუქტორები ცდილობდნენ, გამონაბოლქვის ტოქსიკურობის უმკაცრესი ევროპული სტანდარტის – Euro 3-ის ნორმები დაეკმაყოფილებინათ. Vito/Viano-ს სამოდელო რიგში სულ 3 დიზელის ძრავაა, რომელთა სიმძლავრის დიაპაზონი 88-დან 150 ცხ.ძ-ს შორის მერყეობს. ორივე მოდელი ბაზარზე შარშან გამოვიდა. მათი ოფიციალური პრემიერა ფრანკფურტის ავტოსალონზე 2003 წლის სექტემბერში გაიმართა. Viano სამგზავრო ვენია, Vito კი, მის სატვირთო ვარიანტს წარმოადგენს. Vito-ს აქვს აგრეთვე, კომბინირებული – სატვირთო-სამგზავრო მოდიფიკაცია – Vito Mixto, რომელიც 6 მგზავრს იტევს. ■

ახისტოკრატი Sorento

კორეელმა ავტომწარმოებელმა Kia-მ თავისი მოდელების – Opirus და Sorento – ტიუნინგური ვერსიები გამოუშვა. ამ მანქანების „გაკეთილშობილება“ გერმანულმა ფირმა CRD-მ (Car Research&Development) იკისრა. ეს „მერსედესის“ მარკის ავტომობილების ტიუნინგით სახელგანთქმული ფირმის Brabus-ის შვილობილი კომპანია გახლავთ. „სორენტოს“ სატიუნინგო პროგრამაში შედის: 19-დუიმიანი, ჩამოსხმული დისკების, ალუმინის პედლებისა და ვერცხლისფერბლატიანი ხელსაწყოების დაყენება, ნატურალური ტყავით სალონის მოპირკეთება. მანქანა აგრეთვე აღიჭურვება სანავიგაციო სისტემითა და CD-პლეიერით. სატიუნინგო პაკეტი მომხმარებელს მთლიანად 6.300 ევრო დაუჯდება. სულ კი Sorento Executive (194 ცხ.ძ. სიმძლავრის, 3,5 ლ მოცულობის ძრავათი) ევროპაში 40.120 ევრო ეღირება და კომპანიის მარკეტოლოგთა ჩანაფიქრით, გაცილებით პრესტიჟული მარკების ჯიპებისთვის კონკურენციის გაწევას შეძლებს. ■

(დასაწყისი იხ. „გზა“ № 26-34)

მცოცავლის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

ახალგაზრდა ბიზნესმენ ანდრო სვანიძეს თავისი ბიზნესპარტნიორი შალვა ოშხერელი მცხეთაში, ნარკოტიკების გამსაღებლებთან სალაპარაკოდ ჩაიტყუებს. ანდროს, თანამშრომელი და საყვარელი, დალი ხაჩიძე ახლავს თან. რესტორანში, სადაც ანდრო და შალვა მოდავეებს ხვდებიან, ვიღაც უმისამართო სროლას ატეხს და ერთ ტყვიას კინაღამ ანდროსაც მოარტყამს. პასუხად, ანდროც რამდენჯერმე გაისვრის ჰაერში. სწორედ იმწუთას, მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა კაცი იატაკზე უსულოდ დაეცემა. სროლის ხმაზე, გასაკვირი ოპერატიულობით მოვარდნილი პოლიციელები ანდროს იარაღით ხელში დააკავებენ...

ანდროს ფირმის ადვოკატი არჩილ ხომასურიძე მოულოდნელად ავტოკატასტროფაში მოყვება. მისი რჩევით, დალი ხაჩიძე დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს მეგი ლაღიძეს მიმართავს. ანდროს საქმეს, ადამიანების დაშანტაჟებაში დახელოვნებული გამომძიებელი სულიკო ჟვანია იძიებს, რომელსაც მეგისთან პირველი შეხვედრისას, გაცოფებული ანდრო ყელში სწვდება... მომხდარის შემდეგ შინ დაბრუნებულ დათრგუნვილ მეგის კარზე ყოფილი შეყვარებული კახა სუთიძე მიადგება. კახა მას, ანდრო სვანიძის საქმეზე უარის თქმას სთხოვს, მაგრამ მეგის ამის გაგონებაც კი არ სურს. მეორე დილით, კახა მეგის კარზე დალი ხაჩიძეს მიაყენებს: ანდროს, ადვოკატის შეცვლა გადაუწყვეტიაო. მაგრამ ეს ტყუილი აღმოჩნდება. ამით კმაყოფილი მეგი, არჩილ ხომასურიძის სანახავად ბათუმში წასვლას გადაწყვეტს. ის შემთხვევით კახა სუთიძეს შეხვდება და სრულიად მოულოდნელად, მას სთხოვს, ბათუმში წამიყვანეო. მაგრამ იქ ჩასულებს, ადვოკატი საავადმყოფოში აღარ დახვდებათ, თუმცა, მის დატოვებულ საბუთებს მეგის სხვები გადასცემენ. სასტუმროში განმარტოებისას, ხომასურიძის საქალაღდეში მეგის მხოლოდ ცარიელი ფურცლები შერჩება ხელში: საბუთები მოიპარეს. ქალი მაშინვე კახაზე მიიტანს ეჭვს, თუმცა თავადვე ხვდება, რომ ამის დამტკიცებას ვერაფრით შეძლებს. მოგვიანებით, სრულიად შემთხვევით, საბუთების ნაწილი მისი საწოლის ქვეშ აღმოჩნდება... თბილისში დაბრუნებული მეგი დაქალის, ლიკას მეუღლის, ვახოს სანახავად გასწევს, რომელიც წლების მანძილზე ანდრო სვანიძესთან მუშაობდა. ის აფრთხილებს მეგის, რომ ქალი სახიფათო საქმეს შესჭიდებია და ურჩევს, თავი დაანებოს ანდროს დაცვას. თუმცა ამავე დროს, მისი წარსულის საინტერესო მომენტებზე უამბობს და იმასაც ეტყვის — ანდროს კახეთში მიწის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო არისო...

ერთ დღეს, მეგის კარზე კვლავ კახა მიადგება. ის ემუდარება ქალს — შინ წამომყევი, ჩემს მომაკვდავ დედას შენთვის რაღაც სათქმელი აქვსო. ყოყმანის შემდეგ, მეგი დათანხმდება და ესტუმრება ოჯახს, სადაც მრავალი წლის წინ არაერთხელ ყოფილა... კახა ოთახში ინვალიდის ეტლს შემოაგორებს, რომელშიც მისი **დასნეულებული დედა ზის. ის შვილს უბრძანებს — ახლა კი, მე და მეგი მარტონი დაგვტოვეო...**

კახამ დედა ხელში ფრთხილად აიყვანა და ჰაერში დაატრიალა.

— რას შვრები?!. ახლავე დამსვი, შე გიჟო! — თავში რამდენჯერმე მსუბუქად წაუთაქა შვილს ღიმილმორეულმა მარიკამ.

პატარა ბიჭივით აცეტებულმა კახამ დედა კიდევ ერთხელ დაატრიალა, შემდეგ მეგის პირდაპირ მდგარ სავარძელში ფრთხილად ჩასვა და თავად მაშინვე წელში გასწორდა:

— ქალბატონებო! მე წავედი და ახლა თქვენ იცით!.. — საათზე დაიხედა მან. — თქვენს განკარგულებაში ორი საათია. თორმეტს ზუსტად ოცი წუთი რომ დააკლდება, აქ გავჩნდები და სადაც მიბრძანებთ, იქ წაგიყვანთ!

— იცოდე, მართლა დროზე მოდი! — გააფრთხილა შვილი მარიკამ. — მეგი არ დააგვიანო და საქმე არ გაუფუჭო, თორემ მე, აბა, საიქიოს გარდა, სადღა მიმეჩქარება?..

— დედა!.. — გააწყვეტინა კახამ. — იცოდე, ეგეთები არ იყოს!

— კარგი, გენაცვალოს დედა! — შვილს თვალი ალერსით შეავლო მარიკამ. — წადი ახლა, ნუღარ გვაცდენ!..

— თუ რამე დაგჭირდება, ხომ იცი, რომ მამა შინაა?!. — შეახსენა დედას კართან მისულმა კახამ, შემდეგ ოთახიდან სწრაფად გავიდა და კარი მჭიდროდ გაიხურა...

მარიკა კი მაშინვე ფეხზე მდგარ მეგის მიუბრუნდა და გამომცდელად აათვალიერ-ჩაათვალიერა:

— კიდევ უფრო დამშვენებულხარ... — რაღაცნაირად, თითქოს დანანებით თქვა მან.

— გმადლობ... — ცივი ხმით უპასუხა მეგიმ.

— დაჯექი!.. — განაგრძო მარიკამ. — წინ მძიმე საუბარი გველის...

მეგი სავარძელში მართლაც, მძიმედ ჩაეშვა და მარიკას თვალი თვალში გაუყარა:

— გულისყურით გისმენთ, ქალბატონო მარიკა...

— მახსოვს, ადრე, მარიკა დეიდას მეძახდი...

— მას შემდეგ ძალიან ბევრმა წყალმა ჩაიარა, ქალბატონო მარიკა! — სიტყვა „ქალბატონოს“ საგანგებოდ ხაზი გაუსვა მეგიმ.

— მართალი ხარ... — ამოიოხრა მარიკამ. — ჩემი ბრალია ყველაფერი... შენც და ჩემი შვილიც მხოლოდ მე დაგღუპეთ!.. — კვლავ თვალები აუწყლიანდა მარიკას.

— არ გინდათ, რა, ქალბატონო მარიკა! — გააწყვეტინა მეგიმ. — მე აქ თქვენს დასადანაშაულებლად არ მოვსულვარ... თანაც, ვფიქრობ, რომ არც მე და არც მით უმეტეს, თქვენს შვილს დაღუპულის ნამდვილად არაფერი გვეტყობა...

— ეგ — ახლა!.. მაგრამ ჩემზე უკეთ ვინ იცის, ადრე რასაც განიცდიდით?!. მოუკვდეს დედა ჩემს კახუჩელას!.. იცი, რომ მაშინ მოსკოვში სულ ძალისძალად გავაგდე?!.

— როდის მაშინ? — ვითომ, ვერ მიუხვდა მეგი.

— როცა გავიგე, რომ მისგან ფეხმძიმედ იყავი... — თვალები დამნაშავესავით დახარა მარიკამ.

— ა-ა!.. ამას გულისხმობთ?.. — მშვიდად ჰკითხა მეგიმ. — გეთანხმებით, მაშინ მე ნამდვილად მძიმე დღეები გადავიტანე... მაგრამ არა მგონია, წარსულის ქექვას ახლა რაიმე აზრი ჰქონდეს!..

— აქვს! — გააწყვეტინა მარიკამ. — ნამდვილად აქვს!.. შენ და კახამ ხომ ჯერ სრული სიმართლე არ იცით?!.

— მაინც, რომელი სიმართლე? — კვლავ არაფერი შეიმჩნია მეგიმ.

— რომელი და ის, რომ თქვენი ბიჭი... შენი და კახას შვილი ცოცხალია! — ჩამქრალი თვალები უცბად უცნაურად აენთო მარიკას.

— გასაგებია... — ხმას აუწია მეგიმ. — როგორც ჩანს, ვახომ სიმართლე მითხრა!..

— ვახომ?!. — ყურები ცქვიტა მარიკამ. — ვახო ვინღაა? ან ეს ამბავი საიდან იცის?

უცბად, მეგიმ მის წინ მდგარი ჟურნალების მაგიდა გვერდზე რიხინით გასწია, მარიკას თავზე წამოადგა და კბილებში გამოცრა:

— რა დროს ვახოა, ქალბატონო მარიკა?!. ახლავე მითხარით, სად არის ჩემი შვილი!..

მეგის სახის შემხედვარე მარიკა სავარძელში საბოლოოდ ჩაიკარგა. სწორედ იმწუთას, კარზე ფრთხილი კაკუნიც გაისმა. მეგი მარიკას სავარძელს სწრაფად მოსცილდა და ამ უკანასკნელმაც მაშინვე შვებით ამოისუნთქა. კაკუნი გამეორდა. შემდეგ კარი ფრთხილად გაიღო და საკმაოდ სიმპათიურმა თმაშევერცხლილმა მამაკაცმა შემოიხედა.

— რა იყო, შოთა? — მისუსტებული ხმით ჰკითხა მას მარიკამ. — ხომ გთხოვე, სტუმარი მყავს და არ შემაწუხო-მეთქი?!

— კი მთხოვე, საყვარელო, მაგრამ რაღაც ხმაური შემომესმა და ვიფიქრე, ხომ არაფერი უჭირს-მეთქი... — თავის მართლება სცადა შოთამ და თან, მეგი დაკვირვებით შეათვალიერა.

— როგორ ბრძანდებით, ბატონო შოთა? — მაშინვე ჰკითხა მას მეგიმ.

— გმადლობ, არა მიშავს... — დაიბნა შოთა.

— ვეღარ მიცანით, ხომ? — მიუახლოვდა მას მეგი და ხელიც გაუწოდა.

— ნამდვილად ვერ გიცანით... — შეწუხდა შოთა, მაგრამ ხელი მაინც შეაგება.

— მე კახას სტუდენტობის მეგობარი ვარ...

— ა-ა!.. — გამოცოცხლდა შოთა. — კი ვიფიქრე, ეს მშვენიერი ქალიშვილი სადღაც მინახავს-მეთქი... მაგრამ ხომ იცით, კახას იმდენი მეგობარი ჰყავდა და ჰყავს, რომ...

— კარგი!.. — გააწყვეტინა ქმარს მარიკამ. — გვაცალე ახლა ლაპარაკი!

— ახლავე, საყვარელო, ახლავე! — კარი სწრაფად გაიხურა შოთამ.

მეგიც მაშინვე თავის სავარძელს დაუბრუნდა და მარიკას კვლავ გამჭოლი მზერა ესროლა, თუმცა თქმით აღარაფერი უთქვამს. კარგა ხანს ხმა არც მარიკას ამოუღია, თუმცა, ბოლოს დუმილი მაინც მან დაარღვია:

— მეგი, შვილო... — შეპარვით დაიწყო მარიკამ.

— მე თქვენი შვილი არ ვარ! — მკაცრად გააწყვეტინა მეგიმ. — და აქ არც თქვენი დედობრივი გრძნობების შესამოწმებლად მოვსულვარ!.. პირდაპირ გეკითხებით და თქვენც პირდაპირ მიპასუხეთ — სად არის ჩემი შვილი?

— გეტყვი!.. — ამოიკვნესა მარიკამ. — აბა, რისთვის მოგიყვანე?.. ხომ ხედავ, რომ მოსასწრებად მაქვს საქმე?!. ოღონდ, ძალიან გთხოვ, აღარ გამაწყვეტინო!..

— ვეცდები!.. — მაინც გააწყვეტინა მეგიმ.

— წეღანაც გითხარი, — დაიწყო მარიკამ. — შენი ფეხმძიმობის ამბავი რომ გავიგე, თავზარი დამეცა, ჯერ რა დროს კახას ცოლ-შვილია-მეთქი?!. სწორად გამიგე, საყვარელო!.. ხომ გახსოვს, რა დრო იყო?.. ქვეყანა თავდაყირა იდგა!.. წესიერ ადამიანს ქუჩაში შიშით ვეღარ გაევლო... დღედაღამ იმასღა ვფიქრობდი, ერთადერთი შვილი ამ უბედურებისთვის როგორ გამერიდებინა, სად გამეგზავნა... და უცბად, შენ მოდიხარ და მეუბნები — კახასგან ფეხმძიმედ ვარ, მე თქმას ვერ ვუბედავ და იქნებ, თქვენ უთხრათო... კი შეგპირდი, მაგრამ კახასთვის მაინც არაფერი მითქვამს. მეტიც, იმ დღიდან შევუჩნდი და სანამ მოსკოვში სასწავლებლად გადასვლა არ გადავაწყვეტინე, აღარ მოვეშვი. მერე მეგის რა ვუყოო? — ხშირ-ხშირად მეკითხებოდა. ორ-სამ თვეში ჩამოგაკითხავ და თუ მეგი მოისურვებს, იმასაც თან ჩამოვიყვან-მეთქი, ვაიმედებდი... ვიცოდი, ორ-სამ თვეში მოსკოვურ ცხოვრებას გემოს გაუგებდა და შენ საერთოდ აღარ გაახსენდებოდი... ასეც მოხდა. ორი თვის შემდეგ რომ ჩავაკითხე, შენი ამბავი სასხვათაშორისოდღა მკითხა... ბევრი მეც არაფერი მომიყოლია...

მოგვიანებით გავიგე, რომ კახასთვის შენ თვითონ მიგიწერია ყველაფერი... ერთ საღამოს დამირეკა და კარგად შემჯორა: ქალი თბილისში ცნობილი გინეკოლოგი ხარ და მე რომ არ შემაწუხოს, მეგისთვის აბორტი ისე ვეღარ გაგიკეთებიაო?!. შვებით ამოვისუნთქე!..

— ქალბატონო მარიკა! — კბილებში გამოცრა უცბად მეგიმ. — თქვენი შვილის არაკაცობის ამბავი უთქვენოდაც კარგად ვიცი! ასე რომ, თუ არ გინდათ, ახლავე ავდგე და წავიდე, საქმეზე გადადით და პირდაპირ მიპასუხეთ, ჩემი შვილი მართლა ანდრო და ლანა სვანიძეების ოჯახში იზრდება?

— როგორ?!. — თვალებად იქცა მარიკა. — შენ უკვე ესეც იცი?!.

— კი, ვიცი და ანდრო სვანიძეს უკვე პირადადაც ვიცნობ! მე მისი ადვოკატი ვარ!..

— ღმერთო, დიდებულო!.. — აკანკალებულ ხელებში ჩარგო თავი მარიკამ და აქვითინდა. — ახლა კი მჯერა, რომ მართლა არსებობ და კიდევ უფრო დაუნდობლადაც დამსჯი!..

მეგიმ მარიკას ქვითინს ცოტა ხანს კიდევ უსმინა და შემდეგ, ფეხზე წამოდგა:

— კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო მარიკა და მართლა ღმერთმა განგსაჯოთ!..

— მოიცა! — წელში სწრაფად გასწორდა მარიკა და ტირილისგან ამოწითლებული თვალები ვედრებით მიაპყრო მეგის. — სანამ წახვალ, ალბათ, იმის გაგების უფლება მაინც მაქვს, თუ ამის შემდეგ რას აპირებ?!.

— ამის თქმას ნამდვილად არ დაგამადლით, მაგრამ ჯერ თავადაც არ ვიცი... — დაფიქრდა მეგი. — აქედან პირდაპირ ციხეში, ანდროს სანახავად წავალ... მინდა, კარგად დავაკვირდე ადამიანს, ვინც ამდენი წელია, ჩემს შვილს საკუთარივით ზრდის... მერე, ციხიდან მის გამოსახსნელად გავაკეთებ ყველაფერს... დანარჩენს კი, ალბათ, დრო გვიჩვენებს...

— კი, მაგრამ მერე, ჩემი კახა?!. — გულუბრყვილოდ ჰკითხა უცბად მარიკამ.

— თქვენი კახა კი, ქალბატონო მარიკა, აქ საერთოდ არაფერ შუაშია... — მშვიდად უპასუხა მეგიმ. — მან თავის შვილს ჯერ კიდევ 10 წლის წინ გამოუტანა განაჩენი!..

— არა ხარ მართალი!.. — ძლივსღა ამოიკვნესა მარიკამ. — თანაც, საქმე იმაზე ბევრად უფრო რთულადაა, ვიდრე შენ ერთი შეხედვით გეჩვენება!.. იცი, რომ

გუშინ ჩემთან ანდროს ცოლი ლანა და დედამისი იყვნენ?!.

— ანდროს ცოლი?!. — სასწრაფოდ უკან მობრუნდა კართან მისული მეგი. — ისიც თქვენ დაიბარეთ?

— არა! ლანა თავისი სურვილით მოვიდა. მე რატომ უნდა დამებარებინა?!

— რატომო?!. — განცვიფრდა მეგი. — განა, მის წინაშე კი ნაკლები ცოდვა გაქვთ ჩადენილი?!.

— ძალიან ცდები, ჩემო გოგონავ! — გააწყვეტინა მარიკამ. — ლანამ სრული სიმართლე თავიდანვე იცოდა!..

— ესე იგი, ვახო აქაც არ შემცდარა... — თავისთვის ჩაილაპარაკა მეგიმ და შემდეგ მარიკას მიუბრუნდა: — აბა, გუშინ რაღას ითხოვდა თქვენგან?

— ხელწერილს, რომელშიც დავადასტურებდი, რომ ლანამ მთელი ეს ამბავი მხოლოდ ახლა გაიგო და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მე არ ვისურვე საფლავში საიდუმლოს ჩატანა...

— და თქვენც ყველაფერი დაუწერეთ, ხომ?.. — ყრუ ხმით ჰკითხა მეგიმ.

— კი, სულ-სულ ყველაფერი... — აკანკალებული ხელი კაბის ჯიბეში ძლივსღა ჩაიყო მარიკამ, იქიდან ძველებური კონვერტი ამოიღო და მეგის მორჩილად გაუწოდა...

შეფიქრიანებულმა მეგიმ მარიკას კონვერტი გამოართვა, ერთი დახედა და მაშინვე ჩანთაში შეინახა.

— არ წაიკითხავ? — გაუკვირდა მარიკას. — იქნებ, კიდევ ერთხელ მოგატყუე და კონვერტში მხოლოდ ცარიელი ფურცლები ჩავდე?..

ამ სიტყვებზე მეგის, კახას მიერ დოკუმენტების ცარიელი ფურცლებით შეცვლის ამბავი გაახსენდა და დედა-შვილის საქციელს შორის პარალელის გასავლებად, ღვარძლიანი სიტყვებიც მაშინვე პირზე მოადგა, მაგრამ ბოლო წამს, მაინც თავი შეიკავა და მარიკას სულ სხვა რამ უთხრა:

— თუ ასეა, მაშინ ჩათვალეთ, რომ ადრეც და ახლაც, პირველ რიგში, საკუთარი თავი მოგიტყუებიათ...

— შენც მართალი ხარ... — სევდიანად გაეღიმა მარიკას. — საბოლოოდ, ალბათ, მეღა დავრჩები მოტყუებული და კიდევ — ჩემი უამისოდაც დაჩაგრული კახა...

— კახაზე გამახსენდა... — წუწუნის გაგრძელება აღარ აცალა მეგიმ. — ის და ანდრო ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ?

— კახა და ანდრო?.. — კითხვა შეუბრუნა მარიკამ. — საერთოდ არ იცნობენ ერთმანეთს.

— დარწმუნებული ხართ?

— რა თქმა უნდა... საქმე ისაა, რომ... თუმცა, არა მგონია, დეტალებმა დაგაინტერესოს, — რატომღაც სათქმელი აღარ გააგრძელა მარიკამ.

— მე ანდროსთან დაკავშირებით ყველა წვრილმანი ძალიან მაინტერესებს, — არ მოეშვა მეგი.

— კარგი, გეტყვი... — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაყაბულდა მარიკა. — იყო დრო, როცა კახას და ანდროს ცოლს, ლანას ერთმანეთი მოსწონდათ...

— ოჰო!.. — გაოცება ვერ დაფარა მეგიმ. — ამას კი ნამდვილად აღარ ველოდი!.. უბრალოდ მოსწონდათ თუ უყვარდათ კიდეც ერთმანეთი?

— თუ შეიძლება, რომ მეცხრეკლასელი ბავშვების ერთმანეთით გატაცებას სიყვარული ერქვას, მაშინ ჩავთვალოთ, რომ უყვარდათ კიდეც... ასე იყო თუ ისე, მე და ანიკო მათ ურთიერთობას ყველანაირად ვუწყობდით ხელს...

— ანიკო, ალბათ, ლანას დედაა, ხომ?

— ჰო... სხვათა შორის, იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი მეგობარია — ანიკო მართლა ძალიან კარგი ადამიანია. ლანა რომ მას ჰგავდეს, რაღა უჭირდა?!.

— როგორც გატყობთ, ლანა გულზე დიდად არ უნდა გეხატებოდეთ...

— მართალი ხარ. ლანათი აღფრთოვანებული არასოდეს ვყოფილვარ.

— მაშინ კახასთან მის დაახლოებას რატომღა უწყობდით ხელს?

— რა არის, იცი, ჩემო კარგო?.. — დაფიქრდა მარიკა. — შეიძლება, ახლა ასე აღარც ვფიქრობდე, მაგრამ მაშინ, ოჯახში რძლად მთლად უცხო ადამიანის შემოშვების პანიკურად მეშინოდა. ლანას კი, პატარაობიდან ვიცნობდი. ჩემს თვალწინ გაიზარდა და ყველა მისი ნაკლი თუ ღირსება შესწავლილი მქონდა. თანაც, შეძლებული ოჯახის შვილი და კარგი გვარის შთამომავალიც იყო...

— ერთი სიტყვით, თქვენი, როგორც მომავალი დედამთილის ყველა ძირითად მოთხოვნას აკმაყოფილებდა, ხომ? — ირონიულად გაეღიმა მეგის.

— ერთის გარდა... — მეგის ირონია ურეაქციოდ დატოვა მარიკამ. — ლანა ყოველთვის ძალიან თამამი იყო და ხანდახან, ჩემს შვილს, რომ იტყვიან, ზედ ახტებოდა. ამიტომ, სულ იმის შიში მქონდა, მათ შორის ნაადრევად არაფერი მომხდარიყო... მაგრამ ენაცვალოს ჩემს კახუჩელას დედა!.. მაშინდელივით გონივრულად და წინდახედულად ნეტავ, ახლა იქცეოდეს!.. მარტო ლანასთან კი არა, რომელ გოგონასთანაც არ უნდა გაევლო, მერე ყველაფერს მე მიყვებოდა და რჩევასაც ხშირად მეკითხებოდა...

— რა-ა?! — აღშფოთება ვეღარ დაფარა მეგიმ. — ეს მაინც რაღა მარაზმია?!.

— სულ ტყუილად ილანძღები, საყვარელო! — მეგის აღშფოთებას კვლავ ღიმილი შეაგება მარიკამ. — შენც გახდები დედა და მიხვდები, რომ...

— ძალიან გთხოვთ!.. — სათქმელი ხელის ნერვიული აწევით გააწყვეტინა მეგიმ. — ნუ დაგავიწყდებათ, რომ უკვე მეათე წელია, რაც თურმე, დედა ვარ!.. თუმცა, თქვენი და თქვენი ვაჟიშვილისეული „წინდახედულებისა“ და „გონივრულობის“ წყალობით, ეს მხოლოდ ახლაღა გავიგე!

— არც ახლა ხარ ბოლომდე მართალი! — კვლავ თავისას განაგრძობდა მარიკა. — იმ ბავშვის გაჩენისთვის მარტო მე და კახა კი არა, შენც საკმაოდ მოუმზადებელი აღმოჩნდი... შენ ხომ მაშინ, შვილზე მეტად, კახას გვერდით ყოფნა, მისი ცოლობა გინდოდა!.. კახასგან ბავშვის გაჩენა კი, უბრალოდ, ამის მიღწევის უტყუარ საშუალებად გეჩვენებოდა...

— კმარა! — ფეხზე წამოხტა გაცოფებული მეგი. — თქვენს მოსმენას ნამდვილად აღარ ვაპირებ!

— რა დამთხვევაა!.. — კვლავ მშვიდად გაღიმება სცადა მარიკამ, მაგრამ ამჯერად, ტუჩების კუთხეები მხოლოდ უშნოდ დაემანჭა. — როცა ლანას სიმართლე პირველად მივახალე პირში — საკუთარი თვალით გნახე, ვიღაც კაცთან ჩახუტებული მოდიოდი-მეთქი, — თავიდან ისიც შენსავით წამომიხტა და ფეხებიც კი დამიბაკუნა — ამას როგორ მიბედავთო?!. მაგრამ მერე ცოტა დაწყნარდა და თვითონვე გამომიტყდა: რა ვქნა, მარიკა დეიდა? ის კაცი ძალიან მიყვარსო!.. მახსოვს, როგორ გავმწარდი: მერე ჩემს ბიჭს რაღას ეუბნები?.. დაგავიწყდა, სიყვარულს როგორ ეფიცებოდი-მეთქი?!. — კახაც მიყვარს, ოღონდ — მხოლოდ ბავშვურად, იმიტომ, რომ ჯერ თვითონაც ბავშვია, მე კი უკვე კაცი მჭირდება და კიდეც მყავსო!.. — ურცხვად არ მომახალა პირში?!.

— ის კაცი ანდრო იყო? — ცნობისმოყვარეობამ ისევ სკამზე დასვა მეგი.

— ჰო... — ამოიოხრა მარიკამ. — პირველად იმის გამოჩენამ დამიჩაგრა ჩემი ლაღად გაზრდილი შვილი... მაგრამ რას ვიზამდი? ღმერთმა გაბედნიერო-მეთქი, — გულისგარეთ დავლოცე ლანა და თან ვთხოვე, კახას ჯერ ნურაფერს ეტყვი, გულს ნუ გაუხეთქავ, მოგვიანებით მე თვითონ ავუხსნი ყველაფერს-მეთქი... — დაგაგვიანდათ, მარიკა დეიდაო, — გადაიკისკისა, — კახამ ეს ამბავი ერთი თვის წინ გაიგო და უკვე კიდეც გადახარშაო... საბოლოოდ დამეცა თავზარი... ის იყო და ის, კახასთან ლანა აღარც მე მიხსენებია. მხოლოდ ერთადერთხელ, ლანას და ანდროს ქორწილში ოფიციალურად რომ დაგვპატიჟეს მთელი ოჯახი, მორიდებით ვკითხე — შენც ხომ არ წამოხვიდოდი-მეთქი? — და იცი, რა მიპასუხა?.. — როდის იყო, კაცი საკუთარ პანაშვიდზე

ცოტაც და მე და მარიკა დეიდა ერთმანეთს მართლა დავხოცავდით...

— რაკი ძველებურად მარიკა დეიდა დამიძახე, შენი უკვე აღარ მეშინია, საყვარელო!.. — მხოლოდ ტუჩის კუთხეებითღა გაეღიმა მარიკას და შემდეგ, შვილს მიუბრუნდა: — ხუთი წუთი კიდევ დაგვტოვე მარტო. მეგისთვის რაღაც დამრჩა სათქმელი...

— კიდევ ხუთი

მიდიოდაო?.. აი, ასე გაამწარა იმ თავაშვებულმა გოგომ ჩემი პატიოსანი ბიჭი. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ გამოხდა ხანი და კახას ცხოვრებაში შენ გამოჩნდი...

— აი, ეგ კი უკვე ნამდვილად აღარ მაინტერესებს! — სასწრაფოდ ისევ წასასვლელად მოემზადა მეგი. — თუმცა, მართალი გითხრათ, თქვენი ნაამბობიდან ბევრი რამ ჩემთვის მაინც აუხსნელი დარჩა.

— მერე, რა პრობლემაა?.. მკითხე და ყველაფერს აგიხსნი! — შეაგულიანა მარიკამ.

— მესმის, რომ როცა ჩემი და კახას შვილს სხვას აძლევდით, მე საერთოდ არ გენაღვლებოდით. მაგრამ რაღა მაინცდამაინც იმ ქალს მიეცით, ვინც როგორც თავად ირწმუნებით, ერთადერთი შვილი გაგიმწარათ?

— აბა, ამას რა კითხვა უნდა, საყვარელო?.. — თვალები ბოროტად მოწკურა მარიკამ. — ლანას ის ბავშვი იმიტომ მივეცი, რომ შემდეგ, ის გამემწარებინა და გავამწარე კიდეც! მთელი წელი ხომ ლანას და დედამისს ბავშვი შიშის ქვეშ ვაზრდევინე — არიქა, ანდრომ არაფერი გაიგოს, თორემ, თქვენთან ერთად მეც დავიღუპები-მეთქი... წლისთავზე კი, ანდროს მე თვითონ მივუგზავნე ჩემი ექთანი და თითქმის მთელი სიმართლე ვათქმევინე!..

— ღმერთო ჩემო!.. — შიშით აათვალიერ-ჩაათვალიერა მარიკა მეგიმ. — მგონი, თქვენ იმაზე ბევრად დიდი ურჩხული ხართ, ვიდრე წარმომედგინა!

— რას გეტყვი, იცი, საყვარელო?.. — კიდევ რაღაცის ახსნა დააპირა მარიკამ, მაგრამ უცბად, კარი ხმაურით გაიღო და ოთახში აქოშინებული კახა შემოვარდა:

— ცოცხლები ხართ? — რიგრიგობით შეათვალიერა მან ქალები.

— პირდაპირ სულზე მოგვისწარი!.. — ირონიულად გაეღიმა მეგის. — თორემ, ხუთი წუთიო?!. — აყვირდა კახა. — იცი, უკვე რამდენი საათია, ლაპარაკობთ?.. სამი, გესმის, სა-მი!

— არა აქვს მნიშვნელობა, გადი! — კარისკენ მკაცრად მიუთითა შვილს მარიკამ.

კახა ოთახიდან ფინიასავით კუდამოძუებული გავიდა.

— ახლა რასაც გეტყვი, განსაკუთრებით კარგად დაიმახსოვრე! — მკაცრი მზერა ესროლა მარიკამ მეგის. — უკვე თავადაც ხვდები, რომ მე შენ აქ ჩემი სულის ხსნისთვის არ მომიხმიხარ!..

— მე კი არა — თქვენს სულს მგონი, ღმერთიც ვეღარ იხსნის!.. — ხმა გაიმკაცრა მეგიმაც.

— მოდი, ჩემი განკითხვა მართლა მხოლოდ ღმერთს მივანდოთ!.. შენ კი სხვა რამეს გთხოვ!.. თუ მთელი ამ ამბის გამჟღავნებას და შვილის დაბრუნებას გადაწყვეტ, შენ მაინც იწამე ღმერთი და ბავშვს ნამდვილი მამაც არ დაუკარგო!

— ძალიანაც რომ მინდოდეს, ამის დამალვას ალბათ, მაინც ვეღარ შევძლებ... — დანანებით ჩაილაპარაკა მეგიმ.

— შეძლებ!.. — ჩამქრალ თვალებში მოულოდნელად ისევ ცრემლი აუკიაფდა მარიკას. — ბავშვის მამა რომ კახაა, ეს მხოლოდ მე და შენ ვიცით! მხოლოდ მე და შენ!.. ალბათ, გესმის, რომ ჩემს შვილს ამას ვერაფრით ვეტყვი, ასე რომ, ამ საიდუმლოს გამჟღავნება-არგამჟღავნებას მხოლოდ შენს სინდისზე ვტოვებ!.. ვნახოთ, შენი შვილისთვის შენ რამდენადღა დაიმძიმებ სულს?!.

— როგორაა საქმე?.. გადაუშალეთ ერთმანეთს გულები შენ და დედაჩემმა?.. — მანქანის დაძვრისთანავე, შეპარვით ჰკითხა კახამ მეგის.

— კი, — მოკლედ მოუჭრა მას სავარძელში უძრავად მჯდომმა მეგიმ.

— თუ საიდუმლო არ არის, რაზე ილაპარაკეთ? — მეორე კითხვა კიდევ უფრო ფრთხილად შეაპარა კახამ.

— შენზე... — კახასკენ არც ამჯერად გაუხედავს, ისე უპასუხა მეგიმ.

— კარგი ერთი!.. — მეგის დახვეწილ პროფილს თვალი უნდოდ შეავლო კახამ. — მთელი სამი საათი?!.

— კი, მთელი სამი საათი!.. — როგორც იქნა, კახასკენ მიხედვა გადაწყვიტა მეგიმ. — თანაც, დრო ისე შეუმჩნევლად გაგვეპარა, თავს რომ არ დაგვსხმოდი, მე და შენი დედიკო, ალბათ, ახლაც გულითად საუბარში ვიქნებოდით გართულნი...

— ჩემზე ამდენი მაინც რა ილაპარაკეთ? — ინტერესი ვეღარაფრით დამალა კახამ.

— ათასი რამ... ქალბატონმა მარიკამ შენი ბავშვობა და პირველი სიყვარულიც კი გაიხსენა.

— რა ბავშვობა?.. რის პირველი სიყვარული?.. — მოულოდნელად აფეთქდა კახა. — მთელი კვირა შენს მიყვანას იმიტომ მთხოვდა, რომ ჩემი ბავშვობის დროინდელი სისულელეები გაეხსენებინა?!.

— რატომ სისულელეები? — კახას გაღიზიანება არად ჩააგდო მეგიმ. — პირადად მე, შენი და ლანა ამირეჯიბის სიყვარული სისულელედ ნამდვილად არ მომჩვენებია.

უცბად კახამ მანქანა ისე სწრაფად დაამუხრუჭა, რომ მეგი კინაღამ შუბლით მიეხალა წინა მინას.

— რას შვრები?!. — უყვირა მან კახას. — ხომ არ გაგიჟდი?!.

— მე — ჯერ არა, მაგრამ დედაჩემი კი ნამდვილად გაგიჟებულა!.. — მანქანის ძრავა ხელის ნერვიული მოძრაობით გამორთო კახამ და მეგისკენ შებრუნდა: — წამო, რა, სადმე დავსხდეთ და წესიერად დავილაპარაკოთ!.. ყველაფერს მე თვითონ აგიხსნი...

— რას გეტყვი, იცი?.. — საათზე დაიხედა მეგიმ. — შენი საგმირო თავგადასავლების მოსმენას დღეს ისედაც დიდი დრო დავუთმე!.. თუ თხუთმეტ წუთში ციხესთან არ მიმიყვან და ამის გამო, ჩემი და ჩემი კლიენტის შეხვედრა ჩაიშლება, პირობას გაძლევ, რომ მე და შენ საერთოდ აღარ შევხვდებით ერთმანეთს!

— კარგი, ბატონო! ვნახოთ, ერთი, მე და შენს კლიენტს ბედი თუ გვაქვს?!. — მოულოდნელად მანქანა ადგილს მოსწყვიტა კახამ და ზუსტად თხუთმეტ წუთში ზედ ციხის შესასვლელთან დაამუხრუჭა.

ამ ხნის მანძილზე მანქანის სახელურს ჩაფრენილმა მეგიმ ძლივსღა ამოისუნთქა და მანქანიდან გადასასვლელად მოემზადა.

გაგრძელება იქნება

24 აგვისტოს კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს 80 წელი შეუსრულდებოდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კომპოზიტორის ვაჟს, პაპა ცაბაძის შინ ვეწვიეთ. საუბრისას ბატონმა კახამ ბატონი გიორგის ნაწარმოებების ნოტების დასტა გამოიტანა, რომელიც მალე წიგნად დაიბეჭდება და საქველმოქმედო მიზნით უფასოდ დარიგდება. წიგნში 40-60-იანი წლების 74 სიმღერა გაერთიანდა. 70-80-იანი წლების პოპულარული სიმღერები „მეფაიტონე", „ცოცხალი ვარ, ცოცხალი", „გვირილები", „მანანები", „პაწაწინა სამოთხე" და ბევრი სხვა, წიგნში არ შევიდა. ვერც მუსიკალური სპექტაკლები, 21 ოპერეტა და მიუზიკლი დაიტია მან.

50 ბოგი ცაბაძის ჰიტები და გამოუქვეყნებელი სიმღერა

ნუცა თოფჩიშვილი

მორის ფოცხიშვილსა (მარცხნივ) და ბუბა კიკაბიძესთან ერთად

— ბატონო კახა, თუ შეიძლება მოკლედ მოგვიყევით ბატონი გიორგის წინაპრებზე, იმ ოჯახზე, სადაც დაიბადა.

— მამა 1924 წლის 24 აგვისტოს გაბრიელ ცაბაძის ოჯახში დაიბადა. ბაბუაჩემი, დღეს რომ ბიზნესმენებს ეძახიან, ის იყო. შუა აზიაში მუშაობდა და ბევრ საქველმოქმედო საქმეს აკეთებდა. ბებია შვილების აღზრდით იყო დაკავებული. მამაჩემი და-ძმებში უმცროსი იყო, და ადრე გარდაეცვალა, ორი ძმა კი ფრონტზე დაეღუპა. ბებიამ ერთ-ერთის სიკვდილის ამბავი გაიგო, მაგრამ შუათანა შვილის დაღუპვის ცნობა როცა მოვიდა, მამამ ბებიას დაუმალა — ასეთი ცოდვა იტვირთა. თუმცა, არ ვიცი, რამდენად შეიძლება, ამას ცოდვა დავარქვათ... მთელი ცხოვრება ატარებდა ამ ტკივილს. მახსოვს, ყოველ ზარზე ბებია კარისკენ იყურებოდა. მთელი ცხოვრება ელოდა შვილს. სიმღერა — „ბალადა ჯარისკაცის დედაზე" გოგი ცაბაძემ სწორედ ამ სევდას მიუძღვნა...

— მისი პროფესიული არჩევანი რამ განაპირობა?

— ტრაგიკულმა შემთხვევამ ფეხი დაუზიანა. იმ დროს ტრამვაიზე თამაშისას ბევრს მოუვიდა ასე. 13 წლის იყო, ფეხი რომ მოჰკვეთეს. როცა ჰკითხეს — რით გაგახაროთო? — პიანინო მიყიდეთო, — უპასუხა. ბებია იხსენებდა — სულ ისეთ რაღაცებს მღეროდა და უსმენდა, რაც გაგონილი არ მქონდაო. ამ ტრაგიკულ შემთხვევამდე მამა ფეხბურთით იყო გატაცებული და მერე, სულ ამბობდა — ეს რომ არ მომსვლოდა, ფეხბურთელი გავხდებოდიო... ჯერ სამედიცინო ინსტიტუტში ჩაბარა, მაგრამ 2-3 თვე დასჭირდა, რომ მიმხვდარიყო — ეს მისი საქმე არ იყო. მართალია გვიან, მაგრამ მუსიკალური განათლება მაინც მიიღო. ბებიაჩემი ბოლომდე ვერ აცნობიერებდა მამას სპეციალობას. მთელი დღე რას ხედავდა? — მამა დილით ადგებოდა, ინსტრუმენტს მიუჯდებოდა, უკრავდა, მღეროდა, მერე ან თვითონ წავიდოდა, ან ჩვენთან მოდიოდნენ მეგობრები და მხიარულობდნენ. სად მუშაობდა? არსად. და ბებია სულ ამბობდა — ჩემთვის რომ დაეჯერებინა და ექიმი გამოსულიყო, კაცი იქნებოდაო.

— პირველი სიმღერა რომელი იყო, პოპულარობა რომ მოუტანა?

— პირველი სიმღერა „მარი" გახლდათ. მერე მერი შილდელმა იმღერა — „შენს სიყვარულს დავიფიცებ". იმ პერიოდში მერი შილდელი ძალიან პოპულარული მომღერალი იყო და სიმღერების უმეტესობა მისთვის იწერებოდა. წლების მანძილზე მამა მერის აკომპანირებას უწევდა და გასტროლებსა და კონცერტებზე ერთად დადიოდნენ.

— ბატონ გოგის სიმღერები ხალხში გამორჩეული სიყვარულით სარგებლობს. თქვენი, როგორც მუსიკოსის აზრით, რაშია გიორგი ცაბაძის სიმღერის ფენომენი?

— არ მინდა, მიკერძოებაში ჩამითვალოთ, მაგრამ ის გამორჩეული ხელოვანი იყო, რომელმაც საკუთარი მუსიკალური სამყარო შექმნა. მხედველობაში მაქვს ე.წ. ქალაქური სიმღერები. შეიძლება მავანმა თქვას — ქალაქური სიმღერა უეჭველად თბილისზე უნდა იყოსო. არც „საქართველოს მანანებია" თბილისზე, არც „პაწაწინა სამოთხე" და არც ბევრი სხვა. მამაჩემის შემოქმედებაში თბილისი 12 სიმღერაშია ნახსენები, გული კი — 76-ჯერ. მან თბილისელი კაცის თვალით დანახული, გარკვეული სამყარო შექმნა. მის შემოქმედებაზე მუშაობისას, ძალზე საინტერესო ფაქტი აღმოვაჩინე. როდესაც კომპოზიტორი სიმღერების წერისას ტექსტს ირჩევს, ის ან მაჟორულია, ან მინორული და მუსიკაც შესაბამისი უნდა იყოს. მამას ყველაფერი შეცვლილი ჰქონდა. მაგალითად, სიმღერებს — „რაც გინახავს, ისევ ნახავ", „შენი გულის ძგერა მესმის, მთაწმინდაზე შენთან ერთად ვმაღლდები", „ცოცხალი ვარ, ცოცხალი" — ტექსტი მაჟორული აქვს, მუსიკა კი მინორშია დაწერილი, ხოლო სიმღერების — „სად იყავი, სად იყავი მაშინ", „ნეტავ, მართლა გყვარებოდი" — ტექსტი მინორულია, მუსიკა — მაჟორული. როდესაც ამ დასკვნამდე მივედი, ეს ძალიან ამაღელვებელი აღმოჩნდა ჩემთვის. ქართველი კაცი სადაც არ უნდა იყოს, ოპტიმისტური განწყობა არ ტოვებს და რაოდენ ბედნიერიც არ უნდა იყოს, სევდა არ ავიწყდება. ამ ფაქტმა ხალხის მიერ მამის შემოქმედების გათავისებაში ქვეცნობიერად ძალიან დიდი როლი ითამაშა.

— ხელოვანი ადამიანები ოჯახში დიდ ყურადღებას ითხოვენ. ამ მხრივ როგორი იყო ბატონი გიორგი? ქალბატონი თამრიკო ყველა მის სურვილს ასრულებდა?

— დედაჩემის ფენომენი ცალკე სალა-

პარაკო თემაა. ძნელია შემოქმედის მეუღლეობა. მე (და არა მარტო მე) მიმაჩნია, რომ დედაჩემის დამოკიდებულება მამის მიმართ, განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. ყველა აღნიშნავდა – გოგი ცაბაძე 50%-ით თამრიკოაო... ღრმად ვარ დარწმუნებული – რომ არა დედაჩემი, საქართველოს ასეთი გოგი ცაბაძე არ ეყოლებოდა. დედამ მამას და მის შემოქმედებას თავი შესწირა. მამაჩემს ოჯახში არანაირი საქმე არ ეხებოდა, ყველაფერს დედა აკეთებდა. მისი სიმღერების პირველი მსმენელი და შემფასებელიც მეუღლე გახლდათ.

— შვილის თვალით დანახული გოგი ცაბაძე როგორი იყო? ზედმეტად მკაცრად ხომ არ გეპყრობოდათ?

– საოცარი პიროვნება იყო. თან ძალიან გულუბრყვილო და თან საოცრად ვაჟკაცური. რომ მოგენდომებია, ყველაფერს დააჯერებდი. მაგრამ ამავე დროს, ტყუილს ვერ აკადრებდი... შეხუმრებულები ვიყავით. გაბრაზებული მხოლოდ ერთხელ მახსოვს, როცა ეზოში კარტით მოთამაშეებს შორის ჩემი ძმა გოგლა დაინახა. მისმა მაშინდელმა რეაქციამ სამუდამოდ გამიქრო კარტის თამაშის სურვილი...

— კომპოზიტორობა უეჭველია, მამის გავლენით აირჩიეთ. ასეთი დიდი კომპოზიტორის შვილს ნუთუ, არ შეგეშინდათ მამის მუსიკის გავლენის ქვეშ მოქცევა?

– ამაზე ძალიან ბევრი მიფიქრია. ყველა ბიჭს უნდა, რომ მამას ჰგავდეს, იდეალი მამაა და არც მე ვარ გამონაკლისი. რაც შეეხება გავლენას – შეიძლება, უცხო შემოქმედის გავლენას განიცდიდე, ჩემს შემთხვევაში ალბათ, გავლენა არ ჰქვია – მე მისი სისხლი მაქვს და მისნაირად აღვიქვამ ყველაფერს. ამ სიმღერასა და მუსიკაზე გავიზარდე და ეს ძალიან მომწონს. გაკეთებით კი, აკეთებ იმას, რაც მოგწონს და რისიც გჯერა.

— რა დამოკიდებულება ჰქონდა ბატონ გოგის თქვენი მუსიკისადმი? თუ მოსწონდა და როგორ გამოხატავდა ამას?

– ჩემი პირველი სიმღერა – „ყვავილების მიწა“ ბუბა კიკაბიძემ იმღერა და პოპულარული გახდა. მაშინ, ჩემს ოჯახთან ერთად ცალკე ვცხოვრობდი. ერთხელ მივედი მამასთან, კარი გავაღე და მესმის, ჩემს სიმღერას უკრავს და მღერის. ეტყობა, მოსწონდა, თორემ, არ იმღერებდა... ერთ ინტერვიუში ვთქვი – ბევრ კომპოზიტორს არ ჰქონია იმის ბედნიერება, რომ მისი სიმღერები გოგი ცაბაძეს ემღეროს-მეთქი, – და ამ ინტერვიუს დაურთეს დიდი სათაური – „მამაჩემი ჩემს სიმღერებს მღეროდა“, ვითომ საკუთარი არ ჰქონდა, გაუჭირდა და ჩემსას მღეროდა *(იცინის)*...



ყველა ბიჭს უნდა, რომ მამას ჰგავდეს, იდეალი მამაა და არც მე ვარ გამონაკლისი

— ვიცი, ბატონ გოგის ბევრი მეგობარი ჰყავდა. განსაკუთრებით ვისთან მეგობრობდა?

– მეგობრების მიმართ გამორჩეული გრძნობა ჰქონდა. რეზო ლაღიძესთან იყო ძალიან ახლოს. შეხუმრებულები იყვნენ და საოცარი ურთიერთობა აკავშირებდათ. ასეთი რამ დღევანდელ თაობაში არ არის. გენიოსებში, როგორც ჩანს, შური არ ჭაჭანებს. რეზოს ფენომენი ქართულ მუსიკაში ასეთია – მოდის და წაგლეკავს. ნებისმიერი მელოდია, რომელიც მისი ხელიდან გამოვიდა, ჰიმნად იქცა – იმ ჰიმნად, რომელსაც ხალხი აღიარებს! რეზო სულ ეხუმრებოდა – ცაბოევი ხარო. ერთხელ რეზოს 20 ცალი „ზარია ვოსტოკა“ მიუვიდა, სადაც წითლად იყო გახაზული გვარი – ლაგიევი. თურმე, მამა წააწყდა ამ გვარს და გაზეთების დასტა იმიტომ გაუგზავნა. ასეთივე გამორჩეული ურთიერთობა ჰქონდა დათო ლეშქაშელთან. ეს მართლაც საოცარი კაცი იყო, საოცარი პიროვნება. სწორედ მისთვის დაწერა მამაჩემმა სიმღერა – „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“. ეს სიტყვები თუკი ვინმეს შეეფერებოდა, უპირველესად დათოს.

— „ვერის უბნის მელოდიებზე“ მუშაობის პროცესს ხომ ვერ გაიხსენებთ?

– მამა რაღაც შეკვეთაზე ბათუმში იმყოფებოდა. გადაღებები თბილისში მიმდინარეობდა და სასწრაფოდ გასაკეთებელი იყო „ვარდოს სიმღერა საკანში“: თუ გახსოვთ, სოფიკო ჭიაურელის გმირი რომ მღერის – „მრუდე თუ გაქვს ხელი, კეთილს ნულარ ელი“... ბათუმიდან ურეკავს დედას და ეუბნება – სიმღერას და ცოტა ფულს გიგზავნი მატარებლით, 4 საათზე გიორგი შენგელაია მოვა და გაატანე ნოტებიო. დედაჩემმა მიღებული შეკვრა გახსნა, ფული ამოიღო, გაზეთში გახვეული ნოტები დაავიწყდა და სადღაც მოისროლა. 4-ის ნახევარზე რეკავს მამა – გიორგის ველაპარაკე და მოვა ნოტების წასაღებადო. გაგვახსენდა ნოტები, გადავაბრუნეთ მთელი სახლი და როგორც იქნა, დაჭმუჭნილი გაზეთი ვიპოვეთ. სანამ გიორგი მოვიდოდა, დედა ნოტების ფურცლებს აუთოებდა და ასე „ცხელ-ცხელი“ სიმღერა ჩავაბარეთ გიორგი შენგელაიას.

— ბატონ გოგის მეგობრებთან ერთად ალბათ ხშირად უწევდა ქეიფი. სუფრის თემაზე გასახსენებელი ბევრი გექნებათ...

– ჩვენს ოჯახში თუკი სუფრა იშლებოდა, მამა უცვლელი თამადა იყო. თუ წინა დღის ნაქეიფარი იყო, დილით არასოდეს სვამდა. ერთხელ ოთარ მამფორია მოვიდა ჩვენთან, მამა წინა დღის ნაქეიფარი იყო და – წამოდი, გოგი, გავაგრძელოთო – უთხრა. მამა უარზე დადგა. ჩავიდნენ ეზოში. ოთარი ისევ ეპატიჟება, ვერ თანხმდებიან. უცებ, მიუბრუნდა ოთარი და ეუბნება – გოგი, ამ სახლზე წლების შემდეგ დაიწერება: აქ დიდი ქართველი კომპოზიტორი ცხოვრობდაო. პოეტ კაცს ლაპარაკი ეხერხებოდა და კარგად გააფორმა... გოგიმ უყურა იმ ადგილს, რომელზეც ბატონმა ოთარმა მიუთითა, მიუბრუნდა და – კარგი, კარგი, წამო, დავლიოთო...

— ბატონო კახა, ალბათ, თქვენთვის მძიმე გასახსენებელია, მაგრამ იქნებ, მკითხველს მოუყვეთ ბატონი გოგის ბოლო დღეზე, როცა ის სცენაზე ცუდად გახდა...

– ბოლო კონცერტზე, რომელიც 1986 წლის 30 ნოემბერს გორში ჩატარდა, უცნაური რამ მოხდა. 62 წლის იყო. არადა, 60 წლის რომ გახდა, იმ დღიდან მოყოლებული, იგეგმებოდა გორში მამას საიუბილეო კონცერტის ჩატარება. ვერა და ვერ მოხერხდა ამ საღამოს მოწყობა.

იმღენი მადლობა ისადა, მთელ საქართველოს გადასწვდა, თითქოს ყველას და ყველაფერს ემშვიდობებოდა...

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელი წყლით აზავებდნენ ძველი ბერძნები ღვინოს?

ა) ზღვის წყლით;
ბ) წყაროს წყლით;
გ) გამოხდილი წყლით.

2. სადაური წარმოშობისაა ცეკვა „კანკანი“?

ა) ალჟირული;
ბ) იტალიური;
გ) მექსიკური.

3. რომელი დღეა ზღვაში გასულ მეზღვაურთათვის უძმე?

ა) ორშაბათი;
ბ) ყოველი მესამე დღე;
გ) ასეთი დღე მათთვის არ არსებობს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მოგონება

ყველა აღნიშნავდა – გოგი ცაბაძე 50%-ით თამრიკოაო... ღრმად ვარ დარწმუნებული – რომ არა დედაჩემი, საქართველოს ასეთი გოგი ცაბაძე არ ეყოლებოდა

ხან ბუბა არ იყო საქართველოში, ხან ნანი ბრეგვაძე და ხან „ორერა“ იყო გასტროლებზე წასული... 30 ნოემბერს კი, გორში იმდენი ახლობელი, ნათესავი და მეგობარი წამოვიდა ამ კონცერტზე დასასწრებად, თბილისში გამართულ საღამოებზე რომ არ მინახავს. ნახევარი დარბაზი ჩვენ შევავსეთ. საოცარი კიდევ ის არის, რომ მე და გოგლას, მამას არც ერთი ჩანაწერი არ გვქონდა. ამაზე არასოდეს გვიფიქრია. იმ საღამოს კი, გოგლამ მეგობარს ვიდეოკამერა გამოართვა და მთელი კონცერტი ჩაიწერა. ჩვენთვის გასაკვირი კიდევ ერთი ფაქტი დავაფიქსირეთ. მამას ბევრი საუბარი არ უყვარდა, შინაც არ ლაპარაკობდა ბევრს, გორში კი მიმართა ყველას, იმდენი მადლობა იხადა, მთელ საქართველოს გადასწვდა, თითქოს ყველას და ყველაფერს ეშმვიდობებოდა. ბოლო კოცნა კი, ჩემს შვილს, თათას ერგო – სცენაზე გასვლის წინ აკოცა და ისე გავიდა...

— 24 აგვისტოს ბატონ გოგის 80 წელი შეუსრულდებოდა. საიუბილეო თარიღი როგორ აღინიშნება? მის თაყვანისმცემლებს კონცერტი ან რაიმე სხვა ღონისძიება ხომ არ ელის?

– ჯერჯერობით, მხოლოდ ჟურნალ „გზას“ გაახსენდა მამაჩემის საიუბილეო თარიღი. საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე ძნელია, მამაჩემის დაბადების დღეზე საუბარი და ახლა ვინმეს რომც შემოეთავაზებინა, უარს ვიტყოდით საიუბილეო საღამოს გამართვაზე. 24 აგვისტოს, ოჯახში ყოველთვის აღვნიშნავდით და ახლაც აღვნიშნავთ. მაგრამ გიორგი ცაბაძის საიუბილეო წელია და გაკვირვებული დავრჩი, რომ არც კომპოზიტორთა კავშირს, არც ქალაქის ხელმღვანელობას და არც კულტურის სამინისტროს ამაზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. არ ვიცი, შეიძლება ფიქრობენ, რომ გიორგი ცაბაძეს არც ქალაქისთვის და არც ქართული კულტურისთვის ისეთი არაფერი გაუკეთებია, რაც აღნიშვნის ღირსია... სულ მეკითხებიან – კონცერტს რატომ არ ატარებო? მამაჩემის შემოქმედებას ერთი კონცერტის ჩატარება არაფერს მისცემს. მისი შემოქმედება განცალკევებული, დიდი სამყაროა. მამაჩემის 5 ოპერეტა მაქვს, რომლებიც საქართველოში არ დადგმულა. თითოეულში სულ ცოტა, 10 სიმღერა მაინცაა – ე.ი. 5 ოპერეტიდან 50 სიმღერა გამოვა! გოგი ცაბაძის 50 სიმღერაში 5 მაინც არ იქნება ცუდი. სამწუხაროდ, ვერავინ დავაინტერესე ამ პროექტის განხორციელებით. ერთადერთი შემოთავაზება „სანო სტუდიისგან“ – მერაბ სანოძისგან და მერაბ სეფაშვილისგან იყო... ახლა გიორგი ცაბაძის შემოქმედების ანთოლოგიას ვამზადებ. ალბათ, სრული არ იქნება. პირველ ტომში 40-60-იანი წლების სიმღერები შევიდა. მხარში ამოგვიდგა, უფრო სწორად კი – ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“. ეს წიგნი გამოცემის შემდეგ უფასოდ დაურიგდება სკოლებსა და ბიბლიოთეკებს... ■

მამაჩემის შემოქმედებას ერთი კონცერტის ჩატარება არაფერს მისცემს. მისი შემოქმედება განცალკევებული, დიდი სამყაროა



21 აგვისტოს საქართველოს კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი — გიორგი ასანიძე შეემატა. გიორგის არაერთხელ უსახელებია თავისი ქვეყანა, მაგრამ საბერძნეთში მსოფლიო თამაშებზე მისმა გამარჯვებამ განსაკუთრებული სიხარული მიანიჭა ქართველობას. ბუნებრივია, ყველაზე ბედნიერი ამ დღეს, გიორგის მეულლე — **თეა კოტუა** იყო, რომელმაც, სხვათა შორის, ქმრის გამოსვლისთვის თვალყურის დევნება ვერ შეძლო... სამაგიეროდ, მარიამმა, კახმ, საბამ და სალიმ გამოიჩინეს, თეას თქმით, წარმოუდგენელი სიმშვიდე და დიდი ინტერესით მისჩერებოდნენ ტელეეკრანს...

როგორ იზეიმა გიორგის ოჯახმა მისი გაჩემპიონება და სად ელოდებიან გიორგის ყველაზე მეტად — ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

„იმ სალამოს ჩვენს ოჯახში კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა...“

დიანა ჭანკოტაძე

— თეა, არ შემიძლია, არ გკითხო, როგორ შეიქმნა თქვენი ოჯახი, სად და როდის გაიცანით ერთმანეთი შენ და გიორგიმ?

— მე და გიამ ერთმანეთი თერთმეტი წლის წინ, ბორჯომში გავიცანით. ზაფხული იყო, მთელი ოჯახით ბორჯომში წავედით და იმ სასტუმროში დავბინავდით, რომელშიც გია ცხოვრობდა. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთ დღეს კი, გია გამომეცნაურა. მალე დავმეგობრდით და თბილისში დაბრუნების შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდა. რაღაც დროის შემდეგ კი მივხვდით, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. ის პერიოდი ძალიან თბილად მახსენდება, რადგან გია არაჩვეულებრივად ყურადღებიანი შეყვარებული იყო. ოთხი წლის შემდეგ გადავწყვიტეთ, ოჯახი შეგვექმნა და თელავში, ჩემს მულთან გავიპარეთ. იქ ათი დღე დავრჩით, მერე თბილისში დავბრუნდით და მას შემდეგ ერთად ვცხოვრობთ.



„...უცებ, გიას მეგობრების ღრიალი გავიგონე და მივხვდი, რაც მოხდა“

— ხშირად გამიგონია — სპორტსმენის ცოლობა რთულიაო, მართალია?

— კი, ეს ნამდვილად ასეა. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში რომ ნორმალური პირობები იყოს, ასე არ იქნებოდა; გია თბილისში ვარჯიშს ვერაფრით ახერხებდა, რადგან საამისო პირობები არ არსებობს, ამიტომაც ოთხი-ხუთი თვე პოლონეთში ყოფნა და იქ ვარჯიში უწევდა. მისი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი იქ ცხოვრობს, ამიტომაც გიას საშუალება ეძლეოდა, სათანადოდ ევარჯიშა, რამაც ერთიორად წასწია წინ. მისი ხანგრძლივი ვიზიტები კი, ჩემთვის სულაც არ იყო სასიამოვნო და ძნელად ვიტანდი უმისობას. ასე რომ, ამ მხრივ, გიას ცოლობა საკმაოდ რთულია.



ამ მედლებს მალე ოლიმპიური ოქროს მედალიც მიემატება

— რამდენი ხანია, რაც გიას მწვრთნელი ვანო გრიქუროვია?

— სულ თავიდან, გიამ ვარჯიში საჩხერეში დაიწყო, სადაც მისი მწვრთნელი გოგი თოდაძე იყო. ერთხელაც გოგიმ უთხრა — მე რაც შემეძლო, ყველაფერი გადმოგეციო, — და თბილისში წამოსვლა ურჩია. როდესაც ბატონ ვანოს დარბაზში სავარჯიშოდ მისული გია დაუნახავს, ძალიან მოსწონებია და თავად მოჰკიდა ხელი. მაშინ გია თხუთმეტი წლის იყო. აი, იმ დროიდან ვარჯიშობს ვანო გრიქუროვთან, რაშიც ჩემი აზრით, ძალიან გაუმართლა.

— თეა, მოდი, გაიხსენე, როგორ გააცილე გია საბერძნეთში.

— ალბათ იცით, რომ გიას მხარის ტრავმა ჰქონდა მიღებული. შარშან მოსკოვში ოპერაციაც გაიკეთა, რის შემდეგაც, მას არ ეგონა, ამდენს თუ დაძლევდა. მაგრამ როდესაც რაიმეს დაისახავს მიზნად, თავს მოიკლავს და თავისას მიაღწევს. მისი ამჟამინდელი მიზანი სწორედ ოქროს მედლის მოპოვება იყო, ამიტომ საკმაოდ დამშვიდებულმა გავაცილე. საერთოდ, გიას „ოფიციალური“ გაცილება-დახვედრა არ უყვარს. ღამის სამ საათამდე ვემზადებოდით, შემდეგ წავიდა. გასვლისას თავის დებს უთხრა — ისე წავალ, აღარ გაკოცებთო. მე კიბემდე მივაცილე. უხმოდ დაეშვა კიბეზე, ორი წუთის შემდეგ კი, უკან ამობრუნდა, მაკოცა და ისე წავიდა. მე თვალცრემლიანი ვიდექი და ღმერთს ვევედრებოდი, მისთვის ხელი მოემართა.

— მის გამარჯვებაში დარწმუნებული იყავი?

— მისი ხასიათიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვიყავი, რომ გაიმარჯვებდა. რასაც იტყვის, აუცილებლად უნდა შეასრულოს, ამიტომ ძალიან არ ვღელავდი. თუმცა, რა თქმა უნდა, თავისებური განცდა მქონდა. საერთოდ, როდესაც გიას ტელევიზიით აჩვენებენ, მე არასდროს არ ვუყურებ; შემიძლია ვთქვა, რომ მისი ასპარეზობისთვის ერთხელაც არ მიყურებია, რადგან ყოველთვის ვნერვიულობ...



გიორგი ასანიძე მწვრთნელთან ვანო გრიქუროვთან ერთად

— არც მისი ბოლო, ტრიუმფული გამოსვლისთვის გიყურებია?

— ჩვენ ვიცოდით, რომ 21 აგვისტოს დილის 11 საათზე უნდა ყოფილიყო გიას გამოსვლა. წინადღეს, მთელი ოჯახი ჩავსხედით მანქანაში და მცხეთის ყველა სალოცავი მოვიარეთ. ის დილა რომ გათენდა, ვიფიქრე: რა კარგია, რომ ყველაფერი ადრე დამთავრდება-მეთქი. მაგრამ შემდეგ გავარკვიეთ, რომ რეპორტაჟს საღამოს ცხრა საათზე აჩვენებდნენ ტელევიზიით. საღამომდე, გიას ყველა მეგობარი და ჩვენი ოჯახის ახლობელი ჩვენთან მოგროვდა. ვცდილობდით, როგორმე დრო გაგვეყვანა, რადგან საშინლად ვღელავდით. როგორც იქნა, 9 საათიც მოვიდა და ყველანი ტელევიზორს მივუსხედით. მე მთელი დღე, თავს ჩავძახოდი — ცხოვრებაში ერთხელ მაინც უყურე შენს ქმარს-მეთქი... დავჯექი კიდეც, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვისვენე და ოთახიდან ოთახში სიარული დავიწყე. ხელში ორი ჯვარი მეჭირა და ვლოცულობდი... იმ საღამოს, კიდევ ერთი საინტერესო რამ მოხდა: ჩემმა ოთხმა შვილმა ერთდროულად დაიძინა 7 საათზე და ზუსტად 9-ზე ოთხივემ გაახილა თვალი. ცხოვრებაში პირველად, ისინი უხმაუროდ ისხდნენ ტელევიზორის წინ და მამას მისჩერებოდნენ. როდესაც გია გამარჯვებულად გამოაცხადეს, მე ხატების წინ ვიდექი. უცბად, გიას მეგობრების ღრიალი გავიგონე და მივხვდი, რაც მოხდა. ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვიყავი იმ წუთში, მთელი ხმით მინდოდა მეყვირა, რომ ეს იყო ჩემი ქმარი, ჩემი სიამაყე... შემდეგ, ვინ ვის ეხვეოდა, ულოცავდა, ველარ ვხვდებოდით. უცბად გაიშალა სუფრა და ქეიფი გაჩაღდა. მთელი ღამის განმავლობაში კი, სატელეფონო ზარები არ წყდებოდა: რომელიმე ქვეყანაში თუკი ვინმე გვყავს ახლობელი, ყველამ დამირეკა და მომილოცა.

— გიამ როდის დაგირეკა და რა გითხრა?

— გიამ გამარჯვებიდან ნახევარი საათის შემდეგ დამირეკა. თურმე, დიდხანს ცდილობდა ჩემთან დაკავშირებას, მაგრამ რადგან სულ ვლაპარაკობდი, ვერა და ვერ გამოდიოდა. პირველი, რაც მითხრა, — ტელეფონს რატომ არ იღებთო? — ეს იყო. მე ვტიროდი და სულ ვუმეორებდი — ღმერთი ჩვენკენ იყო-მეთქი!.. გია ისეთი დაღლილი და გაოგნებული იყო, ლაპარაკის თავიც კი არ ჰქონდა, ამიტომ ორიოდე წუთის შემდეგ დამემშვიდობა. საერთოდ, რაც საბერძნეთშია, ძალიან იშვიათად მირეკავს, რადგან ასეთ დროს, შეჯიბრების გარდა, ვერაფერზე ვერ ფიქრობს. მეც მაქსიმალურად ვცდილობ, არ შევაწუხო.

— თეა, შენ ალბათ კარგად ერკვევი ძალოსნობაში, ხომ?

— კი. აბა, ამდენი წელია, ამ სპორტის სახეობის შესახებ ვისმენ... თუმცა, გია არასდროს არ დამჯდარა და არ ულაპარაკია ჩემთან. სულ ამბობს ხოლმე — ქალი მამაკაცის საქმეში არ უნდა ერეოდესო... იგი ტიპური ქართველი მამაკაცია, თავისი შეხედულებებითა და ჩვევებით. ოჯახის უფროსი და ბატონ-პატრონი გახლავთ. წარმოიდგინე — პოლონეთიდანაც მშვენივრად აგვარებს ხოლმე ყველა საოჯახო საქმეს.

— როგორია ოჯახში, ბავშვებთან ურთიერთობისას?

— გია ძალიან ყურადღებიანი მეუღლეა. არ გამოეპარება არც ერთი 3 მარტი *(დედის დღე. — ავტ.)* და ჩემი დაბადების დღე. უმეტესად, რესტორანში მეპატიჟება ხოლმე. უყვარს საჩუქრების მორთმევა... საერთოდ, არ არის მკაცრი ადამიანი. თუმცა, არც ზედმეტად ანებივრებს ცოლ-შვილს. იგი მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა და სულ იმას ამბობდა — მეც ბევრი შვილი მინდა მყავდესო. ასეც მოხდა. ოთხი შვილი ცოტა არაა, მით უმეტეს, ჩვენს დღევანდელ პირობებში... ბავშვები ძალიან უყვარს. ცდილობს, მათთან ბევრი დრო გაატაროს, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებს ამას. ჩემ მიმართ ეჭვიანობას არ იჩენს, არც სადმე წასვლის პრობლემა მქონია. თუმცა ყოველთვის ვცდილობ, მაინც დავურეკო და ვუთხრა, სად მივდივარ.

— ცნობილია, რომ 30 აგვისტოს ჩამოდის. მერე სადმე დასასვენებლად წასვლას ხომ არ აპირებთ?

— 30-ში გიას დაბადების დღეა, 29 წლის ხდება. მინდა, ეს დღე აღვნიშნოთ. საჩუქარი უკვე მოფიქრებული მაქვს... რაც შეეხება სადმე წასვლას — მე წინასწარ არასდროს არ ვიცი, გია რას გადაწყვეტს, თავის გეგმებზე ლაპარაკი არ სჩვევია, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. ერთი კი ნამდვილად ვიცი: ჯერ აქ გაიმართება ქეიფები. პირველ რიგში, თავის მშობლიურ საჩხერეში უნდა ჩავიდეს, რათა მშობლები და ბავშვობის მეგობრები მოინახულოს. იქ ისეთი ამბავი ამტყდარა, 21 აგვისტო ახალ წელზე მეტად უზეიმიათ, შაშხანებითა და სხვა სადღესასწაულო საშუალებებით. თურმე, მთელი საჩხერე ფეხზე იდგა... იქ ყველაზე მეტად ელოდებიან გიას. იქაურობა თვითონაც ძალიან უყვარს, ხშირად ჩადის და საჩხერეში არსებულ ძალოსანთა კლუბს დიდ ყურადღებას აქცევს. ძალიან უნდა, რომ ახალგაზრდებს ყველანაირად შეუწყოს ხელი. ■

„...ცხოვრებაში პირველად, ისინი უხმაუროდ ისხდნენ ტელევიზორის წინ და მამას მისჩერებოდნენ“



რწმუნების სიგელი სექსუალური პარტნიორისთვის

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ „პლეიბოი“ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე, სექსუალური მანდილოსნების ფოტოებს გამოაქვეყნებდა, იგივე გადაწყვეტილება მამაკაცებისთვის განკუთვნილი სხვა გამოცემების მესვეურებმაც მიიღეს. კერძოდ, ჟურნალმა „მაქსიმმა“ გერმანელ სპრინტერ სინე შილკეს მიმართა და ფოტოსესიაში მონაწილეობა სთხოვა. და აი, უკვე აგვისტოს ნომერში, შილკეს რამდენიმე ფოტო და ინტერვიუ დაიბეჭდა. სხვა შეკითხვებთან ერთად, კორესპონდენტს მისთვის ოლიმპიადის მსვლელობისას სექსისადმი დამოკიდებულების შესახებაც დაუსვამს შეკითხვა. „ამ საკითხზე ერთგვაროვანი აზრი არ არსებობს, – უპასუხა მას შილკემ, – ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევას ყველა ინდივიდუალურად უდგება. თუ ვინმესთან ინტიმური კავშირის დამყარებას გადაწყვეტ, ერთი სირთულე უნდა გადაჭრა, – მას „რწმუნების სიგელი“ უნდა მისცე. ამის შემდეგ კი, აკეთე ის, რაც გენებოს“. ■

წყალბურთი ეროტიკის თანხლებით

როგორც ჩანს, ათენში მოასპარეზე სხვადასხვა ქვეყნის წყალბურთელ გოგონებს ყაზახეთის ნაკრების წარმომადგენელთა მიმართ დიდი ვნება გაუჩნდათ. განსაკუთრებულ ინტერესს ტატიანა გუბინას მკერდისადმი იჩენენ. თავდაპირველად შუააზიელი წყალბურთელის მკერდი მატჩის მსვლელობისას, მისმა ბერძენმა კოლეგამ გააშიშვლა, შემდეგ იგივე, იტალიელმა სპორტსმენმა გაიმეორა. სწორედ ამ, მეორე შემთხვევამ დაინტრიგა ყვითელი პრესის წარმომადგენლები. შეიძლება ეს უბრალო სპორტული კურიოზია, მაგრამ ორივე შემთხვევაში, მაინცდამაინც ტატიანა გუბინას რატომ მოუშიშვლეს მკერდი? იქნებ, ამაში თავად სპორტსმენია დაინტერესებული?.. თუ არა და, ე.ი. მისმა სხეულმა მეტისმეტად მოხიბლა სხვა გუნდების წევრი გოგონები... თუმცა, როგორც ჩანს, ყაზახეთის ნაკრების მეტოქენი მხოლოდ გუბინას მკერდით არ ინტერესდებიან, იტალიელებთან შეხვედრისას შუააზიელთა კაპიტნის, ასელ ჯაკაევასთვისაც მოუშიშვლებიათ სხეულის ინტიმური ნაწილი. ■

მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები ოლიმპიური უსაფრთხოებისთვის

ოლიმპიადის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები პირველი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ცოტა ხნის წინ მცველთათვის განკუთვნილი 7 რაცია დაიკარგა. ნაწილი პოლიციელებს ეკუთვნოდა, ნაწილი კი, ოლიმპიური საცურაო აუზის შენობიდან გაუტანიათ. გასაკვირი არაა, რომ ოლიმპიადაზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ფართოდ გამოიყენება რადიოტექნიკის უახლესი მიღწევები. მაგალითად, „სამეცნიერო დამატების საერთაშორისო კორპორაციას“ საბერძნეთში ე.წ. ტოტალური კონტროლის სისტემის შექმნა 312 მლნ დოლარი დაუჯდა. კომპლექსი მაღალი მგრძნობელობის ინფრაწითელი გამოსხივების 1000-ზე მეტ ტელე და ვიდეოკამერას აერთიანებს, რომლებიც 12 საპატრულო გემზე, 4 ათას ავტომობილზე, 9 ვერტმფრენსა და სპეციალურ დირიჟაბლზეა დამონტაჟებული. ტოტალური კონტროლის სისტემაში მოქცეული მიკროფონების საშუალებით კომპიუტერულ ქსელს გადაეცემა გამვლელ-გამომვლელთა საუბარი, რომლის ანალიზსაც შესაბამისი აპარატურა აკეთებს. ანალოგიურ შემოწმებას გადის ელექტრონული ფოსტა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები. ხოლო კომპიუტერებს, რომელთა მეშვეობითაც გამოსახულების გაანალიზება ხორციელდება, ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ანომალიების დამოუკიდებლად აღმოჩენა შეუძლია. ცხადია, უსაფრთხოების ელექტრონული ტოტალური კონტროლის სისტემის მუშაობაში ადამიანებიც არიან ჩართული, მაგრამ მათი როლი მნიშვნელოვნადაა შემცირებული. გარდა ამისა, ოლიმპიურ ობიექტებზე დამონტაჟებულია სპეციალური აპარატურა, რომლის დანიშნულებასაც მომწამვლელი ნივთიერებების ამოცნობა წარმოადგენს. მთელი საბერძნეთის ზეცას კი შორეული რადიოლოკაციის სისტემებით, Awax-ის ტიპის თვითმფრინავები აკონტროლებენ. სულ, ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 1,2 მილიარდი ევროა დახარჯული. ეს ყველაზე დიდი თანხაა რომელიც ოდესმე ოლიმპიადის მშვიდად ჩატარებისთვის გაუღიათ. ■

8 ლამაზმანი ათლეტი PLAYBOY-ში

Playboy-ის სექტემბრის ნომრის პირველ გვერდს სექსუალური სპორტსმენების ფოტო დაამშვენებს, რომელთა შორისაც უკრაინელი მორბენალი ჟანა ბლოკ-პინტუსევიჩიც მოხვდა. ფოტოსესია, რომლის სახელწოდებაც Playboy გახლდათ, „ათენი-2004“-ს მიეძღვნა. „პლეიბოიში“ შიშველი სპორტსმენი ლამაზმანების 12 ფოტო გამოქვეყნდება. ■

გაშიშვლება ქომაგთა გამრავლების მიზნით

არცთუ ისე პოპულარული სპორტის სახეობის – მშვილდოსნობის წარმომადგენელ ელისონ უილიამსონს სამშობლოში საკმაოდ ბევრი ქომაგი ჰყოლია. 32 წლის ინგლისელი, ჩერჩ სტრეტონის (შროპშირის საგრაფო) დაწყებით სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. ამიტომ ელისონს მოსწავლეების დიდი არმია ჰქომაგობს. მიუხედავად ამისა, ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ, უილიამსონმა უფროსი ასაკის ბრიტანელების გულის მოგებაც მოიწადინა. თანაც აქცენტი მამაკაცებზე გააკეთა და მათთვის განკუთვნილი ჟურნალის მესვეურების მიერ მოწყობილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. ამგვარად, აღნიშნული გამოცემის მკითხველებმა მშვილდ-ისრით შეიარაღებული დედიშობილა უილიამსონის ფოტოები იხილეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ელისონმა ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ■

პლუშის ძაღლმა პატრონს ვერ უშველა

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სპორტსმენთა დიდი ნაწილი ცრუმორწმუნეობით გამოირჩევა. ერთნი წარმატების მისაღწევად სხეულზე სვირინგებს იკეთებენ, მეორენი შეჯიბრების წინაღამეს საერთოდ არ იძინებენ, ხოლო სხვები თილისმის ტარებას ამჯობინებენ. ამასთან, თილისმის დანიშნულებით მხოლოდ ყელსაბამს, საყურეს, სამაჯურს ან სხვა სახის სამკაულს როდი იყენებენ... აი, მაგალითად, გერმანელმა ნიჩბოსანმა, მარსელ ჰაკერმა ოლიმპიადაზე პლუშის ძაღლი წაიღო. სწორედ ამ თილისმით წარდგა ნიჩბოსანთა შეჯიბრებაზე ჰაკერი ქომაგთა წინაშე, თუმცა იმას ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ სად იყო დაბრძანებული თოჯინა ასპარეზობისას. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ თილისმამ „თავისი მისია შეასრულა“ და პატრონს საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი ადგილი დაუკავებინა. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ პლუშის ძაღლის მაგიურ ძალას აღარ უმოქმედია, რადგან გადამწყვეტ სტადიაზე მისმა მფლობელმა წარმატებას ვეღარ მიაღწია. ■

დაკარგული ნივთების ბიურო

საბერძნეთში სპეციალურად ოლიმპიადისთვის გახსნილი, „დაკარგული ნივთების ბიურო“ მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ ამ ბიუროში უკვე სხვადასხვა დანიშნულების 560 საგანი მოხვდა. მაგალითად, ერთ-ერთ ქალბატონს ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს, ტრიბუნაზე საფულე დარჩენია, რომელშიც – არც მეტი, არც ნაკლები – 3.500 ევრო იდო. რაოდენ გასაკვირია, რომ საფულე „უგზო-უკვლოდ“ არ გაქრა და სწორედ „დაკარგული ნივთების ბიუროში“ აღმოჩნდა, საიდანაც მფლობელს დაუბრუნდა. ჯერჯერობით პატრონი არ გამოსჩენია უზარმაზარ დოლს, რომელსაც მაყურებლები ჩვეულებრივ, ტრიბუნებზე თავიანთი ფავორიტი გუნდის ან ათლეტის საქომაგოდ იყენებენ ხოლმე. ■

«მოცურავე კურნიკოვა» ფოტომოდელობას ვერ ელევა

როგორც ცნობილია, ამერიკელმა მოცურავემ, ამანდა ბერდმა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ოქროს მედალი მოიპოვა. მაგრამ ის მხოლოდ თავისი სპორტული მიღწევებით როდია ცნობილი. ამანდას ხომ „მოცურავე ანა კურნიკოვას“ უწოდებენ. ბოლო დროს, მისი ფოტოები რამდენიმე ჟურნალმა გამოაქვეყნა. თავად სპორტსმენმა გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ ფოტომოდელის პროფესიას არ მიატოვებს. ბერდმა ათენში გამგზავრებამდეც ჟურნალ Maxim-ისთვის მოწყობილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. აქვე გაცნობებთ, რომ იგი ცურვაში 4 წლის ასაკიდან ვარჯიშობს და უკვე1996წლის ოლიმპიურ თამაშებზე ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა. 2000 წელს ამანდა მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა, ახლა კი „მოცურავე კურნიკოვამ“ კვლავ დაიბრუნა ოქრო. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

მოდელი ლალი ტოტიკაშვილი 5 თვის წინ გათხოვდა და ბუნებრივია, პირველ ზაფხულს ხვდება მეუღლესთან, გია ხუბულიასთან ერთად. დავინტერესდით, სად დაისვენა ახალდაქორწინებულმა წყვილმა, როგორ გაატარეს ზაფხულის ცხელი დღეები და აღმოჩნდა, რომ... საკუთარი ბინის რემონტით დაკავებულებს, დასასვენებლად ჯერ ვერ მოუცლიათ... გამოთქვამს თუ არა ამის გამო პრეტენზიას ლალი და რა შეიცვალა მათ ურთიერთობაში შეუღლებიდან დღემდე — ამის შესახებ თავად ლალი გვიამბობს.

ჯერ ვერ მოვასწარეს ცხელი ზაფხულის წარმატებით ატარებდა ლალი ტოტიკაშვილი

მარი ჯაფარიძე

— მე და გია ერთად პირველ ზაფხულს ვხვდებით, მაგრამ სამწუხაროდ, დასასვენებლად ვერ მოვიცალეთ. ჩვენს ბინაში რემონტი მიმდინარეობს და ამის გამო აქვე ახლოს, აგარაკზე მივდივართ ხოლმე საღამოობით და დილით ვბრუნდებით, რომ სახლს მივხედოთ. ამის გამო საფუძვლიანად ვერ დავისვენეთ. მაგრამ რემონტს უკვე ვამთავრებთ, სახლს დავალაგებთ და აუცილებლად წავალთ ზღვაზე, გასარუჯად.

— იმის გამო, რომ ცხელი დღეების თბილისში გატარება მოგიხდა, ხომ არ ბუზღუნებ ხოლმე?

— არა, რას ამბობ? მთავარია, რემონტი დამთავრდეს. დასვენებას კიდევ მოვასწრებთ.

— უკვე ხუთი თვე გავიდა, რაც ერთად ცხოვრობთ. ხომ არ ნანობ, რომ გათხოვდი?..

— სულაც არა — პირიქით... მართალია, შეყვარებულობის პერიოდს თავისებური ხიბლი აქვს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქორწინების შემდგომი პერიოდი გაცილებით უკეთესია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეთი აღმოჩნდა. ურთიერთობა თითქოს უფრო ლამაზი ხდება. იმედგაცრუება არ განმიცდია და არც მიფიქრია — ვაიმე, გათხოვება რა ცუდი ყოფილა-მეთქი!.. როდესაც გიყვარს, შენც უყვარხარ და გვერდით კარგი ადამიანი გყავს, ნამდვილად ბედნიერად გრძნობ თავს.

— შეუღლების შემდეგ, ხომ არ აღმოაჩინე მასში ისეთი თვისებები, რომელიც შეყვარებულობისას არ შეგინიშნავს?

— თანაცხოვრების პერიოდში, ადამიანს უფრო ახლოს ეცნობი. ბუნებრივია, ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა, მაგრამ მე აღმოვაჩინე მასში მხოლოდ დადებითი თვისებები და თითქოს უფრო მეტადაც შემიყვარდა... შეყვარებულები ვიყავით მთელი წელიწად-ნახევრის განმავლობაში და ერთმანეთს ისედაც კარგად ვიცნობდით. მაგრამ ახლა უკეთ გავიგე მისი ხასიათი. მაგალითად, წინათ ვგრძნობდი, რომ გია ერთგული ადამიანია, ახლა კი ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი...

— ჩვენი ჟურნალის „საპატარძლოს“ რუბრიკისთვის მოცემული ინტერვიუს დროს მითხარი — ვერ ავიტან ისეთ ქმარს, რომელიც ჩემს საქმიანობაში ხელს შემიშლისო. ახლა კი, ყველა ინტერვიუში აღნიშნავ, რომ მეუღლე გზღუდავს და სამოდელო ბიზნესს ჩამოგაშორა. როგორ ეგუები ამ ფაქტს?

— შესაძლოა, მაშინ ასე ვფიქრობდი. მაგრამ წინასწარ ვიყავი შეგუებული იმ აზრს, რომ გათხოვების შემდეგ, ჩემს საქმიანობას თავს დავანებებდი, რადგან გიას ხასიათს კარგად ვიცნობდი და, ასე თუ ისე, ვიცოდი, რაც მომიწევდა.

აღმოჩნდა, რომ ქორწინების შემდგომი პერიოდი გაცილებით უკეთესია

აქედან გამომდინარე, არ მომხდარა ისე, რომ გია შეყვარებულობის დროს სხვა რამეს მპირდებოდა, ახლა კი აზრი შეეცვალა... არ დაგიმალავ — ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებით გარკვეული ნოსტალგია მაქვს, რადგან როდესაც წლების განმავლობაში აკეთებ საყვარელ საქმეს, მერე კი ერთბაშად მოსწყდები, გარკვეული უკმარისობის გრძნობა გიჩნდება. მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ეს მძაფრად გამოხატული არ გახლავთ, რადგან სიყვარული ყველაფერს აბათილებს... თანაც, სამოდელო ბიზნესს მთლიანად არ ჩამოვშორებივარ: მაქვს სამოდელო სააგენტო, სადაც ვაგრძელებ საქმიანობას. ვფიქრობ, რომ ქალისთვის კარიერაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ გვერდით საყვარელი ადამიანი ჰყავდეს.

— ოჯახის დიასახლისის ამპლუას როგორ შეეგუე?

— მშვენივრად... მიუხედავად იმისა, რომ წინათ არაფრის კეთება არ მიწევდა და შესაბამისად, საო-



ჯახო საქმიანობაში ნაკლებად ვერკვეოდი, მაგრამ ახლა მშვენივრად ვუძღვები და ვფიქრობ, სულაც არ ყოფილა ძნელი. ყველა ქალი კარგი დიასახლისი უნდა იყოს. ახალი კერძების მომზადებაც ვისწავლე, მშვენივრად გამომდის და ჩემი მეუღლე ძალზე კმაყოფილიც გახლავთ.

— გიას ოჯახთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— ძალზე კარგი. ჩვენ ცალკე ვცხოვრობთ და მათთან სტუმრად დავდივართ ხოლმე. გიას არაჩვეულებრივი ოჯახი აქვს. ამ მხრივ ძალზე გამიმართლა, რადგან იშვიათია, იპოვო კარგი ადამიანი, რომელსაც გარშემოც კარგი ხალხი ჰყავს. მყავს 6 წლის მული, რომელიც ძალზე საყვარელი ბავშვია, წელს სკოლაში მიდის და ერთად ვემზადებით მთელი ოჯახი, პირველ კლასში შესასვლელად...

— დასასვენებლად წასვლა მარტო რომ მოგეწადინებინა, გია გაგიშვებდა?

მყავს 6 წლის მული... ერთად ვემზადებით მთელი ოჯახი, პირველ კლასში შესასვლელად...

— ამაზე საუბარი არც გვქონია — აზრადაც არ მომსვლია, მარტო წავსულიყავი დასასვენებლად. მაგრამ ვფიქრობ, თვითონაც არ გამიშვებდა, რადგან უჩემოდ დარჩენას არ მოისურვებდა. საქმეს ერთად ვაკეთებთ და ერთად დავისვენებთ კიდეც.

— ეჭვიანი ხარ?

— ეჭვიანი ვიქნები იმ შემთხვევაში, თუ საამისო მიზეზი გამიჩნდება. უაზრო ეჭვიანობა არ მჩვევია, არც ამბების საიდანღაც მოტანა და სცენების მოწყობა... გადამეტებული ეჭვიანობა უკვე ავადმყოფობაა და ასეთი რამ არც ერთს არ გვჭირს. სიყვარულს ცოტა ეჭვიანობა კი უხდება, მაგრამ საამისო მიზეზი ჯერ არ მქონია.

— რამდენია მაქსიმალური დრო, რაც ქორწინების შემდეგ, ერთიმეორის გარეშე დარჩენილხართ?

— მხოლოდ რამდენიმე საათით. მთელი დღე-ღამის განმავლობაში ერთმანეთის გარეშე არ ვყოფილვართ.

ეჭვიანი ვიქნები იმ შემთხვევაში, თუ საამისო მიზეზი გამიჩნდება

— გია სიდედრს როგორ შეეგუა? დედას თუ ეძახის?

— ერთმანეთს მშვენივრად გაუგეს, მეგობრობენ კიდეც, მაგრამ დედას არ ეძახის და მიმაჩნია, რომ ეს სიძე-სიდედრს შორის მიმართვის არასწორი ფორმაა.

— გია მკაცრი მეუღლეა?

— ჯერჯერობით სიმკაცრე არ გამოუჩენია. შესაძლოა იმიტომ, რომ მეც არ მიმიცია იმის საბაბი, რომ მკაცრად მომქცეოდა.

— შეყვარებულობისას ალბათ ზედმეტად ყურადღებიანიც იქნებოდა. ახლაც ასე იქცევა?

— ეს გახლავთ მისი ხასიათის გამორჩეული თვისება და ერთობლივი ცხოვრების პერიოდში ეს თვისებები შეინარჩუნა. მართალია, ისეთი საჩუქრები და ისეთივე ფორმით აღარ მოაქვს, მაგრამ საჩუქრით ხომ არ გამოიხატება ყურადღება?

— მოკლედ, მიგაჩნია, რომ ქალური ბედნიერება იპოვე?

— კი, ასეა, რადგან ყველანაირი საფუძველი მაქვს, რომ ასე ვიფიქრო. გვერდით მყავს ადამიანი, რომელსაც ათასი პროცენტით ვენდობი, სრულიად დავეყრდნობი და ბედნიერი ვიქნები ცხოვრების ბოლომდე.

— ჩვენთან „საპატარძლოს“ რუბრიკაში რომ „გამოიჭიმე“, გამოდის, მაშინ უკვე შეყვარებული იყავი... იმ ინტერვიუსთან დაკავშირებით გიას შენთვის არაფერი უთქვამს?

— *(იცინის)* რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა, მაგრამ რაღას იზამდა?.. საბოლოოდ, ყველაფერი მშვიდად დამთავრდა.

— ზღვაზე რომ წახვალთ და საცურაო კოსტიუმში გამოეწყობი, ბუნებრივია, უამრავი მამაკაცი დაგიწყებს მუშტრის თვალით ცქერას. როგორ ფიქრობ, ამაზე გია არ გაბრაზდება?

— პლაჟზე კაბითა და შარვლით ყოფნა უფრო სამარცხვინოა, ვიდრე საცურაო კოსტიუმით. თანაც, გარუჯვა ძალზე მიყვარს და ბუნებრივია, სხვაგვარად ამას ვერ შევძლებ. შესაძლოა, გაბრაზდეს კიდეც — არ ვიცი, მაგრამ ამის შესახებ მერე გიამბობ, იქიდან რომ დავბრუნდებით... ■

ფრაზა გენიალური

ბუნებამ იმდენად იზრუნა ყველაფერზე, რომ საითკენაც არ გაიხედავ, ყველგან რაღაც შეიძლება ისწავლო.

ლეონარდო და ვინჩი



ქართული ტრადიციული თავშეყრის ადგილის მოყვარული გიორგი გოგიჩაიშვილი ანუ ყველა ბავშვისათვის საყვარელი გოგიჩა ჯერჯერობით თბილისშია, თუმცა მან 3 დღით მაინც მოახერხა მეგობრებთან ერთად ქობულეთში წასვლა. მაგრამ ქობულეთში წამსვლელებს მინდა გახაროთ, რომ სულ რამდენიმე დღეში ის კვლავ იქ იქნება და შეიძლება, თავადაც შეხვდეთ მას, მეგობრებსა და ოჯახთან ერთად.

ჯონცერტი მეჯიდის ჟვეშ და ქოქილა შეიმოქმედეთით ჯგუფკვერილნეზ

ეკა მინდაძე

— წლეულს ქალაქიდან არ გავსულვარ, მაგრამ ცოტა ხნის წინ, სრულიად მოულოდნელად, თავი ქობულეთში ამოვყავი. მე და ჩემმა მეგობრებმა თბილისში აღვნიშნეთ შეხვედრა და... ზღვის პირას გავიღვიძეთ. იქ გატარებული 3 დღე ჩემთვის მთელი თვის ტოლფასია, იმდენად კარგი დრო გავატარეთ. სხვათა შორის, ცოტა ხანში კვლავ ერთად მივდივართ ქობულეთში, ოღონდ ამჯერად ოჯახთან ერთად. ისე, საინტერესოა შენ სად აპირებ წასვლას?

— ჯერ არ გადამიწყვეტია.

— მეც რომ იგივე გითხრა, მეტყვი — რატომ არ იცი?.. ასე არ არის?

— გეთანხმები, მაგრამ, ხომ იცი, ცნობილი ადამიანის ყველაფერი გვაინტერესებს. ბავშვობაში სად ისვენებდი ხოლმე?

— ბათუმში, ბიჭვინთაში, მანგლისში. გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი მშობლები მსახიობები არიან, სულ გასტროლები ჰქონდათ და მეც ყოველთვის თან ვახლდი ხოლმე. მოვლილი მაქვს მთელი საქართველო, უამრავი ღირსშესანიშნავი ადგილი მინახავს, ამასთან ერთად — ბევრი კარგი სპექტაკლიც. აი, ასეთი ბავშვობა მქონდა. ამაზე კარგი დასვენება რაღა უნდა იყოს?..

— პირველად მშობლების გარეშე დასასვენებლად როდის წახვედი?

— პირველად მშობლებმა პიონერთა ბანაკში ცემში გამიშვეს. მახსოვს, ახალი ჩასული, პოსტზე დამაყენეს და გამაფრთხილეს — აქ არავინ შემოუშვაო. მეც ამ დავალების შესრულებას შევუდექი. ერთხელ ბანაკის უფროსი მოვიდა და საშვის უქონლობის გამო არ შევუშვი. დავიწყე რეკვა და თურმე იმას ვურეკავდი, ვისაც არ ვუშვებდი. მე ხომ არ ვიცოდი, რომ ეს კაცი თავად ბანაკის უფროსი იყო?! სხვათა შორის, მას ჩემი მუშაობა ძალიან მოეწონა და მადლობაც გადამიხადა.

— საკურორტო რომანი არ გქონია?

— საკურორტო რომანი უფრო, რუსულ ფილმებში გვხვდება — курортный роман!.. თანაც, მე ხომ 16 წელია, რაც ოჯახი შევქმენი...

— სოფელი თუ გაქვს?

— სამწუხაროდ, სოფელი არ მაქვს, მაგრამ თბილისთან ახლოს, ლოჭინში აგარაკი მაქვს. ამჟამად ჩემი ოჯახი იქ იმყოფება.

— საზღვარგარეთ თუ დაგისვენია?

— როგორ არა?.. ნამყოფი ვარ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში; დამისვენია თურქეთში — ეგეოსის ზღვაზე, ამსტერდამში; უნივერსიტეტის „კა-ვე-ენის" მთელი ჯგუფი ვიყავით ამერიკაშიც. მართალია, ამერიკაში ვიმყოფებოდით, მაგრამ იქაურმა ქართველებმა ქართული კერძები არ მოგვანატრეს, მათ სუფრაზე მწვადი, ნიგვზიანი ბადრიჯანი, საცივი, ლობიო, ჯონჯოლი და რა ვიცი, რაც კი ქართული კერძი არსებობს, ყველაფერი იყო.

— რომელ ქვეყანაში ისურვებდი წასვლას?

— ძალიან მინდა, ვნახო ინდოეთი და ეგვიპტე. ისე, ჩემი აზრით, ადამიანი ვერსად ვერ ისვენებს ისე, როგორც საკუთარ ოჯახში.

— შარშან სად დაისვენე?

— ამერიკაში და ქობულეთში.

— ცურვა იცი?

— ვიცი, მაგრამ შორს გასვლა ყოველთვის მეზარება. სხვათა შორის, ჩემმა მეუღლემ იცის მაგარი ცურვა. ის, რომ გაცურავს, მე ძლივს ვეწევი ზღვის ველოსიპედით.

— ზღვა უფრო გიყვარს თუ მთა?

— ძნელია, ქართველმა კაცმა გადაჭრით გიპასუხოს — ზღვა უფრო უყვარს თუ მთა: ორივე ხომ ჩვენი ბუნებაა და აქედან გამომდინარე, ჩვენც ბუნების მსგავსად, უცებ ვგიჟდებით ან ვწყნარდებით. პირადად მე, ორივეგან დასვენება მიყვარს, მნიშვნელობა არ აქვს, რესტორანი ზღვაზე იქნება თუ მთაში. ჩემთვის მთავარია, ვინ იქნება ჩემ გვერდით. ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა, მათ-

აი, ბუსტად ამ დროს ვისვენებ, დანარჩენ დროს კი, სულ ვმუშაობ...

ალეკო მალხაზიშვილთან ერთად

თან ერთად შემიძლია, საჰარის უდაბნოშიც კი დავისვენო.

— ლაშქრობაში თუ ყოფილხარ?

— ლაშქრობაში ერთადერთხელ ვიყავი, ისიც — ბავშვობაში, პიონერთა ბანაკში ყოფნის დროს.

— პიკნიკზე ხშირად დადიხარ?

— მე და ჩემი ძმაკაცები ოჯახებით ხშირად გავდივართ ქალაქგარეთ, სადაც მწვადებს ვწვავთ და ქეიფს ვაჩაღებთ.

— მწვადის შეწვა იცი?

— მწვადის შეწვაც ვიცი, ცეცხლის დანთებაც და კარგი სადღეგრძელოს თქმაც. მე ვფიქრობ, რომ ეს ყველა მამაკაცმა უნდა იცოდეს.

— ზოგი, მათ შორის მამაკაცებიც, განტვირთვის ფორმად სამზარეულოში ფუსფუსს მიიჩნევს...

— მე დროის უქონლობის გამო შინ ყოფნა იშვიათად მიხდება. აქედან გამომდინარე, ვერც სამზარეულოში ფუსფუსს ვახერხებ. ისე, დრო რომც მქონდეს, ოჯახში იმდენი ქალია, რომ ჩემი ადგილი სამზარეულოში არ არის. ზაფხულში, როცა მარტო მე და მამა ვრჩებით ხოლმე, ვმზარეულობ. შემიძლია, გავაკეთო კარგი „ოსტრი", კიტრისა და პომიდვრის სალათი და სხვა. ისე, ნებისმიერი კერძის მომზადება ვიცი.

— ქეიფი თუ გამოდგება დასვენების ფორმად?

— აი, ზუსტად ამ დროს ვისვენებ, დანარჩენ დროს კი, სულ ვმუშაობ. მიყვარს კარგი ქეიფი და დროს ტარება. სასმელებიდან, ნამდვილი კახური ღვინო მირჩევნია. ამას გარდა, შემიძლია ღვინის ცნობაც, ღვინის შერჩევისას ვერავინ მომატყუებს.

— ნადირობა თუ გიყვარს?

— ნადირობა არ მიყვარს — ცხოველების მოყვარული კაცი ვარ.

— თევზაობა?

— თევზაობა მიყვარს — სუპერმარკეტში ან მაღაზიაში: შეხვალ, ნებისმიერ თევზს „დაიჭერ" — რა თქმა უნდა, თუ ფული გაქვს... არ შემიძლია, ერთი საათი გაუნძრევლად ჯდომა ანკესით ხელში.

— ყველაზე კარგად სად და როდის ისვენებ?

— მაშინ ვისვენებ, როცა წამოწოლილი ან ტელევიზორს ვუყურებ, ან ვკითხულობ.

— ამჟამად რას კითხულობ?

— ჟურნალ „გზას"...

— ლატარიის წამყვანი, ცხოვრებაში აზარტული თუ ხარ?

— არ ვარ. ყველაზე მეტად მაინც ბავშვებთან თამაში მიყვარს. ამით დიდ სიამოვნებას ვიღებ. კარგია, თანაც ამ თამაშში არასოდეს წააგებ.

— შენ თითქმის ყველა ბავშვს უყვარხარ. ამას ქუჩაში როგორ გამოხატავენ?

— გეთანხმები, ბავშვებმა სადაც არ უნდა დამინახონ ხოლმე, ყველგან მცნობენ და მაშინვე ლექსის თქმას იწყებენ. ამგვარი რამ თითქმის ყოველდღე ხდება ჩემს ცხოვრებაში. მაგალითად, ქობულეთში ყოფნის დროს, ორი გოგონა ვნახე, რომლებიც წინასწარ ემზადებოდნენ თურმე, ჩემს შესახვედრად. როგორც კი დამინახეს, მაშინვე დაიწყეს ლექსის თქმა, სიმღერა და ცეკვა. საინტერესოა, რომ მათ ეს ყველაფერი მაგიდის ქვეშ წარმოადგინეს, რადგან ჩემი შერცხვათ, მე კი თავი მქონდა მაგიდის ქვეშ შეყოფილი და ისე ვუსმენდი. ლექსს და სიმღერას არა უშავდა, მაგრამ მაგიდის ქვეშ ცეკვა ცოტა არ იყოს გაუჭირდათ. ამ პატარა კონცერტის შემდეგ, ჩემგან საჩუქრად ლიმონათი მიიღეს. იმ დღეს სიხარულისაგან დაფრინავდნენ... ბედნიერი კაცი ვარ, რომ ამდენ ბავშვს ვუყვარვარ. ისინი ხომ ანგელოზები არიან!..

— დაბოლოს: რა სიახლეა შენს შემოქმედებაში? კვლავაც გაახარებს თუ არა გოგიჩა ბავშვებს?

— სიახლე ბევრია, უბრალოდ, ჯერ არ ვიცი, რა მოხდება. გაურკვეველია, სახელმწიფო ტელევიზიაში რეორგანიზაციის შედეგად გაგრძელდება თუ არა „ბასტი-ბუბუს კარუსელი". აქედან გამომდინარე, არ ვიცი, ხვალ სამსახური მექნება თუ არა. ვნახოთ, ამას მომავალი გვიჩვენებს. ■

მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების საყურადღებოდ!

ეტალონი **ს ტ ი პ ე ნ დ ი ე ბ ი!** ეტალონი

19 სექტემბრიდან ყოველ კვირა დღეს ტელეკომპანია „მზეზე", „ეტალონი" — ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი.

მიიღეთ მონაწილეობა! ორშაბათობით იკითხეთ ჟურნალი „რეიტინგი", შეავსეთ „ცოდნის კუპონი" და ჩაერთეთ საგანმანათლებლო-შემეცნებით პროექტში.

თქვენ 1-წლიანი ყოველთვიური სტიპენდია გეკუთვნით!

პროექტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით ხორციელდება.

შეხვედრამდე „მზეზე"

ჭარიჭობის დღესასწაულზე ჯაფოშვილების ოჯახში ბჭელების ჭეჭოსეჭას მეცნიერები ჭერ ხსნიან...

მარი ჯაფარიძე

28 აგვისტოს, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში მცხოვრები ჯაფოშვილების ოჯახს უამრავი გველი „სტუმრობს". ეს უცნაური ამბავი წლების მანძილზე, სწორედ მარიამობის დღეს იწყება და ნოემბრამდე გრძელდება... მათ სახლში ყოველდღიურად, 15-20 გველი შედის, მაგრამ ყოფილა შემთხვევებიც, როდესაც ქვეწარმავალთა რაოდენობა 40-მდეც კი ასულა. გველები ყველაფერს ედებიან — მათ ნახავთ მაცივარზე, კარადის თავზე, პიანინოზე, საწოლზე, ტელევიზორზე, კუთხეში მიდგმულ კაქტუსზე...

ადამიანი უძველესი დროიდან, შეუცნობელ სამყაროს მიაკუთვნებდა გველს. ეს არსება იდუმალებით მოცული ბევრი მოვლენისთვის დაგვიკავშირებია. იმ სასწაულზე, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების აღნიშვნის დღეს, საბერძნეთის ერთ-ერთ მართლმადიდებლურ მონასტერში აღინიშნება, ჟურნალის 35-ე გვერდზე მოგითხრობთ. მაგრამ სულ სხვაა, ჯაფოშვილების სახლში დაფიქსირებული მოვლენა, რომელსაც მეცნიერები ჯერჯერობით ვერაფრით ხსნიან...

ყველაფერთან ერთად, ვერცხლისფერი გველის ასეთი სახეობა სოფელში სხვაგან არსად შეუნიშნავთ, ისინი მხოლოდ ჯაფოშვილების საცხოვრებელ სახლში არიან. არც ეზოში, არც სახლიდან 10 მეტრის მოშორებით აშენებულ სამზარეულოში არ ბინადრობენ...

აღნიშნულ სახლში ოთხსულიანი ოჯახი ცხოვრობს — გივი და თამარ ჯაფოშვილები, მათი შვილი გურამი და რძალი თამუნა. წყნარი, ჩვეულებრივი ოჯახია, რომლის გასაჭირის შესახებ მთელმა რაიონმა იცის. ისინი ინსტანციიდან ინსტანციაში დადიან და შველას ითხოვენ, მაგრამ ამაოდ...

გავაზიდან დაბრუნებისთანავე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, ჰერპეტოლოგიური ლაბორატორიის გამგეს, ბატონ **დავით გეკოშვილს** დავუკავშირდი და კომენტარი ვთხოვე. გველების სპეციალისტსაც კი დაუჯერებელად ეჩვენა ჩემი ნამბობი, მაგრამ საკუთარი აზრი მაინც გამიზიარა და უამრავი საინტერესო შემთხვევაც მიამბო.

— გველებთან დაკავშირებით, უამრავი მითი და ლეგენდაა ადამიანების მიერ გამოგონილი. მაგალითად, ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის: მართალია თუ არა, რომ როდესაც გველი წყალში ჩადის, შხამს ქვაზე ტოვებს და რომ ამოვა, თუ ვერ მიაგნო, ქვაზე თავს ურტყამს და კვდებაო?.. ეს არის ზღაპარი, ადამიანის ფანტაზიის ნაყოფი. რადგან ადამიანებმა იციან, რომ გველი შხამიანია, ამიტომ თუ წყალში უკბინა და ამან არ მოწამლა, ფიქრობენ — ე.ი. შხამი ქვაზე ჰქონდა დატოვებულიო... ქვაზე კი არა აქვს დატოვებული, არამედ გველის ეს სახეობა არაა შხამიანი — ეს გახლავთ წყლის ანკარა და მისი ნაკბენი მავნებელი სულაც არ არის. ზოგს ისეთი პანიკური შიში აქვს, რომ ერთი გველი ათად ეჩვენება ხოლმე, ზოგი ამტკიცებს, რომ ბანჯგვლიანი გველი ნახა... ოდითგანვე გველი სიბრძნის სიმბოლოდ იყო მიჩნეული და ეს მართლაც ასეა. გველები ძალზე მშვიდი არსებები არიან. მათ აქვთ ძალზე სუსტი მხედველობა და არჩევენ მხოლოდ მოძრავ საგნებს. ამიტომ ხშირად ყოფენ ენას, რადგან გარე სამყაროს აღქმას სწორედ ენით ახდენენ. ენითვე შეიგრძნობენ მოახლოებული ადამიანის სითბოს თუ სხვა საგნებს. ასეთ დროს, სისინით აფრთხილებენ — წადიო. მქონია შემთხვევა, როდესაც გველთან ძალზე ახლოს მივსულვარ, მაგრამ მას შეუნარჩუნებია სიმშვიდე და არც კი განძრეულა, რათა შეუმჩნეველი დარჩენილიყო და მისთვის გვერდი ამევლო... თუ ის გრძნობს საშიშროებას იმისა, რომ ვთქვათ, ფეხს დაადგამენ ან რაიმეს ავნებენ, ამ შემთხვევაში შესაძლოა, ჯერ სისინით, შემდგომ კი კბენით დაიცვას თავი. შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოძრავ საგანს დაინახავს თუ არა, გაიქცეს. ერთ ამბავს მოგიყვებით. ახლობლებმა დაიჭირეს გველი. ამ დროს ქვეწარმავალს დაუზიანდა რბილი ქსოვილი კისრის არეში. ჭრილობაში ბუზს ჩაუდვია კვერცხები, გამოჩეკილან მატლები და კანქვეშ ფუთფუთებდნენ. გავუსუფთავე ჭრილობა და გავათავისუფლე უსიამოვნო შეგრძნებისგან. შემდეგ გავუშვი, მაგრამ არ მიდიოდა — თითქოს მადლიერებას გამოხატავდა... თითოეულ გველს საკუთარი ხასიათი აქვს, ისევე, როგორც ადამიანს.

— თქვენთვის თუ უკბენია შხამიან გველს?

— როგორ არა? ერთი პატარა „გიურზუშკა" მყავდა და ხელით ვკვებავდი ხოლმე — პირს ვაღებინებდი და ხვლიკებს ვუტენიდი. სწორედ ამ დროს, თითში მწვდა და მიკბინა. ანტიგიურზინი გავიკეთე და გადავრჩი. მეორედ კი, დიდი გიურზა გადამყავდა ერთი გალიიდან მეორეში. გავაღე და კუდში მოვკიდე ხელი. ფეხზე უნდოდა კბენა, მაგრამ მოვასწარი და გავიქნიე. ამ დროს, მკლავში მწვდა, კბილები ჩამასო და კარგა ბლომად შხამი შეუშვა. მაშინ მართლაც, ძლივს გადამარჩინეს, მთელი მკლავი დამისივდა...

— როგორ უნდა გავუწიოთ დახმარება ადამიანს, რომელსაც გველმა უკბინა?

— პირველი, რაც უნდა გააკეთოთ — შხამი უნდა ამოწოვოთ, რადგან რაც უფრო ნაკლები შხამი შეაღწევს ორგანიზმში, მით უფრო მეტი შანსია გადარჩენის. ის, ვინც შხამს ამოსწოვს, საფრთხის წინაშე არ დგება, თუ პირის ღრუში ღია ჭრილობა არ აქვს, რადგან შხამი მაშინ არის მავნებელი, როცა სისხლში მოხვდება. თუ გველმა ცხიმოვან ქსოვილში უკბინა ადამიანს, უვნებელია, რადგან ამ დროს, შხამი სისხლში არ გადადის. მაგრამ თუ კუნთში,

ვენაში ან კაპილარში მოხვდება, ეს უკვე საშიშია... შხამი რომ დალიოთ, კუჭში გაიხსნება და არაფერს გავნებთ... ასევე კარგი მეთოდია, გველის ნაკბენზე დაიყაროთ დენთი, რომელიც ჩვეულებრივი სანადირო თოფის ჰილზებშია და ცეცხლი წაუკიდოთ. ის ადგილი ამოიწვება და შხამი ვერაფერს გავნებთ. ამოწვა წამიერად ხდება და ტკივილსაც ვერ იგრძნობთ.

— როგორც ჩანს, თქვენ ქვეწარმავლების არ გეშინიათ...

— მე კარგად ვიცნობ მათი ქცევის წესებს, ამიტომ არ მეშინია. აქ, უნივერსიტეტის ლაბორატორიაში მყავდა პითონი, რომელიც სულ 52 სმ სიგრძის იყო, როდესაც მაჩუქეს. 13 წელი ვზრდიდი და ბოლოს, 4,5 მ-ს მიაღწია. პითონი არის უშხამო, მახრჩობელა გველი, მაგრამ მე თავს არ მესხმოდა, რადგან „ბავშვობიდან" მიჩვეული მყავდა და ლაპარაკი რომ შესძლებოდა, მამას დამიძახებდა. ერთად დავდიოდით ხოლმე საბანაოდ. თავდაპირველად, მანქანაში ჩავსვამდი და ისე მიმყავდა. მაგრამ ერთხელ, წყნეთიდან რომ მოვდიოდით, „პედლებში" ჩაეხვია და ხრამში გადავარდი. შემდეგ უკვე ტომარაში ვსვამდი ხოლმე, რომ არ ეძრომიალა და ხელი არ შეეშალა ჩემთვის. მდინარის პირას გავუშვებდი, მაგრამ ყურადღების ქვეშ მყავდა, რომ არსად შემძვრალიყო. გველებს არა აქვთ სმენა, ამიტომ, რომ დამეძახა, არ გამოვიდოდა...

— მაშ, ფაკირების დაკრულზე როგორ ცეკვავენ?

— ფაკირები იტყუებიან: გველები ხმაზე კი არ ცეკვავენ — მათ უბრალოდ, ჩვევად აქვთ, შეიჭყიტონ ნებისმიერ ხვრელში. ასე რომ, ისინი საკრავის ხვრელში იყურებიან, ფაკირი ამოძრავებს საკრავს, გველი კი ტანს აყოლებს... ჩემს პითონს ვასეირნებდი ხოლმე უნივერსიტეტის შიდა ეზოში, სადაც გარშემო სავენტილაციო ხვრელებია. ძალზე უყვარდა იქ შეძრომა, მაგრამ მე ვუშლიდი, ამიტომ, როცა იქ ვიყავი, ეზოში დასეირნობდა არხეინად. ერთხელ, ასეთ დროს, ტელეფონთან მიხმეს. მივხვდი, თვალს მოვეფარებოდი თუ არა, ხვრელში შეძვრებოდა. მართლაც, უკან როცა მივბრუნდი, დავინახე, რომ თავი ჰქონდა ხვრელში შეყოფილი და იქაურობას ზვერავდა. მე ხელი ვტაცე, რომ არ შემძვრალიყო. ელვის სისწრაფით მობრუნდა და მკლავში ჩამასო კბილები. როდესაც იგრძნო, რომ მე ვიყავი, უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა!... დაიგრიხა, დაიმორცხვა და მერე კარგა ხანს მემალებოდა და აღარ მენახვებოდა. შესაძლოა, სხვა ჯიშის გველი ასე არ მოქცეულიყო, მაგრამ ამ გველის მიჩვევა შესაძლებელი ყოფილა.

— პითონისთვის სახელი თუ გქონდათ შერჩეული?

— კი, გრიშას ვეძახდი. ქართული ფილმი რომ არის — „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი" — იქ არის ერთი ფრაზა: მიშა აქ არის, გრიშა აქ არისო... ჰოდა, ჩვენ გვყავდა თანამშრომელი მიშა და ის რომ მოვიდოდა, ვიტყოდი ხოლმე: მიშა აქ არის, გრიშა აქ არის-მეთქი, ამიტომ შევარქვით ეს სახელი.

ვერცხლისფერი გველებია, სხვადასხვა სიგრძის — 10-15 სმ-დან დაწყებული, 2-მეტრიანით დამთავრებული

— რა ბედი ეწია გრიშას?

— სამი წლის წინ მოკვდა. ზამთრის პირი იყო. იმ პერიოდში შუქი ხშირად ქრებოდა. ერთ დღეს, ორი კურდღელი ერთად შევუგდე გალიაში. ორივე ერთად დაიჭირა, ერთი პირით, მეორე — კუდით და ორივე ერთდროულად მოახრჩო, შემდეგ გადაყლაპა. ამასობაში გამოირთო შუქი და აცივდა. გველის ხხეულის ტემპერატურაც დაეცა. ამის გამო ორგანიზმმა საკვები ვეღარ მოინელა და კუჭში ხრწნა დაიწყო. ორგანიზმი მოიწამლა და გველი მოკვდა. უნივერსიტეტის შიდაეზოში დავმარხეთ. გრიშა ტელეთამაშში — „ვის უნდა 20 ათასი" — დუტა სხირტლაძემ თავის ერთ-ერთ კითხვაში გამოიყენა: რა ჰქვია პითონს, რომელიც უნივერსიტეტში ცხოვრობსო?.. სტუდენტებს ძალზე უყვარდათ პითონი. 4-5 ბიჭი მხარზე გაიდებდა ხოლმე და დაასეირნებდა...

ბატონი დავითის გულადობის ფონზე, ჯაფოშვილების შიში შესაძლოა, უსაფუძვლოდაც მოგეჩვენოთ. მაგრამ დამეთანხმებით, რომ არც ისე იოლია, ამდენი გველის გარემოცვაში იცხოვრო და ყოველ წუთას საფრთხის წინაშე იმყოფებოდე. გვესაუბრება ***თამუნა გოჩიაშვილი*** *(ჯაფიაშვილების რძალი):*

— უკვე ათი წელია, მთელი ოჯახი საშინელ პირობებში ვიმყოფებით. ყოველი მარიამობის დღესასწაულიდან, ნოემბრის ბოლომდე და შემდეგ — ყოველ გაზაფხულზე, მარტიდან ივნისამდე, უამრავი გველის გვერდით ცხოვრება გვიწევს. ვერცხლისფერი გველებია, სხვადასხვა სიგრძის — 10-15 სმ-დან დაწყებული, 2-მეტრიანით დამთავრებული. ყოველდღიურად, 15-20 გველს ვკლავთ, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც 40 გველიც მოგვიკლავს. მსგავს გველს მთელ სოფელში სხვაგან ვერსად ნახავთ. მინდვრებსა და ბოსტნებში აქაიქ მეზობლებიც ნახულობენ ქვეწარმავლებს, მაგრამ — თითო-ოროლას და თანაც, სულ სხვა შეფერილობისას. ამჟამად არ არიან, მაგრამ 28 აგვისტოდან უკვე დაიწყებენ გამოსვლას და შიშით ველით მათ გამოჩენას. ოთახის ნებისმიერ კუთხეში, ყველა ნივთზე შეხვდებით გველს. ვპოულობთ უამრავ გამონაცვალ კანს... ღამით, ჯერ ვათვალიერებთ ოთახს, შემდეგ ვწვებით დასაძინებლად, მაგრამ შიშისგან ნახევარი ღამე მაინც არ გვძინავს. ქვევით, ოთახში კარგად ისმის, როგორ დასრიალებენ სახლის სხვენზე... ზამთარზაფხულ კარ-ფანჯრები ჩარაზული გვაქვს. შარშან ამ კუთხეში მიდგმულ

ქვევით, ოთახში კარგად ისმის, როგორ დასრიალებენ სახლის სხვენზე... შარშან ამ კუთხეში მიდგმულ კაქტუსზეც კი ვნახეთ შემოხვეული

კაქტუსზეც კი ვნახეთ შემოხვეული. ამ ზაფხულს კი, შინ მარტო ვიყავი, აივანზე გავედი და შევნიშნე ორი გველი, რომელთაც სახურავიდან თავები ჰქონდათ ჩამოშვებული... პანიკური შიში მაქვს ქვეწარმავლების. დავიწყე ყვირილი, მთელი ტანით ვკანკალებდი. შემოვიდა მეზობელი მამაკაცი, რომელმაც სპეციალური ჯოხით (ასეთი ჯოხი ყველა კუთხეში გვაქვს — წინ ლურსმანი და მახათი აქვს მიმაგრებული) სცადა გველის მოკვლა. ლურსმანი შეურჭო და ჭერზე მიჭყლეტა დააპირა. ამ დროს, ასე ორ მეტრამდე სიგრძის გველი მთელი ტანით გადმოეშვა ძირს და კუდს თვალწინ უტრიალებდა, შემდეგ ზემოდან მოყვითალომომწვანო ფერის სითხე გადმოანთხია. როგორც ვვარაუდობთ, შხამი იყო...

— პირველად როდის შენიშნეთ ქვეწარმავლები?

— 10 წელია, რაც ამ ოჯახის რძალი ვარ. პირველი 3 წლის განმავლობაში, თბილისში ვცხოვრობდი, რადგან სტუდენტი ვიყავი. სოფელში რომ დავბრუნდი, ასეთი ამბავი დამხვდა: დედამთილმა მითხრა, რომ ჩემს ჩამოსვლამდე გველები არ უნახავთ. სოფლის მკვიდრნი კი მეუბნებოდნენ, რომ 18 წლის წინ, როდესაც ამ სახლს აშენებდნენ, საძირკვლის გათხრისას, გველის კვერცხები უნახავთ. რჩევაც მიუციათ ოჯახის წევრებისთვის — აქ სახლს ნუ ააშენებთო, — მაგრამ მაინც აუშენებიათ. რომელს დავუჯეროთ, აღარ ვიცით: იმასაც ამბობენ, თითქოს ადრე, ამ ადგილზე საფლავი ყოფილა. ისიც უთქვამთ, თითქოს აქ განძია ჩამარხული და გველები სწორედ მას დასტრიალებენო... ამას წინათ, აივანზე ორი პატარა გველის წიწილი შევნიშნე. დავუძახე მეზობელ გოგოს, რომელსაც ასე პანიკურად არ ეშინია მათი და ვთხოვე, მოეკლა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კი, დიდი გველი გამოსრიალდა. მე მგონია, რომ ეს მათი დედა იყო და შვილებს ეძებდა... ზოგი იმასაც გვეუბნება, რომ ეს ცოცხალმშობი გველია და ისინი კვერცხიდან კი არ იჩეკებიან — პირდაპირ წიწილს ბადებენ. ერთმა მოხუცმა კი მითხრა — როგორც ჩანს, დედა და მამა გველები საძირკველში ცხოვრობენ, ძალზე დიდები არიან და გარეთ არ გამოდიან, ისინი შვილებს ბადებენ და მხოლოდ ისინი გეჩვენებიანო.

— ალბათ სტუმრებიც ერიდებიან თქვენთან მოსვლას, ხომ?

— რა თქმა უნდა. სტუმარი მენატრება. ყველას ეშინია ეზოში შემოსვლის. ის კი არა და, მე მუსიკის მასწავლებელი გახლავართ, ვმუშაობ სამუსიკო სტუდიაში და მოსწავლეებს კერძოდაც ვამეცადინებდი ხოლმე. რომელი მოსწავლე მომივა აქ?.. ერთმა მღვდელმა მითხრა: როგორც ჩანს, ისინი მანდ კარგად გრძნობენ თავს, მათი სამფლობელო მანდაა და არსად წავლენ, თქვენ კი ვერ გამრავლდებით, ვიდრე იმ სახლში იცხოვრებთო...

— შვილი არ გყავთ, ხომ?

— არა, არ მყავს... ვფეხმძიმდები, მაგრამ შიშის გამო, ბავშვებს ვკარგავ. რომც მეყოლოს, აქ როგორ გავზრდი?.. ძალზე გამიჭირდება. ერთხელ, 2 მღვდელი გვეწვია, რომლებსაც ჩვენი გასაჭირი შეუტყვიათ და თვითონ მოვიდნენ. მათ თვალწინ 2 გველი მოვკალით. გვითხრეს — ერთადერთი გამოსავალი ის არის, რომ აქედან წახვიდეთო. ეს სახლი უნდა დაიწვას, რომ გველები განადგურდნენ, მაგრამ ჩვენ სად ვიცხოვროთ?..

...იმასაც ამბობენ, თითქოს ადრე, ამ ადგილზე საფლავი ყოფილა. ისიც უთქვამთ, თითქოს აქ განძია ჩამარხული და გველები სწორედ მას დასტრიალებენო

— გველები აგრესიულები არიან?

— არა, აგრესიულები არ არიან, პირიქით — ცდილობენ, თავი აგვარიდონ. მაგრამ წარმოიდგინეთ, ჩვენ რა დღეში ვიქნებით!.. რამდენჯერმე ვნახეთ გველის მიერ დაკბენილი, მკვდარი ქათამიც. სახლის ერთი კუთხიდან გამოდიან და საწვიმარ მილზე თავისუფლად ადი-ჩამოდიან...

— გამოსავალს რაში ხედავთ?

— წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა გავაკეთოთ. ვიყავით რაიონის გამგეობაში, დავწერეთ განცხადება და ვითხოვდით შველას, მაგრამ არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. გვინდოდა, კახეთის გუბერნატორთან, ბატონ პეტრე ციხკარიშვილთან მისვულიყავით, მაგრამ მასთან არ შეგვიშვეს... გამოდის, რომ ვიდრე გველებს ვინმე არ შეეწირება, ყურადღებას არავინ მოგვაქცევს... ღვთის წყალობად ვთვლით, რომ ჯერჯერობით ქვეწარმავლებმა არავინ იმსხვერპლეს.

ახლა კი, კვლავ ბატონი ***დავით გეკოშვილის*** *ინტერვიუს დავუბრუნდეთ და მის კომენტარს გავეცნოთ:*

— როგორც ჩანს, ჯაფოშვილების საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს ბიოტოპს, რაც იმას ნიშნავს, რომ იქ გახლავთ გველების საცხოვრებლად, გეოგრაფიულად და ბიოლოგიურად ხელსაყრელი გარემო. ცოცხალმშობი გველი არ არსებობს. არსებობს ისეთი სახეობა, რომელიც მუცელში ამწიფებს კვერცხებს, მუცელშივე გადის განვითარების ყველა პროცესს და წიწილები მერე გამოდიან დედის სხეულიდან. მაგრამ ეს მაინც კვერცხით გამრავლება გახლავთ. რაც შეეხება მათი გამოჩენის პერიოდს — ეს აბსოლუტურად ჯდება მათი ქცევის ნორმაში: აგვისტოდან გველები გადადიან აქტიური კვების რეჟიმზე, რადგან წინ უდევთ ზამთარი, რომელიც ანაბიოზში (ძილში) უნდა გაატარონ და სჭირდებათ ცხიმოვანი ქსოვილის დაგროვება, რათა ზამთრის გადატანა შეძლონ.

— როგორ უნდა მოიგერიონ ჯაფოშვილებმა ქვეწარმავლები?

— მათი მოგერიება საჭირო არაა — თავად გაურბიან ადამიანებს. გველმა შესაძლოა, ქათამს მართლაც უკბინოს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ქათამი ჩაუნისკარტებს — გამორიცხულია, რომ თვითონ გამოეკიდოს და დაკბინოს. თუ წიწილაა, შეიძლება დაიჭიროს და შეჭამოს, მაგრამ ქათამი ისეთი ზომის გახლავთ, რომ გველი ვერ გადაყლაპავს, ამიტომ ასეთი ზომის ფრინველებს არ ერჩის.

— თქვენი ვარაუდით, რომელი სახეობის გველია ჯაფოშვილების ოჯახში?

— ასე ზეპირად ძალზე გამიჭირდება, მაგრამ საქართველოში ვერცხლისფერი გიურზაც გვხვდება, თან — სწორედ ამ სახეობას აქვს მომწვანო-მოყვითალო ფერის ბლანტი შხამი, მაგრამ არა ისეთი დიდი რაოდენით, რომ ზემოდან გადმოანთხიოს, შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე წვეთი გამოყოს ორგანიზმიდან. საერთოდ, გველმა თუ შენიშნა, რომ მისი არ ეშინიათ, თავს განებებს, მაგრამ არსებობს ისეთი სახეობებიც, რომლებიც ძალზე აგრესიულები არიან. ძალზე საინტერესოა, რა სახეობის გველები არიან ჯაფოშვილების ოჯახში. აუცილებლად ვნახავ და გავარკვევ. თუმცა იმედი არ მაქვს, რომ ნამდვილად ვნახავ 40 გველს ერთად... ■

კვირის (30 აგვისტო - 5 სექტემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – 21/III-20/IV

ქალი: სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. არ არის აუცილებელი ყველა საქმეში ინიციატივა გამოიჩინოთ. მშვიდად შეეგებეთ ყოველგვარ სიახლეს და დაელოდეთ მოვლენების შემდგომ განვითარებას.

მამაკაცი: მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. შეეცადეთ დაამყაროთ ურთიერთობა უცხოელ პარტნიორებთან. იყავით საქმეში მობილიზებული და კიდევ ერთი: არავითარ შემთხვევაში არ დაგვიანოთ შეხვედრაზე. ამან შეიძლება თქვენს სამომავლო გეგმებზე უარყოფითად იმოქმედოს.

კურო – 21/IV-21/V

ქალი: ემოციურად საკმაოდ დაძაბული დღეები გელით. კვირის მეორე ნახევარი ხელსაყრელი პერიოდია ოფიციალურ ინსტანციებთან ურთიერთობისათვის. კვირის დასაწყისში კი თქვენ სიურპრიზი გელით.

მამაკაცი: მიხედეთ საკუთარ გარეგნობას. მეტი დრო დაუთმეთ ტანსაცმლის ერთმანეთთან შეხამებას. ახალი ფეხსაცმელი და კარგი სუნამო მშვენიერი სქესის წარმომადგენლებთან თქვენი წარმატების უტყუარი გარანტიაა.

მარჩხეზი – 22/V-21/VI

ქალი: უარი თქვით ისეთ სასიამოვნო ჰობიზე, როგორიცაა მაღაზიებში სეირნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ვერ დააღწევთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს, რომელიც უახლოეს მომავალში მძიმე ტვირთად დაგაწვებათ.

მამაკაცი: კარგი იქნება, თუ კვირის ბოლოს დროს წვეულებაზე გაატარებთ. იქ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში აღმოჩნდებით და კარგადაც ისიამოვნებთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ქალი: თქვენს პირად ცხოვრებაში ბევრი პრობლემაა, მაგრამ არ ღირს ამის გამო დეპრესიაში ჩავარდნა. წადით საპარიკმახეროში და გაიკეთეთ რამე ექსტრავაგანტური ვარცხნილობა. ეს განწყობილებას გამოგისწორებთ.

მამაკაცი: შეხედეთ, რამდენი ჭორიკანა მამაკაცია თქვენს გვერდით. არავითარ შემთხვევაში არ აჰყვეთ მათ ჭორაობაში. ტყუილად კი არ გაქვთ ღირსეული მამაკაცის სახელი.

ლომი – 23/VII-23/VIII

ქალი: თქვენ კარგი მეგობრები გყავთ. დაწყებული საქმეების მოგვარებას მხოლოდ მათი თანადგომით თუ შეძლებთ. კვირის ბოლოს კი გაუკეთეთ მათ სიურპრიზი და შესთავაზეთ გასეირნება ბუნების წიაღში.

მამაკაცი: დროა, დაისვენოთ. დროა, მოიქცეთ ისე, როგორც გული გკარნახობთ. დროა, ახლობლები აღმოჩნდნენ ფაქტის წინაშე, რომ თქვენ საკუთარი თავის სიამოვნებისთვისაც შეგიძლიათ ფული დახარჯოთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ქალი: ადრე დაწყებულ საქმეს ამ კვირაში დაამთავრებთ. საერთო პრობლემები ოჯახის წევრებთან ერთად გადაწყვიტეთ. ნუ ელით მნიშვნელოვან ცვლილებებს სასიყვარულო ურთიერთობაში.

მამაკაცი: თავი შეიკავეთ ოჯახის წევრების კრიტიკისაგან. თავშეუკავებელი ტონი და გამუდმებული შენიშვნები ისევ თქვენვე შეგიქმნით პრობლემებს. იყავით ახლობლებთან თბილი და სამართლიანი.

სასწორი – 24/IX-23/X

ქალი: რატომ ცდილობთ, თქვენი სურვილები გარშემო მყოფთ მოახვიოთ თავზე? ისინი თუ არიან დამთმობნი და მომტევებლები, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ყოველთვის მართალი ხართ. გაუწიეთ სხვის აზრს ანგარიში.

მამაკაცი: მსუბუქი და წარმატებული კვირა გელით. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. შეიძლება ჰორიზონტზე საოცნებო ქალიც გამოჩნდეს და საინტერესო წინადადებაც შემოგთავაზოთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ქალი: ფრთხილად! თუ გათხოვილი ხართ, შეიძლება ქმარმა ეჭვიანობის სცენა მოგიწყოთ. ისე, მართლაც ზედმეტად ახლოს ხომ არ მიუშვით თქვენს გულთან ვინმე უცხო მამაკაცი? ჰკითხეთ საკუთარ თავს ზედმეტად მეოცნებე ხომ არ გახდით?

მამაკაცი: ჩვეულებრივი უპრობლემო კვირა გელით. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში შექმნილ გაუგებრობას ადვილად მოაგვარებთ. კმაყოფილი დარჩებით ხელმძღვანელების თქვენ მიმართ დამოკიდებულებითაც.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ქალი: კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი. ზედმეტი სიფიცხის გამოვლენით წარმატებით დაწყებული საქმიანი მოლაპარაკება არ ჩაშალოთ. მოეთათბირეთ საქმიან პარტნიორებს. მარტო ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას.

მამაკაცი: კარგად დაწყებული საქმე შუა კვირაში შეფერხდება, მაგრამ მის წარმატებით დაგვირგვინებას მაინც მოახერხებთ. დაკისრებულ მოვალეობას ოჯახშიც და სამსახურშიც წარმატებით ართმევთ თავს და საწუწუნოც არაფერი გაქვთ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ქალი: კვირის დასაწყისში შეიძლება გაუთვალისწინებელი პრობლემა გაგიჩნდეთ. კვირის მეორე ნახევარში თავი შეიკავეთ ზედმეტი წუწუნისაგან. საჭირო არ არის ყველას უამბოთ, თუ რა ძალისხმევის ფასად დაგიჯდათ პრობლემის მოგვარება.

მამაკაცი: კვირის მეორე ნახევარში ძველ მეგობრებთან საინტერესო და ხალისიანი შეხვედრა გელით. იყავით გულუხვი მანდილოსნების მიმართ. მათ ხომ ასე უყვართ საჩუქრები?

მერწყული – 21/I-19/II

ქალი: ზედმეტად მიამიტი ხომ არ ხართ? დაუკვირდით, რამდენი ხანია, ერთი და იმავე დანაპირებით სულდგმულობთ? დროა მიწაზე დაეშვათ და რეალობას თვალი გაუსწოროთ. მოიქეცით ისე, როგორც კარგ დიპლომატს შეეფერება.

მამაკაცი: ნუ ელით სასწაულს. ლანგარით არავინ არაფერს მოგართმევთ. დროა, ხელი გაანძრიოთ და დასახული მიზნის მისაღწევად მიზანმიმართულად იღვაწოთ. თქვენზე ხომ ბევრი ადამიანის ბედნიერებაა დამოკიდებული?

თევზები – 20/II-20/III

ქალი: აუცილებელი არ არის ნებისმიერ პოლემიკაში ჩაერთოთ. მოსმენის უნარი ადამიანის ყველაზე კარგი თვისებაა. გაბრაზებულ ადამიანებზე თქვენი მშვიდი ტონი დადებითად იმოქმედებს და შეიძლება, მომავალში მათი სახით საუკეთესო მეგობრებიც შეიძინოთ.

მამაკაცი: განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ იმ დავალებას, რომლის შესრულებასაც სამსახურში მოითხოვენ თქვენგან. უპასუხისმგებლობის გამოვლენის შემთხვევაში დიდი შანსია იმის, რომ თქვენ სმსახური დაკარგოთ.





26-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ.
48-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ; 4-ბ.



გამოჩენილი აღამიანების მოსწრებული გამონათქვამები

***

სიტყვას მოჰყოლია და იონა მეუნარგიას აკაკი წერეთელთან საუბრისას უთქვამს:

— გრიგოლ დადიანმა (რომელიც მაშინ 73 წლის ყოფილა) ექიმთან გაგზავნა კაცი, კბილებს იკეთებსო.

— მერე ნამდვილად იცის, რომ საიქიოში საჭმელი ექნებაო? — უკითხავს აკაკის.

***

ვაჟა-ფშაველას, კიტრის საყიდლად ათთუმნიანი დაუხურადვებია, ხუთი კიტრი უყიდია, დანარჩენი ფული კი ჯიბიდან ამოუცლიათ, ცოლისდასთან სტუმრად მისული ლუკა ხურჯინიდან კიტრებს აღარ იღებდა:

— იყოს, ასე უნდა შევინახო, ძვირად ნაყიდია და დიდხანს უნდა გავაძლებინო.

***

ბავშვობაში ვაჟა-ფშაველას ერთ ხნიერ შეცხვარესთან ერთად უმგზავრია ცხენით. გზაზე შემოღამებიათ და ცეცხლი დაუნთიათ. მეცხვარეს თავისი წარსული გაუხსენებია:

— ჩვენ, წინანდელი ხალხი, თქვენსავით ბეჩავები კი არ ვყოფილვართ. ისეთი ყოჩაღები ვიყავით, რომ ცეცხლს ვაკვესებდით!..

ღამით ნაბადმოხვეულს მისძინებია. ძილის დროს, ცეცხლისკენ გადაგორებულა და ტანისამოსი დასწვია. ვაჟაც ჩაძინებული ყოფილა. ამ დროს მეცხვარეს გამოღვიძებია და პატარა ლუკას წაჩხუბებია:

— რატომ არ გამაღვიძე, ცეცხლი რომ მეკიდებოდა?

— მეგონა, ცეცხლს აკვესებდი... — არ დაბნეულა ლუკა.

***

უნივერსიტეტში ნოდარ დუმბაძის რომანს: „მე ვხედავ მზეს“ იხილავდნენ. ვიღაცას უკითხავს:

— ეს შენი „სოსოიას რუსი“ შენს რომანში საიდან გაჩნდა?

— დალოცვილებო, საქართველოში ორასი ათასზე მეტი რუსია და ერთხელ არავის უკითხავს საიდან გაჩნდნენ აქ. ჩემს რომანში ერთი რუსის გაჩენამ ასე როგორ გაგაკვირვათ — სწრაფად მიუგია დუმბაძეს.

ანეკდოტები

***

მამალი ვეშაპი დედალი ვეშაპის ირგვლივ დაცურავს და ბუზღუნებს:

— კარგი, რა, ქალო... ასეულობით ეკოლოგიური ორგანიზაცია... გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერები და ცხოველთა დაცვის სამსახურები წვალობენ... რა გრანტებს არ გამოყოფენ იმისათვის, რომ ჩვენ არ გადავშენდეთ... შენ კი მეუბნები, რომ თავი გტკივა?!.

***

დიალოგი საბავშვო ბაღში:

— ძალიან მეშინია... მამამ როგორც კი ახალი მანქანა იყიდა, ძველი გაყიდა...

— მერე შენ რა გაშინებს?

— დედამ მითხრა, მე და მამაშენმა გადავწყვიტეთ, ახალი ბავშვი ვიყიდოთო...

***

კილერთან მოლაპარაკება მიმდინარეობს:

— მისამართი? — კითხულობს კილერი.

— მესამე მასივი, 42-ე კვარტალი, III სადარბაზო...

— მოიცა, მოიცა... რამდენს იხდი?

— 9.000 დოლარს.

— ეე... ბარემ დაამრგვალე 10.000-მდე და აღარც სართულს გკითხავ და აღარც ბინის ნომერს... მთელ კორპუსს ავწევ ჰაერში...

***

ბავშვიანი ქალი ექიმთან მიდის. ექიმი ქალს ეკითხება:

— ბავშვი ხელოვნურ კვებაზეა თუ ბუნებრივზე?

— ბუნებრივზე.

— აბა, გაიხადეთ და მკერდი მაჩვენეთ.

— ექიმო, მე დედა არ ვარ, ბავშვის დედა ჩემი დაა.

— ახლა თქვენ გაიხადეთ, მე გაგსინჯავთ... მკურნალობის კურსი კი თქვენმა დამ გაიაროს.

***

ქუჩაში მთვრალი აგდია. თავზე საპატრულო პოლიცია წამოადგა.

— მოქალაქევ, ადექით!

— სად ვარ, სიმონ?

— ზოოპარკის ჭიშკართან.

— მერე დახურე, რა, სიმონ... მიბერავს...

***

— რა ყვირილია თქვენს განყოფილებაში? — ეკითხება სამშობიაროს ერთი ექიმი მეორეს.

— 4 ტყუპი გოგო დაიბადა...

— ვაა... კარგია, მაგრამ 4 ახალშობილი ასე ხმამაღლა ტირის?!

— არა... ეს მათი მამა ბღავის...

***

— თქვენ დაინახეთ, ხულიგანი და თქვენი სიდედრი როგორ ჩხუბობდნენ?

— დიახ.

— მერე არ მიეხმარეთ?

— რა მიხმარება უნდოდა, ისედაც ეს ესხმოდა თავს...

***

ზარი საადვოკატო ფირმიდან.

— ალო... პატივცემულო, ასი ათასი დოლარი რომ მოიპარეთ, ადვოკატი არ გჭირდებათ?

— რავა, მე თვითონ ვერ დავხარჯავ, თუ?!

***

ქართველი სიდედრი მეგრელ სიძეს:

— სიმართლე მითხარი, შე მიწადასაყრელო, რა გაიფიქრე, როდესაც პირველად ჩემი ქალიშვილი დაინახე?

— მაშინვე ვიფიქრე, გენაცვალე, რავარი ლამაზი დედა ეყოლება თქვა ამ გოგოს...

***

მდივანი შეფს ეუბნება:

— რომ იცოდე, რა ჭორებს ჰყვებიან ჩვენზე!.

— ეგ არაფერი, მთავარია, სიმართლე არ შეიტყონ...

***

ოსი მოკრივე რინგზე პირველად გადის და მწვრთნელს ეკითხება:

— მუცელში ჩალტყმა სეიძლება, სენი წილიმე?

— კი.

— თავში ჩალტყმაც?

— კი.

— ღვიძლში დალტყმაც?

— კი.

— ი... მელე ხო მოგკლავს...

როგორი აზრის ბრძანდებით საკუთარ თავზე?

ამაზე პასუხს სულ იოლად მიიღებთ, როცა უპასუხებთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდით ამა თუ იმ სიტუაციაში. ყოველი პასუხი ქულათა განსაზღვრული რაოდენობით ფასდება, რის მიხედვითაც თქვენ შეძლებთ განსაზღვროთ საკუთარი ხასიათი...

1. თქვენ დაბადების დღეზე საჩუქრად მიიღეთ ყვავილების ლარნაკი, რომელიც სულაც არ მოგწონთ. რას იზამთ?

ა) გააჩუქებთ ლარნაკს – 2;

ბ) აგრძნობინებთ სტუმარს, რომ მას უკეთესი საჩუქრის შერჩევაც შეეძლო და რომ ეს ლარნაკი სულაც არ მოგწონთ – 6;

გ) ისეთ ადგილას შეინახავთ, რომ რაც შეიძლება იშვიათად მოგხვდეთ თვალში – 10.

2. ფოსტალიონმა შეცდომით თქვენს საფოსტო ყუთში მეზობლის ღია ბარათი ჩააგდო. როგორ მოიქცევით?

ა) თავიდან ბოლომდე ჩაიკითხავთ ბარათს და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნებთ მას ადრესატს – 6;

ბ) შეცდომის აღმოჩენისთანავე ბარათს მეზობლის საფოსტო ყუთში ჩაუშვებთ – 10;

გ) სანაგვეში გადაუძახებთ, როგორც თქვენთვის სრულიად უსარგებლო ნივთს – 2.

3. თქვენ მაღალანაზღაურებადი, მაგრამ თქვენთვის სრულიად უინტერესო სამუშაო შემოგთავაზეს. დათანხმდებით თუ არა ამგვარ წინადადებას?

ა) არა, თქვენთვის საინტერესო სამსახურის ძებნას განაგრძობთ, რადგან მიგაჩნიათ, რომ ეს საუკეთესო ვარიანტი სულაც არ გახლავთ – 10;

ბ) დათანხმდებით, მაგრამ ეჭვიც არ შეგეპარებათ იმაში, რომ უკეთეს ვარიანტს იმსახურებთ – 2;

გ) დაუფიქრებლად დათანხმდებით – 6.

4. წვეულებაზე ერთ-ერთი სტუმარი ჰყვება იმ შემთხვევის შესახებ, რომელიც თქვენთვის უკვე ცნობილია, როგორ მოიქცევით?

ა) ხელმეორედ ყურადღებით მოისმენთ ამ ამბავს – 10;

ბ) ყველას გასაგონად ირონიულად შენიშნავთ, რომ ეს თქვენთვის კარგა ხანია ცნობილია – 6;

გ) მოსაუბრეს თხრობას შეაწყვეტინებთ და ამბის მოყოლას თავად განაგრძობთ – 2.

5. თქვენთვის შემთხვევით ცნობილი გახდა, თუ როგორ შეიძლება უფასოდ ისარგებლოთ ტელეფონ-ავტომატით (მონეტების გარეშე). რას მოიმოქმედებთ?

ა) დაუყოვნებლივ აცნობებთ ამის თაობაზე სატელეფონო კომპანიას – 10;

ბ) ამ ამბავს არავის გაუმხელთ – 2;

გ) ოჯახის წევრებსა და ახლო მეგობრებს აუცილებლად მოუყვებით ამის შესახებ – 6.

6. პარკში მიმავალმა შენიშნეთ, რომ ბიჭები ფრთამოტეხილ ჩიტს აწვალებენ. როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) აუცილებლად ჩაერევით და გაყრით ბიჭებს – 6;

ბ) შეეცდებით დახმარება აღმოუჩინოთ ფრთამოტეხილ ჩიტს – 10;

გ) ისე განაგრძობთ გზას, რომ ყურადღებასაც არ მიაქცევთ ამ ამბავს – 2.

დაანჯამეთ ქულები

50 და მეტი ქულა: საოცარი მოთმინების უნარით გამოირჩევით. ირგვლივმყოფები ერთხმად აღნიშნავენ, რომ თქვენ უჩვეულოდ გულღია ადამიანი ბრძანდებით. თქვენ ნებისმიერ ადამიანთან დამეგობრების უნარითაც ხართ დაჯილდოებული. ოღონდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ პრინციპულობის გამოჩენა გიჭირთ. ამას თავადაც კარგად აცნობიერებთ, მაგრამ ძალას ვერ პოულობთ საიმისოდ, რომ საკუთარი თავიც და ირგვლივმყოფებიც კრიტიკულად შეაფასოთ.

30-49 ქულა: ერთი წამითაც არ გეპარებათ ეჭვი იმაში, რომ მაქსიმალურად კეთილგონიერი ადამიანი ბრძანდებით. სხვათა შორის, საკუთარი თავის რწმენის წყალობით, ძალისხმევას არც იმისათვის იშურებთ, რომ ამაში ოჯახის წევრები, მეგობრები და ნაცნობებიც დაარწმუნოთ.

18-29 ქულა: უნდა გითხრათ, რომ საკმაოდ მერყეევი ხასიათის პატრონი ბრძანდებით. ამა თუ იმ სიტუაციას, თქვენზე გასაოცარი გავლენის მოხდენა შეუძლია. სწორედ ამიტომაა, რომ თქვენ ყოველთვის სიტუაციისდა მიხედვით მოქმედებთ. ზოგჯერ საოცრად ყურადღებიანი ბრძანდებით, ზოგჯერ კი, წვრილმანი და ეჭვიანი.

17 და ნაკლები ქულა: თქვენზე ხშირად ამბობენ ირგვლივმყოფები, რომ პედანტი და ეგოისტი ადამიანი ხართ. საოცარი უპრინციპობით გამოირჩევით, არავის ენდობით და შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ საერთოდ ადამიანების რწმენა გაქვთ დაკარგული. მიუხედავად ზემოთქმულისა, თუკი ჯერ კიდევ არ დაგიკარგავთ საკუთარი ნაკლის გაცნობიერების უნარი, გულს ნუ გაიტეხთ: ძალისხმევის მეშვეობით ხომ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

„სუპერწებოთი“ შეწებებული წყვილს ექიმებმაც ვერაფერი უშველეს...

ესპანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში მხოლოდ მესამე დღეს მოხერხდა 39 წლის გერმანელი უვე კრონესა და მისი საცოლის მიკაელა ნოლტეს ერთმანეთისგან განცალკევება. ისინი კლინიკაში „სასწრაფო დახმარების“ მანქანამ, მადრიდის მახლობლად მდებარე, ვალდემოროს ციხიდან მიიყვანა. როგორც პრესა იუწყება, საქმროს მოსანახულებლად მისულ გერმანელ ქალს ციხეში შეუმჩნევლად შეუტანია სპეციალური „სუპერწებო“, რომელსაც ავტომანქანების შეკეთებისას იყენებენ. შეხვედრისას, უვემ და მიკაელამ მაგრად ჩასჭიდეს ერთმანეთს ხელები, რომლებზეც წინასწარ წებო ჰქონდათ წასმული და მათი ერთმანეთთან დაშორება შეუძლებელი აღმოჩნდა. თავდაპირველად, მეციხოვნეების მსგავსად, ექიმებმაც ვერაფერი გააწყვეს, რადგან ეშინოდათ გამოეყენებინათ, წებოს გამხსნელი, ძლიერი ქიმიკატები და ვერც ქირურგიული ჩარევა გაებედათ. პრობლემა მხოლოდ მესამე დღეს, სრულიად მოულოდნელად გადაწყდა: წებო თანდათან, კრისტალდებოდა და მათი ხელისგულებიდან ცვიოდა... როგორც მოგვიანებით კრონემ განაცხადა, ამ ნაბიჯით მას, საკუთარი საქმისთვის ყურადღების მიპყრობა სურდა. ესპანურმა პოლიციამ ის წლეულს აპრილში, გერმანელი სამართალდამცავების ინფორმაციის საფუძველზე დააკავა. სამშობლოში მას თურმე, სუტენიორობაში სდებენ ბრალს და გერმანიაში მის ექსტრადიციას მოითხოვენ. კრონე კი ირწმუნება, რომ სრულიად უდანაშაულოა და იმედოვნებს, რომ ამ ინციდენტის შემდეგ მაინც ობიექტურად განიხილავენ მის საქმეს. ■

შვეიცარიაში ხის მარკები გამოუშვეს

შვეიცარიულმა საფოსტო სამსახურმა გამოუშვა საკოლექციო საფოსტო მარკები, რომლებიც ხისგანაა დამზადებული. პირველი ასეთი მარკა, რომლის ზომები 50X40 მმ-ს, სისქე კი 0,7 მმ-ს შეადგენს, 7 სექტემბერს გაიყიდება. მისი ნომინალი 5 შვეიცარიული ფრანკია (დაახლოებით 4 დოლარი). ქვეყნის ფოსტის მესვეურები აღნიშნავენ, რომ მარკების დასამზადებლად „ნატურალური მასალის – შვეიცარიული ხის“ გამოყენება ძალზე საინტერესო ინიციატივას წარმოადგენს, რომლის მიზანია, საზოგადოებისა და ფილატელისტთა ყურადღება მიიპყროს: მათი თქმით, შვეიცარია უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყანაა და ხისგან დამზადებულ მარკებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ფილატელისტებს, ახალი მარკების შესაძენად, ინტერნეტ-საიტის მეშვეობით შეკვეთის გაგზავნა მოუწევთ. აქვე აღსანიშნავია, რომ შვეიცარიაში უკვე არსებობს მაქმანებისგან დამზადებული და შოკოლადის არომატის მქონე მარკები. ■

ბრილიანტები... მამის ნეშტისაგან



აშშ-ში ბრიტანელი გეოლოგის, ბრაიან ტენდის ნეშტისაგან დაამზადეს ხელოვნური ბრილიანტები, რომლებსაც მისი ქვრივი და ქალიშვილები სამშვენისებად გამოიყენებენ. თავისი სპეციალობის წყალობით, ტენდიმ კარგად უწყოდა, თუ როგორ მზადდება ადამიანის ნაშთებისგან ბრილიანტი: ფერფლის მაღალ ტემპერატურამდე გახურებისა და შეკუმშვის შედეგად, წარმოიქმნება კრისტალი, რომელიც სათანადო დამუშავების შედეგად, ხელოვნურ ბრილიანტად იქცევა... შარშან აპრილში გარდაცვლილი ბრაიან ტენდის ფერფლისგან, ყვითელი ფერის ბრილიანტი დაუმზადებიათ, რომელსაც სპეციალისტები 4.150 დოლარად აფასებენ. ეს პირველი ძვირფასი ქვაა, რომელიც კომპანიამ – LifeGem გამოუშვა. საინტერესოა, რომ აღნიშნულ თვალს კიდევ 4 მომცრო მოჰყვა, რომლებსაც ტენდის ქალიშვილები ბეჭდებისთვის გამოიყენებენ. ■

მიიჩთვით საკვები, შესაფუთთან ერთად!..

ორეგონის შტატის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს ისეთი მასალა, რომელიც არა მარტო კარგად შეინახავს სურსათს, არამედ საკვებად მის გამოყენებასაც ითვალისწინებს. მათი თქმით, ის მხოლოდ ნატურალურ კონსერვანტებს შეიცავს და შესაძლებელია, მწარმოებელმა ვიტამინებითა და მინერალებითაც გაამდიდროს. გარდა ამისა, ეს საოცარი მასალა თხევადადაც შეიძლება დამზადდეს და თუ მას ხილ-ბოსტნეულს დააპკურებ, ისინი საკმაოდ დიდხანს არ გაფუჭდება. ამ მასალის ფორმულა მაშინ გამოიყვანეს, როცა ჩიტოზანთან (კიბორჩხალას ჯავშნისგან გამოყოფილი ნივთიერება) და ლიზოზიმთან (კვერცხის ცილისგან გამოყოფილი პროტეინი) ექსპერიმენტებს აწარმოებდნენ. ■

ფოტოკუთხეები







ბ 113/30

№17(77) 19.VIII-1.IX 2004

ოჯახის მეუნიკალური

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

ფარისებრი ჯირკვლის ქირურგიული მკურნალობა

მთავარი თემა: თირკმლის ქრონიკული უკმარისობა

რატომ ვცივდებით ზაფხულში

რატომ იღლებიან ბავშვები?

ყველაფერი ლიპოსაქციის შესახებ

მაგნიტური ქვიშა და იმედის ქალაქი

ციტომეგალოვირუსი – ფარული საფრთხე

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის